

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

---

აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

პ. თოფურია

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის  
კოლიტიკური ერთეულები XI—XII  
საუკუნეებში



„მეცნიერება“  
თბილისი — 1975

ნაშრომში სპარსული, არაბული, ქართული, სომხური და სხვა, როგორც დედანში, ასევე თარგმანებში გამოყენებული სხვადასხვა ხასიათის წყაროების საფუძველზე და საბჭოთა და უცხოელ მკვლევართა გამოკვლევების გათვალისწინებით პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია რავედიანების, შადადიანების (მათი ანისის შტოს ჩათვლით), აჰმადილიანების (აყსონყორიანების) ფეოდალური სახელმწიფოების და დარუბანდის და ბეშქენიანების საამიროების პოლიტიკური ისტორია დღიდან მათი დაარსებისა გადაშენებამდე. განხილულია დასახელებული პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობა საქართველოსთან.

## წინასიტყვაობა

საქართველოს მეზობელი პოლიტიკური ერთეულების შესწავლის მნიშვნელობას სხვასთან ერთად საქართველოს ისტორიის ინტერესებიც განაპირობებს. ეს ინტერესი ერთნაირად ცხოველია როგორც პოლიტიკური, ისევე სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ისტორიის თვალსაზრისით. ამასთანავე, ამიერკავკასიის კარგად შესწავლილი პოლიტიკური ისტორია საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მთელი სისრულით შესწავლის კარგი საწინდარია. ყოველივე ამის შემდეგ კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდება საქართველოს ადგილი და მნიშვნელობა ამიერკავკასიის, და არა მარტო ამიერკავკასიის, სინამდვილეში.

ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოადგინოს — ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად — რავადიანთა, შადადიანთა, აჰმადილიანთა ფეოდალური სახელმწიფოების, ბეშქენიანთა და დარუბანდის საამიროების გაბმული ისტორია.

აღნიშნული პოლიტიკური ერთეულების გეოგრაფიულ გარემოს შეადგენდა არანი, ანუ მტკვრისა და არეზის (არაქსი) შუამდინარეთი, შუა საუკუნეების აზერბაიჯანი — ე. ი. ჩრდილოეთ აზერბაიჯანი (თანამედროვე აზერბაიჯანის სსრ) და სამხრეთ აზერბაიჯანი (ირანის აზერბაიჯანი), ქ. დარუბანდის მიმდებარე მხარე — შარვანის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ კავკასიონის განშტოებული ქედების კალთებზე მდებარე ტერიტორია, კასპის ზღვის დასავლეთ სანაპიროს ვიწრო ზოლითურთ (დღევანდელი დაღესტნის ასსრ-ის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი) და ქ. ანისის რაიონი, სადაც სომხეთის ანისის სამეფოს დაშლის შემდეგ დამკვიდრდა შადადიანთა ანისის შტო.

ზოგიერთი დასახელებულ პოლიტიკურ ერთეულთაგან არსებობას იწყებს უკვე X ს. მეორე ნახევარში. დაახლოებით იგივე ითქმის ამ ერთეულებთან საქართველოს ურთიერთობის შესახებაც: უკვე X ს. დასასრულისათვის აღინიშნება საამისო ფაქტები ამის გამო, გასაგებია, რომ ნაშრომში, ზოგიერთ შემთხვევაში, წინ გადაიწია ქრონოლოგიური ჩარჩოს საწყისმა საზღვარმა.

რადგანაც ამჟერად ვერ მოხერხდა შარვანის სამეფოს, ელდიგუზიანთა სახელმწიფოს და ზოგიერთი სხვა პოლიტიკური ერთეულების ისტორიის განხილვა, ამიტომ ნაშრომში გარკვეული ხარვეზი წარმოიქმნა, განსაკუთრებით XII საუკუნის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარების რამდენადმე სრული სურათის წარმოდგენის თვალსაზრისით. ამავე მიზეზის გამო, ასევე სრულად და ამომწურავად ვერ გაშუქდა საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ურთიერთობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან.

ამიერკავკასიაში პოლიტიკური ძალების ურთიერთდამოკიდებულებისა და საერთოდ, პოლიტიკური სიტუაციის გასარკვევად და შესასწავლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ძალების, ე. ი. ფეოდალური სახელმწიფოებისა და საამიროების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურისა და მდგომარეობის შესწავლას. ამ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ისტორიის შესწავლის შემდეგ გვესახება მიზანშეწონილად. მით უმეტეს, რომ „მუსლიმანური“ აღმოსავლეთ ამიერკავკასია სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით ერთიან სამყაროს წარმოადგენდა.

რაც შეეხება ნაშრომში განხილულ პოლიტიკურ ერთეულებთან საქართველოს ურთიერთობას, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით შესწავლილია მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული ურთიერთობის პოლიტიკური მხარე.



წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა

XI—XII საუკუნეების აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ისტორიის შესწავლისათვის გასათვალისწინებელია წყაროების ფართო წრე. ამ წრეს შეადგენს როგორც არაბული და სპარსული, ასევე ქართული, სომხური და ბერძნული წყაროები. მრავალფეროვანია ეს წყაროები შინაარსის მხრივაც. კვლევის არეში შემოდის ნარატიული ისტორიული და გეოგრაფიული თხზულებანი, ლიტერატურული, ნუმისმატიკური, ეპიგრაფიკული წყაროები.

რა თქმა უნდა, აღნიშნული წყაროები ერთნაირი სისრულით და რაოდენობით როდია წარმოდგენილი განსახილველ პერიოდში. ამასთანავე, მათი უმრავლესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, უშუალოდ არ ეხება ჩვენი შესწავლის ობიექტს. ეს იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ არაბულ თუ სპარსულენოვან ისტორიულ წყაროებს თავიანთ ფურცლებზე, აღმოსავლური მუსლიმანური იმპერიების პოლიტიკური ცხოვრების აღწერის დროს, ამიერკავკასიისთვის ადგილი იმდენად და იმ დროს „ჩიებოდან“, რამდენადაც და როდესაც ეს მხარე ამა თუ იმ, საერთო მასშტაბით მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებული აღმოჩნდებოდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ცოდნას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ისტორიაში დიდად ამდიდრებს ისეთი ძვირფასი წყარო, როგორც არის თარხ ალ-ბაბ ვა შარვან („ალ-ბაბის და შარვანის ისტორია“)<sup>1</sup>.

თურქი ისტორიკოსის აჰმად ბენ ლუტფულაჰის (ცნობილია აგრეთვე წოდებით — მუნჯიმ-ბაში „მთავარი ასტროლოგი“)<sup>2</sup> არა-

<sup>1</sup> თარხ ალ-ბაბ (წყაროებისა და ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერა იხ. ბიბლიოგრაფიაში).

<sup>2</sup> გარდაიცვალა მექაში ჰიჯრის 1113 /ჩვ. წ. 1702 წ. მის შესახებ იხ. ნ. შ. ენ-გელის, სელჩუკები და საქართველო, გვ. 33—35.

ბულ ენაზე შედგენილი ვრცელი კომპილაციური ისტორიული თხზულება ჯამი ალ-დუვალ („დინასტიათა კრებული“) იმითაც არის შესანიშნავი, რომ სხვა მრავალ წყაროებს შორის<sup>3</sup> ავტორი იმოწმებს მთელ თავებს „ალ-ბაბის და შარვანის ისტორიიდან“, რომელიც დაახლოებით ჰიჯრის 500 /ჩვ. წ. 1106 წ. არის შედგენილი დარუბანდში (იგივე ალ-ბაბ, ბაბ ალ-აბვაბი). სამწუხაროდ, ამ წყაროს სამივე ნაწილის არანის, შარვანის და დარუბანდის ისტორიის თხრობა წყდება 468/1075 წელზე.

მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი (ვუწოდოთ ასე, რადგანაც ცნობილი არ არის ავტორის სახელი) სანდო და ღრმამინაარსიანი წყაროა. თუმცა, შეიმჩნევა გარკვეული სუბიექტური მიდგომა დარუბანდის ზოგიერთი მაღალი სოციალური ფენებისადმი მაგრამ, საერთოდ ავტორი საკმაოდ მიუკერძოებელია და ობიექტური. ჩანს, რომ მას გამოუყენებია ადგილობრივი წერილობითი და ზეპირი წყაროები, ხოლო თხრობის დიდ მონაკვეთში ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველია და მომსწრე<sup>4</sup>. ეს გარემოება დიდად ზრდის თარიხ ალ-ბაბის მნიშვნელობას, რაც განსაკუთრებით დიდია აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის, რადგანაც აქამდე უცნობი პოლიტიკური მოვლენების აღწერა დაფუძნებულია უხვ და ზუსტ ქრონოლოგიაზე, მოცემულია ძვირფასი ცნობები ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის შესასწავლად.

განსაკუთრებით საყურადღებოა და მნიშვნელოვანი თარიხ ალ-ბაბის ცნობები დარუბანდას საქალაქო ცხოვრების შესასწავლად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი წყარო, რომელიც საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ასეთი თანმიმდევრობით და უაღრესად დაწვრილებით გადნოგვემდეს ფეოდალური ქალაქის ცხოვრებას, ამიერკავკასიის სინამდვილეში ჩვენ მეორე არ მოგვეპოვება.

მუნაჯიმ-ბაშის ანონიმის შარვან-დარუბანდ-არანის ისტორიის პუბლიკაცია ეკუთვნის ვ. მინორსკის (1877—1966). არაბული ტექსტის ბირველი ნაწილი — არანის ანუ შადადიანების ისტორია (ჩვენთან შემოკლებით: ბაბ ფი-ლ-შადადიია) ინგლისური თარგმანით ვ. მინორსკიმ გამოაქვეყნა 1953 წ. მონოგრაფიაში „ნარ-

<sup>3</sup> ჰამერის<sup>1</sup> დაკვირვებით, აჰმად ბ. ლუტფულაჰს გამოყენებული აქვს 70-ზე მეტი წყარო. იხ. В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 15.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 18; შტრ. Б. Заходер, ПВ, № 2, გვ. 203—206.

კვევები კავკასიის ისტორიიდან<sup>5</sup>. იმავე ტექსტის რუსული თარგმანი გამოცა ა. მამედოვმა<sup>6</sup>. მეორე ნაწილი — „შარვანის და დარუბანდის ისტორია“ — არაბული ტექსტი ინგლისური თარგმანით, ვრცელი კომენტარებით და დამატებებით ვ. მინორსკიმ გამოაქვეყნა 1958 წ. 7 ხუთი წლის შემდეგ ა. ალი-ზადეს წინასიტყვაობით და რედაქტორობით გამოვიდა აღნიშნული წიგნის რუსული თარგმანიც<sup>7</sup>. მაგრამ, როგორც ვ. მინორსკი შესავალში აღნიშნავს, ფაქტიურად ეს არის წიგნის მეორე, შეესებული და გავრცობილი გამოცემა<sup>8</sup>. ვ. მინორსკის აღნიშნული პუბლიკაციები ჩვენი ნაშრომის ძირითად საყრდენს წარმოადგენს.

თუ XI ს. 70-იანი წლების შუა ხანამდე მუნაჯიმ-ბაშის ანონიმის წყალობით ჩვენ გვეჩვენა გაბმული თხრობის შემცველი, საქმიანი წყარო, — XI ს. უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული, ამ მხრივ, გაცილებით უარესი მდგომარეობა გვაქვს; სწორედ ამ დროიდან გვიხდება კვლევა სხვადასხვა ხასიათის წყაროებიდან გამოკრეფილ, მეტ-ნაკლები სიუხვის და სიზუსტის, კანტიკენტ ცნობებზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ცნობებს საფუძველზე, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია განხილული პოლიტიკური ერთეულების მდგომარეობის ზოგადი, საერთო სურათის წარმოსახვა და არა მათი კონკრეტული, თანმიმდევრული ისტორიის დადგენა.

გამოყენებული სპარსული წყაროებიდან საყურადღებოა შემდეგი ისტორიული თხზულებანი.

პირველ რიგში აღსანიშნავია სადა, მარტივი ენით დაწერილი, თურქ-სელჩუკთა ისტორიის დაწურული, საქმიანი თხრობის შემცველი ზაპირ ალ-დინ ნიშაბურის „სელჯუკთა წიგნი“. ავტორის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. როგორც ფიქრობენ, ის 582/1186—87 წ. გარდაიცვალა. ზაპირ ალ-დინ ნიშაბური სელჩუკი სულთნების მას'უდის (1134—1152) და არსლანის (1161—1177) აღმზრდელი იყო. თხზულება, როგორც ჩანს, დაწერილია სულთან თორღულის (1177 — 1194) დროს. სელჯუკ-ნამეს თან ახლავს აბუ ჰამიდ მუჰამედ იბნ იბრაჰიმის მიერ 599/1202 წ. შედგენილი

<sup>5</sup> V. Minorsky, Studies.

<sup>6</sup> А. Мамедов, Ахмед ибн Лютфуллах.

<sup>7</sup> V. Minorsky, A history.

<sup>8</sup> В. Минорский, История Ширвана и Дербенда.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 13—14.

გაგრძელება. ორივე ნაწილი, მთლიანობაში, თხრობას აგრძელებს 1194 წლამდე. წყარო მთლიანად გამოსცა ისმაილ ავშარმა თეირანში 1952 წ.<sup>10</sup>

უშუალოდ ჩვენთვის სასარგებლო ცნობებს *სელჯუკ-ნამე* მციროდენს გვაწვდის. როგორც ა. რაჰმანი აღნიშნავს, ზაჰირ აღდინ ნიშაბური სუსტად იცნობდა აზერბაიჯანს და მის შესახებ ცნობებს მხოლოდ სელჩუკი სულთნების ამ ქვეყანაში ლაშქრობებთან დაკავშირებით გადმოგვცემს<sup>11</sup>. მიუხედავად ამისა ჩვენთვის მაინც საყურადღებოა ზაჰირ აღდინის ცნობები არანისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად თურქ-სელჩუკთა ბატონობის დროს.

თითქმის იგივე შეიძლება აღინიშნოს მუჰამედ ზ. ალი ბ. სულეიმან აღ-რავენდის თხზულების *რაჰათ-ალ-სულდურ ვა აიათ-ალ-სურურ-ის* („გულთა სიამე და სიხარულთა ნიშანი“) შესახებ. საერთოდ სელჩუკთა ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ეს წყარო ჩვენთვის საინტერესო პოლიტიკური ერთეულების ისტორიისათვის არც თუ ისე მრავალ ცნობებს გვაწვდის. ელდიგუზიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის კი რავენდის მართლაც უხვი ცნობები მოეპოვება. რავენდის კარგი განათლება ჰქონდა მიღებული და ეს ეტყობა კიდევ მის თხზულებას, რომელიც თირითადად მიჰყვება *სელჯუკ-ნამეს* და მასში, უკანასკნელისაგან განსხვავებით, უხვად არის ჩართული პოეტური სენტენციები და სხვა მასალა<sup>12</sup>. დიდი ისტორიული ღირებულება აქვს თხზულების იმ ნაწილს, რომელშიც ავტორი მის თანამედროვე მოვლენებს (1150—1199 წწ.) გადმოგვცემს. მათიანე დაწერილია დაახლოებით 599—602/1202—05 წწ.; ერთადერთი, 635/1238 წლით დათარიღებული ხელნაწერი მეცნიერულად გამოსცა მ. იკბალმა<sup>13</sup>.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჰამდალამ მუსტოფი ყაზვინის (1281-დაახლ. 1350) თხზულებებს. 730/1329—30 წ. შედგენილი *თარიხ-ი გუზიდა* („რჩეული ისტორია“) თუმცა ის-

<sup>10</sup> ზაჰირ აღდინ ნიშაბური. *სელჯუკ-ნამე* შესახებ დაწერილებით იხ. В. Бартольд. Туркестан, გვ. 76; А. Рахманн. Сельджук-наме; ნ. შენგელია. *სელჩუკები და საქართველო*, გვ. 23—24.

<sup>11</sup> ა. რაჰმანი, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 61.

<sup>12</sup> საიდ ნაფისი რავენდის ზაჰირ აღდინ ნიშაბურის პლავიატორსაც კი უწოდებს იხ. J. Rypka, *Poets and prose writers*, გვ. 621.

<sup>13</sup> რავენდი.

ტორიული კომპილაციაა, მაგრამ ის ორიგინალურ ცნობებსაც შეიცავს და, ამდენად, ძვირფას წყაროს წარმოადგენს განსაკუთრებით მონღოლთა დროინდელი ირანისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. ჩვენთვის საყურადღებოა ის ცნობები, რომლებსაც ჰამდალამ ყაზვინი გვაწვდის მალიქ-შაჰის (1072—1092) სიკვდილის შემდეგ არან-აზერბაიჯანში განვითარებული მოვლენების შესახებ. ესარგებლობდით *თარიხ-ი გუზიდას ფაქიმილე* გამოცემით და ე. ბრაუნის შემოკლებული ინგლისური თარგმანით<sup>14</sup>.

ნაშრომში სათანადოდ აისახა ჰამდალამ ყაზვინის მეორე თხზულებაში — *ნუზჰათ ალ-ყულუბ* („გულთა სიამე“) — დაცული რამდენიმე ცნობაც. ეს ნაწარმოები XIV ს. დასასრულს დაიწერა, მაგრამ მასში დაცულია ცნობები სელჩუკთა დროინდელი ირანის მეზობელი ქვეყნების ისტორიიდანაც<sup>15</sup>.

მირხოზდი (მუჰამედ იბნ ხავანდშაჰი 1433—1498) თუმცა XV ს-ის ისტორიკოსია, მაგრამ მისი ვრცელი ისტორიული კომპილაციის — *როუზათ ალ-საფა ფი სირათ ალ-ანბიჰია ვა-ლ-მულუქ ვა-ლ-ხულაფა* („სიწმინდის ბაღი წინასწარმეტყველთა, მეფეთა, და ხალიფების ცხოვრების შესახებ“) — ტომებში დაცულია ისეთი ცნობები, რომლებიც სხვა მემატრიანეების თხზულებებში არ გვხვდება. კერძოდ, მირხოზდმა შემოგვინახა ვრცელი ამონაწერები *მალიქ-ნამედან* — ჯერჯერობით მიუკვლეველ, თურქ-სელჩუკთა ისტორიის შემცველ თხზულებიდან. ამის გამო, მირხოზდი ზოგიერთ საინტერესო დეტალს გვაწვდის და, ამგვარად, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს თურქ-სელჩუკთა დროინდელი ამიერკავკასიის პოლიტიკური ისტორიის შესასწავლადაც.

ალა ალ-დინ ათა მალიქ ჯუვეინის (1226 — 1283) *თარიხ-ი ჯაჰანგუშაის* („ჯუვეინის დამპყრობის ისტორია“) მნიშვნელობა კარგად არის ცნობილი ორიენტალისტურ ისტორიოგრაფიაში. ეს სამტომიანი თხზულება, რომელიც დაახლოებით 1260 წ. დაასრულა ავტორმა, პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ამიერკავკასიაში მონღოლებისა და ხორეზმშაჰ ჯალალ ალ-დინის (1220—1231) შემოსევების ისტორიის თვალსაზრისით<sup>16</sup>.

14 ჰამდალამ ყაზვინი, თარიხ-ი გუზიდა.

15 ჰამდალამ ყაზვინი, ნუზჰათ ალ-ყულუბ. ჰამდალამ ყაზვინის შესახებ დაწვრილებით იხ. В. Бартольд, Туркестан, გვ. 98—99; ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 28—29.

16 ჯუვეინი.

ასევე საყურადღებო იყო ჩვენთვის ფაზლალაჰ იბნ აბუ-ლ-ხაირ რაშიდ ალ-დინის (1247 -- 1318) ჯიმი<sup>17</sup> ალ-თავარიხ („ისტორიათა კრებული“)<sup>17</sup>, ამავე კრებულის ისმაილიტთა ისტორიის შემცველი ნაწილი<sup>18</sup> და პირადაი მიმოწერის კრებული<sup>19</sup>. „მიმოწერაში“ მოთავსებული ჰულაგუიანთა ვეზირის 53 წერილი (მისი შეაგროვა და ერთ წიგნად შეკრა ჯერ კიდევ რაშიდ ალ-დინის ვაჟმა 1327-1336 წწ.), თუმცა მონღოლთა დროს განეკუთვნება, მაგრამ მათში დატულია წინარე ხანის სხვადასხვა ხასიათის ცნობებიც.

გარდა აღნიშნულისა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობა მოვიპოვეთ „დიდ სელჩუკთა“ სულთნების ალფ არსლანის (1063—1072) და მალიქ-შაჰის სახელგანთქმულ დიდგვზირის ნიზამ ალ-მულქის *სიასეთ-ნამე*-ში („პოლიტიკის წიგნი“)<sup>20</sup> და XII — ს-ის პირველი მეოთხედის ავტორის იბნ ალ-ბალხის თხზულებაში *ფარს-ნამე* („ფარსის წიგნი“)<sup>21</sup>. ეს უკანასკნელი ყურადღებას იპყრობს დარუბანდის გალავნის მშენებლობასთან დაკავშირებული ცნობებით.

ლიტერატურული წყაროების მნიშვნელობა პოლიტიკური ისტორიის კვლევაში კარგად არის ცნობილი. რამდენადაც განძის შადადიანებთან ერთ დროს დაკავშირებული იყო ტაბარისტანის წერილი ფეოდალური გვარიდან გამოსული ქეი ქაუს ბ. ისკანდერ ბ. ყაბუთი (1021—1082 წ. შემდეგ), ამდენად ჩვენ გავითვალისწინეთ მისი დიდაქტიკური შინაარსის ნაწარმოების — *ყაბუს-ნამე* („ყაბუსის წიგნი“) — ცნობებიც. წიგნის სათაური ტრადიციამ ქეი ქაუსის დიდად განსწავლულ და ლიტერატურულ წრეებში კარგად ცნობილი პაჰის — ყაბუსის სახელს დაუკავშირა<sup>22</sup>.

არა ერთი და ორი საყურადღებო ცნობა აღმოჩნდა აღნიშნული პოლიტიკური ერთეულების ისტორიის ზოგიერთი მომენტის გასარკვევად ამიერკავკასიაში მოღვაწე პოეტების ყათრანის, ხაკანის, ფალაქი შარვანის, ნიზამის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც.

არაბულ ენაზე დაწერილ ისტორიულ თხზულებათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია იბნ ალ-ასირის (1160—1234) 12 ტომისგან

17 რაშიდ ალ-დინი, ჯიმი<sup>17</sup> ალ-თავარიხ.

18 რაშიდ ალ-დინი, ისმაილიტთა ისტორია.

19 რაშიდ ალ-დინი, მიმოწერა.

20 სიასეთ-ნამე.

21 ფარს-ნამე.

22 ყაბუს-ნამე

შემდგარი თხზულება *თარიხ ალ-ქამილ* („სრულქმნილი ისტორიები“). იბნ ალ-ასირის ნაწარმოებში აზერბაიჯანის შესახებ არსებული ცნობები გამოკრიფა და რუსულად თარგმნა პ. ყუზემ<sup>23</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ყუზეს თარგმანი ამომწურავად არ მოიცავს იბნ ალ-ასირის პირველხარისხოვან თხზულებაში დაცულ ყველა ცნობას.

საყურადღებო წყაროა თურქ-სელჩუკების დროინდელი ამიერკავკასიის ისტორიისათვის საღრ ალ-დინ ალ-ჰუსაინის *ახბარ ალ-დავლათ ალ-სალჯუქაჰა* („სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორია“). არაბული ტექსტი გამოსცა მ. იუბალმა<sup>24</sup> ამ გამოცემის თურქული თარგმანიდან ნ. შენგელიამ ქართულად თარგმნა ჰუსაინის თხზულება<sup>25</sup>. ჰუსაინის ისტორიული ნაშრომი სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ამიერკავკასიის ქვეყნებთან თურქ-სელჩუკების ურთიერთობის ამსახველი ცნობების სიუხვით და მნიშვნელოვანი დეტალებით.

ძვირფასი წყაროა XIII საუკუნის პირველი მესამედის ამიერკავკასიის ისტორიისათვის შიჰაბ ალ-დინ მუჰამედ ალ-ნესაეის *სირათ ალ-სულთან ჯალალ ალ-დინ მანქბურნი* („სულთან ჯალალ ალ-დინ მანქბურნის ცხოვრება“). ნესაეი ჯალალ ალ-დინის მდივანი იყო და თავისი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ის ხშირად თან ახლდა უკანასკნელ ხორეზმშაჰს ამიერკავკასიაში ლაშქრობების დროს. ნესაეი, როგორც აღწერილი ამბების თვითმხილველი და მომსწრე, უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამიერკავკასიის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. წყარო უკვე XIII ს-ში ითარგმნა სპარსულად. და თუმცა მასში გამოტოვებულია დედნის რამდენიმე თავი, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი განსხვავებული დეტალების წყალობით, ის თითქმის დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს<sup>26</sup>.

ნაშრომში შესაბამისად აისახა აღწერილობითი გეოგრაფიული თხზულებებიდან გამოკრეფილი უშუალოდ პოლიტიკური ისტორიის ხასიათის მასალა.

IX—X სს-ის არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში კავკა-

23 ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი.

24 ჰ უ ს ა ი ნ ი.

25 თარგმანი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიაში. ჩვენ მადლობას მოვახსენებთ ნ. შენგელიას აღნიშნული თარგმანით სარგებლობის გამო. ჰუსაინის თხზულების შესახებ დაწერილებით იბ. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 14—18.

26 ნ ე ს ა ე ი.

სიის შესახებ არსებული ცნობები (რუსულად თარგმნილი) გამოსცა ნ. კარაულოვმა<sup>27</sup>. ამ გამოცემაში თავმოყრილი ჩვენთვის საინტერესო ცნობები შევეუდარეთ არაბულ დედანს<sup>28</sup>.

X ს-ში არაბული აღწერილობითი გეოგრაფია (ე. წ. „მეცნიერება გზებისა და სახელმწიფოების შესახებ“) თავისი განვითარების მაღალ დონეზე იდგა. XI და, განსაკუთრებით XII ს-დან ჩნდება საცნობარო ლიტერატურის ახალი სახე — გეოგრაფიული ლექსიკონები და სამყაროს ზოგადი აღწერილობანი, თავისებური კოსმოგრაფიები<sup>29</sup>.

არაბ მოგზაურებს აინტერესებდათ ამა თუ იმ ქვეყნის არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული, ან კლიმატური პირობები, არამედ — და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ძვირფასი ისტორიული მეცნიერებისათვის — ქვეყნის ყოფა-ცხოვრება, კულტურა, რელიგია. უხვად არის აღნიშნულ წყაროებში სოციალურ-ეკონომიური შინაარსის ცნობები, ხოლო უშუალოდ ჩვენთვის საგულისხმო პოლიტიკური ხასიათისა — არც თუ ისე მრავალრიცხოვანია.

მიუხედავად ამისა, იბნ ხორდადბეჰის, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის, მას'უდის, ისტახრის, იბნ ჰაუკალის, მუჯადასის თხზულებებში დაცული ცნობები ხშირ შემთხვევაში სრულიად კონკრეტული ხასიათისა არიან და, ამდენად, საკმაო მნიშვნელობას იძენენ<sup>30</sup>.

აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ესპანელი არაბი მოგზაურის აბუ ჰამიდ ალ-ლარნატის (1080—1170) კონკრეტული ცნობები საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და კერძოდ, დარუბანდის საამიროს ისტორიისათვის. 1130—1131 წწ. მოგზაურობის დროს ლარნატი დარუბანდშიც შეჩერდა რამდენიმე ხნით. აქედან ის ქ. საქსინის გავლით ვოლგაზე მდებარე ქ. ბულღარში ჩავიდა<sup>31</sup>.

<sup>27</sup> Н. Караулов, Сведения арабских географов, — СМОНПК, т. XXIX, XXXI, XXXII, XXXVIII.

<sup>28</sup> დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ე. სიხარულიძეს.

<sup>29</sup> И. Крачковский, Арабская географическая литература, გვ. 17—19, 161—162.

<sup>30</sup> დასახელებულ ავტორთა შესახებ დაწვრილებით იხ. ი. კ რ ა ჩ კ о в ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 147—150; 156—159; 171—184; 196—198; 198—204; 210—218.

<sup>31</sup> ლ ა რ ნ ა ტ ი. ავტორისა და მისი თხზულებების შესახებ იხ. G. Ferrand, Le Tuhfat al-albāb, გვ. 1—148, 193—304; В. В. Бартольд, Еще о самаркандских осыриях, გვ. 121—122; ი. კ რ ა ჩ კ о в ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26, 299—303.



იაკუთ ალ-ჰამავი (1178 ან 1179—1229), ავტორი სახელმძღვანელო გეოგრაფიული ლექსიკონისა *მუ'ჯამ ალ-მულდან*, დიდად განათლებული პიროვნება იყო<sup>32</sup>. იგი ბევრს მოგზაურობდა და 1216 წ. დამასკო-ალეპო-ირბილი-ურმია-თავრიზის გავლით აღმოსავლეთ ირანში ჩავიდა. ამრიგად, იაკუთის, როგორც თვითმხილველის, ცნობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის. თუმცა *მუ'ჯამ ალ-მულდან* კომპილაციური თხზულებაა, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „იაკუთი არ იმეორებს სხვა ავტორთა შეცდომებს, არ აღრევს ძველსა და ახალ ცნობებს. როცა იგი ახასიათებს ამა თუ იმ პუნქტს ადრინდელი წყაროების მიხედვით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის დროინდელ ვითარებასაც და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რაც დროთა განმავლობაში მომხდარა. მაგ., მოპყავს რა ისტაბრის ვრცელი აღწერილობა ქალაქ ბარდავის აყვავებული მდგომარეობის შესახებ, დასძენს: „ეს აღწერილობა ძველია. ახლა კი ყოველივე ამისგან არაფერი არ დარჩა. მე შევხვდი ბარზა'ას ერთ მცხოვრებს აზერბაიჯანში, რომელსაც შევეკითხე მისი ჭევეყნის შესახებ. მიპასუხა, რომ ძალიან ეტყობა განადგურების კვალი“<sup>33</sup>. ლექსიკონში ანბანზე დალაგებული გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდების გახმოვანებისა და წარმოშობის ახსნის (არაბული ენიდან გამომდინარე) შემდეგ იაკუთი აღნიშნავს პუნქტის ისტორიულ წარსულს (მეტ-ნაკლები სისრულით), ახასიათებს ქალაქის თუ დაბის კლიმატურ და ეკონომიურ პირობებს. იაკუთის ლექსიკონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მონღოლებამდელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური და განსაკუთრებით ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად.

სპარსული გეოგრაფიული თხზულებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია *ჰუდუდ ალ-‘ალამ მინ ალ-მაშრიყ ილა ალ-მადრიბ* („ჭევეყნიერების ოლქები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ“). 372/982 — 83 წ. შედგენილი ამ ძვირფასი წყაროს ხელნაწერი 1892 წ. აღმოაჩინა ა. ტუმანსკიმ და ცნობილია „ტუმანსკის ხელნაწერის“ სახელით. ავტორის ვინაობა არ არის დადგენილი. როგორც ირკვევა, იგი ცხოვრობდა თანამედროვე ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მას თითქმის სრულებით არ უმოგ-

<sup>32</sup> იაკუთი, იხ. გვ. 05—029; ი. კ რ ა ჩ კ ო ვ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26, 330—351.

<sup>33</sup> იაკუთი, გვ. 015—016.

ზაურია და თავისი თხზულება შეადგინა წინამორბედ ავტორთა ნაწარმოებებზე დაყრდნობით. ჰოდუდ ალ-ალემ-ის ავტორი უხვად სარგებლობდა არაბული გეოგრაფიული ლიტერატურით (ჯაიჰანი, ისტახრი, იბნ ხორდადბეჰი). თხზულება დაყოფილია 61 თავად. ჩვენთვის საყურადღებო ცნობები მოცემულია „აზერბაიჯანის არმინიის და არანის თავში“ (ვ. მინორსკის ინგლისური თარგმანის § 35, 36). წყაროს ენა მშრალია და კონკრეტული იგი კარგად არის შესწავლილი და გამოქვეყნებული<sup>34</sup>.

რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო ცნობა აღმოჩნდა ავრეთვე ნასირ-ი ხოსროუს (1003-დაახლ. 1088) საფარ-ნამე-ში („მოგზაურობის წიგნი“). ნასირმა მოგზაურობა 1046 წ. დაიწყო მერვიდან და ნიშაბურის, რეის და ყაზვინის გავლით თავრიზშიც იყო. მას საინტერესო ცნობები მოეპოვება აზერბაიჯანის და სომხეთის შესახებ. თვითმხილველი და დაკვირვებული თვალის მქონე ავტორის ეს ცნობები ძვირფასიი XI ს. შუა წლების პოლიტიკური ისტორიისათვისაც. ავტორი, მართალია, იცნობდა გეოგრაფიულ ლიტერატურას, მაგრამ იგი არ მისდევს დაკანონებულ ტრადიციებს. საფარ-ნამე ცოცხალი, მიმზიდველი, მარტივი ენით დაწერილი მოგზაურის ჩანაწერების შთაბეჭდილებას ტოვებს და ამიტომაც აქვს მას დიდი ღირებულება<sup>35</sup>. ვსარგებლობდით ლანი ზადეს გამოცემით<sup>36</sup>.

V—XI საუკუნეების დარუბანდის, დალესტნისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ისტორიიდან საყურადღებო ცნობებს გვაწვდის უცნობი ავტორის მიერ სხვადასხვა წყაროების საფუძველზე შედგენილი დერბენდ-ნამე. ცნობილია ამ წყაროს მრავალი, სხვადასხვა ენაზე დაწერილი ვარიანტი. უძველესი მათ შორის არის XVII ს-ში, მუჰამედ ავაბი აკტაშის მიერ სპარსულ ხელნაწერზე დაყრდნობით შედგენილი ნუსხა. აღსანიშნავია, რომ დერბენდ-ნამე გარკვეულ კავშირს ამჟღავნებს თა'რიხ ალ-მაბ-თან. ეს გარემოება დიდად ზრდის მის, როგორც წყაროს, მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, დერბენდ-ნამეს ცნობები მაინც გარკვეული სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. წყაროსთან

34 ჰოდუდ ალ-ალემი. ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალჰ ყაზვინი. ნ. ხ. კ რ ა ჩ კ ო ვ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 224—226.

35 იხ. იქვე, გვ. 263—266.

36 ნ ა ს ი რ-ი ხ ო ს რ ო უ, საფარ-ნამე.

დაკავშირებით მრავალი საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია<sup>37</sup>. დადგენილია, რომ დერბენდ-ნამეს ცნობები აღრიხდელ სპარსულ-არაბულენოვან წყაროებიდან არის გამოკრეფილი. წყაროს შედარებით სრული (დღეისათვის მოძველებული) გამოცემა (თურქულა ტექსტი ინგლისური თარგმანით) ეკუთვნის მ. კაზემ-ბეგს<sup>38</sup>.

განხილულ პოლიტიკურ ერთეულებს მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სომხეთის სამეფო-სამთავროებთან. აქედან გამომდინარე, სომხურ წყაროებში ამ ურთიერთობის და თვით პოლიტიკური ერთეულების ისტორიის შესასწავლად საკმაოდ მრავალრიცხოვანი ცნობები მოიპოვება.

პირველ რიგში აღსანიშნავია ვარდან დიდის († 1271 წ.)<sup>39</sup> „ისტორია“. ამ „მსოფლიო ისტორიის“ ტიპის თხზულებაში თხრობა გრძელდება „დასაბამითგან სოფლისა“, ვიდრე 1267 წლამდე. ვარდანი ძვირფას ცნობებს გვაწვდის, კერძოდ, შადადიანების ისტორიიდან. მაგრამ, მისი ნაკლია ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის არასწორი ქრონოლოგია<sup>40</sup>.

სტეფანოს ტარონაცი, ასოლიკად წოდებული, XI ს-ში ცხოვრობდა. მისი 3 ნაწილისაგან შემდგარი „მსოფლიო ისტორია“ მოგვითხრობს XI ს. დასაწყისამდე. უფრო ზუსტად, 1003 წლამდე. აღსანიშნავია, რომ III ნაწილში, — რომელშიც ავტორი სხვათა შორის ვასპურაკანის სამეფოს ისტორიასაც აღწერს, — X-XI სს. მიჯნაზე სომხეთის სამეფოებისა და მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობის ისტორიიდან დამოწმებული ზოგიერთი ცნობა მხოლოდ ასოლიკს მოეპოვება<sup>41</sup>.

არისტაკეს ლასტივერტიცი, XI ს. ავტორი, წარმოშობით სოფ. ლასტივერტიციდან (კარინის ანუ არზრუმის მახლობლად) იყო. მისი „ისტორია“, როგორც აღნიშნავენ, დაწერილია 1072--1087 წწ. შორის და გადმოგვცემს საყურადღებო მასალას 1000—1071 წწ. შორის მიმდინარე ისტორიული მოვლენების შესახებ. არისტაკესი

37 В. Бартольд. К вопросу о происхождении Дербенд-наме, гв. 470—480.

38 დერბენდ-ნამე. არსებობს ერთ-ერთი ვარიანტის რუსული თარგმანიც. იხ. ბიბლიოგრაფიაში.

39 მას აგრეთვე უწოდებენ: ბარძებრდაცი (ბარძებრდელი — დაბადების ადგილის მიხედვით), არვეელი („აღმოსავლელი“).

40 ვ ა რ დ ა ნ ი. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, გვ. 133;

41 ასოლიკი. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 114; კ. პ ა ტ-კ ა ნ ო ე ი, დასახ. ნაშრ., გვ. 37—38.

თხრობას აგრძელებს თითქმის იმ ადგილიდან, სადაც შეჩერდა წინამორბედი ასოლიკი. ჩვენთვის, პირველ რიგში დიდი მნიშვნელობა აქვს არისტაკესის ცნობებს ამიერკავკასიაში ბიზანტიის აგრესიისა და თურქ-სელჩუკთა შემოსევების შესახებ. არისტაკესი ხშირად აღწერილი ამბების თვითმხილველი ან თანამედროვე იყო და, ამდენად, ის დიდ ნდობას იმსახურებს<sup>42</sup>.

კირაკოს განძაკეცი (1200—1271), ვარდანის თანამედროვე და ამხანაგი, ავტორია „სომხეთის ისტორიისა“. თხზულების პირველ ნაწილში აღწერილია ისტორია IV ს-დან 1197 წლამდე. განსაკუთრებით ძვირფასია II ნაწილი, რომელშიც კირაკოსი გადმოგვცემს 1265 წლამდე მომხდარ ამბებს. უალრესად მნიშვნელოვანია ავტორის ცნობები ჯალალ აღ-დინისა და მონღოლთა შემოსევების შესახებ, რომლებსაც ავტორი თანამედროვეთა ზეპირი გადმოცემებიდან ან საკუთარი თავგადასავლიდან გადმოგვცემს. კირაკოსი თვითონ იყო მონღოლთა ტყვეობაში და საკუთარ თავზე გამოსცადა მონღოლთა შემოსევების მთელი სიმძიმე.

გარდა ამისა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობა აღმოჩნდა მოსე კალანკატვაცის (დასხურანცი X ს.)<sup>43</sup>, თომა არწრუნის (X ს.), სამუელ ანეცის (XII ს.), მხითარ გოშის (XII—XIII სს.), მხითარ აირივანქის (XIII ს.), სტეფანოს ორბელიანის (XIII ს.) ისტორიულ თხზულებებში და ქრონიკებში<sup>44</sup>.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ისტორიის შესასწავლად ქართულ წყაროებს. ის მჭიდრო ურთიერთობა — პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული — საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის რომ არსებობდა სათანადოდ აისახა ქართველ მემატრიანეთა თხზულებებში. უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ იშვიათად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ ცნობებს მხოლოდ ქართული წყარო-

<sup>42</sup> არისტაკესი ლასტივერცი. ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე, გვ. 111; კ. პატკანოვი, იქვე, გვ. 38.

<sup>43</sup> უკანასკნელ ხანს მიღებული აზრის თანახმად, „აღვანთა ისტორიის“ ავტორი არის მოსე დასხურანცი და არა კალანკატვაცი, როგორც აქამდე მიაჩნდათ. იხ. СИЭ, VI, გვ. 590; ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრ., გვ. 87, 113—114; კ. პატკანოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

<sup>44</sup> დასახელებულ ავტორთა თხზულებებისა და ქრონიკების გამოცემის შესახებ იხ. ბიბლიოგრაფიისში.

ები გადმოგვეცემენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ცნობები სანდოა და ხელალებით მათ ქეშმარიტებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება<sup>45</sup>.

ქართულ წყაროებში მოპოვებული მასალა, პირველ ყოვლისა, საყურადღებოა იმ პოლიტიკური ურთიერთობის შინაარსისა და ხასიათის შესასწავლად, რომელიც არსებობდა საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის.

პოლიტიკური გაერთიანებისა და სოციალ-ეკონომიური განვითარების გზაზე დამდგარი საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან XI ს-ში ურთიერთობის შესასწავლად კარგ ცნობებს გვაწვდის უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“<sup>46</sup>.

დავით აღმაშენებლის (1089—1125) დროს საქართველომ დიდ წარმატებას მიაღწია აღნიშნულ გზაზე. შესაბამისად, გაერთიანებული და ძლიერი საქართველოს საგარეო პოლიტიკა ამიერკავკასიაში აქტიურ ხასიათს იძენს. ეს პოლიტიკა უშუალოდ შეეხო აღმოსავლეთ ამიერკავკასიასაც. ამდენად, გასაგებია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში<sup>47</sup> დაცული ისტორიული მასალა ფრიად საყურადღებოა საკუთრივ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ისტორიისთვისაც. ამავე თვალსაზრისით საყურადღებო მასალა მოიპოვება ჩვენ მიერ გამოყენებული ქართული წყაროების უმრავლესობაში.

დავით აღმაშენებლის შემდეგაც საქართველოს ურთიერთობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიასთან ფართო და მჭიდრო ხასიათს ატარებს. ეს კარგად ჩანს ვიორგი III-ის (1156—1184) და თამარის (1184—1213) ხანაში. აღსანიშნავია, რომ ამ დროს იცვლება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფეოდალურ სახელმწიფოებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შინაარსი (ყმად-ნაფიცობის ინსტიტუტი). აღნიშნული პერიოდის შესასწავლად ძვირფასი ცნობებია დაცული თამარ მეფის ორივე ისტორიკოსის თხზულებებში<sup>48</sup>.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი მასალის გამოტანა მოხერხდა ნაშრომში გამოყენებული სხვადასხვა პერიოდის და ხასიათის ქართული წყაროებიდან.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების ის-

45 შტრ. ა. ალი-ზადეს წინასიტყვაობას წიგნში В. Мпнорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 9, 11.

46 მატიანე ქართლისა.

47 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

48 ისტორიანი და აზმანი. პ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ლ უ ა რ ი.

ტორიის შესახებ არსებული ლიტერატურიდან<sup>49</sup> პირველ რიგში აღსანიშნავია ირანელი ისტორიკოსის და პუბლიცისტის სეიდ აჰმად ქესრავეი თაბრიზის (1890—1946) გამოკვლევა სამ ნაწილად „დავიწყებული ხელმწიფენი“, რომელიც თეირანში დაიბეჭდა 1928—1930 წწ. ა. ქესრავეიმ სპარსული, არაბული, სომხური და სხვა მრავალრიცხოვანი წყაროების დეტალური შესწავლით პირველმა მოგვცა დეილემელთა, რავადანთა, შადადანთა და სხვა ფეოდალური სახელმწიფოების პოლიტიკური ისტორია<sup>50</sup>. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ა. ქესრავეის არ უსარგებლია (ზოგიერთი, თარგმნილი ცნობების გარდა) ქართული წყაროებით.

ა. ქესრავეის ნაშრომმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა საკითხის კვლევას და დიდად გაუადვილა შრომა შემდგომ მკვლევარებს.

მათ შორის ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. მინორსკის შრომებს „ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან“ და „შარვანის და დარუბანდის ისტორია X—XI საუკუნეებში“<sup>51</sup>. როგორც ბ. ზახოდერი აღნიშნავდა, ეს „ფუნდამენტური ნაშრომები მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენენ მეცნიერებაში“<sup>52</sup>. ამიერკავკასიის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესახებ ვ. მინორსკის მიერ გამოქვეყნებულ წყაროებს, მონოგრაფიებს და სტატიებს ვერადს ვერ აუვლის ამიერკავკასიის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი.

ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ვ. ბარტოლდს (1869—1930). მის მთელ რიგ შრომებში გაშუქებულია ჩვენთვის საგულისხმო მრავალი საკითხი.

გამოკვლევაში სათანადოდ აისახა, აგრეთვე, სხვადასხვა საბჭოთა თუ უცხოელი მეცნიერების მონოგრაფიებსა და ცალკეულ სტატიებში შესწავლილი მასალა და მიღებული დასკვნები. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ვ. გაბაშვილის, მ. ლორთქიფანიძის, ნ. ასათიანის, ე. პახომოვის, ი. პეტრუშევსკის, და სხვათა ნაშრომები.

---

<sup>49</sup> შევნიშნავთ, რომ ჩვენ ძალზე მოკლედ და ძირითად ხაზებში მიმოვიხილავთ გამოყენებულ ლიტერატურას.

<sup>50</sup> ა. ქესრავეი, შაპირიან-ი ფუმ-ნამ.

<sup>51</sup> V. Minor sky, Studies; მისიუ, A history; В. Минорский, История Ширвана и Дербенда.

<sup>52</sup> ბ. ზახოდერი, დასახ. ნაშრ., გვ. 203—206.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური  
რუკა XI—XII სს.

ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ განსახილველი პოლიტიკური ერთეულების ისტორიას, აუცილებელია მოკლედ მაინც აღინიშნოს პოლიტიკური ერთეულების წარმოშობის მიზეზები და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარება მათი წარმოქმნის მომენტში.

ადრეფეოდალური ხანის დასასრული საერთოდ ამიერკავკასიაში მთელი რიგი ფეოდალური სამთავროების და სამეფოების წარმოქმნით აღინიშნება. მათი წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზოგადოების ფეოდალურ განვითარებაში უნდა ვეძებოთ. ამავე პროცესს ხელს უწყობდა არაბთა სახალიფოს მიერ დაპყრობილ ქვეყნებში განმათავისუფლებელი ბრძოლის ფართოდ გაშლათავის მხრივ, ორივე ეს მიზეზი მთელი IX ს-ის განმავლობაში განუხრელად და დაბეჭითებით შლიდა აბასელთა სახალიფოს.

სახალიფოს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულმა წყობილებამ ამოსწურა განვითარების შესაძლებლობანი. მისი მთავარი დასაყრდენი — სამხედრო ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც ძირითად ცენტრიდანულ ძალად გადაიქცა, თავისი მისწრაფებებით შლიდა აბასელთა იმპერიას. დიდმოხელეთა სწრაფვას განკერძოებისა და დამოუკიდებლობისაკენ აპირობებდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის შემდგომი განვითარება. იკტას ფეოდალურმა ინსტიტუტმა განსაკუთრებით საბედისწერო როლი შეასრულა. არაბთა სახალიფოს არსებობაში. აღზევებული დიდმოხელის ხელში ერთიანდებოდა ხოლმე დაქვემდებარებული ქვეყნის თუ ადმინისტრაციული ერთეულის პოლიტიკური და ეკონომიური მართვის სადავეები; იგი უკვე თავისი სამმართველო ქვეყნის სრული ბატონ-პატრონია, ცენტრალურ ხელისუფლებას ფორმალურადღა თუ ემორჩილება და ხელსაყრელ ვითარებაში სრულ

დამოუკიდებლობას აღწევს. ამპერკავკასიაში აღნიშნული ვითარების შექმნას დიდად შეუწყო სელი ხურამიტების მოძრაობამაც. ბაბეკის აჯანყება (201—223/816—837 წწ) ამიერკავკასიაში ფეოდალური განვითარების მაღალი დონის და არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის მომწიფების აშკარა მაჩვენებელი იყო.

ამიერკავკასიაში აბასელთა სახელმწიფოს სამსახურში მყოფი ამირებისა და ნაცვლებისათვის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად სასურველი პირობები შეიქმნა. სწორედ ასეთ ვითარებაში აღმოცენდნენ შარვანის სამეფო და დარუბანდის საამირო, რავადიანთა სამფლობელო ცენტრით ქ. თავრიზში და საჯიანთა სახელმწიფო სამხრეთ აზერბაიჯანში.

სახალიფოს დასუსტება და დაშლა ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში ადგილობრივი, ძირძველი ფეოდალური გვარების პოლიტიკურ ასპარეზზე ხელახლად დაწინაურებას. ეს ფეოდალური სახელები ურთიერთშორის მწვავე ბრძოლისა და შუღლის პირობებში დაჯინებით ცდილობდნენ საკუთარი სამეფოსა თუ სამთავროს შექმნას და გაფართოებას. პოლიტიკური ერთეულების წარმოშობის ეს ერთ-ერთი მიზეზი და უზა განსაკუთრებით თვალნათლივ შეინიშნება სომხეთის სინამდვილეში.

IX ს. 60-იან წლებში ანისის სამეფოს წარმოქმნა სომეხ ბატონიანთა გვარის ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერებისა და სომხური მიწების გავრთიანებისათვის ბრძოლის შედეგი იყო. 886 წ. აშოტ I მეფედ ცნო ჯერ ხალიფამ, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერატორმაც. არსებობის შეწყვეტამდე (1045 წ.) ანისის სამეფო — სხვა სომხურ სამეფოებს შორის უძლიერესი — ცდას არ აკლებდა სომხეთის გავრთიანებას. ამ საქმეში მას სხვაზე მეტ წინააღმდეგობას უწევდა ვასპურაკანის (არწრუნიანთა) სამეფო.

VII ს. ბოლოსათვის არწრუნიანები გამარჯვებულნი გამოვიდნენ რშტუნის ფეოდალურ საგვარეულოსთან ბრძოლაში, ხელთ იგდეს მათი სამფლობელო ვანის ტბის რაიონში და, შემდეგ თანდათან გაძლიერებულებმა, დამოუკიდებელი სამეფო შექმნეს. გაგიკ არწრუნიმ (908—943) მეფის წოდებაც მიიღო ხალიფასაგან. ვასპურაკანის სამეფომ ოლუზი თურქების და ბიზანტიის იმპერიის შემოტევების გამო დაასრულა არსებობა. იოანე სენაქერემი (968—1021) იძულებულად გახდა თავისი გვარით და დიდებულებით წინააღიში გადასახლებულიყო.

ფეოდალიზაციის ნიადაგზე მიმდინარე, მწვავე შინაქაღასობ-



რივი ბრძოლის პირობებში ანისის სამეფომ ვერ შეინარჩუნა ერთიანობა. ანისის ბაგრატიუნიანებს გამოეყო და ვანანდის მხარეში ვასალურ სამეფოდ ჩამოყალიბდა ვანანდის (ყარასის) სამეფო. ვანანდის ბაგრატიუნიანები თავისი არსებობის მანძილზე (963—1064) ანისის სიუზერენობას აღიარებდნენ და მისთვის ერთგვარად მონაპირე სამეფოს როლს ასრულებდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს სამეფოც აღნიშნულმა ბრძოლამ შეიწირა. ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა თარეშის დროს გაეცა ყარასის მეფე (1027—1064) აიძულეს სამეფო ბიზანტიისთვის გადაეცა.

X ს. მეორე ნახევარში ჩრდილოეთ სომხეთში შეიქმნა ტაშირ-ძორაგეთის (ლორის) სამეფო, რომელსაც აგრეთვე ბაგრატიუნიანები მართავდნენ. 978 წ. გურგენმა (კვირიკეს სახელითაც არის ცნობილი) მეფის ტიტული მიიღო. დავით I „უმიწაწყლოს“ (989—1043) დროს სამეფომ თავის ძლიერებას მიაღწია — იგი ალბანეთის ზოგიერთ დასავლეთ ოლქებსაც დაეუფლა. ამიტომ ტაშირ-ძორაგეთის მეფენი ალბანთა მეფის ტიტულსაც ისაკუთრებდნენ და ამით ამუღავნებდნენ თავიანთ მიზანს, აღმოსავლეთისკენ გაფართოებას რომ გულისხმობდა.

გარდა აღნიშნული „ოთხი სამეფო ტახტისა“<sup>1</sup>, სომხეთის ტერიტორიაზე არსებობდა აგრეთვე სხვა ფეოდალური სამთავროებიც.

ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა სევანის ტბასა და მდ. არეზს შორის მდებარე სივნიეთის სამთავრო. სამთავროს მემკვიდრეობით მფლობელმა, სივნიეთის მთავარმა სმბატმა 970 წ. ახალ, ვასალურ სამთავროს ჩაუყარა საფუძველი. სივნიეთის პოლიტიკური ცენტრი ჰერ სისიანი იყო, შემდეგ კაპანი<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ სივნიეთის მფლობელი სისაკის გვარი თავის წარმოშობას ჰაიკს უკავშირებდა<sup>3</sup>. IX ს-ში დინასტიის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვა ფეოდალებთან ერთად სივნიეთის მთავარი ვასაკი ბაბექის მოკავშირე იყო. ისინი მოყვრებიც იყვნენ: ბაბექს ცოლად ჰყავდა ვასაკის ქალიშვილი<sup>4</sup>.

1 არისტაკეს ლასტივერტცი, გვ. 106.

2 История армянского народа, გვ. 133.

3 სტეფანოს ორბელიანი, გვ. 170—172.

4 V. Minorsky, Studies, გვ. 69.

X ს. დასაწყისში სივნიეთის საგვარეულო სამფლობელო ორად გაიყო. დასავლეთ ნაწილში შეეკადა ვაიოც-ძორი (ვაეძორი „მატიანე ქართლისა“-ში) და შაჰაპუნაქი (იგივე სისაკანი), აღმოსავლეთში — მდ. აყერას ხეობაში მდებარე ბაღქი. შესაძლებელია, რომ ორივე ნაწილი მუსაფირიანთა (ამათ შესახებ იხ. ქვემოთ) სიუზურენობას აღიარებდა. ყოველ შემთხვევაში, ვაიოც-ძორი სალარ მარზუბანის მოხარკეთა სიაში არის მოხსენებული. ეს სია X ს. შუა წლებშია შედგენილი<sup>5</sup>.

არსებობდა აგრეთვე არცახის სამთავრო, ზოგჯერ მცირე სივნიეთის სახელითაც ცნობილი. იგი მდებარეობდა ქ. ბარდავის სამხრეთით, თანამედროვე ყარაბაღში. გარდა აღნიშნულისა, სომხეთში არსებობდა სხვა ფეოდალური სამთავროებიც, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

ადგილობრივი, ძველი ფეოდალური გვარების თაოსნობით პოლიტიკური ერთეულები წარმოიქმნა თანამედროვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც.

X ს. არსებობდა ყაბალას სამთავრო, რომელსაც, როგორც ფიქრობენ, ადგილობრივი (ალბანურ-სომხური) წარმოშობის მმართველი განაგებდა<sup>6</sup>. ამავე საუკუნის მიწურულს ყაბალას სამთავროს სულ უფრო უჭირს თავისი აღმოსავლეთის მეზობლის — შარვანის სამეფოს თავდასხმებისაგან თავის დაცვა<sup>7</sup>.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ყაბალასა და კახეთს შორის მდებარე შაქის სამთავრო. IX ს.-ში, საჰლ იბნ სუმბატის და შემდეგ გრიგოლ ჰამამას დროს, ძირითადად ქრისტიანული, ეს სამთავრო საკმაოდ გაძლიერდა. საჰლმა ამიერკავკასიის გარეთაც გაითქვა სახელი იმით, რომ 837 წ. არაბებს მუხანათურად ჩაუგდო ხელში ბაბეკი<sup>8</sup>. გრიგოლს კი მოსე დასხურანცი (კალანკატვაცი) „აღვანთა მეფეს“ უწოდებს. მან „აღადგინა განადგურებული აღვანთა საშეფო ისევე, როგორც აშოტ ბაგრატიუნმა — სომხეთის სა-

<sup>5</sup> იბნ ჰაუკალი, გვ. 354—355; V. Minorsky, The Caucasian vassals, გვ. 514—529.

<sup>6</sup> А. Крымски й, Страницы из истории, გვ. 301—303; В. Минорский й, История Ширвана и Дербенда, გვ. 116.

<sup>7</sup> თარის ალ-ბაბ, § 13—14.

<sup>8</sup> დაწერი უბიო იხ. V. Minorsky, Sahl ibn-Sinbat, გვ. 505—514; D. Sourdel, Bābak, გვ. 844.

მეფო“; 893 წლისათვის გრიგოლი უკვე მეფის ტიტულს ფლობდა. გრიგოლ ჰამამას მემკვიდრენი შაქის მფლობელებად X საუკუნეშიც ჩანან<sup>9</sup>.

ამიერკავკასიაში ადგილობრივი წარმოშობის პოლიტიკური ერთეულების შესასწავლად საგულისხმო ცნობა მოეპოვება იბნ ჰაუკალს; ის, როდესაც მუსაფირიან სალარ მარზუბანის მოხარკეებს ჩამოთვლის, 13 ადგილობრივი წარმოშობის ფეოდალურ მფლობელს ასახელებს. არაბი ავტორის ცნობა ამჯერად იმით იქცევა ჩვენს ყურადღებას, რომ იგი საშუალებას გვაძლევს ამიერკავკასიაში სახალიფოს დაშლის პერიოდში ადგილობრივი ფეოდალური გვარების საფუძველზე პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბების პროცესი გავითვალისწინოთ<sup>10</sup>.

ამავე ხანაში, IX ს-ის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, არაბული წარმოშობის იაზიდთანა დინასტიის წევრები თავგამოდებით იღვწოდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საკუთარი სამფლობელოს შესაქმნელად, ვიდრე შარვანში არ მოიკიდეს მტკიცედ ფეხი. შარვანშაჰის ტიტულის მიღებით ისინი, როგორც ჩანს, არ უპირისპირდებოდნენ ადგილობრივ ირანულ ტრადიციებს და ამჟამად აცხადებდნენ თავს დამოუკიდებელ მმართველებად. მართლაც, მომდევნო პერიოდში შარვანის სამეფო ერთ-ერთი ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაში წარმოქმნილი სამეფო-სამთავროები და წვრილი პოლიტიკური ერთეულები დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც ტერიტორიული სიდიდით და ეკონომიური თუ პოლიტიკური სიძლიერით, ასევე თავისი ლეგიტიმისტური ტრადიციებით და მისწრაფებებით. ასე, რომ ზოგიერთი მათგანის ისტორია, ფაქტიურად, ახალ პირობებში ალორძინებას და შემდგომ დაწინაურებას აღნიშნავდა.

ამიერკავკასიაში ირანული ელემენტის გაძლიერებამ სხვა მი-

<sup>9</sup> მ ო ს ე კ ა ლ ა ნ კ ა ტ ვ ა ც ი, გვ. 273—274.

<sup>10</sup> შაქის სამეფოს შესახებ იხ. А. Крымский, Страницы из истории Шеки, გვ. 369—376; თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, პერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 187—202 და სხვ.

<sup>11</sup> ი ბ ნ ჰ ა უ კ ა ლ ი, გვ. 354—355. შდრ. СМОМПК, XXXVIII, გვ. 104—106. ა. ქ ე ს რ ა ვ ი, შაპირარანი გუმ-ნამ, I, გვ. 99—107; V. Minorsky, The Caucasian vassals, გვ. 514—529.

ზეზებთან ერთად ხელი შეუწყო პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნას.

როგორც ვ. მინორსკი აღნიშნავდა, ე. წ. სპარსულმა რენესანსმა, რომელსაც ხორასანში თაჰერიანების (812—873), საფარიანების (867—903) და სამანიანების (875—999) დინასტიები განასახიერებდნენ, თავისი მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვა ირანის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში და სომხეთში<sup>12</sup>.

X ს. დასაწყისიდან იწყება გილანისა და დეილემის ირანული ტომების მოძალევა ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში. ბუვეიანთა სახელმწიფო (932—1055), ძირითადად, სწორედ ამ მოძალევის შედეგი იყო. ამავე დროს, ბუვეიანთა „ჩრდილქვეშ“, მათი სახელმწიფოს ირგვლივ, განსაკუთრებით ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ამიერკავკასიაში აღმოცენდა მთელი რიგი დინასტიები. მათ შორის აღსანიშნავია დეილემური წარმოშობის: მუსაფარიანები, კაკევიძიანები (1007—1051) ჰამადანსა და ისპაანში, ზიარარიანები (928—1042) კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ერთ დროს ისინი გილანსაც ფლობდნენ. ქურთული წარმოშობის: შადადიანები განძასა და ანისში, ჰასანვეიძიანები (959—1015) ქერმანშაჰის ოლქში, ანაზიანები (991—1117) ჰულვანში და ზაგროსის მთიანეთის დასავლეთ კალთებზე, მარვანიანები (990—1085) მაიაფარიკინსა და დიარბაქრში<sup>13</sup>.

არაბთა ბატონობამ დაასუსტა ამიერკავკასიის ფეოდალთა კლასის გარკვეული ნაწილი. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ბულა აღ-ქაბირის სამხედრო ექსპედიცია IX ს. შუა წლებში, რის შედეგადაც სომეხი და ალბანელი დიდებულების დიდი ნაწილი მესოპოტამიაში გადაასახლეს<sup>14</sup>. ბულა აღ-ქაბირის ლაშქრობის შედეგებმა „მტკიცე საფუძველი შეუქმნა ახალი მუსლიმანური დინასტიების მფლობელობას“ ამიერკავკასიაში<sup>15</sup>.

ალბანეთის სახელმწიფოს და ალბანელი ხალხის თანდათანობით გაქრობამაც საბედისწერო როლი ითამაშა ადგილობრივი წარმოშობის მაღალი სოციალური ფენების დაკნინებაში. ხოლო შემ-

<sup>12</sup> V. Minorsky, Studies, გვ. 110—116.

<sup>13</sup> ა. ქესრაევი, შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, I, გვ. 37; V. Minorsky, Daylam, გვ. 192; E. Пахомов, Арабские и прикаспийско-иранские феодалы, გვ. 417—418.

<sup>14</sup> გადასახლებულთა ჩამოთვლა იხ. თოჰა არწრუნი, გვ. 153; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 103—105; მოსე კალანკატვაცი, გვ. 271.

<sup>15</sup> В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 30.

დეგ, როდესაც არაბებმაც დათმეს პოლიტიკური პოზიციები — განსაკუთრებით საჯიანი იუსუფ ბ. დივადლის სიკედილის (927 წ.) შემდეგ — ამიერკავკასიაში დეილემელი და ქურთული ტომების ექსპანსიისათვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა; მით უმეტეს, რომ სომხეთის ახლად შექმნილ თუ აღორძინებულ სამეფო-სამთავროებს იმდენი ძალა არ შესწევდათ, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური პრობლემა თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

ამრიგად, X ს-ში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდი ნაწილი არანული წარმოშობის დინასტიების მორჩალებისა და გავლენის ქვეშ მოექცა.

ბუვეიანთა სახელმწიფოს ექსპანსია არ შეხებია ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უმნიშვნელო ლაშქრობას სამხრეთ აზერბაიჯანში. ამ მიმართულებით დიდ წარმატებას მიაღწიეს დეილემური და ქურთული წარმოშობის დინასტიებმა — მუსაფირიანებმა, რაეადიანებმა, შადადიანებმა. ამ დინასტიებმა შეავსეს პოლიტიკური ძალაუფლების ის ერთგვარი „ვაკუუმი“, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საჯიანთა ხელისუფლების დასუსტებით და გაქრობით წარმოიქმნა<sup>16</sup>.

უცხო ეთნიკური ელემენტის მოძალებამ გამოიწვია ზოგიერთი დინასტიის ეთნიკური ასიმილაცია ასე, თუ პირველ რაეადიანებს წყაროები არაბულ წარმოშობას მიაწერენ, მოგვიანებით ისინი უკვე ქურთული წარმოშობისად იხსენიებიან. აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავს მოვლენას ვხვდებით თურქ-სელჩუკების გაბატონების დროსაც (აჰმადილიანთა შემთხვევა).

კიდევ ერთი მიზეზი — უფრო სწორად, გზა — შეიძლება აღინიშნოს, რომელიც ხელს უწყობდა ფეოდალური სამფლობელოს ჩამოყალიბებას ამიერკავკასიაში და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ შეცვალა ყველა ურთიერთობა წინა აზიაში<sup>17</sup>. ცხადია, რომ მომთაბარე თურქ-სელჩუკების შემოსევებმა და გაბატონებამ თავისი დალი დაასვა ამიერკავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურას. ახლა ჩვენ პოლიტიკურ ვითარებაზე ვამახვი-

<sup>16</sup> C. Boswort, The Islamic Dynasties, გვ. 86; შტრ. К. Босворт, Мусульманские династии, გვ. 128.

<sup>17</sup> К. Маркс, Хронологические выписки, V, გვ. 109.

ლებთ ყურადღებას. მართალია, თურქ-სელჩუკებმა წერტილი დაუსვეს ზოგიერთი პოლიტიკური ერთეულის არსებობას, მაგრამ, ამავე დროს, შექმნილი ვითარება ხელსაყრელი გამოდგა ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოსაქმნელად.

გარკვეულ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში თურქ-სელჩუკთა სამსახურში დაწინაურებული და აღზევებული მონა-ტყვე თუ მსახური ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ისეთ დონეს აღწევდა, რომ ის ცაკლე სამფლობელოს შექმნას ახერხებდა. ამ პროცესის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ათაბაგის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ და ფართოდ გავრცელებამ. სწორედ ათაბაგის თანამდებობის (წოდების) მოპოვება უხსნიდა გზას აღზევებულ „აღმზრდელებს“ და სხვადასხვა პოლიტიკურ მედროვეებს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოების შინაგან და საგარეო საქმეებში ჩასარევად, რათა ხშირ შემთხვევაში, საკუთარი მიზნებისა და მისწრაფებათა შესაბამისად წარემართა სახელმწიფოს პოლიტიკა<sup>18</sup>. ასევე უნდა აღინიშნოს სელჩუკი უფლისწულების როლი და მნიშვნელობა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნის საქმეში.

აღნიშნულმა სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შეუწყო ხელი აჰმადილიანების, ბეშქენიანების, ელდიგუზიანების სამფლობელოების თუ სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. მათ შორის განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ელდიგუზიანთა დინასტიამ, რომელიც სხვა ვრცელ ტერიტორიებთან ერთად უშუალოდ ფლობდა აზერბაიჯანის და არანის უდიდეს ნაწილს.

ასეთი იყო, მოკლედ და ზოგადად გასაზილული, ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს და ხელი შეუწყვეს პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნას.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ სხვადასხვა სიდიდის პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზს ამიერკავკასიაში არაბთა სახალიფოს დაშლათ გამოწვეული ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე წარმოადგენდა. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენთვის საინტერესო პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას.

კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე პროვინციები —

<sup>18</sup> ათაბაგის ინსტიტუტის შესახებ იხ. Р. Гусейнов, Институт атабеков.

განსაკუთრებით გილანი და მისი ერთ-ერთი მთიანი ოლქი დეილემი — ყოველთვის გამოორჩეოდნენ დამოუკიდებლობით და თავისთავადობით. ამას დიდად უწყობდა ხელს ადგილობრივი გეოგრაფიული პირობები<sup>19</sup>.

მოხდა ისე, რომ სახალიფოს დაშლით შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით კარგად ისარგებლა ამ კუთხის მოსახლეობამ და, სამშობლოდან მოშორებით გამოამყდავნა რა თავისი ენერგია, დიდად დაწინაურდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ერთ-ერთი დინასტია, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და აზერბაიჯანში, და რომლის ირგვლივ მრავლად იკრიბებოდა გილანიდან და დეილემიდან გამოსული სამხედრო რაზმები, მუსაფირიანთა დინასტია იყო<sup>20</sup>. პირველი ამ საგვარეულოდან ცნობილია მუჰამედ ბ. მუსაფირი, რომელიც თავდაპირველად ტარომის ოლქს ფლობდა დეილემში.

მუჰამედ ბ. მუსაფირმა მოხერხებულად, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით წარმართა ბრძოლა თავის მოქიშპე, მეზობელ ჯასთანიანთა დინასტიის წევრების წინააღმდეგ და, როგორც ვარაუდობენ, X ს. 20-იანი წლების დასასრულს გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლაში<sup>21</sup>.

მაგრამ მუჰამედ ბ. მუსაფირს საკუთარმა ვაჟებმა მოუწყვეს შეთქმულება. ირკვევა, რომ ძმებმა მარზუზანმა და ვაჰსუდანმა დაასწრეს მამას და დედის მხარდაჭერით ციხეში გამოკეტეს იგი. ეს მოხდა 330/941—42 წ.

მუსაფირიანთა სამფლობელო ორად გაიყო ძმებს შორის. ვაჰსუდან ბ. მუჰამედი მამისეულ ქვეყანას დაეპატრონა, მარზუზან ბ. მუჰამედი კი — აზერბაიჯანს. აქ დამკვიდრებაში მას დიდად დაეხმარა ძმის მხარდაჭერა. მაგრამ წარმატების მთავარი მიზეზი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამეფებული პოლიტიკური ქაოსი იყო.

<sup>19</sup> იხ. В. Бартольд, Голлун, გვ. 453—455.

<sup>20</sup> მუსაფირიანები (مسافری) ცნობილი იყვნენ აგრეთვე სალარიანების (سالاری) და ჯანგარიანების (کنگری) სახელით. დინასტიის წევრებს ხშირად „სალარ“-ის წოდებით მოიხსენებენ ხოლმე. იხ. ა. ქე ს რ ა ვ ი, შაჰრიარანი გუმ-ნამ, I, გვ. 39, 49; V. Minorsky. Studies, გვ. 159.

<sup>21</sup> დაწვრილებით იხ. შირზა მუჰამედ ყაზვინის დანართი: الجستن წიგნში: ქ უ ვ ე ი ნ ი, III, გვ. 432—445; ა. ქე ს რ ა ვ ი, იქვე, გვ. 20—22; V. Minorsky. The Djastanids სტატიაში Daylam, გვ. 191.

საჯიანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ერთიანი, მტკიცე ხელისუფლება აღარ არსებობდა<sup>22</sup>. კარმატებთან ბრძოლაში გართული აბასელი ხალიფებიც ამ ქვეყანას ჯეროვან ყურადღებას ვეღარ უთმობდნენ. სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური ავანტიურისტებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა.

ერთი ასეთი იყო საჯიანთა ყოფილი სარდალი დაისამ ბ. იბრაჰიმ ალ-ქურთი, რომელიც თითქმის 20 წლის (938—956 წწ.) განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა აზერბაიჯანში განმტკიცებისათვის. დაისამის მამა არაბი ხარიჯიტი იყო, რომელიც აზერბაიჯანში გადაიხვეწა და იქაური ქურთი დიდებულის ქალი შეირთო. ამიტომ იყო, რომ დაისამის ლაშქარში ხალხით შედიოდნენ ქურთები, რადგანაც იმედოვნებდნენ, რომ იგი სხვაზე უკეთ დააკმაყოფილებდა და დაიცავდა მათ ეკონომიურ და სოციალურ ინტერესებს.

იუსუფ ბ. აბუ-ლ-საჯის სიკვდილის შემდეგ საჯიანთა სახელმწიფოს სათავეში მოქცეულ ყოფილ მონა-მსახურებს შორის დაისამ ბ. იბრაჰიმში ერთ-ერთი ძლიერი პიროვნება იყო. 326/937—38 წ. იგი უკვე ებრძვის აზერბაიჯანში გილანელ და დეილემელ ტომთა მოძალებას. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და დაისამ ბ. იბრაჰიმის აზერბაიჯანიდან გაძევებით დასრულდა.

მაგრამ, პოლიტიკური სიტუაცია ისეთი იყო, რომ გუშინდელი მტერი ახალ ვითარებაში შეიძლება მოკავშირედ გამოსულიყო. ასე, ზიარიანი ვაშმგირ ბ. ზიარი (935—967) აქამდე თუ დაისამს მტრობდა ახლა მას ლაშქრით ხელი გაუმართა. სამაგიეროდ დაისამმა ხარკი და ზიარიანთა სახელზე აზერბაიჯანში ხუტბის წაკითხვა იკისრა. ამრიგად, დაისამმა ისევ შეძლო აზერბაიჯანში გაბატონება, თუმცა მცირე ხნით.

დაისამ ბ. იბრაჰიმმა ვერ გაამართლა მისი მოკავშირე ქურთი ტომების იმედები. განხეთქილება მათ შორის სულ უფრო იზრდებოდა და, როდესაც დაისამმა დეილემელებთან კავშირით სცადა მდგომარეობის გამოსწორება, დაისამის ბანაკში კრიზისი მომწიფდა. ამას ზედ დაერთო მისი ვეზირის, დიდად გავლენიანი პიროვ-

<sup>22</sup> იხ. რ. Фасмер. О монетах славянов: З. Бунятов, Азербайджан, г. 206—222; М. Шарпфли, Государства славянов; მისივე, Феодальные государства Азербайджана, г. 35—41.



ნების ლალატი. მან მიატოვა დაისამი და 330/941—42 წ. ტარომში მუსაფირიანებს შეეხიზნა.

როგორც აღენიშნეთ, ამ დროს მუსაფირიანები ერთმანეთს ებრძოდნენ — ძმები მამას. აბუ-ლ-ყასიმ ალი ბ. ჯათარი (დაცხამის ვეზირი) კარგად იცნობდა აზერბაიჯანის მდგომარეობას და მან მარზუბან ბ. მუჰამედი აზერბაიჯანში სალაშქროდ წააქეზა.

იზნ ალ-ასირის ცნობით, დაისამსა და მარზუბანს შორის ბრძოლის დროს პირველს უღალატეს ქურთთა და დეილემელთა რაზმებმა და დამარცხებულმა დაისამმა ვასპურაკანის სამეფოს შეათარა თავი. აზერბაიჯანში მუსაფირიანი სალარ მარზუბან ბ. მუჰამედი განმტკიცდა<sup>23</sup>. მაგრამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება მაინც ვერ დამყარდა. რთული საშინაო და საგარეო ვითარება, პოლიტიკურ ძალთა შემადგენლობის და თანფარდობის ხშირი ცვლა ქვეყანას სიმშვიდეს უქარგავდა.

დაისამ ბ. იბრაჰიმმა ერთხელ კიდევ შეძლო ლაშქრის შეკოწიწება ისევ მის მხარეზე გადმოსული ზემოსენებული ვეზირის დახმარებით და კვლავ სცადა ბედი აზერბაიჯანის დასაპყრობად. მაგრამ, ამჯერად იგი ტყვედ ჩავარდა და მარზუბან ბ. მუჰამედმა ის ტარომში, ერთ-ერთ ციხე-დარბაზში ჩაამწყვდია.

მუსაფირიანებს (სალარიანებს) აზერბაიჯანში გაბატონებას ეცილებოდნენ აგრეთვე ჰამდანიანთა დინასტიის წევრებიც. 944 წ., როდესაც ამიერკავკასია (კერძოდ, ბარდავი) რუსთა რაზმებმა დალაშქრეს, ჰამდანიანებმა სამხრეთ აზერბაიჯანს შეუტიეს, მაგრამ უშედეგოდ. სალარ მარზუბანმა მოახერხა თავის დაცვა.

გაძლიერებულ მარზუბან ბ. მუჰამედს ბუვეიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთისკენ გაფართოება, რა თქმა უნდა, არ ექაშნიკებოდა და მან 337/948—49 წ. ბუვეიანი რუქნ ალ-დაულა აბუ ალი ჰასანის წინააღმდეგ ქ. რეიზე გაილაშქრა ძმებისა და მამის რჩევის საწინააღმდეგოდ. ლაშქრობა მარცხით დამთავრდა და მარზუბან ბ. მუჰამედი ტყვედ ჩავარდა.<sup>24</sup>

სალარ მარზუბანის დატყვევებას ისევ სრული ქაოსი და პოლიტიკური აშლილობა მოჰყვა აზერბაიჯანში. ამით ისარგებლა რუქნ ალ-დაულამ და აზერბაიჯანის დასაპყრობად ლაშქარი გაგზავნა.

<sup>23</sup> იზნ ალ-ასირი, გვ. 91—95; ა. ქესრავი, შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, I, გვ. 58—59, 61—66; А. Быков, Дайсам ибн Ибрахѣм ал-Курдѣи, гв. 14—37; V. Minorsky, Studies, гв. 113—114.

<sup>24</sup> ა. ქესრავი, შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, I, გვ. 83—85.

კრიტიკულ მომენტში ვაპსუდან ბ. მუჰამედმა (მარზუბანის ძმამ) დაისამ აღ-ქურთი, აქამდე რომ ტარომში იყო გამოძწყვდეული, აზერბაიჯანში გაგზავნა.

ასე დაიწყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაისამის მმართველობის მეორე პერიოდი. ამჯერად ქურთებმა და დეილემელებმა ისევ იბრუნეს პირი მისკენ. მათზე დაყრდნობით დაისამმა თანდათან დაიპყრო აზერბაიჯანის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი და სომხეთის ნაწილი ნახჭევნითა და დვინითურთ. აქამდე, აღნიშნული ქალაქები ცალკეული მმართველების ხელში იყო<sup>25</sup>.

მაგრამ ისევე, როგორც წინა წლებში, დაისამმა ამჯერადაც მცირე ხნით (949—952 წწ.) შეინარჩუნა ხელისუფლება. როგორც კი სალარ მარზუბანმა ბუვეიანთა ტყვეობას თავი დააღწია (341/952—53 წ.) დაისამს მომხრენი და სამხედრო ძალა ისევ შემოეცალა და იგი სომხეთში, არწრუნთან გაიქცა. აქაც ვერ მოიცილა ფეხი და მოსულში გადაიხვეწა, იქიდან კი 343/954—55 წ. ბაღდადში ჩავიდა.

მუსაფირიანთა ხელისუფლება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სულ უფრო დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. 955 წ. მარზუბან ბ. მუჰამედმა დარუბანდის მიდამოებში ილაშქრა<sup>26</sup>. ამავე წლით თარიღდება იბნ ჰალუალის ცნობა მარზუბანის მოხარკეთა შესახებ. მათ შორის დასახელებულია: შარვანშაჰი, შაქის, ვაიოც-ძორის, ხაჩენის, ვასპურაკანის მფლობელები, არწრუნელები, აბუ-ლ-ჰაიჯა ბ. რავადი რავადიანთა გვარიდან და სხვ<sup>27</sup>. მუსაფირიანთა აზერბაიჯანის შტოს ამ უმაღლეს ძლიერებას გულისხმობს ქართული წყარო, როდესაც აღნიშნავს: „სალართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადარბადაგანი“<sup>28</sup>.

იმავე, 344/955—56 წ. მარზუბანმა ერთხელ კიდევ, ამჯერად საბოლოოდ, დაამარცხა თავისი დაუძინებელი მტერი დაისამ ბ. იბრაჰიმი, რომელიც ამის შემდეგ მოკლე ხანში გარდაიცვალა კიდევ. მაგრამ დიდხანს აღარც მარზუბანს უცოცხლია<sup>29</sup>.

<sup>25</sup> ა. ქ ე ს რ ა ვ ი, იქვე, გვ. 94.

<sup>26</sup> ცნობა მისკავეიჰს მოეპოვება, იხ. В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 100.

<sup>27</sup> ი ბ ნ ჰ ა ლ უ ა ლ ი, გვ. 354—355; СМОМПК, XXXVIII გვ. 104—106; ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 102—108; V. Minorsky, The Caucasian vassals, გვ. 514—529; თ. ჰ ა პ უ ა შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 200—202.

<sup>28</sup> მატეანე ქართლისა, გვ. 266.

<sup>29</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 104.

როგორც მოსალოდნელი იყო, მარზუბან ბ. მუჰამედის სიკვდილს (957 წ. ნოემბერში) მუსაფირიანთა საგვარეულოში ხელისუფლებისათვის ბრძოლა და არეულობა მოჰყვა. ერთმანეთს ებრძოდნენ გარდაცვლილის ძმა და შვილები. ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა.

ერთ-ერთმა შვილმა იბრაჰიმ ბ. მარზუბანმა თავისი ცოლის-ძმის ბუვეიანი რუქნ ალ-დაულას, ქ. რეის მფლობელის დახმარებით 355/966 წ. თითქმის მთელ აზერბაიჯანზე განაგრცო ხელისუფლება, მაგრამ მალე იძულებული გახდა ისევ ბიძამისთან ვაჰსუდან ბ. მუჰამედთან გაეყო ძალაუფლება<sup>30</sup>.

იბრაჰიმ ბ. მარზუბანს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ახლად-შექმნილ პოლიტიკურ ერთეულებთანაც უხდებოდა ბრძოლა. 357/968 წ. მან შარვანი დალაშქრა და იქაურ მმართველს ხარკი დააკისრა<sup>31</sup>. ერთი წლის შემდეგ იბრაჰიმი ისევ შარვანშია დალაშქრით. იგი დარუბანდის დამორჩილებასაც ცდილობს; მან დაიბარა დარუბანდის ამირა. მაგრამ, ამ უკანასკნელმა ყურით არ ათხოვა სალარ იბრაჰიმის მოთხოვნას, ხოლო მის წინააღმდეგ გაგზავნილი რაზმი ვიწრო ხეობებში ამოხოცა<sup>32</sup>.

მუსაფირიანთა მორჩილებას თავი დააღწიეს განძაში დამკვიდრებულმა შადადიანებმაც. 361/971—72 წ. იბრაჰიმ ბ. მარზუბანმა, განდგომილი განძის დასამორჩილებლად არანში გაილაშქრა და ქალაქს ალყა შემოარტყა, მაგრამ უშედეგოდ. განძა ვერ აიღო, იქაურ მმართველს დაეზავა და არდებილში გაბრუნდა<sup>33</sup>.

ბუვეიან რუქნ ალ-დაულას მხარდაჭერით იბრაჰიმ ბ. მარზუბანი რამდენიმე ხანს კიდევ ინარჩუნებდა ძალაუფლებას აზერბაიჯანის გარკვეულ ნაწილზე. ხოლო 373/983—84 წ., იბრაჰიმის სიკვდილის შემდეგ მუსაფირიანთა (სალარიანთა) დინასტიის აზერბაიჯანის შტომ სწრაფად დაკარგა ძალაუფლება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

სალარიანებს ებრძოდნენ სომხური სამეფო-სამთავროებიც. ასოლიკი გადმოგვცემს, რომ „აბლ-ჰაჯ დელმასტანელი, სპარსელი ამირას, სალარის შვილიშვილი“ დაუმარცხებია გოლთნის (დღევანდელი ორდუბადი და აკულისი) ამირას და ჩამოურთმევია მისთვის

30 იქვე, გვ. 108—109; V. Minorsky, Studies, გვ. 162—163.

31 თარის ალ-ბაბ, § 12.

32 იქვე, § 35; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 163—164.

33 ბაბ ფი-ლ-შადადია, § 8.

დვინი და სხვა ქალაქები. ამის შემდეგ ეს სალარიანი მფლობელი თავისი ოჯახით სომხეთსა და ივერიაში კარიდან კარზე დადიოდა თურმე დახმარების ძებნაში<sup>34</sup>.

X ს. დასასრულს მუსაფირიანთა მთავარი მოწინააღმდეგე აზერბაიჯანში რავადიანთა დინასტია იყო. აღსანიშნავია, რომ უკვე 987 წ. რავადიანი აბუ-ლ-ჰაიჯა ებრძვის გოლთნის ამირას მის ხელში მყოფი „სალარის ქალაქების“ დასაკუთრებისათვის<sup>35</sup>. ამრიგად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთ ნაწილში მუსაფირიანთა სახელმწიფოს თავისებურ მემკვიდრედ რავადიანთა ფეოდალური სახელმწიფო გამოვიდა.

### § 1. რავადიანთა ფეოდალური სახელმწიფო

აზერბაიჯანის პოლიტიკურ სარბიელზე მუსაფირიანების (სალარიანების) შემდეგ ძირითად როლს რავადიანთა დინასტია ასრულებდა.

ამიერკავკასიაში მიმდინარე ეთნიკური პროცესების, ამ პროცესებთან დაკავშირებული პოლიტიკური ძალების მოძრაობისა და კონსოლიდაციის და პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბების შესწავლისათვის მნიშვნელობა აქვს რავადიანთა წარმოშობის გარკვევას.

მუნაჯიმ-ბაშის თხზულებაში დაცული ცნობის მიხედვით რავადიანები ქურთები ყოფილან წარმოშობით<sup>1</sup>.

ა. ქესრავიმ გულმოდგინედ შეისწავლა რავადიანთა დინასტიის შესახებ არსებული ცნობები; გამოიჩინა, რომ პირველი რავადიანები აზნის არაბულ გვარს უკავშირდებიან<sup>2</sup>. აღსანიშნავია, რომ რავადიანთა არაბულ წარმოშობას ხაზს უსვამდა თავის ყასიდებში პოეტი ყათრანიც<sup>3</sup>.

რავადიანთა დინასტიის შესახებ ცნობები X ს-ის შუა წლებიდან მოიპოვება დინასტიის პირველ წარმომადგენელს აბუ-ლ-ჰაიჯა მუჰამედს წყაროები (იბნ ჰალკალი, იბნ მისკავეიჰი)<sup>4</sup> რავადის მემკვიდრედ ასახელებენ<sup>5</sup>. მაგრამ ვინ იყო ეს რავადი?

<sup>34</sup> ასოლიკი, გვ. 131—132.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 140.

<sup>1</sup> V. Minorsky, Studies, გვ. 167.

<sup>2</sup> ა. ქესრავი, შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, II, გვ. 22—23.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>4</sup> ვიშოწებთ ა. ქესრავის მიხედვით, იხ. შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, II, გვ. 36—37.

<sup>5</sup> ასოლიკი, გვ. 140.

იაკუბის ცნობით, ხალიფა მანსურის (754—775) დროს აზერბაიჯანის ვალიმ სხვა იემენელ არაბებთან ერთად რაევად ბ. ალ-მუსანა ალ-აზდი აზერბაიჯანში გადაიყვანა და თავრიზის ოლქი ციხესიმაგრე ბაზამდე მას ჩააბარა<sup>6</sup>. სწორედ ეს რაევად ბ. ალ-მუსანა ითვლება რაევადიანთა დინასტიის ეპონიმად.

IX ს-ში რაევადის სამი ვაჟი — ვაჯანა<sup>7</sup>, მუჰამედი და იაჰია — უკვე ანგარიშგასაწევე ძალას წარმოადგენდნენ აზერბაიჯანში. რაევადიანებმა რეზიდენციად თავრიზი აირჩიეს, მას გალავანი შემოართვეს და იგი, აქამდე რომ სოფლად ითვლებოდა, ძლიერ და გამაგრებულ ქალაქად აქციეს. იაკუთი გადმოგვცემს: „თაბრიზი სოფელი იყო, ვიდრე არ ჩავიდა იქ არ-რაევად ალ-აზდი, აზერბაიჯანის დამპყრობელი ალ-მუთავაქქილის დროს. შემდეგ ალ-ვაჯანა<sup>8</sup> იბნ არ-რაევადმა და მისმა ძმებმა ააშენეს იქ კოშკები და გაამაგრეს იგი გალავნით. დასახლდა იქ ხალხი მასთან ერთად და აკეთებენ ქსოვილებს მოსასხამებისათვის სიკლატუნს, ხატაის, ატლასს და სხვა ქსოვილებს, რომლებიც გააქვთ სხვა ქვეყნებში აღმოსავლეთსა და დასავლეთში“<sup>9</sup>.

ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში რაევადიანები სწრაფად და წარმატებით აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოს. ამ მოვლენის გამოძახილს ეპოულობთ იაკუთთან, რომელიც აღწერს თუ როგორ დაეუფლა ვაჯანა იბნ რაევადი მარალას<sup>8</sup>. იბნ ხორდადბეჰის თანახმად მუჰამედი ბ. ალ-რაევად ალ-აზდის სამფლობელოში შედიოდა მარალა, მიანიჯი, არდებილი, ვარსანი, სისარი, ბარზა, საბურ-ხასთი და თავრიზი<sup>9</sup>. გარდა ამისა, ირკვევა, რომ პირველი რაევადიანები ფლობდნენ ვარზაყანს, დეჰხარყანს და აჰარის ოლქსაც (სადაც შემდეგ, მოგვიანებით, ქართული წარმოშობის ბეშქენიანთა დინასტია დამკვიდრდა)<sup>10</sup>.

<sup>6</sup> იაკუბი, ისტორია, II, გვ. 446—447. ემოწმებთ ა. ქესრაეის დასახ. ნაშრომიდან ტ. II, გვ. 24; შდრ. ვ. შინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 115—116.

<sup>7</sup> იაკუთი, გვ. 38; G. Le Strange. The Lands, გვ. 161; В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, გვ. 205.

<sup>8</sup> იაკუთი, გვ. 82.

<sup>9</sup> იბნ ხორდადბეჰი, BGA. VI, გვ. 119: «المرغة و الميانيج و أردبيل»

«ووزئان و سيسر و برزة و سابرخاست و تبريز لمحمد بن الرواد الأزدى»

<sup>10</sup> იბ. ქესრაეი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 26—28.

უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელი რავადიანების სამფლობელოს ცენტრსაც ძირითადად თავრიზ-აპარის რაიონი წარმოადგენდა. ძლიერების ეამს კი რავადიანთა სახელმწიფო აზერბაიჯანის დიდ ნაწილს ფლობდა.

რავადიანთა აღზევებას ეკონომიურად, პოლიტიკურად და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტების დასაკუთრებამაც შეუწყო ხელი. ერთ-ერთი ასეთი იყო. მაგალითად, ბაზი — ბაბეის ციხესიმაგრე.

ნიშანდობლივია, რომ პირველი რავადიანები მხოლოდ გეოგრაფიულად არ ყოფილან დაკავშირებული ხურამიტების მოძრაობასთან. წყაროებიდან ირკვევა, რომ ბაბეის ახალგაზრდობაში მკიდრო კავშირი ჰქონია რავადიანებთან.

მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ეს კავშირი არ გამხდარა მიზეზად სახალიფოს მიერ რავადიანთა წინააღმდეგ გატარებული რეპრესიებისა, რის შედეგადაც მუჰამედ ბ. რავადი, თავის უმცროს ძმასთან იაჰია ბ. რავადთან ერთად შეიპყრეს და ბაღდადს გაგზავნეს. მოგვიანებით მუჰამედმა მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა და სამშობლოში დაბრუნება; იაჰიას ბედი კი უცნობია.

სავარაუდოა, რომ პირველი რავადიანების მმართველობა IX ს-ის შუა წლებში, 235/849—50 წ. ახლოს შეწყდა<sup>11</sup>. აქედან მოყოლებული, მთელი ასი წლის განმავლობაში რავადიანთა დინასტიის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იბნ ჰაუკალის მიერ 955 წ. შედგენილ სალარ მარზუბანის მოხარკეთა სიაში დასახელებულია აბუ-ლ-ჰაიჯა ბ. რავადი, აპარისა და ვარზაყანის მფლობელი. ა. ქესრავი სხვადასხვა წყაროების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ ეს აბუ-ლ-ჰაიჯა არის რავადიანთა პირველი დინასტიის შთამომავალი და მეორე დინასტიის ფუძემდებელი<sup>12</sup>. საყურადღებოა, რომ აბუ-ლ-ჰაიჯას რავადის შვილად ასახელებს ასოლოკი<sup>13</sup>

მუნაჯიმ-ბაში ჯამი აღ-ლუჯალ-ში გადმოგვეცხს, რომ ახალი რავადიანები ქურთული ტომისაგან (რავადი) წარმოსდგებოდნენ<sup>14</sup>.

<sup>11</sup> ა. ქესრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 26—27; М. Шарифли, Феодальные государства Азербайджана, გვ. 61—62.

<sup>12</sup> ა. ქესრავი, იქვე, გვ. 37; შდრ. С. Bosworth, The Islamic Dynasties, გვ. 88—89; К. Bosworth, Мусульманские династии, გვ. 130—131.

<sup>13</sup> „Абёл-Хадж. сын Повда змур атѣрпатакаискии.—ასოლოკი, გვ. 140. 14 ოს. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

მუნაჯიმ-ბაშის ცნობები ავსებენ ა. ქესრავის მიერ შეკრებილ ცნობებს და ამდიდრებენ რავადიანთა ისტორიას.

აღნიშნული იყო, რომ მუნაჯიმ-ბაში რავადიანებს ქურთულ წარმოშობას მიაწერს. თუ ა. ქესრავის მტკიცება რავადიანთა ორივე დინასტიის ერთი და იმავე ძირიდან წარმომავლობის შესახებ ჭეშმარიტებაა, ამ შემთხვევაში, საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, აშკარად ჩანს, თუ როგორ იცვალა სახე რავადიანთა დინასტიამ შეცვლილი ეთნიკური გარემოს ზეგავლენით.

ვ. მინორსკი აღნიშნავდა, რომ ეამთა სვლა და შერეული ქორწინებანი ადვილად გასაგებს ხდიან ისეთ ცვლილებებს, როგორიც იყო არაბების გარდაქმნა ქურთებად<sup>15</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ რავადიანთა გაქურთების ფაქტი მიღებულია და აღიარებული<sup>16</sup>.

ამრიგად, რავადიანთა მაგალითზე ნათლად ირკვევა თუ როგორ მოქმედებდა ირანული ელემენტის მოძალემა ადგილობრივ, დამხვდურ ეთნიკურ ელემენტზე.

იბნ ჰაუკალი აბუ-ლ-ჰაიჯა ბ. რავადს<sup>17</sup> მხოლოდ აპარისა და ვარზაყანის მფლობელად ასახელებს და აღნიშნავს, რომ მას სალარ მარზუზბანისათვის თავისი სამფლობელოდან უნდა გადაეხდა 50 ათასი დინარი და აგრეთვე ძღვენი<sup>18</sup>. ორივე პუნქტი თავრიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. არდებილის ერთ-ერთ მარცხენა შენაკადზე მდებარეობს. ხოლო მდ. არდებილი არეზს სამხრეთიდან ერთვის. ქ. აპარი ყარა-დაღის ცენტრია დღესაც. ვარზაყანი ყარა-დაღის დასავლეთი ოლქი იყო, ქ. მარანდის მოსაზღვრედ. ყარა-დაღს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ყარაბაღი, არეზის გამოღმა მხარე, ძველი სომხური არცახი და სივნიეთი (სიუნიკი)<sup>19</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, გვიანდელი რავადიანებიც, მსგავსად თავიანთი წინაპრებისა, თავრიზ-აპარის მხარეში იყვნენ დამკვიდრებული.

<sup>15</sup> V. Minorsky, Studies, გვ. 169; მისივე, The Caucasian vassals, გვ. 524.

<sup>16</sup> C. Bosworth, The Islamic Dynasties, გვ. 88; The Cambridge History of Iran, გვ. 32. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. შარიფლის დისერტაციის ავტორაფერატში ამის თაობაზე არაფერი არ არის ნათქვამი. იხ. М. Шарифли, Феодальные государства Азербайджана, გვ. 61—73.

<sup>17</sup> ამ შემთხვევაში „რავადი“ აუცილებლად შამის სახელს არ აღნიშნავს, არამედ უფრო მეტად ოჯახის, გვარის კუთვნილებაზე მიუთითებს. შდრ. V. Minorsky, Studies, გვ. 115.

<sup>18</sup> იბნ ჰაუკალი, გვ. 354—355.

<sup>19</sup> ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 115; ე. ბარტოლდი, დასახ. ნაშრ., გვ. 211; История Азербайджана, გვ. 130.

ბუნაჯიმ-ბაშის მახედვით „პირველი მათ შორის იყო მუჰამედ ბ. ალ-ჰუსაინ ალ-რაჟადი. იგი მართავდა რამდენიმე ოლქს არმინიაში<sup>20</sup>. შემდეგ, სალარ მარზუზანის ტყვეობის დროს მან მიითვისა აზერბაიჯანის ზოგიერთი ნაწილი. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟი, ჰუსაინ ბ. მუჰამედი გახდა მმართველი. მას საქმეები კარგად წაუვიდა და 345/956—57 წ. დაიპყრო თავრიზი მოაწესრიგა საქმეები და [ხელახლა] ააშენა მისი კედლები. 350/961 წ. მან იგი თავის სატახტო ქალაქად აქცია. მისი საქმეები მშვიდად მიდიოდა და მისი მდგომარეობა განმტკიცდა თავრიზში და მის მიმდებარე მხარეებში, რადგანაც ჩაიფუშა სალარ იბრაჰიმ ბ. მარზუზანის საქმეები“<sup>21</sup>.

მუსაფირიანთა სახელმწიფოს დაშლის შედეგად აზერბაიჯანში რავადიანთათვის სასურველი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა.

იბნ მისკავეიჰის თანახმად, ჰუსაინ ბ. მუჰამედ ბ. რავადი (მუნაჯიმ-ბაშითან დამოწმებული ჰუსაინ ბ. მუჰამედ ალ-რაჟადი) აქტიურად მონაწილეობდა უკანასკნელ მუსაფირიანთა შინაომში<sup>22</sup>. რავადიანებმა მოხერხებულად გამოიყენეს არსებული პოლიტიკური ვითარება. დიდ წარმატებას მიაღწია ჰუსაინის მემკვიდრემ აბუ-ლ-ჰაიჯა მუჰამედ ბ. ჰუსაინმა. ირკვევა, რომ სალარ იბრაჰიმ ბ. მარზუზანის სიკვდილის (373/983—84 წ.) შემდეგ მას აზერბაიჯანის დიდი ნაწილი ჩაუგდია ხელთ; ხოლო, 374 წ. ჰქ. მუსაფირიანთა (სალარიანთა) უკანასკნელი წარმომადგენელიც დაუპატიმრებია<sup>23</sup>.

ამრიგად, მუსაფირიანთა სახელმწიფოს ტერიტორია — არანის ჯამოკლებით, რომელსაც შადადიანები ფლობდნენ — რავადიანთა ფეოდალური სახელმწიფოს გამგებლობაში მოექცა.

მუსაფირიანთა მემკვიდრეობაზე მხოლოდ რავადიანებს როდი ეჭირათ თვალი. აბუ-ლ-ჰაიჯა მუჰამედ ბ. ჰუსაინს ეჭიშვებოდა გოლთნის<sup>24</sup> ამირა აბუ დულაფი. ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარ-

<sup>20</sup> როგორც ვ. მინორსკი შენიშნავს, ამ შემთხვევაში ამიერკავკასიის და აზერბაიჯანის ზოგიერთი სამხრეთი ოლქი შეიძლება განხილული იქნას როგორც სომხეთი (Armenia) — ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 168 შენიშვ. 1.

<sup>21</sup> ნაწევრები მუნაჯიმ-ბაშის „ჯამი ალ-დუჟალ“-იდან რავადიანების შესახებ, იხ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 167—169.

<sup>22</sup> ა. ქესრაევი, იქვე, გვ. 37. იბნ მისკავეიჰის ცნობას მხარს უჭერს მუნაჯიმ-ბაშიყ. ამრიგად, ცდება ა. ქესრაევი, როდესაც ჰუსაინ ბ. მუჰამედს და მის ვაჟს აბუ-ლ-ჰაიჯას ერთ და იგივე პიროვნებად თვლის.

<sup>23</sup> ცნობას გვაწვდის მუნაჯიმ-ბაში. იხ. ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 168.

<sup>24</sup> გოლთანი დღევანდელ ქულფარდუბად-აქულისის რაიონს მოიცავდა.



რებაში აბუ დულაფმა საკუთარი ფეოდალური სამფლობელო — ტიპური მცირე პოლატაკური ერთეული — შექმნა, რომელშიც სხვადასხვა დროს გოლთანი, დვინი, ნახჭევანი შედიოდა<sup>25</sup>.

აბუ დულაფმა 982 წ. დაამარცხა მუსაფირიანი აბუ-ლ-ჰაიჯა ბ. იბრაჰიმი და მას დვინი და სხვა ქალაქები ჩამოართვა<sup>26</sup>. ამ მარცხის შემდეგ იყო, რომ აბუ-ლ-ჰაიჯა ბ. იბრაჰიმი სომხეთსა და საქართველოში კარიდან კარზე დადიოდა თურმე დახმარების მოსაპოვებლად. თუ ასოლიკს ვერწმუნებით, აბუ-ლ-ჰაიჯა ბიზანტიის იმპერატორის კარზეც ყოფილა. მაგრამ, X ს. 80-იან წლებში ბიზანტიის იმპერიის საშინაო მდგომარეობა იმპერატორ ვასილ II-ს (976—1025) აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევას შესაძლებლობას არ აძლევდა<sup>27</sup>.

აბუ დულაფის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება პოეტ ასადი თუსის თანახმად იგი წარმოშობით არაბული შაიბანიანთა ტომიდან ყოფილა. ცნობილია, რომ 918 წ., იუსუფ საჯიანის დროს გოლთნის მმართველად დაუნიშნავთ ვინმე მუსლიმანი ამირა<sup>28</sup>. შესაძლებელია, რომ ჩვენს გოლთნის ამირას მასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს.

დვინის დაპყრობამ აბუ დულაფი სომხურ სამეფოებს დაუპირისპირა. დაახლოებით 983 წ. აბუ დულაფმა ვასპურაკანში ილაშქრა. სომეხთა გაერთიანებული ლაშქრის სარდლობა წინადაუხედავად მოიქცა, შეცდომა დაუშვა და დამარცხდა<sup>29</sup>.

რა თქმა უნდა, აღმავლობის გზაზე მდგარი გოლთნის საამიროს მეზობლობა რავადიან აბუ-ლ-ჰაიჯა მუჰამედ ბ. ჰუსაინს ხელს არ აძლევდა. ამიტომ იყო, რომ 987 წ. მან გოლთანში ილაშქრა. ასოლიკის ცნობით, რავადიანთა ლაშქარი 100 ათასი კაცისაგან შედგებოდა<sup>30</sup>. თუნდაც დიდად გაზვიადებული, ეს ცნობა მაინც მიგვანიშნებს რავადიანთა სახელმწიფოს სამხედრო პოტენციაზე.

<sup>25</sup> შემდგომ, XI ს. 60-იან წლებში გვხვდება კიდევ ერთი აბუ დულაფი (შესაძლებელია ამ აბუ დულაფის შვილიშვილი), ნახჭევნის შაჰის ტიტულით. ამიტომ, მათ ნახჭევნის შაჰებსაც უწოდებენ. იხ. М. Ша р и ф л и и, Нахичеваншахство, გვ. 32—34.

<sup>26</sup> ასოლიკი, გვ. 131—132; Ас. Ша х н а з а р я н. Движ. гв. 125.

<sup>27</sup> История Византии, II, гв. 218.

<sup>28</sup> ა. ქ ე ს რ ა ვ ე ი, შაჰრიარანი გუმ-ნამ, II, გვ. 52; ე. მ ი ნ ო რ ს კ ი, იქვე, გვ. 121, შენიშვ. 3. ისიც უცნობია უკავშირდებოდა. თუ არა აბუ დულაფი შარვანის შეიბანიანებს.

<sup>29</sup> ასოლიკი, გვ. 132—133.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 140.

აბუ დულაფმა ვერ გაუძლო ამოდენა ლაშქრის შემოსევას და დამარცხდა. რავადიანთა ლაშქარმა გაძარცვა გოლთანი. ამ გამარჯვებით „სალარის (კუთვნილ) ქალაქებს“ რავადიანთა სახელმწიფო დაეუფლა. ამის შემდეგ აბუ-ლ-ჰაიჯა „დვინს მიაღვა, აიღო იგი და მოსთხოვა სომხებს გასული წლების ხარკი. მეფე სუმბატმა [სუმბატ II ბაგრატიონიანი (977—990) ანისის მეფე, პ. თ.] გაუგზავნა ხარკი დიდ ძღვენთან ერთად და (ასე) გააბრუნა უკან“<sup>31</sup>.

რავადიანთა სახელმწიფოს და სომხურ სამეფოებს შორის ბრძოლა გარდაუვალი ვახდა. მეზობლად მდებარე ფეოდალურ სახელმწიფოებს შორის შუღლი და შეხლაშემოხლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, განსაკუთრებით აღრფეოდალურ ხანაში.

988 წ. აბუ-ლ-ჰაიჯამ კიდევ ერთხელ გაილაქშრა ვასპურაკანის სამეფოზე. იგი მოხერხებულად ჩაერია ვასპურაკანის სამეფოსა და ქ. ხოის ამირას შორის მიმდინარე ბრძოლაში. როგორც მოსალოდნელი იყო, აბუ-ლ-ჰაიჯამ ხოის ამირას დაუჭირა მხარი და დიდი ლაშქრით ვასპურაკანის საზღვრებთან გაჩნდა. მან ლაშქარი საომრად განაწყო და მომავალი ბრძოლისათვის ემზადებოდა მაგრამ, მეორე დღეს ის საკუთარ კარავში მკვდარი იპოვეს<sup>32</sup>.

ბურუსით მოცულ ამბავს მხოლოდ ასოლიკის ცნობა თუ მოჰტენს მკრთალ შუქს. სომეხი მემატიანეს ცნობით, ხოის ამირას ეურჩებოდა საკუთარი ვაჟი, რომელიც სიკვდილამდე (ეს ვასპურაკანში მოკლეს, აბუ-ლ-ჰაიჯას ლაშქრობის წინ) ცოტა ადრე „აპაჰუნის ამირას მიემხრო“<sup>33</sup>.

სომხური აპაჰუნის დიარბაქრის, მანაზკერტის და მოსულის ოლქებს შეესაბამება. X ს. დასასრულს ამ მხარეში აქტიური პოლიტიკით გამოირჩეოდა ქურთი ამირა ბადი, პისნ-ქაიფას<sup>34</sup> მმართველი. მან ხელთ იგდო ძლიერი ციხესიმაგრეები სომხეთსა და ქურთისტანში. იგი განსაკუთრებით გაძლიერდა და დიდი გავლენა მოიპოვა ბუვეიანი ადრე აღ-დაულას სიკვდილის (372/983 წ.) შემდეგ. ამირა ბადი მარვანიანთა ქურთული დინასტიის ფუძემდებელია<sup>35</sup>.

<sup>31</sup> იქვე; შტრ. *Ac. Шахназарян*, *Двин.* გვ. 125—126.

<sup>32</sup> ასოლიკი, გვ. 140—141.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> „...ქალაქი და დიდი ციხე, აზიდული დიჯლაზე...“ — *მაკუთი*, გვ. 45.

<sup>35</sup> *С. Лэи-Пуль*, *Мусульманские династии*, გვ. 96; *С. Bosworth*, *The Isia'ic Dynasties*, გვ. 53—54; *К. Босворт*, *Мусульманские династии*, გვ. 87—88.

როგორი ურთიერთობა ჰქონდათ აბუ-ლ-ჰაიჯა რავადს და ამირა ბადს, ჩვენთვის უცნობია. შესაძლებელია ორივე ქუთთულ-დინასტიის მესვეურები მტრული თვალთ უმწიერდნენ ერთმანეთს ცხადია, ხოის ამირას მხარდაჭერით ვასპურაკანის დამარცხება და ამ სამეფოზე რავადიანთა გავლენის და საერთო ჯამში რავადიანთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა ამირა ბადის პოლიტიკურ გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. ამდენად შესაძლებელია, რომ გასაჭირში ჩავარდნილ ვასპურაკანის მეფეს<sup>36</sup> ამირა ბადმა დახმარება აღმოუჩინა და აბუ-ლ-ჰაიჯა შეთქმულებაში იმსხვერპლა<sup>37</sup>.

ყოველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ რავადიანთა სახელმწიფო ვიწრო, ლოკალური მიზნებით არ კმაყოფილდებოდა და მისი პოლიტიკური თუ დიპლომატიური ინტერესების დიაპაზონი ფართოდ იშლებოდა. ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს მომდევნო რავადიანის მეფობაში.

აბუ-ლ-ჰაიჯა რავადის სიკვდილით დაუყოვნებლივ ისარგებლა გოლთნის ამირა აბუ დულაფმა და დაიბრუნა დვინი. ამავე დროს. მან ქალაქის თაობაზე საზავო ხელშეკრულება დადო ანისის მეფე სუმბატ ბაგრატუნიანთან<sup>38</sup>. ყველაფერი ეს გოლთნის ამირას დიდი წარმატება იყო.

მაგრამ, მრავალმთავრობისა და პოლიტიკური სიტუაციის ხშირი ცვლის ვითარებაში ერთხელ არჩეული პოლიტიკური ორიენტაციის დაცვა და მიყოლა შეუძლებელი იყო. აბუ დულაფსა და სუმბატს შორის დადებული ზავიც მალე დაირღვა<sup>39</sup>.

რავადიანთა სახელმწიფო თავის ძლიერების ზენიტს აბუ-ლ-ჰაიჯა მუჰამედ ბ. ჰუსაინის მემკვიდრეების დროს აღწევს.

აღსანიშნავია, რომ მუნაჯიმ-ბაში განსხვავებულ ცნობებს გვაძლევს რავადიანთა ისტორიის, განსაკუთრებით მათი გენეალოგიის შესახებ. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მუნაჯიმ-ბაშის მიხედვით აბუ-ლ-ჰაიჯა მუჰამედ ბ. ჰუსაინი 391/1000 წ. მოკვდა. ასოლიკის თანახმად კი — 988 წ. სომეხი ისტორიკოსი შედარებით დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის რავადიანთა შესახებ და უპირატესობაც მას უნდა მიენიჭოს<sup>40</sup>.

<sup>36</sup> სავარაუდოა სენაქერები (968—1022).

<sup>37</sup> მუნაჯიმ-ბაში აბუ-ლ-ჰაიჯას სიკვდილის თარიღად 391/1000 წ. სდებს.

<sup>38</sup> ასოლიკი, გვ. 140—141: *Ac. Шахназарян. Двин*, გვ. 126.

<sup>39</sup> ასოლიკი, გვ. 182.

<sup>40</sup> იხ. ა. ქესრავი, შაჰირაზანი გუმ-ნაჰ, II, გვ. 42—43; V. Minorsky, *Studies*, გვ. 122, 168. უნდა აღინიშნოს, რომ კ. ბოსეოვსკი, 1967 წ. მენა-

მნიშვნელოვანი ხანა შეადგინა რავადიანთა ისტორიაში მამლან<sup>41</sup> ბ. აბუ-ლ-ჰაიჯა მუჰამედის მეფობამ. მამლანის მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე ცნობას მხოლოდ ასოლიკი გვაწვდის<sup>42</sup>. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ მამლანი თავისი დროის ძლიერი მმართველი ყოფილა.

ასოლიკი დაწვრილებით მოგვითხრობს დაახლოებით 990 და 998 წლებში აზერბაიჯანის ამირა მამლან ბ. აბუ-ლ-ჰაიჯას მიერ სომხეთსა და საქართველოში ჩატარებული ორი ლაშქრობის შესახებ.

X ს-ის მიწურული, ისევე როგორც მომდევნო საუკუნე, ამიერკავკასიაში ძალზე რთული პოლიტიკური ვითარებით ხასიათდება. პოლიტიკური გაერთიანებისა და სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის გზაზე მდგომი ამიერკავკასიის ქვეყნები შექლებისდაგვარად ცდილობდნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას და შენარჩუნებას. არაბთა სახალიფოს ნანგრევებზე მოფენილი მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულები და ბიზანტიის იმპერია დაყინებით ცდილობდნენ ამიერკავკასიაში გაბატონებას თუ გავლენის მოპოვებას. მეზობელ მხარეთა შორის კონფესიონალური განსხვავება პოლიტიკურ ღონისძიებას ხშირად სარწმუნოებისათვის ბრძოლის დროშის ქვეშ წარმართავდა და კიდევ უფრო ამწვავებდა ვითარებას.

რავადიანი მამლან ბ. აბუ-ლ-ჰაიჯას ორივე ლაშქრობა აღნიშნული პოლიტიკური ვითარების შედეგი და ამ ვითარების ნათლად გამოძახებული იყო. ორივე ლაშქრობას ქვემოთ შევსებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან საქართველოს ურთიერთობის შესწავლის დროს. ამჟერად აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მამლანის სამხედრო ოპერაციები რავადიანთა სახელმწიფოს ძალაზე და გაზრდილ ავტორიტეტზე მიუთითებს აშკარად. ორივე სამხედრო ექსპედიციის მოგერიება მხოლოდ სომეხ-ქართველთა ძალების სრული მობილიზაციის შედეგად გახდა შესაძლებელი<sup>43</sup>.

ქიმ-ბაშის ცნობას დაეყრდნო. იხ. The Islamic Dynasties, გვ. 88. მაგრამ, 1968 წ. ისევ ასოლიკის ცნობა ამჯობნა, იხ. The Cambridge History of Iran, გვ. 32-33. შარაფი, Феодальные государства Азербайджана, გვ. 64-65. 72 სადაც აბუ-ლ-ჰაიჯას მეფობის წლებად 983-988 წწ. აღნიშნული და K. Bort, Мусульманские династии, გვ. 130. მთარგმნელის შენიშვ. 2.

<sup>41</sup> ა. ქესრაივმ სპეციალური გამოკვლევით დაადგინა, რომ „მამლანი“

(مملان) იგივე, „მუჰამადია“, იხ. შაჰრიარანი-ი გუმ-ნამ, II, გვ. 43-45.

<sup>42</sup> იხ. იქვე, გვ. 46.

<sup>43</sup> შარ. ვ. შინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 122-123.

რავადიანთა სახელმწიფოს ისტორიაში ერთ-ერთი ცნობილი და ენერგიული პიროვნება იყო აბუ მანსურ ვაჰსუდან ბ. მამლანი. მისი მმართველობის წლები ამიერკავკასიაში ისევე, როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრებით აღინიშნა. ვაჰსუდან ბ. მამლანის (მუჰამედის) ღირსებას და გავლენას, სხვათა შორის, მისი ტიტულიც მოწმობს, რომელსაც ნასირ-ი ხოსროუ გადმოგვცემს<sup>44</sup>. სამწუხაროდ, ისტორიული მასალის სიმცირის გამო გაურკვეველი რჩება ვაჰსუდანის საკმაოდ ხანგრძლივი მეფობის მრავალი მომენტი. დაზუსტებული არ არის მისი მეფობის წლებიც. ყოველ შემთხვევაში, მკვლევართა შორის მიღებული აზრის თანახმად (მცირეოდენი განსხვავებით) ჯერჯერობით მიღებულია, რომ ვაჰსუდან ბ. მამლანი მეფობდა 410—451/1019—1059 წლებს შორის<sup>45</sup>.

ვაჰსუდანის მმართველობის დასაწყისის დაემთხვა ოღუზთა ტომების პირველი შემოსევები ამიერკავკასიაში. რავადიანთა სახელმწიფოს უშუალოდ შეეხო ეს შემოსევები.

ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებს წინ უსწრებდა ოღუზი თურქების შემოსევები. სომხური (მათეოს ურჰაეცი, ვარდანი) და ბიზანტიური (კედრენე) წყაროები უკვე 1016 და 1021 წლებში აღნიშნავენ თურქთა მარბიელი ლაშქრის გამოჩენას ვასპურაკანსა და დვინში. 1021 წ. შემოსეულ თურქთა ხელმძღვანელად ვარდანი თოდორულ-ბეგს ასახელებს<sup>46</sup>. მირზონდი მალიქ-ნამე-ზე<sup>47</sup> დაყრდნობით, თარიღის მიუთითებლად აღნიშნავს, რომ ძმებს შორის შეთანხმების შედეგად თოდორულ-ბეგი აღმოსავლეთ-

<sup>44</sup> „უმაღლესი ამირა, მახვილი სახელმწიფოსი და პატივი სამეფოსი აბუ

ამირ ალ-აჯლ სიფ — الامير الاجل سيف  
الدولة و شرف الملك ابو منصور و هسودن بن محمد مولى امير المومنين  
და „აზერბაიჯანის ვილაიათის ფაღიშაჰი“ — آذربايجان ولايت ناسير-ي خوسرو  
საფარ-ნამე, გვ. 8.

<sup>45</sup> იხ. ა. ქესრავი, შაჰრიარან-ი გუნ-ნამ, 11, გვ. 54, 62; ე. მონორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 166; მ. შარიფლი, დასახ. ნაშრ., გვ. 66, 73; C. Bosworth, The Islamic Dynasties, გვ. 88; The Cambridge History of Iran, გვ. 32.

<sup>46</sup> ეარდანი, გვ. 122.

<sup>47</sup> XI ს. უცნობი ავტორის მიერ არაბულ ენაზე შედგენილი სელჩუკთა ისტორიის ამსახველი ეს წყარო დაკარგულად ითვლება. ცნობილია ფრაგმენტები, სხვადასხვა ისტორიკოსთა თხზულებებში დაცული.

წი დარჩა, ხოლო ჩაღრ-ბევი 30 აასი მამაცი მეომრით არმინი-  
აში და რუმში სალაშქროდ გაემართა<sup>48</sup>.

დამოწმებული სომხურ-ბერძნულ-სპარსულ წყაროთა ცნობე-  
ბის ურთიერთ დაკავშირებით ზოგიერთი თურქი ისტორიკოსი (ი.  
ქაფესოღლუ, ზ. ვ. ტოგანი, მ. ინანი) ამიერკავკასიაში სელჩუთა  
პირველი შემოსევების თარიღად XI ს. პირველ მეოთხედს მიიჩნევს.  
ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგნად არის გადაქცეული და  
საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. აღსანიშნავია, რომ  
საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საკითხი სწორად არის გარკვეული  
და ოღუზთა პირველი შემოსევები გაიგივებული არ არის სელ-  
ჩუთა ლაშქრობებთან ამიერკავკასიაში<sup>49</sup>. სელჩუკები მხოლოდ  
XI ს. 30-იან წლებში შეიჭრნენ ამიერკავკასიაში.

ნაშ ვინ იყო ის უცხო ხალხი ვასპურაკანს რომ შეესია. გა-  
რეგნობით ასე რომ განაცვიფრა ადგილობრივი მოსახლეობა და  
ჰედგარ ბრძოლაში მშვილდ-ისრით შეტევის მოხერხებულად და  
მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად გამოყენებით დაამარცხა  
ვასპურაკანის მეფის ლაშქარი?

ა. ქესრავას აზრით თავდასხმა მოაწყვეს სელჩუკთაგან დამოუ-  
კიდებელმა ოღუზთა ტომებმა<sup>50</sup>. მანანდიანის და მარკვარტის მი-  
ხედვით თავდამსხმელები იყვნენ დეილემელები, რომელთა შორის  
მონაწილეობდნენ თურქი ცხენოსანი რაზმებიც<sup>51</sup>.

მართალია, ამ დროისათვის დეილემური ელემენტი ძლიერი  
იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და ირანის პოლიტიკურ ასპა-  
რეზზე, განსაკუთრებით ბუვეიანთა სახელმწიფოში მაგრამ, 1016  
და 1021 წლების ვასპურაკანის ლაშქრობებში დეილემელებს წამ-  
ყვან როლს ვერ მივაკუთვნებთ. ჯერ ერთი, დეილემელები, თუმცა  
გამოირჩეოდნენ ჩაცმულობით, მაგრამ ამიერკავკასიისთვის უცხო-  
ნი არ უნდა ყოფილიყვნენ. მთავარი ის არის, რომ დეილემელები  
ამიერკავკასიაში ძირითადად დაქირავებულ რაზმებს შეადგენდნენ

<sup>48</sup> მირხონდი, IV, გვ. 24); მღრ. Материалы по истории туркмен и  
Туркмени, გვ. 453.

<sup>49</sup> დაწერილებით იხ. С. Агаджанов, К. Юзбашян, К истории тюрк-  
ских набегов на Армению, გვ. 144—158; ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ.  
165—175; The Cambridge History of Iran, გვ. 40.

<sup>50</sup> ა. ქესრავი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 15—16.

<sup>51</sup> იხ. ს. აღაქანოვი, ე. იუზბაშიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 152—155.

და მათგან დამოუკიდებელი მოქმედება ნაკლებ მოსალოდნელი იყო<sup>52</sup>.

როგორც ჩანს, სწორია ა. ქესრავი, რომელსაც ამიერკავკასიაში შექრილი თურქები იმ ოლუზი ტომების ნაწილად მიაჩნია, რომელიც თორღულ-ბეგის და მისი ურდოს ამუ-დარიანზე გადმოსვლამდე 30 წლით ადრე მაჰმუდ ლაზნევიმ 396/1005-06 წ. ხორასანში და რეის მიდამოებში დააპინავა. იბნ ალ-ასირი მათ „ერაყელ“ ლუზებს უწოდებს, სელჩუკთა გაერთიანებაში იყოფ ოლუზთაგან განსხვავებით.

ცნობილია, რომ სელჩუკის შთამომავლებს მტრული ურთიერთობა ჰქონდათ ოლუზთა ზოგიერთ ტომთან. სელჩუკთანთაგან შევიწროებული ოლუზთა ერთი ჯგუფი (4000 კარავი), მაჰმუდ ლაზნევის ნებართვით ხორასანში რომ დასახლდა, მალე ისე გაიზარდა, რომ მაჰმუდი იძულებული იყო მათ წინააღმდეგ გაელაშქრა. ოლუზები დამარცხდნენ, დაიფანტნენ და მათი ერთი ნაწილი (იბნ ალ-ასირი ერთხელ 2000 კარავს ასახელებს, მეორეჯერ — 2000 კაცს) ქერმანისკენ დაიძრა და აქედან ისპანის მიდამოებში გადავიდა. მათგან ერთ ჯგუფს ერაყი, აზერბაიჯანი, სომხეთი და დიარბაქრი დაურბევია<sup>53</sup>. ა. ქესრავი აღნიშნავს, რომ ეს ცნობები მხოლოდ იბნ ალ-ასირს მოეპოვება<sup>54</sup>. სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში აღწერილი შემოსევები სწორედ ამ თურქ-ოლუზებს უნდა გულისხმობდეს. ოლუზი თურქების გამოჩენა ამიერკავკასიაში დაახლოებით 410/1019—20 წ. განეკუთვნება.

რავადიანთა სახელმწიფოში შექრილი ეს ტომები ვაჰსუდანმა კარგად მიიღო და თავის ქვეყანაში დაბანაკების უფლება მისცა.

წყაროებიდან ირკვევა, რომ რავადიანებს კარგი ლაშქარი ჰყავდათ. მაგრამ, როგორც ქრისტიან, ასევე მუსლიმან მეზობლებთან წშირი ბრძოლების გამო მათი სამხედრო პოტენცია, როგორც ჩანს, საკმარისი არ იყო. შეხიზნულ ოლუზთაგან შედგენილ ბევრის ამტან და კარგად მებრძოლ თურქულ ლაშქარზე დაყრდნობით რავადიანი ხელმწიფე თავისი პოლიტიკური მიზნების წარმატებით განხორციელებას ფიქრობდა. ამავე დროს, ალბათ თავის დაზღვევისა და ოლუზებთან მჭიდროდ დაკავშირებისათვის ვაჰსუდან ბ. მამლანმა ერთ-

52 ამიერკავკასიაში (სომხეთში) სამხედრო ოპერაციებში დეილემელთა მონაწილეობის შესახებ იხ. К. Юзбашьян, Дейлсмиты, გვ. 146—148.

53 В. Бартольд, Очерк истории туркменского народа, გვ. 569—570.

54 ა. ქესრავი, შაჰრიარან-ი ჯუმ-ნამ, II, გვ. 57—60.

ერთი ოლუზი სარდლის ქალიშვილიც კი შეერთო ცოლად<sup>55</sup>. მაგრამ, ისტორიულმა სინამდვილემ მოკლე დროში ცხადყო, რომ რავადიანმა მმართველმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

ოლუზთა პირველ ტალდას მეორე მოჰყვა. აზერბაიჯანის ბუნებრივი პირობები მომთაბარე თურქი ოლუზებისთვის მეტად მიმზიდველი იყო. 429/1037—38 წ. ქ. რეისთან თურქთა ორად გაყოფილი ლაშქრის უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანისკენ დაიძრა და ვაჰსლდანს მიაღდა კარზე. რავადიანმა ისინიც მიიღო.

თურქულმა ტომებმა ინტენსიურად იწყეს აზერბაიჯანში შექრა. მალე თავი იჩინა ამ ტომების ბუნებამაც. ისინი უშუალოდ დაუპირისპირდნენ ადგილობრივ ქურთულ ტომებს და მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა. 429 წელსავე ოლუზებმა ქ. მარალა და მისი სანახები დაარბიეს, ხოლო ქალაქის საკრებულო მეჩეთი ცეცხლს მისცეს<sup>56</sup>. ამრიგად, ოლუზთა საფრთხე რავადიანთა სახელმწიფოს ყველა სოციალურ ფენას დაემუქრა.

შექმნილ ვითარებაში ძველი შუღლის და პოლიტიკური მტრობის გაგრძელება თვითმკვლელობას უდრიდა. ამიტომ ვაჰსლდან ბ. მაჰლანმა ადრინდელი ურთიერთობის საწინააღმდეგოდ კავშირი შეკრა თავის დისშვილთან, პაზბანის ქურთთა ტომის მეთაურთან. აბუ-ლ-ჰაიჯა ბ. რაბიბ ალ-დაულასთან. იბნ ალ-ასირს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ქვეყნის მოსახლეობაც მათვე მიემხრო თურმე. ამრიგად, გაერთიანებული ძალით ოლუზთა ნაწილის აზერბაიჯანიდან გაძევება მოხერხდა. ვაჰსლდანი ამით არ დაკმაყოფილდა. 432/1040—41 წ. მან ოლუზი ტომების დიდებულები თავრიზში სტუმრად მიიწვია და ლხინის დროს ნაწილი მათგანი დაატუსაღა. ხოლო ნაწილი დახოცა<sup>57</sup>.

XI ს. პირველ ნახევარში რავადიანთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სომხურ სამეფოებთან და ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობა შეადგენდა. ერთ თვალსაჩინო ფურცელს ამ ურთიერთობიდან ციხე-ქალაქ ბერქრისათვის გამართული ბრძოლა შეადგენს.

ბერქრი ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვასპურაკანში მდებარეობდა. ვასპურაკანის სამეფოს გაუქმების (1022 წ.) შემდგომ ბიზანტიის იმპერია ამ მხარის შემომტკიცებას ცდილობდა. ხელი-

55 იბნ ალ-ასირი, გვ. 111; ა. ქესრაველი, დსახ. ნაშრ., გვ. 73—75.

56 იბნ ალ-ასირი, გვ. 112; ბარ-კეცრაღი, გვ. 71—72.

57 იბნ ალ-ასირი, გვ. 112; ა. ქესრაველი, დსახ. ნაშრ., გვ. 75—77.



სუფლება ვასპურაკანში იპკრატორის მიერ დანიშნულ მმართველს ეკუთვნოდა. 30-იან წლებში ეს თანამდებობა ნიკოლოზ კავასილას ეკავა.

425/1033-34 წ. კავასილამ მოახერხა ბერქრის დაპყრობა. რომელიც „ადრევე იყო დაპყრობილი სპარსთა მიერ და მათ მფლობელობაში იმყოფებოდა“<sup>58</sup>. იბნ ალ-ასირის ცნობით ეს „სპარსი“ მფლობელი ზემოსხენებული აბუ-ლ-ჰაიჯა ბ. რაბიბ ალ-დაულა, ვაჰსუდანის ნათესავი იყო. მნიშვნელოვან სტრატეგიულ ციხე-ქალაქზე თვალი ეჭირა ვაჰსუდან ბ. მამლანსაც. ამრიგად, ბიძა-დის-შვილს შორის მტრობის საბაბი ბერქრაც იყო. ქალაქის დასაკუთრებას ცდილობდა სომხეთიც. ასეთ ვითარებაში გამოჩნცული არ არის, რომ ვაჰსუდანს ბიზანტიელებთან გაემართოს მოლაპარაკება ქალაქის ხელში ჩასაგდებად, როგორც ამას იბნ ალ-ასირი გვაძენობს<sup>59</sup>. იბნ ალ-ასირს თითქოს მხარს უჭერს არისტაკესიც. მისი მოთხოვნიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზ კავასილა დიდხანს ვერ დარჩა ვასპურაკანის მმართველის თანამდებობაზე.

ახალმა მოხელემ ბერქრში ჩაყენებული ბერძნული გარნიზონი ქალაქიდან გაიყვანა და მოშორებით დაბანაკდა. უცნაური და გაუმაართლებელი მოქმედებით დაუყოვნებლივ ისარგებლეს „სპარსელებმა“, ისინი გაერთიანდნენ, ქალაქს ალყა შემოარტყეს, ერთ ბრძოლაში „რომელთა ლაშქარს“ 24000 კაცი დაუხოცეს და ბერქრი აიღეს. მაგრამ, თუ ვინ იყო ეს მუსლიმანი მფლობელი ამის ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება<sup>60</sup>. ყოველ შემთხვევაში, ბერქრი დიდხანს არ დარჩენილა მუსლიმანთა ხელში. მომდევნო, 1036 წ. ბიზანტიამ ისევ დაიბრუნა ქალაქი<sup>61</sup>.

რავადიანთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში სიძნელეს მხოლოდ ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობა არ ქმნიდა.

ყათრანის ყასიდებიდან ირკვევა, რომ რავადიანებს მტრული ურთიერთობა ჰქონდათ შადადიანებთან, მეზობელ არანს რომ მართავდნენ. აღსანიშნავია, რომ როგორც იმავე წყაროდან ირკვევა, ვაჰსუდან ბ. მამლანი თავრიზიდან განძაში ჩასულა შადადიან აბუ-ლ-ჰასან ალი-ლაშქარისთან. ეს ვიზიტი, რომელიც 1036—1041 წლებს

<sup>58</sup> არისტაკეს ლასტივერტცი, გვ. 75—76.

<sup>59</sup> იბ. ა. ქერავი, შაჰრარან-ი გუმ-ნამ, II, გვ. 83.

<sup>60</sup> ბიზანტიელი ისტორიკოსის სკილიცას ცნობით ეს იყო ვინმე ალიმი. მაგრამ, ესეც უცნობი პიროვნებაა. იბ. არისტაკეს ლასტივერტცი, მთარგმნელის შენიშვნა, გვ. 153.

<sup>61</sup> არისტაკეს ლასტივერტცი, გვ. 76.

შორის მოხდა, ა. ქესრავის აზრით, ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად<sup>62</sup>.

ვაჰსუდან ბ. მამლანი მულანის ფეოდალური სამფლობელოს — მცირე პოლიტიკური ერთეულის — წინააღმდეგაც იბრძოდა.

მულანი ქ. ბაილაკანის აღმოსავლეთით, არეზსა, მტკვარსა და კასპის ზღვას შორის მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა. ამ მხარეს IX ს-ში საკუთარი ამირა განაგებდა. ასევე იყო X საუკუნეშიც. მულანის მმართველის დამორჩილებისთვის ვაჰსუდანმა თავისი ვაჟი გაგზავნა. ყათრანი ქებას ასხამს უმცროსი რავადიანის ლაშქრობას და მის გამარჯვებას აღნიშნავს<sup>63</sup>. რა თქმა უნდა, ერთი ძლევამოსილი ლაშქრობით ორი საუკუნის განმავლობაში ნახევრადდამოუკიდებლად არსებული სამთავროს სრული დამორჩილება ვერ მოხერხდებოდა.

რავადიანებმა ვერც გოლთნის საამირო დაიმორჩილეს საბოლოოდ. ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ აბუ დულაფის შთამომავლებს შეუნარჩუნებიათ საკუთარი ფეოდალური სამფლობელო, მაგრამ არა გოლთანში, როგორც ადრე, არამედ ნახჭევნის მხარეში. ეს გადაადგილება გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ X ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან დაწყებული დვინი შადადიანთა ექსპანსიის ობიექტი გახდა.

ასადი თუსის, ყათრან თაბრიზის, ნიზამის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში — და სხვაგან არსად, როგორც ა. ქესრავი აღნიშნავს<sup>64</sup> — ვხვდებით ზოგიერთ ცნობას ნახჭევნის ფეოდალური სამფლობელოს ისტორიიდან.

X ს-ის დასასრულში დვინის და XI ს. 60-იან წლებში ნახჭევნის მფლობელებს წყაროები ორივეს აბუ დულაფის სახელით იხსენიებენ. ორივე არაბული წარმოშობისა იყვნენ. ა. ქესრავი პირველს მეორის პაპად მიიჩნევს; ასევე — მ. შარიფლი; ვ. მინორსკი ორივეს ერთსა და იმავე პიროვნებად თვლის<sup>65</sup>. ჩვენი შეხედულებით, ქრონოლოგიური სხვაობის გათვალისწინებით, უპირატესობა პირველი ორი მკვლევარის აზრს უნდა მივანიჭოთ.

62 ა. ქესრავი, იქვე, გვ. 86—87.

63 იქვე, გვ. 93—94.

64 იხ. ა. ქესრავი, იქვე, გვ. 105—109; მ. შარიფლი, დასახ. ნაშრ., გვ. 63—65.

65 ა. ქესრავი, იქვე; М. Шарифли, Нахичеваншахство, გვ. 32; V. Minorsky, Studies, გვ. 121.

ასადი თუხი აბუ დულადისადმი მიძღვნილ პოემაში გირ-შასტ ნამე მას შემდეგი პოეტური სახეებით ამკობს: „სამყაროს მხედარი, ირანელების ზურგი, მთვარე არაზების, შაიბანიანთა გვირგვინი; მეფე აბუ დულადი, ქვეყნის მმართველი, მპყრობელი დაირანისა, წმინდა სარწმუნოებით“<sup>66</sup> ჰიპერბოლებში ყურადღებას იპყრობს „მფლობელი დაირანისა“<sup>67</sup>. ა. ქესრავის და კ. ჩაიკინის აზრით, აქ ასადი აბუ დულადის, დედის მზრიდან, სომეხ არწრუნელებთან ნათესაობას უნდა გულისხმობდეს. არაბი მწერლები არწრუნელებს დაირანი-ს უწოდებდნენ<sup>68</sup>. ამ ნათესაობას, თუ ის ნამდვილად არსებობდა, დადებითი როლი უნდა ეთამაშა ნახქევნიან ფეოდალური სამფლობელოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში.

ყათრანის ყასიდებში შემონახული ისტორიული მასალიდან ირკვევა, რომ აბუ დულადი II ვაჰსუდან რავადიანის თანამედროვე ყოფილა. ჩვენთვის ის უფრო საყურადღებოა, რომ მათ შორის შეგობრული ურთიერთობა არსებობდა და განსაცდელის ქამს ერთმანეთისათვის დახმარება აღმოუჩენიათ<sup>69</sup>.

მცირე პოლიტიკური ერთეულების გამგებელნი ყოველმხრივ ცდილობდნენ არაფერში არ ჩამორჩენოდნენ თავიანთ სიუზერენებს. შეუწელებელი ყურადღება ექცეოდა სასახლის ცხოვრების მოწყობას თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად. კარის პოეტი

«سوار جهان پشت ایرانیان / مه تازیان تاج شیبانیان / ملک بودلف شهریار»  
 ემოწმებთ ა. ქესრავის დასახ. ნაშრომიდან, / زمین / جهاندار ایرانی پاک دین /  
 გვ. 109.

<sup>67</sup> და არა არაჟი „جهاندار ایرانی“ არანის მფლობელი“. როგორც წერს ე. ბერტელსი, იხ. მისი История, გვ. 250. სწორი კონიექტურა მინიშნებული ჰქონდათ უკვე ვ. როზენს და კ. ჩაიკინს (იხ. ქვემოთ, შენიშვ. 62). არანს შადადიანები ფლობდნენ ამ დროს.

<sup>68</sup> იზნ ჰალეალთან „იზნ ალ-დირანი“ ვასპურაკანის ნაწილის მეფეს აღნიშნავს. იზნ ალ-ასირთან გვხვდება ابن الدیرانی და حایق بن الدیرانی იაჰეე იაჰია. ანტიოქიელთან: ابن الدیرانی ვ. როზენის აზრით «...ал-Дірāни арабск. транскрипция имени Дереник, и со времен Гагика Великого, который был сыном Григория Дереника, название Ибн ал-Дірāни, т. е. сын ал-Дирани, утвердилось у арабов за династией васпураканской». В. Розен, Василий Болгаробойца, гв. 62, 373—374. შტრ. К. Чайкин, Асади старший и Асади младший, гв. 123; Хакани-Незами-Руставели, II, гв. 21—22.

<sup>69</sup> ა. ქესრავის დასახ. ნაშრ., გვ. 106.

კი აღნიშნული ცხოვრების აუტოლებელი ატრიბუტი იყო. გამონაკლისს არც ნახჭევანი წარმოადგენდა.

ისევე როგორც ყათრანი, აბუ დულაფის სასახლის კარზე ერთ დროს მოღვაწობდა ასადი თუსიცი. ფირდოუსის თანამემამულე. დუხპირ ცხოვრებას ხორასანიდან გამოქცეული პოეტი კარიდან კარზე ხეტიალის დროს ნახჭევანსაც ესტუმრა. აბუ დულაფის ვეზირის წინადადებით ასადი თუსიმ 1064—1066 წლებში დაწერა პოემა *გირშასფ-ნამე* და აბუ დულაფს მიუძღვნა<sup>70</sup>. როგორც ჩანს, ორივე მხარე (შემკვეთი და შემსრულებელი) კმაყოფილი დარჩენილა. ნიზამი „შვიდი მზეთუნახავის“ შესავალში აბუ დულაფს გულუხვობას უქებს ასადის დასაჩუქრებაში და უპირისპირებს მას მაჰმუდ ლაზნევის სიძუნწეს ფირდოუსის მიმართ.

თუ როდემდის დარჩა ასადი ნახჭევანში არ ვიცით. ცნობილია, რომ აქედან ის ანისში გადასულა მანუჩიპრ (მანუჩე) ბ. შავურის კარზე. ეს უკანასკნელი კი ანისის მფლობელად 1072 წლიდან ითვლება<sup>71</sup>.

არსებობდა თუ არა 1072 წელსაც ნახჭევანის საამირო? ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ რაც ალფ არსლანმა 1064 წ. დასაწყისში გაიარა ნახჭევანზე<sup>72</sup>, აბუ დულაფს შეუნარჩუნებია თავისი სამფლობელო — ასადიმ ხომ 458/1065—66 წ. დაამთავრა თავისი პოემა — მაგრამ, აშკარაა, რომ მცირე ხნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასადი თუსი რატომ მიატოვებდა კეთილისმყოფელ ნახჭევანს და ბედის საძიებლად ანისში რატომ გადავიდოდა. მით უმეტეს, რომ ამ დროს პოეტი უკვე მოხუცებული იყო.

ვაჰსუდან ბ. მამლანს მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მეფობა. მიუხედავად ამისა, მან შეძლო თავი გაერთმია ყველა სიძნელისათვის (ოლუზ-თურქთა შემოსევებიც საკმარისი იყო) და რავადიანთა სახელმწიფოს არსებობა შეუნარჩუნა.

ვაჰსუდანის მეფობაშივე თავრიზს თავს დაატყდა მძიმე კატასტროფა, რომელმაც ქალაქს დიდი ეკონომიური ზარალი მიაყენა. წყაროები გადმოგვცემენ, რომ 434/1042—43 წ. თავრიზში მომხდარ მიწისძვრას ქალაქი დიდად დაუზგრვეია. დაშლილა თავრიზის

70 აღსანიშნავია, რომ ისლამის ენციკლოპედიის ახალ გამოცემაშიც დატოვებულია ჰ. ეთეს (H. Elhé) შეხედულება ორი ასადის არსებობის შესახებ, იხ. H. Masse, *Asadi*, გვ. 685—686; შდრ. К. Чапкин, *Асади младший и Асади старший*.

71 H. Марр, *Аши*, გვ. 32; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

72 იხ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

ციტადელი და გალავანი, დანგრეულა სახლების და აბანოების უმრავლესობა, ნანგრევებს ქვეშ დაღუპულა 50 ათასი კაცი<sup>71</sup>.

საყურადღებოა, რომ 1047 წ. თავრიზში ჩასულ ნასირ-ი ხოსროუს ქალაქი უკვე აღდგენილი და მჭიდროდ დასახლებული დახვდა<sup>72</sup>. ეს ფაქტი რავადიანთა სახელმწიფოს ეკონომიური დონის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას.

ვაჰსუდან ბ. მამლანის მეფობის უკანასკნელი წლების შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. მაგრამ, რავადიანთა სახელმწიფოს უკანასკნელი პერიოდის ძირითადი მომენტების გათვალისწინება მაინც ხერხდება.

XI ს. 50-იანი წლებიდან თურქ-სელჩუკები ამიერკავკასიის დაპყრობას განსაკუთრებული ყურადღებით მოეციდნენ. საამისო პირობები უკვე შექმნილი იყო. თურქ-სელჩუკთა წარმატებანი ირანში (გაღამწყვეტი გამარჯვება დენდანაკანთან)<sup>75</sup>, ლაზნევიანთა და ბუვეიანთა სახელმწიფოების დაშლა, რაც თურქი ტომების მოძალების შემაკავებელი ჯებირის მოშლას ნიშნავდა, გზას უხსნიდა შუა აზიის თურქულ ტომებს დასავლეთისაკენ. XI ს. პირველი ნახევრის დასასრულისთვის ჩრდილოეთი ირანი და აზერბაიჯანი თურქ-სელჩუკთა ტომების დასავლეთისაკენ ლაშქრობების ძირითად პლაცდარმად იყო უკვე გადაქცეული. რ. ჰუსეინოვის აზრით კი აზერბაიჯანი XI ს. 40-იან წლებში უკვე იყო დაპყრობილი<sup>76</sup>.

446/1054 წ. თოღრულ-ბეგი პირადად ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიაში ლაშქრობას. აზერბაიჯანში პირველად იგი თავრიზში შევიდა. ვაჰსუდან ბ. მამლანი დიდი ძღვენით და საჩუქრებით ეახლა მას, მორჩილების ნიშნად ხუტბა მის სახელზე აღაკლინა და თავისი ვაჟი მძევლად გადასცა. იგივე ბედი გაიზიარა შადადიანმა მმართველმაც (იხ. ქვევით). „ასევე მოიქცნენ დანარჩენი მხარეების (მმართველებიც), გამოუცხადეს მას მორჩილება, წაიკითხეს (მის სახელზე) ხუტბა და გაუგზავნეს მას ლაშქარი. [სამაგიეროდ] მან (თოღრულ-ბეგმა) დაუტოვა მათ თავიანთი სამფლობელოები მძევლების სანაცვლოდ“<sup>77</sup>. ამის შემდეგ „როდესაც სპარსელების ყველა ოლქი დამორჩილდა სულთან რუქნ ალ-დინ თოღრულ-ბეგის ხელისუფლებას, მან პირი ებრუნა რუმის ოლქების-

73 ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, გვ. 72.

74 ნ ა ს ი რ-ი ხ ო ს რ ო უ, საფარ-ნამე, გვ. 8, რუს. თარგმ., გვ. 37.

75 იხ. Б. Заходер, Денданакан; მისივე, Хорасан, გვ. 119—141.

76 Р. Гусейнов, Сирийские источники, გვ. 108.

77 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, გვ. 117.

კენ<sup>78</sup>. მართლაც, თურქ-სელჩუკებმა მანაზჯერტი და არზან-ალ-რუმი დალაშქრეს<sup>79</sup>.

რავადიანთა სახელმწიფომ თუმცა სელჩუკების ვასალად აღიარა თავი, მაგრამ არსებობდა არ შეუწყვეტია. 450/1058—59 წ. თოღრულ-ბეგმა ვაჰსუდანის ადგილზე მისი ვაჟი, მამლან (მუჰამედ) ბ. ვაჰსუდანი დასვა. მუნაჯიმ-ბაშის ცნობით, ამის მიზეზი ვაჰსუდანის სიკვდილი ყოფილა<sup>80</sup>.

ყათრანის, რავადიანთა კარის პოეტის, ცნობათ ვაჰსუდანს კიდევ ორი ვაჟი ჰყოლია — აბუ-ლ-ჰაიჯა მანუჩიძი და აბუ-ღ-ყასიმ აბდალაჰი. ძმებში უფროსი მამლან ბ. ვაჰსუდანი იყო. გარდა ამისა, იგი მამის სიცოცხლეშივე მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში და, როგორც ჩანს, მამის შემდეგ ტახტი მას ერგო: ძმების შესახებ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის ყათრანი. მაგრამ მის ყასიდებში გაკვრით აღნიშნული ამბების კონკრეტული შინაარსის დადგენა უძრავია<sup>81</sup>. ირკვევა, რომ აბუ-ლ-ჰაიჯა მანუჩიძი ერთ დროს ხორაანში ყოფილა, შესაძლებელია, სწორედ ის იყოს თოღრულ-ბეგის მძევალი.

რავადიანთა სახელმწიფოში თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხასიათის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ოღუზ ტომთა თარეშით შეწყუბებული მამლან ბ. ვაჰსუდანი 454/1062 წ. ბაღდადში ჩასულა და თავისი გაჭირვება ხალიფასათვის შეუჩივლია. აღსანიშნავია, რომ მამლანი პირველი არ ყოფილა თავისი თხოვნით. ხალიფას დივანში ლუზთა რბევა-თარეშის შესახებ აზერბაიჯანიდან მრავალი წერილი ყოფილა შესული. „ხალიფამ წერილები — გადმოგცემს მუნაჯიმ-ბაში — თოღრულ-ბეგს გადაუგზავნა და სთხოვა აეკრძალა ოღუზთათვის ძარცვა-რბევა და ქვეყნის ნგრევა, მაგრამ მათ (ოღუზებს) არ შეუწყვეტიათ თავიანთი მოქმედება“<sup>82</sup>. ცხადია, მამლან ბ. ვაჰსუდანის ღონისძიება თავიდანვე განწირული იყო. პირიქით, შესაძლებელია, რომ მისი ჩივილი თოღრულ-ბეგის აზერბაიჯანში მორიგი ლაშქრობის ერთ-ერთი საბაბიც კი გახდა.

<sup>78</sup> ბ ა რ ჰ ე ბ რ ა ი, გვ. 72; ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 117.

<sup>79</sup> ვ რ ტ ლ ა ი. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თურქ-სელჩუკების შემოსევები და გაბატონება, გვ. 122—124; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო, გვ. 201—206.

<sup>80</sup> V. Minorsky. Studies, გვ. 168.

<sup>81</sup> ი ბ. ა. ქ ე ს რ ა ვ ი, შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, II, გვ. 98—104.

<sup>82</sup> ი ბ. ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 168—169.

1063 წ. თორღულ-ბეგმა ისევ დალაშქრა ამიერკავკასია. მან მძიმედ დახარკა მამლან ბ. ვაჰსლუდანი და „მას შემდეგ რაც აკრიფა დიდი რაოდენობის თანხა აზერბაიჯანიდან, არანიდან და არმენიიდან, და დახოცა თავისი მოწინააღმდეგენი ამ ქვეყნებში, იგადაბრუნდა სახლში“<sup>83</sup>.

ამის შემდეგ რავადიანთაგან რაიმე ურჩობა ნაკლებად მოსალოდნელია. პირიქით, ირკვევა, რომ თავრიზი ამ დროს უკვე სელჩუკთა იმპერიაში შემავალი რიგითი ქალაქია, სადაც სულთან თორღულ-ბეგი (1038—1063) ხალიფას ქალიშვილზე დასაქორწინებლად ემზადებოდა<sup>84</sup>.

ერთიანი და ძლიერი „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფო ალფ არსლანის სულთნობაში შეიქმნა. სელჩუკთა მიერ დაპყრობილი უზარმაზარი ტერიტორიები ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანდა, ხოლო ალფ არსლანის ხშირი და ძლივეამოსილი ლაშქრობები ამ ერთიანობას მტკიცე საფუძველს უქმნიდა. თურქ-სელჩუკთა ბატონობის მთელი სიმძიმე ამიერკავკასიამაც ალფ არსლანის სულთნობაში განიცადა.

1064 წ. ალფ არსლანი ნიზამ ალ-მულქთან და მალიქ-შაჰთან ერთად ამიერკავკასიისკენ დაიძრა. გაზაფხულის პირს იგი მარანდში იყო. აქ მას ეახლა თურქმანთა ერთ-ერთი ტომის ამირა თულთეგინი და მეგზურობა შესთავაზა რადგანაც იგი „დიდი ხნის განმავლობაში თავისი მიმდევრებით ებრძოდა რუმელებს და ამიტომ კარგად იცნობდა იმ მხარეს“<sup>85</sup>. ალფ არსლანმა არეზი გადალახა და ნახქევანში შევიდა. აქ მასთან გამოცხადდა „ურიცხვი რაოდენობის ლაშქარი და მეფეები“<sup>86</sup>. მათ რიცხვში იქნებოდა, რაღა თქმა უნდა, მამლან ბ. ვაჰსლუდანიც. თურქ-სელჩუკთა ლაშქარი ორად გაიყო და ამიერკავკასიას შეესია<sup>87</sup>.

თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მამლან ბ. ვაჰსლუდანს ალფ არსლანთან, არ ვიცით საჭირო ცნობების უქონლობის გამო. ყო-

83 იხ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ. გვ. 169.

84 იხ. ზაჰირალ-დინ ნიშაბური, გვ. 21; ჰამდალაჰ ყაზვინი, თარხ-ი გუზიდა, გვ. 438, ინგლ. თარგმ., გვ. 95.

85 იბნალ-ასირი, გვ. 118.


86 იქვე.

87 იხ. ზაჰირალ-დინ ნიშაბური, გვ. 24; ჰუსაინი, გვ. 33—37; ჰამდალაჰ ყაზვინი, თარხ-ი გუზიდა, გვ. 441, ინგლ. თარგმ., გვ. 96; არისტაკეს ლასტივერტიცი, გვ. 128—129; ვარდან, გვ. 126—127; მატანე ქართლისა, გვ. 306—307.

ველ შემთხვევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მამლან ბ. ვაჰსუდან-მა ვერ გამონახა საერთო ენა სელჩუკებთან; მუნაჯიმ-ბაში გად-მოგვცემს: „მამლან ბ. ვაჰსუდან ალ-რაეადი აზერბაიჯანის მმარ-თველად 463/1070 წლამდე იყო. ამ წელს რუმში ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ალფ არსლანმა მამლანი და მისი შვილები დააპა-ტიმრა. ასე დამთავრდა რაეადიანთა მმართველობა აზერბაიჯანში. აზერბაიჯანში მათი მფლობელობა გაგრძელდა 90 წელიწადს თავ-რიზში — 118 წელიწადს“<sup>88</sup>.

ამრიგად, რაეადიანთა სახელმწიფომ დაასრულა თავისი არსე-ბობა. იგი მსგავსად მრავალი პოლიტიკური ერთეულისა თურქ-სელ-ჩუკთა იმპერიამ შთანთქა.

რ ა ე ა დ ი ა ნ ე ბ ი



<sup>88</sup> იხ. ე. მინორსკი, ღასახ. ნაშრ., გვ. 169.



შადადიანთა სახელმწიფოს ისტორია ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო ნაწილს შეადგენს X—XII საუკუნეების ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შადადიანთა სახელმწიფოს ძირითად ტერიტორიას არანი შეადგენდა. ამიტომ შადადიან მმართველს ხშირად „არანის მელობელს (პატრონს)“ უწოდებენ ხოლმე<sup>1</sup>. სახელმწიფო პოლიტიკური ცენტრი ქ. განძა იყო. თავისი ისტორიის დასაწყისში შადადიანები დგინს დაეუფლნენ მცირე ხნით. შემდეგ, XII ს-ში მათი ერთი შტო ანისში დამკვიდრდა და ყოფილი ანისის სამეფოს დედაქალაქში გააგრძელა დინასტიის ისტორია.

შადადიანთა სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა აქტიურ და ცხოველ მონაწილეობას ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. შადადიანებს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდათ როგორც მუსლიმანურ (შარვანის სამეფო, რავადიანთა სახელმწიფო, დარუბანდის საამირო), ასევე ქრისტიანულ სახელმწიფოებთან (საქართველო, სომხეთის სამეფოები, ნაწილობრივ ბიზანტიის იმპერია), ჩრდილოეთ კავკასიის ტომებთან, რუსებთან; და ბოლოს, როგორც ვ. მინორსკი აღნიშნავდა, ქურთი შადადიანები წარმოდგენდნენ ერთ-ერთ განსახიერებას იმ ხანმოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ირანული „ინტერლუდიის“ ეპოქისა, რომელიც არსებობდა პერიოდში არაბთა და თურქთა ბატონობას შორის<sup>2</sup>.

აღნიშნულის შემდეგ გასაგებია შადადიანთა სახელმწიფოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა და ის ინტერესი, რომელსაც იწვევს ეს ქურთული დინასტია ამიერკავკასიის სინამდვილეში.

შადადიანთა ქურთული დინასტიის ფუძემდებლად ითვლება მუჰამედ ბ. შადად ბ. ყურთაყი<sup>3</sup>.

აზერბაიჯანში საჯიანთა სახელმწიფოს დაშლით გამოწვეული პოლიტიკური ქაოსი კიდევ უფრო გაამწვავა მუსაფირიანთა სახელმწიფოს დასუსტებამ. მუსაფირიან სალარ მარზუბან ბ. მუჰამედის

<sup>1</sup> იხ. თარის აღ-ბაბ, § 15, 19, 24 და შედგომ: ს. 53 ბ

<sup>2</sup> V. Minorsky, Studies, გვ. 2.

<sup>3</sup> მუნჯაიმ-ბაშის გარდა შადადიანთა ქურთობას იბნ ალ-ასირიცი აღნიშნავს, შდრ. ვ. მინორსკი. იქვე გვ. 33—35. „ყურთაყ“-ის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. იქვე, გვ. 35, შენიშვ, 4; შდრ. „კურთაყი ვარმე. ესე არს სამოსელი მეორისა საჩინო, ჯაჰეთა გარეგან“. ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართულა, გვ. 397.

ბუვეიანთა ტყვეობაში ყოფნის დროს (948—953) ქვეყნის აშლ-  
ლობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. „აზერბაიჯანის სამეფო  
(მულქ) აიშალა და ყველა ტომმა და თანამოგვარეთა ჯგუფმა  
(ასაბიჯა) ქვეყნის ესა თუ ის ოლქი დაისაკუთრა. მუჰამედ იბნ  
შადადიც ასევე დამკვიდრდა ქალაქ დვინში (დაბილ), რომლის  
მოსახლეობა დამორჩილდა მას იმ პირობით, რომ იგი დაიცავდა  
მათ ქონებას და ოჯახებს დეილემელ და სხვა ყაჩაღებისა და შფო-  
თისთავთა (აჰლ ალ-შარრ ეა ალ-ჰასად) თავდასხმებისაგან. ამ-  
გვარად, მუჰამედ ბ. შადადმა თავისი ოჯახით, გვარით და მიმდევ-  
რებით დაიწყო დვინში მმართველობა 340/951—52 წ.“<sup>4</sup> მაგრამ  
მუჰამედ ბ. შადადმა დვინში ფეხი ვერ მოიკიდა.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი X საუკუნის განმავლობაში  
დვინისათვის ერთმანეთს ებრძოდა მრავალი დიდი თუ პატარა  
ფეოდალური ერთეულის მფლობელი და მმართველი. ამ ბრძოლას  
დვინის პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული  
მნიშვნელობა განაპირობებდა.

IV ს. 30-იან წლებში სომეხი არშაკიანი მეფის ხოსროვ II-ის  
(330—338) მიერ დაარსებული რეზიდენციიდან<sup>5</sup> დვინი დიდი მნიშ-  
ვნელობის პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრად გადაიქ-  
ცა. V ს-ის ბოლო მეოთხედში დვინი უკვე მარზპანთა სომხეთის დე-  
დაქალაქია. ამავე საუკუნიდან იგი სომხეთის კათალიკოსის სატახ-  
ტო ქალაქს წარმოადგენს. მომდევნო საუკუნეში დვინი დიდ ეკო-  
ნომიურ აღმავლობას განიცდის, ამასთანავე იგი მნიშვნელოვანი  
სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი ხდება, მტკიცე ვალავნით და ძლი-  
ერი ციხესიმაგრით<sup>6</sup>.

არაბთა შემოსევებისა და გაბატონების დროს, ქვეყნის აწე-  
წილი და მშფოთვარე პოლიტიკური ცხოვრების პირობებში დვინის  
სავაჭრო-ეკონომიური მნიშვნელობა სუსტდება. მაგრამ, VIII ს-ის  
დასაწყისიდან, როდესაც დვინი „არმინიის“ — არაბთა მიერ ამიერ-  
კავკასიის დაპყრობილი ნაწილისაგან შექმნილი ადმინისტრაციული  
ერთეული — არაბ მმართველთა რეზიდენცია ხდება, ქალაქის პო-  
ლიტიკური, ეკონომიური და სავაჭრო მნიშვნელობა ისევ იზრდება.  
არაბებმა დიდი აღმშენებლობა ჩაატარეს დვინში, გაამაგრეს იგი,  
დააარსეს „მთავრობის სახლი“, მეჩეთი, სახელმწიფო საპყრო-  
ბილე, ზარაფხანა, ამასთან დაკავშირებით, დვინში იზრდება მუს-

<sup>4</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 3.

<sup>5</sup> ასოლიკი, გვ. 44; შტრ. Ac. Шахназарян. Двин, გვ. 23.

<sup>6</sup> იხ. ა. შაქნაზარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 18—35.

ლიმან მცხოვრებთა რიცხვი; ის „თანდათან არაბული ქალაქის იერს იღებს“<sup>7</sup>.

ამიერკავკასიაში არაბთა ზელისუფლების დასუსტება დვინის მნიშვნელობას ამცირებს. VIII—IX სს-თა მიჯნაზე არაბ მმართველთა რეზიდენცია დვინიდან ბარდავში გადადის. ა. ტერ-ლევონდიანის აზრით IX ს-ის ბოლო მეოთხედამდე ორივე ქალაქი იყო ხალიფას ნაცვლის რეზიდენცია<sup>8</sup>.

სომეხ ბაგრატუნიანთა აღზევებით ნაკლებად ისარგებლა დვინმა. 886 წ. მეფედ აღიარებულმა აშოტ ბაგრატუნმა სამეფო ტახტი დვინში არ დაიდგა. ამ დროს დვინი უკვე არც ნაცვლის რეზიდენციაა.

პოლიტიკურ დაქვეითებას ეკონომიური დასუსტებაც მოჰყვა. ამას ხელი შეუწყო ორმა ძლიერმა მიწისძვრამ 863 და 893 წლებში. წიბმე შედეგი მოჰყვა მეორე მიწისძვრას. თუ პირველის დროს 12 ათასი კაცი დაღუპულა, 893 წ. მიწისძვრას 70 ათასი კაცი უმსხვერპლია<sup>9</sup>. დვინი იმდენად დაინგრა, რომ კათალიკოსმა ტახტი ზვარტნოცში (ეჩმიადინთან) გადაიტანა. მასვე გაჰყვა ქალაქის სომხური მოსახლეობის ზედა ფენების დიდი ნაწილიც.

ყოველივე ამის შემდეგ დვინს თუმცა მთლიანად არ დაუკარგავს თავისი ოდინდელი მნიშვნელობა, მაგრამ საყოველთაო ყურადღება მას აშკარად აკლდება. ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა ანისის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა დაწინაურებამ.

შექმნილ მდგომარეობაში დვინი დამოუკიდებელი საამიროს წარმოქმნის ტენდენციებს ანვითარებდა. ამასთანავე, ქალაქის დასაკუთრებას ცდილობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, დაწყებული ბიზანტიის იმპერიიდან აზერბაიჯანის დინასტიური მმართველებით დამთავრებულთ.

თითქმის მთელი X ს. განმავლობაში დვინს უპირატესად მართავდნენ საჯიანების და სალარიანების წარმომადგენლები და სხვა ამირები<sup>10</sup>.

<sup>7</sup> M. Canard, Dvin, გვ. 679.

<sup>8</sup> А. Тер-Гевондян, К вопросу о возникновении Двинского эмирата, გვ. 134.

<sup>9</sup> მოსე კალანკატვაცი, გვ. 272. ტექსტშია 120 ათასი, რაც გავიადებულად მიაჩნიათ; თომა არწრუნი, გვ. 184—185.

<sup>10</sup> იხ. ა. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 102—120; ა. ტერ-ლევონდიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 136—139; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 116—124.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დვინს, როგორც დასაყრდენ პუნქტს ჩრდილო-დასავლეთ ირანიდან დაძრული დეილემელებისა და ქურთული ტომებისათვის ამიერკავკასიისკენ ექსპანსიის საქმეში.

იუსუფის სიკვდილის (927 წ.) შემდეგ საჯიანთა გვარს სწრაფად შემოადნა ხელში საკუთარი სამფლობელო. ხალიფას უკვე აღარავინ ეკითხებოდა აზერბაიჯანში მმართველის დანიშვნას. იგი მხოლოდ აღიარებდა ირანული წარმოშობის დინასტიებას ხელისუფლებას, რომლებსაც მთელი საუკუნის განმავლობაში, უშუალოდ თურქ-სელჩუკთა შემოსევებამდე „გაშლილი ჰქონდათ თავისი დროშა“<sup>11</sup>.

X ს-ის დვინის პოლიტიკური ისტორიიდან მრავალი საკითხი გაურკვეველი რჩება. უცნობია რა დროიდან გაბატონდნენ მუსაფირიანები დვინში. აქ ხშირად იცვლება პოლიტიკური ხელისუფლება, ქალაქი ერთი მმართველიდან მეორის ხელში გადადის<sup>12</sup>.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დაისამ ბ. იბრაჰიმის ხელშიც ყოფილა დვინი. ცნობილია მისი სახელით დვინში მოჭრილი მონეტა 330/941—42 წლისა<sup>13</sup>. დაახლოებით ამავე დროს დაისამი გააძევა დვინიდან მარზუბან ბ. მუჰამედ მუსაფირიანმა. მაგრამ მარზუბანის ტყვეობაში დაისამმა ერთხელ კიდევ მოიპოვა ხელისუფლება აზერბაიჯანში და ისევ დაიბრუნა დვინი, რომელიც ორი ავანტიურისტის ფაღლ ბ. ჯაფარ ალ-ჰამდანის და იბრაჰიმ ალ-დაბის გამგებლობაში იყო. ამავე წლებში (როგორც აღნიშნული იყო, 340/51—52 წ.) დვინი ხელში ჩაიგდო მუჰამედ ბ. შადადმა.

საკუთარი ძალებით დაეუფლა მუჰამედ ბ. შადადი დვინს, თუ ვინმეს მხარდაჭერით და დახმარებით? ეს საინტერესო კითხვა უპასუხოდ რჩება საჭირო მასალის უქონლობის გამო. ასევე, ღიად რჩება საკითხი, დაკავშირებული იყო თუ არა პირველი შადადიანი რავადიანებთან ან დაისამ ბ. იბრაჰიმ ალ-ქურთთან.

მუჰამედ ბ. შადადს მალე მოუხდა დვინში საკუთარი ბატონობის დაცვა. მუსაფირიანი იბრაჰიმ ბ. მარზუბანი თავის ქრისტიან ვასალთან „დირმუსის“ მფლობელთან (საკიბ დირმუს, დირლუს)<sup>14</sup> ერთად თავს დაესხა დვინს. მუჰამედმა ქალაქის მოსახ-

11 ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

12 ას. შ ა ჰ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 29—30.

13 А. Быхов, Даисам и Ибрахим ал-Курдхи, გვ. 29—30.

14 ვ. მინორსკის აზრით აქ უნდა იგულისხმებოდეს ვიორც-ძორი, სომხეთის ერთ-ერთი ოლქი. იხ. ქვემოთ.

ლეობის მხარდაჭერით დაამარცხა მტერი და ღვინში ზეიმით დაბრუნდა<sup>15</sup>.

მუჰამედს ესმოდა, რომ მსგავსი შემოტევა მომავალშიც განმეორდებოდა. ღვინის თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად იგი „ქალაქის ხალხთან“ (აჰლ ალ-მალად) ერთად გალავნის გარეთ აშენებს ციხეს. მაგრამ შადადიანებმა მანაც ვერ გაუძლეს. სალარ იბრაჰიმ ბ. მარზუბანთან ნეორე პრძოლაში ისინი დაამარცხდნენ და ღვინი დატოვეს. უნდა აღინიშნოს, რომ მუსაფირიანთა ლაშქარში დეილემელები, ტარომელები და ქურთებიც შედიოდნენ. მაგრამ შადადიანთა მარცხი უმთავრესად ღვინის მოსახლეობის ლალატის შედეგი იყო

მალე დეილემელთა თვითნებობით შექუხებულმა ღვინელებმა ისევ მოიხმეს მუჰამედ ბ. შადადი. მანაც არ დააყოვნა და ვასპურაკანიდან ღვინს დაბრუნდა.

ღვინის მოსახლეობის მოქმედება ნიშანდობლივია და გასაგები ხდება არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით.

ღვინში შადადიანთა გაბატონებას ებრძვის ანისის სამეფოც, რომელიც X ს-ში აღმავლობას განიცდის და სომხური მიწა-წყლის გამაერთიანებლის როლში გამოდის. ღვინის დაპყრობა სურდა აშოტ III „მოწყალეს“ (953—977), როდესაც იგი 30 ათასიანი ლაშქრით ქალაქს მიადგა. გონებამახვილური ხერხით შადადიანებმა სომეხთა შაჰან-შაჰიც დაამარცხეს. აჰ-ს შემდეგ — აღნიშნავს წყარო — მუჰამედ ბ. შადადის მდგომარეობა განმტკიცდა მცირე ხნით<sup>16</sup>.

როგორც კი ტყვეობას თავი დააღწია, სალარ მარზუბან ბ. მუჰამედმა 343/954—55 წ. ღვინისკენ ლაშქარი დაძრა. ისევ ლალატის და შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად მუჰამედ ბ. შადადი დაამარცხდა და მთელი თავისი ოჯახით, მიმდევრებითურთ და ქონებით გავიდა ქალაქიდან, გადალახა მდ. არეზი და ვასპურაკანის მფლობელს (საჰიმ ასტურჯან) შეეკედლა.<sup>17</sup>

შადადიანთა ბატონობა ღვინში უდღეური გამოდგა. მათ ვერ გამოინახეს საერთო ენა ქალაქის მოსახლეობასთან, რომლის გარკვეული ნაწილი შადადიანებისადმი აშკარად მტრულად იყო განწყობილი; ამას თავისი საფუძველი ჰქონდა; ეთნიკურად, რელიგი-

15 ბაბ ფი-ლ-შადადია, § 4.

16 იქვე, § 5.

17 იქვე, § 6.

ურად და სოციალურ-ეკონომიურად კრელ ღვინის მოსახლეობას არც შეიძლებოდა ერთიანი ინტერესები ჰქონოდა და უმტკივნეულოდ შეეთვისებინა ქალაქის ხელისუფლების სათავეში მოქცეული ახალი პოლიტიკური ძალა. მაგრამ მთავარი მაინც გარეშე მტრის — განსაკუთრებით მუსაფირიანთა — შემოტევა იყო.

ასლადშექმნილი ვასპურაკანის სამეფო მტრულ ურთიერთობაში იყო ანისის სამეფოსთან და ამიტომაც ჰპოვეს იქ თავშესაფარი შადადიანებმა. ისინი ხომ ანისის სამეფოს მოწინააღმდეგენი იყვნენ.

ვასპურაკანიდან მუჰამედ ბ. შადადი დახმარებისათვის „რუმის მეფესთან“ (*მალიქ ალ-რუმ*) წავიდა; მაგრამ, იქიდან ხელმოცარული დაბრუნდა უკან. ამის შემდეგ იგი მალე (344/955—56 წ.) გარდაიცვალა კიდეც.

კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (944—959) დროს, 50-იანი წლების დასაწყისიდან ბიზანტიის იმპერია გარკვეულ წარმატებას აღწევს აღმოსავლეთის პოლიტიკაში. დაპყრობილ იქნა ქალაქები ადანა, მარაში, კარი (თეოდოსიოპოლი). მაგრამ, 953 წ. ბიზანტიის წინსვლა შეფერხდა (დაჰკარგეს მარაში), და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ განახლდა შემტევი ოპერაციები (958 წ. სამოსატას აღება)<sup>18</sup>.

ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიელები ვასპურაკანის მეზობლად მოქმედებდნენ და ადვილი შესაძლებელი იყო მუჰამედ ბ. შადადს დახმარებისათვის მიემართა ბიზანტიის იმპერატორის სახელით მოღვაწე რომელიმე მოხელისათვის, ან სარდლისათვის. მით უმეტეს, რომ იმპერიამ ერთხელ უკვე სცადა ღვინის დაპყრობა; (921 წ. იმპერატორ რომანოზ ლაკაპენოსის — 920-944 — დომესტიკოსის უშედეგო ლაშქრობა)<sup>19</sup>.

ასე, რომ მუჰამედ ბ. შადადის არჩევანი ღვინისათვის ბრძოლაში მხარდაჭერის მოსაპოვებლად პოლიტიკურად სწორი იყო და თუ გადადგმულ ნაბიჯს სასურველი შედეგი ვერ მოჰყვება, ამაში „ბრალი“, შესაძლებელია, ბიზანტიის იმპერიას დაედო.

ღვინის დაკარგვით და მუჰამედ ბ. შადადის სიკვდილით შადადიანთა მდგომარეობა გართულდა. თავშესაფრას ძებნაში მათ კა-

<sup>18</sup> ასოლიკი, გვ. 124. [История Византии, II, гв. 208; ვ. შინო რსკიო დასახ. ნაშრ., გვ. 37.

<sup>19</sup> ასოლიკი, გვ. 116—117.

რიდან კარზე მოუსდათ ხეტიალი. 344/955—56 წ. მეჰამედის სამ ვაჟთაგან „უფროსმა ალ-ლაშქარიმ დაიკავა მამის ადგილი ტომის საქმეებში. ამავე წელს იგი წავიდა დირზურ-ის მფლობელთან და დარჩა მასთან დიდ ხანს, 354/965 წლამდე“<sup>20</sup>.

შადადიანთა ადგილგადანაცვლებას ვარდანიც ადასტურებს. სომეხი ისტორიკოსი აღნიშნავს, — თუმცა, ქრონოლოგიურად არასწორად — რომ ფარისოსის ოლქში, დიდებულ იშხან გრიგოლ მაგისტროსთან სპარსეთიდან მისულა ვილაც ქალი თავის სამ ვაჟთან ერთად. „ვაჟებმა — განაგრძობს ვარდანი — გრიგოლს მძევლად ჩააბარეს თავისი დედა და მიიღეს შოთქი და ციხე შამირამი“<sup>21</sup>.

მუნაჯიმ ბაშის ანონიმთან დამოწმებული გეოგრაფიული სახელის (დირმუს, დირლუს, დირზურ) გაშიფვრა და ლოკალიზება რთული ამოცანაა. იგი სწორად უნდა იყოს ამოხსნილი ვ. მინორსკის მიერ, რომელიც სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ადგენს, რომ აღნიშნული გეოგრაფიული სახელი ვაიოც-ძორს შეესაბამება<sup>22</sup>.

ირკვევა, რომ ვაეძორის მთავარსაც თვალი ეკირა დეინზე, რომელიც ამ ოლქისაგან ერთი მდინარით იყო გამოყოფილი. ამიტომ იყო, რომ ვაეძორის მთავარიც მონაწილეობდა მუსაფირიან იბრაჰიმ ბ. მარზუბანის იმ ლაშქარში, რომელიც დვანს ებრძოდა (იხ. ზემოთ, გვ. 56).

ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ ვაეძორის მთავარსა და შადადიანებს შორის, როგორც ჩანს მტრობას არ გაუდგამს ფესვები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაეძორის მთავარი არ შეიკედლებდა ლტოლვილ შადადიანებს<sup>23</sup>. ისიც უნდა ითქვას, რომ მორჩილი შადადიანები, მათი მომხრე ქურთული ტომებით, ხელსაყრელ ძალას წარმოადგენდნენ მომავლისათვის.

ყველაფერი ეს იმ შემთხვევაში, თუ მუნაჯიმ-ბაშის ანონიმის დირზურის მფლობელი და ვარდანის ფარისოსის იშხანი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ვარდანის ცნობა იმითაც არის მნიშვნელოვანი რომ, როგორც აქედან ირკვევა, დირზური რამდენადმე ფარისოსს შეესაბამება.

20 ბაბ ფი-ლ-შადადიანა, § 7.

21 ვარდანი, გვ. 125.

22 ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 36. შდრ. „პატრიანე ქართლისას“ (გვ. 262.) ვაეძორი.

23 ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

ფარისოსი იშვიათად მოიხსენიება სომხურ ლიტერატურაში და ამდენად მისი ლოკალიზაცია გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. გამოსავალი ასოლოგის „ისტორიაში“ უნდა ვპოვოთ. იგი გადმოგვცემს: „ამ დროს — 452/1003 წელს — ფარისოსის მმართველების გვარი, ჰაიკის ტომისაგან წარმომდგარი და სენაქერემსა და გრიგოლამდე არსებული, შეწყდა (ამ უკანასკნელთა) სიკვდილით...“<sup>24</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ჰაიკის გვარის წარმომადგენელმა ვასაკმა IX ს-ში განაახლა იმ დინასტიის არსებობა რომელსაც ეკუთვნოდნენ სენაქერემი და გრიგოლიც, და რომელიც ფლობდა სივნიეთს.

X ს. დასაწყისში საგვარეულო სამფლობელო ორად გაიყო. დასავლეთ ნაწილში შევიდა ვაეძორი და შაჰაპუნჩი (ანუ სისაკანი)<sup>25</sup>, აღმოსავლეთ ნაწილში — მდ. აკერას ქვემო წელზე მდებარე ბაღქი. სავარაუდოა, რომ ორივე სამთავრო მუსაფირიან მარზუბანის ვასალი იყო, თუმცა იბნ ჰაუკალის სიაში მხოლოდ ვაეძორის მფლობელაა დასახელებული, რომელსაც 50 ათასი დინარის და ძღვნის გადახდა ევალებოდა (იხ. ზევით, გვ. 21—22).

ამდენად, შესაძლებელია, რომ მუნაჯიმ-ბაშის ანონიმთან დამოწმებული დირზური შეესაბამებოდეს ვარდანის ფარისოსს. როგორც ირკვევა, ფარისოსის მფლობელები არ ეკუთვნოდნენ ვასაკიანთა ძირითად შტოს. ეს გვარი მრავალ განშტოებად და სახლად იყო გაყოფილი<sup>26</sup>. მინორსკის აზრით, შადადიანები ემსახურებოდნენ ვასაკიანთა არა ძირითად შტოს, არამედ დასავლეთ სივნიეთის ლოკალურ მმართველებს, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ არაბული წყაროს საერთო ტერმინის ვაიზური-ს ქვეშ<sup>27</sup>.

ფარისოსის მთავრისაგან სამსახურის სანაცვლოდ მიღებული შადადიანთა სამფლობელოს დადგენა მიახლოებით ხერხდება. შოთქი სავარაუდოა, რომ არის სოტკი, სივნიეთის ერთ-ერთი ოლქი, სევანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე. ეს მხარე გელამის (გელაქუნის) ლოკალურ მფლობელებს უკავშირდებოდა და სივნიეთის ჰაიკიანთა გვარის საკუთრებას წარმოადგენდა. გელამი

24 ა ს ო ლ ი კ ი, გვ. 205.

25 სისაკანში იყო ამავე სახელწოდების ციხესიმაგრე, სადაც მუსაფირიანი მუჰამედ ბ. მუსაფირი გამოკეტა საკუთარმა ვაჟმა ვასჰუდანმა, როდესაც მისი მეორე ვაჟი მარზუბანი ტყვედ იყო 949—952 წლებში. „სისაკანსა და დაბილს შორის 16 ფარსახია“, — ჯაყუთი, გვ. 65.

26 ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 170—174.

27 ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.



განძის მოკიდებული მხარე იყო და ამას მნიშვნელობა ჰქონდა შადადიანთა მომავალი ექსპანსიისათვის, რომელიც სწორედ განძის შიმართულებით წარიმართა. სავარაუდოა, რომ აქვე გაიდგა ფესვები იმ წინააღმდეგობამ, რომელმაც შემდეგ მძლავრად იჩინა თავი შადადიანებსა და ბაგრატუნიანებს შორის ურთიერთობაში.

ფარისოსში შადადიანები ათი წელი იყვნენ. 354/965 წ. უმცროსი შადადიანი ფადლი (ფადლ) დიარბაქრის მფლობელის, ჰამდანიანთა დინასტიის ალექოს შტოს ვასალის სამსახურში გადავიდა. დიარბაქრში მხოლოდ ორი წელი დაყო ფადლმა; ახალი პატრონის გარდაცვალების შემდეგ ის ისევ ძმებთან დაბრუნდა<sup>28</sup>.

მაგრამ, ფადლ ბ. მუჰამედი არც ამჯერად დარჩა დიდხანს ფარისოსში. მიუხედავად ძმების წინააღმდეგობისა, მან „გადაწყვიტა შეერთებოდა „მონაპირე მფლობელებს“ (ასჰაბ ალ-ატრაფ) და ფიცი დადო, რომ არ იმსახურებდა წარმართებთან და იცხოვრებდა მხოლოდ ისლამის ქვეყნებში. ის თავის ხალხთან ერთად გაემართა სალარ იბრაჰიმ ბ. მარზუბანის დედაქალაქისკენ [არდებილი]“<sup>29</sup>. გზაზე ის თავისი კაცებით (სავად), მსახურებით (დულამ) და იმ მომხრეებით (ასჰაბ) მას რომ შეუერთდნენ ქ. განძის კართან დაბანაკდა<sup>30</sup>.

განძის სალარ იბრაჰიმის „ნაცვალი“ ალი ალ-თაზი მართავდა. მან პატივით მიიღო ფადლი და შესთავაზა, რომ თავისი უფროსის ნებართვით იგი დაუნიშნავდა მას გასამრჯელოს ქალაქის კარის შემოსავლიდან იმ პირობით, თუ ის დაიცავდა განძის ქურდების, ავაზაკების (ალ-ლუსუს ვა აჰლ-ალ-ჰასად) ბოროტებისაგან და განსაკუთრებით სიავორდელთა<sup>31</sup> თავდასხმებისაგან<sup>32</sup>.

ფადლს მალე მიეცა შემთხვევა პირობის შესასრულებლად. მან წარმატებით მოიგვრია სიავორდელთა და მათთან გაერთიან-

<sup>28</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 7; V. Minorsky, Studies, გვ. 26.

<sup>29</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 7.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> სიავორდელები (Μισορῆς, Σαβῆρτοι ἀσφαλοὶ) უნგრელებად მიაჩნიათ, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლდნენ ამიერკავკასიაში. მოგვიანებით ისინი გასომხდნენ. მოსახლეობდნენ განძა-თბილისის გზის გასწვრივ, შამქორის რაიონში. იხ. მ ი ნ ო რ ს კ ი, იქვე, გვ. 26, 75—76; შდრ., ა ს ო ლ ი კ ი, გვ. 125.

<sup>32</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 7.

ნებული ალ-სრიჰა-დ<sup>33</sup> წოდებული ხალხის თავდასმა განძაზე. მოგებულმა ბრძოლამ დიდად გაზარდა ფადლის ავტორიტეტი და პატივისცემა ქალაქის მოსახლეობის თვალში.

მუნაჯიმ-ბაშის ანონიმის მიხედვით ფადლი არც განძაში აპირებდა დარჩენას. როდესაც 359/969—70 წ. მან დააპირა განძიდან წასვლა მას წინ აღუდგნენ „განძის თავები“ (რუ'ასა' ჯანზა) — რაისები. „ნუ მოიქცევი წინდაუხედავად, ამირავ — მიმართეს მათ ფადლს — დარჩი აქ და კაცი გაუგზავნე შენს ძმას ალ-ლაშქარის, რომ ჩაიბაროს ეს ქალაქი და იკმაროს ურწმუნოებთან სამსახური, მაშინ ჩვენ ალაჰისა და თქვენი შემწეობით დაცული ვიქნებოდით ამ ყაჩაღებისა და შფოთისთავთა ზიანისაგან“<sup>34</sup>.

იგივე წყარო გადმოგვცემს, რომ თითქოს, ალ-ლაშქარი ბ. მუჰამედი დაუყოვნებლივ არ დათანხმებულა ძმის წინადადებას: „ჩვენ ოცი წელი დავეხეტებით ქვეყანაზე და არც ერთმა ადგილმა არ შეგვიფარა. ახლა ჩვენი მცირე ჯგუფით რომ ამ ქალაქში (განძაში) შევიდეთ მისი მფლობელი ადვილად დაგვაპარცხებს. ჩვენ უკვე მივიღეთ გაკვეთილი და რაც გადაგვხდა საკმარისია“<sup>35</sup>.

ჩვენ განზრახ შევჩერდით ასე დაწვრილებით შადადიანთა ისტორიის განძამდელ პერიოდზე. იგი კარგად ახასიათებს არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და მიგვანიშნებს პოლიტიკური ძალების მიგრაციის ფორმასა და შინაარსზე.

რა თქმა უნდა, ალ-ლაშქარ ბ. მუჰამედის აზრი განძაში გაბატონებაზე სინამდვილეს ძნელად თუ ასახავს. ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ვარდანის ცნობა: „...ისინი (შადადიანები) დაუნათესავდნენ განძის ამირა ალ-აზიზს (იგივე ალი ალ-თაზი), შემდეგ მოკლეს იგი, აიღეს განძა და დაეუფლნენ მას“<sup>36</sup>.

შადადიანების განძაში გაბატონებას ხელი შეუწყო ქალაქის რთულმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ. ირკვევა, რომ მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს განძაში მუსაფირიანთა ხელდასმულ მმართველსა და ქალაქის არისტოკრატებს შორის. როგორც ჩანს, განძის მოსახლეობის მაღალი სოციალური

<sup>33</sup> შესაძლებელია სარირი (السريري „ალ-სარირიჰა“). დაღესტანში მცხოვრები ხალხი.

<sup>34</sup> ბაბ ფი-ლ-შადდადიია, § 7.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 125.

ფენები ველარ ეგუებიან მუსაფირიანთა ბატონობას და ახალი ძალის დახმარებით ვარაუდობენ სასურველი პოლიტიკური რეკიშის დამყარებას განძაში.

წყარო გადმოგვცემს, რომ შედგა მოლაპარაკება განძის მოსახლეობასა და შადადიანებს შორის. საქმის მოთავე და ხელმძღვანელი ქალაქის ცნობილი რაისი, აბრეშუმით მოვარე იუსუფ ალ-ყაზაზი იყო, რომელიც თავისი მომხრეებით აქტიურ როლს თამაშობს განძის საქალაქო ცხოვრებაში.

იუსუფ ალ-ყაზაზის როლი განძაში მომხდარ პოლიტიკურ გადატრიალებაში აშკარად მოწმობს საქალაქო არისტოკრატიის ძალასა და გავლენას განძის საქალაქო ცხოვრებაში.

შემუშავებული გეგმის მიხედვით, როგორც კი შადადიანები განძას მიაღებოდნენ, იუსუფ ალ-ყაზაზი და მისი მიმდევრები გააღებდნენ ქალაქის კარს, დააპატიმრებდნენ ქალაქის ვალს და გადასცემდნენ განძას შადადიანებს. ასეც მოხდა. რაისმა იუსუფ ალ-ყაზაზმა მოუწოდა ქალაქის ფითიანებს. მათაც არ დააყოვნეს, აისხეს იარაღი, მიაღწენ მმართველის სახლს, შეიპყრეს. იგი და განძა ალ-ლაშქარი ბ. მუჰამედ შადადიანს გადასცეს. ეს მოხდა 360/971 წ.<sup>37</sup>

განძის საქალაქო ცხოვრების შინაარსი კიდევ უფრო საინტერესო ხდება ქალაქში მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში ფითიანების მონაწილეობით.

VIII საუკუნეში წარმოშობილი ამ ტერმინის<sup>38</sup> ზოგადი, და განსაკუთრებით სოციალური შინაარსი, მეტად საინტერესოს ხდის აღმოსავლეთის საქალაქო ცხოვრებას და საერთოდ სოციალურ მოძრაობებს, რადგანაც მათში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ფართო და ცხოველმყოფელ მონაწილეობას იღებდნენ ფითიანები.

ჯერ კიდევ საკმარისი სისრულით შესწავლილი არ არის ფითიანთა ინსტიტუტის ყველაზე საინტერესო — სოციალური მხარე<sup>39</sup>. ამის გამო ძნელდება აღმოსავლეთის ქალაქებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის შინაარსის, მებრძოლი ძალების შემადგენლობის და მათი მიზნების გამოკვეთა.

<sup>37</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 8.

<sup>38</sup> არაბ. მხ. რ. قتيان მრ. რ. قتيان

<sup>39</sup> Cf. Cahen, Futuwwa, გვ. 961.

ფითიანების ბრძოლისუნარიანობას, რაინდულ შემართებას, ურთაურთმეგობრობას და გამტანობას ხშირად იყენებდნენ სამოქალაქო ომებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალები. განძის მაგალითზე ძალზე საინტერესოა ის, რომ ფითიანები ვაჭართა წრიდან გამოსულ რაისთან არიან დაკავშირებული და მასთან ერთად იბრძვიან ქალაქში პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლისათვის. ამ ფაქტს ფითიანთა სოციალური შინაარსის და პოლიტიკური მოღვაწეობის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. მით უმეტეს, რომ, როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, „ჩანს „ფითიანები“ ეკუთვნოდნენ ქალაქის იმ საზოგადოებრივ ფენას, რომელიც უპირატესად საშუალო ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან შედგებოდა; უფრო გვიან კი „ფითიანი“ შეიძლებოდა ყოფილიყო ფეოდალიც, ვაჭარიც და ხელოსანიც“<sup>40</sup>.

საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ, თუ მხოლოდ დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ განძის ფითიანები ქალაქში ხელისუფლებისათვის ბრძოლაში? სამწუხაროდ, ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხის გადასაჭრელად წყარო არაერთარ ცნობებს არ გვაძლევს.

განძის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო მუსაფირიანებისათვის, 361/971—72 წ. იბრაჰიმ ბ. მარზუბანმა გაილაშქრა ქალაქზე, მაგრამ შადადიანები განძიდან ვერ განდევნა, მათთან ზავის დადებით დაკმაყოფილდა და არდებილში გაბრუნდა<sup>41</sup>.

ასე დამკვიდრდა შადადიანთა დინასტია განძაში. აქვე წარიმართა მათი ისტორიის ძირითადი ნაწილიც.

ეკონომიური აღმავლობის გზაზე მდგარი, დიდი პოლიტიკური ცენტრის — განძის ხელში ჩაგდება შადადიანებს არანში ბატონობის კარგ პირობებს უქმნიდა.

განძის დაარსების შესახებ წყაროები სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან. მათი ერთი რიგი ქალაქის დაარსებას IX საუკუნეში, შარვინშაჰების იაზიდიანთა დინასტიის დამარსებელს, მუჰამედ ბ. ხალიდს მიაწერს<sup>42</sup>. სხვა წყაროები ქალაქის დაარსების თარი-

40 ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები, გვ. 34.

41 ბაბ ფი-ლ-შადდადიია, § 8.

42 თარის ალ-ბაბი (§ 5) დაარსების თარიღად 245/859 წელს აღნიშნავს.

შდრ. მოსე კალანკატვაცი, გვ. 270; 837 წლის შემდეგ. იხ. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 82; В. Бартольд, Гянджа, გვ. 405; Barthold — [J. Boyle], Gandja, გვ. 975.

ლად V—VI სს. ასახელებენ<sup>43</sup>. არქეოლოგიური შესწავლით განძის ადგილზე დასახლების არსებობა უძველესი დროიდან დასტურდება. უკანასკნელი გამოკვლევების საფუძველზე განძის დაარსების თარიღად V ს. მიიჩნიათ, VIII საუკუნეში კი აქ 40 ათას მცხოვრებს ვარაუდობენ<sup>44</sup>.

ყოველ შემთხვევაში, X ს-დან მოყოლებული განძის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. ასე გაგრძელდა XIII ს. 30-იან წლებამდე; 1235 წ. განძა მონღოლებმა გადასწვეს.

შადადიანებმა კარგად გაართვეს თავი საკუთარი სახელმწიფოს სტაბილიზაციის ამოცანას და წარმატებით შეუდგნენ სამფლობელოს გაფართოებას. მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი აღნიშნავს, რომ ალ-ლაშქარი ბ. მუჰამედმა „ბოლო მოულო ავაზაკთა (ალ-მუჰასსიდინ) ბოროტებას, განდევნა დეილემელები თავის ქვეყნიდან და ხალხმა მოისვენა... (ალ-ლაშქარის) საქმეები განმტკიცდა. იგი განავრძობდა თავისი სამფლობელოს გაფართოებას ყოველდღიურად. ვიდრე არ დაეუფლა არანს მთლიანად და სომხეთის (ზოგიერთ) ნაწილს“<sup>45</sup>.

ვარდანიც ადასტურებს, რომ შადადიანებს ფადლ ბ. მუჰამედის გამეფებამდე დაუპყრიათ ბარდავი და შამქორი<sup>46</sup>.

შადადიანთა ფეოდალური სახელმწიფოს მმართველთა შორის ენერგიულობით და სახელმწიფოს გაფართოება-განმტკიცებისათვის დაუცხრომელი ბრძოლით გამოირჩევა ფადლ ბ. მუჰამედი (985—1031), მდიდარი ბიოგრაფიისა და პირადი მამაცობით ცნობილი პიროვნება. ა ქესრავის აზრით, შესაძლებელია, რომ იგი შადადიანთა სახელმწიფოს მეორე ფუძემდებლადაც კი ჩაითვალოს<sup>47</sup>. ფადლი (ქართული წყაროებით—ფადლონი) განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქრისტიან მეზობლებთან მედგარი ბრძოლით. შესაძლებელია ფადლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ჰამლანიანების კარზე, ბიზანტიის იმპერიასთან ბრძოლის ატმოსფეროში სამსახურმა<sup>48</sup>.

<sup>43</sup> ჰამდალაჰ ყაზვინი, ნუზათ ალ-ყულუბ, გვ. 91—VI ს-ში; მირხოზ დი—V ს-ში.

<sup>44</sup> იხ. М. Альтман, Исторический очерк города Ганджи, გვ. 11—17; И. Джафар-заде, Историко-археологический очерк Старой Гаанджи, გვ. 45; А. Галустян, Кировабад, გვ. 291.

<sup>45</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 8.

<sup>46</sup> ვარდანო, გვ. 125.

<sup>47</sup> ა. ქესრავი, შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, III, გვ. 12.

<sup>48</sup> V. Minorsky, Studies, გვ. 40.

როდესაც ალ-ლაშქარი ბ. მუჰამედის გარდაცვალების (978 წ.) შემდეგ, ტახტზე ასული საშუალო ძმის მარზუბან ბ. მუჰამედის მეფობაში (978—985) თავი იჩინა შინაგანმა შუღლმა და არეულობამ, რაც გამოწვეული იყო მარზუბანის „ნაკლები გონიერებით და ზმართველობის უვარგისობით“<sup>49</sup>, უმცროსმა ძმამ ფადლ ბ. მუჰამედმა ნადირობის დროს საკუთარი ხელით მოკლა მარზუბანი და სამეფოს დაეპატრონა<sup>50</sup>.

ტახტზე ასული ფადლ ბ. მუჰამედი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა სამფლობელოს გაფართოებას. 994 წ. მან ქ. ბაილაკანი და ბარდავი დაიპყრო<sup>51</sup>.

ფარისოსის მმართველის გრიგოლ მაგისტროსის შეილთან, ფილიპესთან ფადლმა ჯერ მეგობრობა გააბა. მაგრამ გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ შეიპყრო ის, ბორკილები დაადო და „წაართვა“ შაშუაში (ვარ. შალუაშ) და შოთქი<sup>52</sup>.

უკანასკნელის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, რაც შეეხება პირველს მოსე კალანკატვაცი სივნიეთში ასახელებს ქ. შალათს<sup>53</sup> (შდრ. ვარდანთან ვარ.), რომელიც ვასაკს, სივნიეთის მფლობელს ეკუთვნოდა. ირკვევა, რომ ფადლს სივნიეთისაკენ, თავის ამასწინანდელი პატრონის სამფლობელოსკენ მიუმართავს მახვილი.

ასევე მუხანათურად მოკლა ფადლმა გაგიკ ჰამამასქე და მის მიწა-წყალს დაეპატრონა. „ამგვარად გაძლიერებული, იგი დაეუფლა ხაჩენს, გოროზს, სევ-ორდიქს და დაუწყო ბრძოლა გაგიკს, ძორო-გეთის მეფეს კვირიკეს აღვანქის მეფეს და ბაგრატს ივერთა მეფეს და არ აძლევდა მათ მოსვენებას“<sup>54</sup>.

გაგიკ ჰამამასქის პიროვნების დადგენა ვერ მოხერხდა. მაგრამ ვიციით, რომ სახელი ჰამამა ცნობილი იყო ალბანეთის მეფეებს შორის<sup>55</sup>. ხაჩენი პატარა სამთავრო იყო (მას ეწოდებოდა აგრეთვე არცახი), რომელიც მდ. ხაჩენაჯურის (ახლა ხაჩენ-ჩაი) და ნაწილობრივ მდ. ტერიტერიის ხეობებს მოიცავდა და ძველი ალბანეთის

49 ბაბ ფი-ლ-შადდაღია, § 9.

50 იქვე, § 9—10.

51 იქვე, § 10.

52 ვარდანო, გვ. 125.

53 მოსე კალანკატვაცი, გვ. 267.

54 ვარდანო, გვ. 125—126.

55 მოსე კალანკატვაცი, გვ. 273—274; ვ. მინორსკი, დასახ.

ნაშრ., გვ. 40.

ნაწილს შეადგენდა<sup>56</sup>. გოროზი (ახლანდელი გორისი) ასევე პატარა სამთავროს წარმოადგენდა და ცნობილი იყო იმავე სახელწოდების ციხესიმაგრით. იგი მდებარეობდა ქ. ბაილაკანის ჩრდილო-დასავლეთით, ზაჩენის მეზობლად, X ს. მეორე ნახევარში ცნობილი იყო გოროზის მთავარი ვაჩაგანი<sup>57</sup>.

როგორც ირკვევა, ორივე წყაროს (ვარდანი და მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი) ცნობები ფაქტობრივად მუჰამედის დაპყრობების შესახებ ემთხვევა ერთმანეთს. აღნიშნული მიწები ბარდავსა და ბაილაკანს შორის, უფრო სწორად, ამ მიმართულებით მტკვარსა და არეზს შორის მდებარეობდა.

ექსპანსიური პოლიტიკა გარდაუვალს ხდიდა შადადიანთა ჯეოდალური სახელმწიფოს შეტაკებას მეზობელ ქრისტიანულ სამეფოებთან. უნდა გვახსოვდეს, რომ შადადიანთა აღზევება დაემთხვა სომეხი ბაგრატიონების აღორძინებას<sup>58</sup>. ამავე დროიდან (X ს. დასასრული) გამოდის ამიერკავკასიის პოლიტიკური ასპარეზზე გაერთიანების გზაზე დამდგარი საქართველოც. პოლიტიკურ ასპექტში სამივესათვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ახალი, ან ტრადიციით „კუთვნილი“ მიწა-წყლისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლის შედეგებს ჩვენ გზადაგზა შეეცხებით შესაბამის ადგილებზე.

როგორც აღვნიშნეთ, ტაშირ-ძორაგეთის მეფეები ალბანთა მეფის წოდებას ატარებდნენ. უკვე ეს ტიტული ამჟღავნებდა მათ პოლიტიკური ზრახვებს, რომლებიც შადადიანთა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს ეჭახებოდა. ფაქტიურად, ალბანეთის ძირითადი ტერიტორია განძიდან აღმოსავლეთით, ბარდავის მიმართულებით იყო გადაშლილი. ტაშირის მეფეები კი ძირითადად ალბანეთის დასავლეთ ოლქებს ფლობდნენ და ამდენად, ისინი მიზნად ისახავდნენ აღმოსავლეთით მდებარე ალბანეთის მიწების დაპყრობას. ძორაგეთის მეფე კვირიკე, რომელსაც ვარდანის ცნობით ებრძვის ფაქტობრივად მუჰამედი, უნდა იყოს გურგენი (978—989), რადგანაც მას ზოგჯერ კვირიკესაც უწოდებენ. გურგენის შემდეგ სამეფოს მართავდა დავით I „უმეწაფელო“ (989—1048).

რაც შეეხება გავიკ ძორაგეთის მეფეს, მისი ვინაობა ჩვენთვის გაურკვეველია. შესაძლებელია იგი ერთი ლოკალური, პატარა

56 И. Орбели, Асан Джалал князь хаченский, გვ. 146.

57 მოსე კალანკატვაცი, გვ. 268; თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 190, 208, 209.

58 ვ. შინორსკი, იქვე, გვ. 41.

მფლობელი იყო, რომელიც ჯერ არ შეეერთებინა რომელიმე მეზობელ სამეფოს. ვ. მინორსკის აზრით, აქ ფაქტების ანაქრონიზმთან და აღრევასთან უნდა გვექონდეს საქმე, რაც ასე ხშირია სომხურ წყაროებში<sup>59</sup>.

შადადიანთა სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოსთან ცალკე გვაქვს განხილული და ამდენად ამ საკითხზე აქ აღარ შეეჩერდებით.

შადადიანთა დაპყრობების უკეთ შესწავლას ხელს შეუწყობდა ასოლიკის დამოწმებული ცნობა ფარისოსის მმართველების, სენაქერემისა და გრიგოლის სიკვდილის (1003 წ.) შემდეგ მათი სამფლობელოს ურთიერთმტრულად განწყობილ ვაგიკ სომეხთა მეფესა და განძის ამირა პატლუნს (ფადლონი, ფადლი) შორის გაყოფის შესახებ<sup>60</sup>. მაგრამ, ამ ცნობაზე დაყრდნობა, მასში აღნიშნული ამბების ქრონოლოგიურად დაზუსტებამდე, გაუმართლებელია. მ. ბროსე აღნიშნავდა, რომ ასოლიკის ეს ცნობა ჩანართს წარმოადგენს<sup>61</sup>. ვარდანთან სენაქერემისა და გრიგოლის სიკვდილის თარიღად 1074 წელია აღნიშნული<sup>62</sup>. ამავე წყაროს ვენეციის მხიოარიანთა გამოცემაში (1862 წ. გვ. 103)—1094 წ., ხოლო სტეფანოს ორბელიანთან — 1092 წ.<sup>63</sup> ქრონოლოგიურად ერთმანეთს ესოდენ დაშორებული თარიღები აძნელებს გაირკვეს, თუ რომელი ფადლონი (ფადლი) იგულისხმება აღნიშნულ ცნობაში, მით უმეტეს, რომ ვარდანის მიხედვით სენაქერემის მკვლელობა ფადლონის მოწყობილი ყოფილა. ასოლიკი ამის თაობაზე დუმს. ყოველ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, აქ ფადლ I (ფადლ ბ. მუჰამედი) არ უნდა ვიგულისხმობთ<sup>64</sup>.

ფადლ ბ. მუჰამედის სამხედრო წარმატებანი აშკარაა. ვარდანი აღნიშნავს, რომ „მან დაიპყრო ღვინი და დააკისრა სომხეთს. ხარკი სამი ათასი დინარის ოდენობით“<sup>65</sup>.

იბნ ალ-ასირი 421/1030 წ. ამბებში აღნიშნავს, რომ „ქურთი

59 ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 41—42.

60 ასოლიკი, გვ. 205. იხ. ზემოთ, შტრ. ა. ქეხრავეი, შაპრიარანი გუმ-ნამ, III, გვ. 14—15.

61 იხ. ნ. ემინის შენიშვნა, — ასოლიკი, იქვე.

62 ვარდანი, გვ. 128.

63 ასოლიკი, იქვე, შენიშვ. 1.

64 შტრ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 72—74.

65 ვარდანი, გვ. 126. თუმცა, ღვინი უფრო გვიან აიღეს შადადიანებმა.



ფადლუნის ხელში იმყოფებოდა აზერბაიჯანის ნაწილი, რომელიც მან დაიპყრო და მართავდა მას<sup>66</sup>.

გავიდნენ თუ არა შადადიანები არეზს გაღმა? საყურადღებოა, რომ 418/1027—28 წ. ფადლ ბ. მუჰამედმა მდ. არეზზე ააგო ხიდი, რომელიც „დარჩა როგორც უდიდესი ძეგლი მისი ხსოვნისა“<sup>67</sup>. ვ. მინორსკის აზრით ეს არაა: ხუდაფერინის ხიდი, თუმცა სხვა შეხედულებით ეს უკანასკნელი XII ს. ნაგებობად მიაჩნიათ<sup>68</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ხუდაფერინის ხიდით დაკავშირებული არეზის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ყარაჯა-დაღის მხარეში ცნობილი იყო ოლქი ქალან ჭაზლუნის რომელშიც 50 სოფელი შედიოდა<sup>69</sup>.

დამოწმებული ცნობები შესაძლებელია შადადიანთა არეზგაღმა მფლობელობაზე მიუთითებდეს. აქედან შადადიანებს შეეძლოთ რავადიანებისათვის გაეწიათ მეტოქეობა. მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელნი აშკარად ისახავდნენ ჩრდილოეთში (კერძოდ, მულანში) ექსპანსიურ გეგმებს<sup>70</sup>. ასეთ ვითარებაში არეზზე აგებული (ხუდაფერინის?) ხიდი შადადიანთათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთით შადადიანი ფადლ ბ. მუჰამედი ფლობდა ქ. ბაილაკანს, მაგრამ, როგორც ირკვევა, მღელვარე პოლიტიკური და რთული სოციალური ცხოვრებით გამორჩეულ ბაილაკანში შადადიანთა ხელისუფლება მტკიცე არ იყო. 421/1030 წ. აქ მამის წინააღმდეგ აჯანყდა 'ასქუნა ბ. ფადლი'<sup>71</sup>. (იხ. ქვემოთ, გვ. 74). შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ბაილაკანში იშვიათად თუ ყოფილა მტკიცე პოლიტიკური ხელისუფლება დამყარებული.

ფადლ ბ. მუჰამედის დროიდან მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები შარვანის სამეფოსთან შადადიანთა ურთიერთობის შესახებ.

66 ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 115.

67 ბ ა ბ ფ ი - ლ - შ ა დ ა დ ა დ ი ა, § 10.

68 ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 26—27, ზენიშ., 8. გვ. 45; М. Шарифли, Феодальные государства Азербайджана гв. 54; შარ. История Азербайджана, გვ. 157; А. Гулиев, Азербайджанская ССР, გვ. 232. ქართული წყაროები იცნობენ ან ნაგებობას „ხუაფერინის კიდის“ სახელით. ერთერთი მათგანი მას თითქოს საზღვრის მნიშვნელობას ანიჭებს. იხ. ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრე, გვ. 368.

69 ქ ა პ დ ა ლ ა კ ყ ა ზ ვ ი ნ ი, ნუზხათ აღ-ყულუბ, გვ. 84.

70 ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 93—95.

71 ბ ა ბ ფ ი - ლ - შ ა დ ა დ ა დ ი ა, § 10.

ფადლის ქალიშვილი სითი ცოლად ჰყავდა შარვანშაჰ მანუჩიძე ბ. იაზიდს (1027-1034). ვერაგობაში არც ქალიშვილი ჩამორჩა მამას. შარვანის დედოფალი უშუალოდ მონაწილეობდა პოლიტიკურ შეთქმულებებში ქმრის წინააღმდეგ მანლის მხარეზე. შეთქმულებმა მოკლეს მანუჩიძე. ტახტზე ასულმა მისმა ძმამ აბუ მანსურ ალი ბ. იაზიდმა (1034—1043) სითი ისევ დედოფლად დასვა<sup>72</sup>.

შეთქმულების განხორციელების დროს (425/1033-1034 წ.) განძაში შადადიანთა ტახტზე უკვე ახალი მმართველი აბუ-ლ-ფათჰ მუსა ბ. ფადლი (1031—1034) იჯდა. აღსანიშნავია, რომ მუხანათური სიკვდილის წინ შარვანშაჰ მანუჩიძე ბ. იაზიდი შადადიან მუსა ბ. ფადლის წერილს კითხულობდა<sup>73</sup>. რას სწერდა ცოლისძმა სიძეს სამუდამო საიდუმლოდ დარჩა.

მუსა ბ. ფადლის ხანმოკლე მეფობიდან ცნობილია მის მიერ რუსთა შეტევის მოგერიება, რომლებიც უკვე მეორეჯერ შეიჭრნენ ამიერკავკასიაში. მეტის გაკეთება, როგორც ჩანს, მუსას არ დასცალდა. იგი 425 წ. ჰჰ. საკუთარმა შეიღმა მოკლა<sup>74</sup>.

ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს, ჭერჯერობით მაინც, რომ გავარკვიოთ არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი არანსა და შარვანში ერთსა და იმავე წელს მომხდარ პოლიტიკურ გადატრიალებებს შორის.

მამისმკვლეელი ალ-ლაშქარი ბ. მუსას (1034—1049) მოღვაწეობის შესახებ ცოტა რამ ვიცით. მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი მას ცუდი ჩვევების და ბოროტი შეხედულებების ადამიანად ახასიათებს. ალ-ლაშქარის დროს გამოჩნდნენ ოღუზი თურქები შადადიანთა სახელმწიფოში. ლუზთა შემოსევებმა და თარეშმა უფოთათ და განგაშით აღავსეს ალ-ლაშქარის მმართველობის წლები<sup>75</sup>.

ზემოაღნიშნული ნათესაური კავშირები შადადიანებსა და შარვანის სამეფო სახლს შორის აღნიშნული ფაქტით არ ამოწურულა. მოგვიანებით კვლავ ვხედავთ შარვანის დედოფლად შადადიანი მმართველის ქალიშვილს<sup>76</sup>. მაგრამ, ასეთი კავშირები საკმარისი არ აღმოჩნდა ორ ქვეყანას შორის სრული მშვიდობიანი ურთიერ-

72 თარის ალ-ბაბ, § 15.

73 იქვე.

74 ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 11.

75 იქვე, § 12.

76 თარის ალ-ბაბ, § 19.

თობისათვის. ცნობილია შადადიანთა რამდენიმე ლაშქრობა შარვანში, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ალ-ლაშქარი ბ. მუსას შესახებ ზოგიერთ საინტერესო ცნობას ვპოულობთ ყათრანის პოეტურ შემოქმედებაში. სადაც შემონახულია ალ-ლაშქარისადმი მიძღვნილი თხუთმეტამდე სახოტბო ლექსი (ყასიდა).

კერძოდ, ირკვევა, რომ ალ-ლაშქარის კავშირი შეუკრავს თბილისის ამირა აბუ-ლ-ფადლ ჯაფარ ბ. ალისთან. პოეტი აღფრთოვანებულია „ორი სახელოვანი დიდებულის, ლომის და ვეფხვის, მზე და მთვარის ერთად შეყრით“ და იმით, რომ ამ კავშირმა „ისევე შემატა ისლამს ძალა“ და „შეამცირა ურწმუნოთა ძლიერება“<sup>77</sup>.

ამ კავშირის რეალური შინაარსის გასათვალისწინებლად კონკრეტული ფაქტები ჩვენ არ მოგვეპოვება. არც მისი ხანგრძლივობის შესახებ ვიცით რამე. პირიქით, ფადლ ბ. მუჰამედის (985—1031) დროს თბილისის ამირა შადადიანთა საწინააღმდეგო კოალიციაშიც კი შედიოდა (იხ. ქვემოთ, გვ. 192). ახლა, აბუ-ლ-ჰუსეინ ალი ალ-ლაშქარი ბ. მუსას (1034—1049) — ასეთია ყათრანის ყასიდებიდან დადგენილი ლაშქარი ბ. მუსას სრული წოდება — დროს შადადიანთა და თბილისის ჯაფარიანთა ამირას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა აშკარად შეინიშნება.

ბაგრატ IV-ის (1027—1072) მიერ 1037/38—1039/40 წლებში აღყაშემორტყმულ თბილისში მომწყვდეულმა და სასოწარკვეთილმა ამირა ჯაფარ ბ. ალიმ „შემზადა ტივები და ნავეები ღამით წარსვლად განძას ლაშქარს თანა ფადლონის შვილსა“<sup>78</sup> (უნდა იყოს „მუსას შვილსა“). თბილისსა და განძას შორის მტრობა, რომ ყოფილიყო, ჯაფარ ბ. ალი სხვასთან არჩევდა ხიზნობას. სარწმუნოებრივ განსხვავებას ასეთ ვითარებაში ყურადღებას არ აქცევდნენ. ასეთი შემთხვევა შადადიანთა ისტორიაშიც არის ცნობილი.

საყურადღებოა, რომ ყათრანის ცნობით შადადიანებსა და ჯაფარიანებს შორის ერთ დროს ნათესაური კავშირი დამყარებულა. ჩვენთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ კავშირის ხარისხის დადგენას.

ა. ქესრავის აზრით, — რამდენადაც ვიცით, მან პირველმა მიაქცია ყურადღება ყათრანის ცნობას — 1046 წ. თბილისის ამირა აბუ-

77 იხ ა. ქესრავის, შაჰიარან-ი გუმ-ნამ, III, გვ. 20.

78 შატიანე ქართლისა, გვ. 297; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 141.

ლ-ფადლ ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ შადადიანმა აბუ-ლ-ჰასან ალი ლაშქარი ბ. მუსამ მეორე ცოლად შეირთო მისი ქალი-შვილი<sup>79</sup>; ვ. მინორსკის აზრით კი — ქვრივი<sup>80</sup>. ორივე მკვლევარი ყათრანის ერთსა და იმავე ყასიდას ეყრდნობა.

ყათრანი წერს, რომ „ამ ბედნიერი კავშირისაგან დაემხო ურწმუნოთა დროშები... გაძლიერდა სარწმუნოების საფუძველი“, რომ ლაშქარი ბ. მუსამ სიკეთე სიკეთით გადაუხადა აბუ-ლ-ფადლ ჯაფარს, „რადგანაც მის შვილებს შეუქმნა ასეთი კეთილი დასასრული“, და როდესაც ჯაფარის „წმინდა სულმა შეკრა კავშირი სამოთხეში ჰურიასთან“ (ე. ი. გარდაიცვალა), ლაშქარი ბ. მუსამ ჯაფარის „გულითსაყვარელთან (დელბანდ) აქ შეკრა ქებინი (იქორწინა)<sup>81</sup>.

საკითხის გადაწყვეტა დამატებით საბუთებს მოითხოვს. მანამდე კი დაბინდულ პოეტურ ფრაზაში — „...როგორც მის (ჯაფარის) გულითსაყვარელთან აქ შეკრა ქებინი მეფეთა-მეფემ (ლაშქარიმ)“<sup>82</sup>, — ჩამალული სინამდვილის ამომწურავი სიზუსტით გამოზეურება ვერ ხერხდება.

ქორწინებიდან გამომდინარე პოლიტიკური შედეგების გათვალისწინებით, თითქოს უფრო სარწმუნოა, რომ შადადიან მმართველს თბილისის ამირას ქვრივზე დაეწეროს ჯვარი. მაგრამ, ქვრივის საკუთარ სახელად „შაჰ ხოსროვან“-ის გამოცხადება, — როგორც ვ. მინორსკი აღნიშნავს — არ არის სწორი. ამდენად, მეტი ყურადღებას მოითხოვს ა. ქესრავის აზრი, რომ ალ-ლაშქარი ბ. მუსამ შეირთო ჯაფარ ბ. ალის ქალიშვილი.

შადადიანთა პოლიტიკური თუ მატრიმონიალური კავშირების გასათვალისწინებლად საყურადღებოა ყათრანის კიდევ ერთი ყასიდა. მასში პოეტი მიმართავს ალ-ლაშქარის და სხვათა შორის აღნიშნავს: „როგორც სომხეთი არის შენი, ასევე იქნება სნგი შენი/ როგორც არანი არის შენი, ასევე შარვანი იქნება შენი“<sup>83</sup>.

<sup>79</sup> ა. ქესრავი შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, III, გვ. 20—21.

<sup>80</sup> V. Minorsky, Studies, გვ. 46; მისივე, A history, გვ. 65; მისივე, История Ширвана и Дербенда, გვ. 92.

<sup>81</sup> იხ. ა. ქესრავი, შაჰრიარან-ი გუმ-ნამ, III, გვ. 21.

<sup>82</sup> جو بادلبندش اینجا بست شاه خسروان كاین. იხ. ა. ქესრავი, იქვე.

<sup>83</sup> იხ. ა. ქესრავი, დასახ. ნაშრ., გვ. 21: همجو ارمان گشت خواهد / همجو آران گشت خواهد ملكت شروان ترا

გულისხმობს, თუ არა დამოწმებულ პოეტურ ფრაზაში ყათრანი ალ-ლაშქარის პოლიტიკურ ზრახვებს, და ჰქონდა, თუ არა მას საფუძველი ესოდენ გაზვიადებულად წარმოედგინა ალ-ლაშქარის სამფლობელო? უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყათრანს აქ შადადიანი მმართველის ნათესაური კავშირები აქვს მხედველობაში<sup>84</sup>.

რავადიანთა ფეოდალურ სახელმწიფოსთან შადადიანთა ურთიერთობის შინაარსის შესწავლა ძალზე კირს ცნობების სიმცირის გამო. როგორც აღვნიშნეთ, XI ს. 30-იან წლებში რავადიანი აბუ მანსურ ვაჰსუდან ბ. მამლანის ვიზიტი განძაში, როგორც ჩანს, მშვიდობიანი ურთიერთობის განსამტკიცებლად თუ იყო გამიზნული<sup>85</sup>.

ალ-ლაშქარი ბ. მუსას მოღვაწეობიდან ცნობილია, რომ მან 438/1046—47 წ. მოიგერია თურქთა შეტევა. ყუთულში ბ. არსლან იაბლუმ ალყა შემოარტყა განძას. მაგრამ ქართველ-ბერძენთა ლაშქრის დახმარებით დაიცვა თავი (იხ. ქვევით, გვ. 194—195). ეს ეპიზოდი ნათლად მიუთითებს, თუ როგორ უნდა ებრძოლათ შიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ.

ალ-ლაშქარის მმართველობის დროს განძას შეეხო ავრეთვე ბერძენთა ლაშქრობაც, რომელიც ძირითადად ალ-ლაშქარის ბიძის აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლის, დვინის მმართველის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჩვენამდე მოაღწია ალ-ლაშქარ ბ. მუსას რამდენიმე მონეტამისი ტიტულით: ალ-ამირ ალ-აჯალ 'ალი ბ. მუსა ალ-ლაშქარი<sup>86</sup>. ერთმათგანზე არის თარიღი — 431/1039-40 წ.

შადადიანთა სახელმწიფო ალ-ლაშქარი ბ. მუსას (1034—1049) საკმაოდ ხანგრძლივ (მისი გვარის სხვა მმართველებთან შედარებით) მეფობაში რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში იმყოფებოდა.

შადადიანთა სახელმწიფოში მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის აღმნიშვნელია თვით დინასტიის წევრებს შორის არსებული წინააღმდეგობა. დასაწყისშივე ფადლ ბ. მუჰამედმა ღვიძლი ძმის სიკვდილით გაიკაფა გზა ხელისუფლებისაკენ, ხოლო ალ-ლაშქარი ალი

სნგი (سنگی). ა. ქესრავის კონიექტურით—„სიუნეი“: იხ. ა. ქესრავი. იქვე-ც. მინორსკის კონიექტურით—„შაკი“ (Shakkj), იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 46.

<sup>84</sup> შდრ. V. Minorsky, Studies, გვ. 46.

<sup>85</sup> შდრ. ა. ქესრავი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 86.

<sup>86</sup> მონეტები აღწერა და გამოაქვეყნა რ. ფასბერმა. იხ. ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 49.

ბ. მუსა იმავე მიზნის მისაღწევად მანის სიკვდილსაც კი არ დაერიდა. არც დინასტიის „ურჩი“ წევრების განდგომა და აჯანყება იყო უცხო შადადიანთა სახელმწიფოში. როგორც ითქვა, ფაღლ ბ. მუჰამედს აუჯანყდა ძე 'ასქუმა. ნიშანდობლივია, რომ აჯანყებული უფლისწული ბაილაკანში გაიქცა და იქ გამაგრდა. ეს ქალაქი ყოველთვის გამოირჩეოდა უაღრესად რთული და დაძაბული საქალაქო ცხოვრებით და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვით. იგი უკმაყოფილო ელემენტების თავშესაფარი იყო. „მამისა და ძმის წინააღმდეგ აჯანყებული ('ასქუმა) გულმოდგინედ აგროვებდა ლაშქარს მამამისზე გასალაშქრებლად“<sup>87</sup>. ფაღლმა მეორე ვაჟი, მუსა გაგზავნა ბაილაკანის წინააღმდეგ. მუსა ბ. ფაღლმა მხოლოდ რუსებთან (მათი რაზმები ამ დროს 38 ხომალდით შარვანში იყვნენ შემოჭრილი)<sup>88</sup> კავშირში შეძლო ბაილაკანის აღება, შეიპყრო აჯანყებული ძმა და მოკლა იგი<sup>89</sup>. მაგრამ არც მუსა ბ. ფაღლს შერჩადიდი ხნით ტახტი. მას საკუთარმა შვილმა ალ-ლაშქარიმ წაართვა ხელისუფლება და სიცოცხლე მოუსწრაფა.

ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის პოლიტიკურ აქტივობას, აშკარა ბრძოლას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

1049 წ. ალ-ლაშქარი ბ. მუსამ თვითონ დასვა თავისი ძე ანუ-შირვანი ტახტზე. თავისთავად ეს ნაბიჯი მოწმობს შადადიანთა ამირას სისუსტეს. მდგომარეობა არც მისი ვაჟის დროს გამოსწორდა. იგი ფაქტიურად არც მართავდა სახელმწიფოს. წყარო აღნიშნავს, რომ „საქმეებს განაგებდა მისი ჰაჯიბი („მსახურთუხუცესი“)<sup>90</sup>.

შადადიანთა სახელმწიფოს შინაგან ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა მძიმე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. სხვადასხვა მტრების თავდასხმებით და შევიწროებით სამეფო კრიზისის პირას იყო მისული. „ჰაჯიბი აბუ მანსური შეუთანხმდა მხედართმთავრებს და ქვეშევრდომებს, რომ დაეტოვებინათ ურწმუნოთა წინააღმდეგ აშენებული ციხეები. სახელდობრ: ციხეები ტატიჯანი, მუჯქანქი და ალ-ბაჰლან აშენებული შაქის მფლობელის წინააღმდეგ, ქრმსთან — დიდოელთა (?) წინააღმდეგ, ციხე ქრდმლანი — აფხაზთა წინააღმდეგ და ალ-რუსთაჟი რუმეელთა წინააღმდეგ აშენებუ-

87 ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 10.

88 თარის ალ-ბაბ, § 15.

89 ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 10.

90 იქვე, § 13.

ლი, რათა დაეოკებინათ არანისადმი მათი სიხარბე, რაც გამოწვეული იყო ალ-ლაშქარის და მისი ვაჟის ანუ შირვანის მმართველობის სისუსტით<sup>91</sup>.

როგორც კი შეთანხმება გახშირდა, განძაში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების წარმმართავ ძალას ისევ რაისები წარმოადგენდნენ. „ისინი შეიკრიბნენ ალ-ჰაისამ ბ. მაჰმუნ ალ-ბა'ისთან, დაბალთა რაისთან სიმქუპის<sup>92</sup> სალაშქრო ბანაკში და თათბირის შემდეგ განაცხადეს: „თუ ეს ციხეები სანახებითურთ ურწმუნოთა ხელში აღმოჩნდებიან, მაშინ ამ ქალაქსაც (განძას) დავკარგავთ, და ის გზალა დავვრჩება, რომ დავტოვოთ ქალაქი ჩვენი ოჯახებით და ბავშვებით“<sup>93</sup>.

აჯანყებულებმა ხელჩართულ ბრძოლაში დაამარცხეს ჰაჯიზის „პარტია“ და სახელმწიფოს ტანტზე დასვეს აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლ ბ. მუჰამედ ბ. შადადი. ეს მოხდა 441/1049 წ., ანუ შირვანის ორი თვის მმართველობის შემდეგ<sup>94</sup>.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაბალთა რაისი ალ-ჰაისამ ბ. მაჰმუნ ალ-ბა'ი, რომელიც დარუბანდელი იყო, თავისი დულამებით განძის რაისებს ეხმარება და გადაწყვეტს როლს ასრულებს აჯანყებაში. საინტერესო ის არის, რომ მხოლოდ დროებითა და შემთხვევითი, თუ მუდმივი და წინასწარ შეთანხმებული ამიერკავკასიის ამ ორი დიდი ქალაქის რაისთა ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა? ეს აჯანყება ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელია ამიერკავკასიის ქალაქების მძაფრი და სისხლსავეს საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან.

აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლი შედარებით მტკიცე მმართველი გამოდგა; საამისო გამოცდილება მას საკმაო ჰქონდა — 1022-1049 წლებში იგი დვინს განაგებდა.

პირველ რიგში შავურ ბ. ფადლი ქვეყნის შიგნით ოპოზიციური ძალების ალაგმვას შეუდგა. მან შეიპყრო ანუ შირვან ბ. ალ-ლაშქარი, ჰაჯიზი აბუ მანსური და ამ უკანასკნელის ძმები და მათი შვილები, „ისინი წარმოადგენდნენ შადადიანთა დინასტიის დიდებულებს და ცნობილი იყვნენ როგორც „აბუ-ჰაისამ მწერლის შვილები“<sup>95</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

91 ბაბ ფი-ლ-შადადია, § 13.

92 ასეა ტექსტში; ვ. მინორსკის კონიექტურით — „შამქური“.

93 ბაბ ფი-ლ-შადადია, § 13.

94 იქვე.

95 იქვე, § 14.

ცნობილია, რომ სამოქალაქო ბიუროკრატიის აღზევებული და გაძლიერებული ფენა ცენტრიდანული ტენდენციების პირველი გამტარებელი იყო. ამიტომაც დაატყდა მას თავს ცენტრალური ხელისუფლების რეპრესიები. აბუ-ლ-ასვარს სხვა შინაური საქმეებიც მოუწესრიგებია.

მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო განძის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. 455/1063 წ. ქალაქს რაბადითურთ შემოავლეს მტკიცე გალავანი მაგარი, რკინით შექედილი ალაყაფებით და ღრმა თხრილით. ქალაქის გამაგრება დროული და საჭირო საქმე იყო. ერთი წლით ადრე ალანთა ლაშქარმა გადაარცვა და დაარბია არანი, მარტო ტყვეთა რიცხვი 20000 კაცს შეადგენდა<sup>96</sup>.

განძის გამაგრებისათვის ჩატარებულ სამუშაოს ერთი წელი არ ეყოფოდა. როგორც ჩანს, ამ მიზნით იყო გაქედილი 1062 წ. ის რკინის კარები, რომელიც 1139 წ. ქართველებმა დემეტრე მეფის დროს განძიდან ნადავლად წამოიღეს და დღემდე გელათში ინახება<sup>97</sup>.

მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი აბუ-ლ-ასვარ შაჟურ ბ. ფადლის მოღვაწეობის შეფასებისას აღნიშნავს, რომ მან „(თავისი ხმლის ქვეშ) გააერთიანა არანის მთელი მიწა-წყალი ციხე-კოშკებითურთ... და აღადგინა დინასტიის სახელი იმ დროს, როდესაც იგი კინალამ გადაშენდა. იგი გაძლიერდა და საქმეები და ლაშქრის მდგომარეობა მოწესრიგდა“<sup>98</sup>. როგორც ვნახეთ ასეთი შეფასებისათვის არსებობდა რეალური საფუძველი. აბუ-ლ-ასვარის პირად ღირსებებს სხვა წყაროებიც აღნიშნავენ. „აპლფარესი ძალიან გამოცდილი სარდალი იყო — სხვას არავის ჩამოუვარდებოდა — და დიდი უნარი ჰქონდა მტრის სამხედრო საქმეები და განზრახვები ჩაეშალა“<sup>99</sup>. ბიზანტიურ წყაროს ეთანხმება სპარსულიც; ზიარიანთა დინასტიის წევრი ქეი-ქაჟუს ბ. ისკანდერ ბ. ყაბუსი, ცნობილი ყაბუს-ნამეს ავტორი, რომელმაც განძაში რამდენიმე წელი დაჰყო აბუ-ლ-ასვარის კარზე, ასე ახასიათებს თავის მასპინძელს: „ამირა ბუ-ლ-სუვარი დიდი ხელმწიფე, ჰკვიანი და დარბაისელი ადამიანი იყო; კეთილი, მამაცი და

<sup>96</sup> ბაბ ფი-ლ-შადლაღია, § 15.

<sup>97</sup> კარის შესახებ იხ. ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 41—42. დამატებით იხ. И. Ениколопов, Железные ворота XI в.

<sup>98</sup> ბაბ ფი-ლ-შადლაღია, § 14.

<sup>99</sup> კ ე ლ ე ნ ე, გვ. 63.



ლირსეული ხელმწიფე (იყო); მკვერმეტყველი, ტბილმოუბარი, პატიოსანი და შორსმკვერტელი — ისეთი, როგორც სახელგანთქმულ მეფეებს შეეფარებათ<sup>100</sup>. ასეთი სახელი შადადიან ამირას რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში მოქნილმა და გაბედულმა მოღვაწეობამ შეუქმნა.

როგორც ვარაუდობენ აბუ-ლ-ასვარს დვინი მამამისისგან, ფაღლ ბ. მუჰამედისგან უნდა მიეღო (1022 წ.)<sup>101</sup>. დვინში მისი მოღვაწეობის შესახებ მცირე, მაგრამ საყურადღებო ცნობები გავაჩნია.

ამჟამად ირკვევა აბუ-ლ-ასვარ შავურის მკიდრო ურთიერთობა სომხეთის სამეფოებთან. მათეოს ურჰაეცის (ედესელი) ცნობით ვინმე სომეხი დიდებული აპირატ ჰასანის ძე განუდგა თავის სიუზერენს აშოტ ყარსის მეფეს († 1040 წ.) და ანასის მეფეს, იოანესმბატს (1020—1041) შეუერთდა. საფრთხეს ვერც აქ აარიდა თავი და ლაშქრითურთ (12 ათასი მხედარი) დვინში აბუ-ლ-ასვარს შეეკედლა. ესეც თავის მხრივ მალე დაექვედა აპირატის ერთგულებაში და მოკლა იგი. აპირატის ლაშქარი უკან ანისში დაბრუნდა<sup>102</sup>.

გარდა იმისა, რომ მათეოს ურჰაეცი აღნიშნულ ცნობას შეცდომით 971—972 წლებს შორის ათავსებს (სინამდვილეში აღწერილი ამბავი მხოლოდ ნახევარი საუკუნით გვიან შეიძლება მომხდარიყო) ბუნდოვანია, აგრეთვე, სომხურ სამეფოებთან (ყარსის, ანისის) აბუ-ლ-ასვარის ურთიერთობის შინაარსიც<sup>103</sup>. ეს საკითხი უფრო ნათლად ირკვევა მომდევნო ხანაში.

არისტაკეს ლასტივერტცის ცნობით, აბუ-ლ-ასვარი დამოუკრებული ყოფილა ანისის სამეფო სახლთან<sup>104</sup>. ა. ქესრავის მართებული მოსაზრების თანახმად მას ცოლად ჰყავდა აშოტ IV ბაგრატიუნის († 1041 წ.) ქალი და არა ტაშირის მეფის დავით „უმეწაფელოსი“ (989—1048), როგორც ამას აღნიშნავენ მთელი რიგი მკვლევარები (მანანდიანი, გრუსე, მინორსკი)<sup>105</sup>.

უთანხმოების მიზეზია არისტაკესის თხზულებიდან დამოწმებული ცნობის ორგვარი წაკითხვის შესაძლებლობა. პირველს (რომელიც გულისხმობს აგრეთვე აბუ-ლ-ასვარის მოყვრობას ანი-

<sup>100</sup> ყაბუს-ნამე, გვ. 28, რუს. თარგმ., გვ. 76—77.

<sup>101</sup> ვარდანო, გვ. 126; M. Canard, Dvin, გვ. 680.

<sup>102</sup> იხ. ა. შაჰნაზარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 126—127.

<sup>103</sup> შდრ. V. Minorsky, Studies გვ. 51.

<sup>104</sup> არისტაკეს ლასტივერტცი, გვ. 85, 105.

<sup>105</sup> ა. ქესრავი, შაჰირიანი-გუმ-ნამ, III, გვ. 32, 54.

სის სამეფოსთან) მხარს უჭერს და ასაბუთებს კ. იუზბაშიანიც, არისტაკესის „მოთხრობის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი<sup>106</sup>.

XI ს. პირველი ნახევრის მიწურულს ანისის ირგვლივ დატრიალებულ ამბებთან დაკავშირებით ჩვენთვის გარკვეულ მნიშვნელობას იძენს სწორი წაკითხვის დადგენა (იხ. ქვემოთ 204—205).

სავარაუდოა, რომ შადადიანებსა და ბაგრატუნიანებს შორის აღნიშნული კავშირის გამო ჩნდება აბუ-ლ-ასვარის მეშვეობით სომხური სახელი აშოტი. კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ ყათრანი ფაღლ ბ. აბუ-ლ-ასვარს უწოდებს „შადადიანთა გვარის ლამპარს და ბაგრატუნიანთა გვარის სანთელს“<sup>107</sup>.

ანისის სამეფოსთან ასეთი კავშირ-ურთიერთობა აბუ-ლ-ასვარს სულაც არ აბრკოლებდა, რომ ტაშირ-ძორაგეთის სამეფოსთან ეომა.

აბუ-ლ-ასვარის დვინში მოღვაწეობის პერიოდი სცილდება კერძო, ლოკალური ისტორიის ფარგლებს. განვითარებულ მოვლენებში მონაწილეობენ საქართველოც და ბიზანტიის იმპერიაც. ამიტომ, აღნიშნული პერიოდის შესაბამის მომენტებს საქართველო-შადადიანების ურთიერთობის სფეროში განვიხილავთ (იხ. ქვემოთ).

ჩვენთვის უცნობია, რა ვითარებაში მოიპოვა აბუ-ლ-ასვარმა დვინში ხელისუფლება. არც ის ვიცით რა ურთიერთობა არსებობდა დვინსა და განძას შორის. ყოველ შემთხვევაში, მუნაჯიმბაშის ანონიმის სრული უყურადღებობა დვინის მიმართ გვაფიქრებინებს, რომ აბუ-ლ-ასვარი დამოუკიდებელი მმართველი იყო. დვინი შადადიანებს აბუ-ლ-ასვარის განძაში გადასვლის შემდეგაც არ დაუკარგავთ. „445/1053 წ. (აბუ-ლ-ასვარმა) გაგზავნა თავისი ვაჟი აბუ ნასრ ისკანდერ (ბ.) შავური დაბილში და მიანდო მას ქალაქზე და მის სანახებზე მზრუნველობა“<sup>108</sup>. შემდგომ დვინს შადადიანთა ანისის შტო ფლობდა ხოლმე. 1105 წ. ქალაქი უკვე თურქი ამირას მფლობელობაშია<sup>109</sup>.

აბუ-ლ-ასვარის განძაში გაბატონებას უშუალოდ წინ უსწრებდა ან დაემთხვა განძაზე ბერძენთა ლაშქრობა ქართველებთან ერთად. ეს ლაშქრობა საინტერესოა პირველ რიგში თურქ-სელჩუკთა

<sup>106</sup> იხ. არისტაკესისტაკეტი, გვ. 157—160, შენიშვ., 30.

<sup>107</sup> იხ. ა. ქესრავი, იქვე, გვ. 45; چراغ آل شداد است و شمع آل سقراطون...

<sup>108</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიანი, § 14.

<sup>109</sup> Ас. Шахназарян, Двин, гв. 128; М. Сагард, Dwin, гв. 680.

წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ერთიანი ბრძოლის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ აბუ-ლ-ასვარმა სწორედ ამ ლაშქრობის შემდეგ შეძლო განძის შენარჩუნება.

შადადიანთა სახელმწიფოს შინაგანი განმტკიცების შემდეგ აბუ-ლ-ასვარ შეუერთ ბ. ფადლი აქტიურ საგარეო პოლიტიკას იწყებს. როგორც ჩანს, ქართველებთან ერთ-ერთ სასაზღვრო შეტაკებაში მან წარმატებას მიაღწია და 1053 წ. ერთი ციხესიმაგრე დაიკავა.

აღსანიშნავია აბუ-ლ-ასვარის საღი ლაშქრობა შარვანში 455—56/1063—64 წლებში ჩატარებული.

გაურკვეველია უშუალოდ რამ გამოიწვია შარვანსა და არანს შორის ურთიერთობის ასეთი მკვეთრი გაუარესება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამჟერადაც ორივე სამეფო სახლს შორის ნათესაური კავშირებია გაბმული. შარვანშაჰ სალარ ბ. იაზიდს (1049—1063)<sup>110</sup> ცოლად ჰყავდა აბუ-ლ-ასვარ ბ. შავურის ქალი<sup>111</sup>, ი. ი. სითის (იხ. ზემოთ, გვ. 79.) ძმისშვილი. მაგრამ, როგორც ჩანს, ფარაბურზ ბ. სალარი — სალარ ბ. იაზიდის კანონიერი მემკვიდრე და 1063 წლიდან შარვანშაჰი — არ იყო აბუ-ლ-ასვარის შვილი-შვილი; ვ. მინორსკის მიხედვით იგი მხოლოდ ნათესავია<sup>112</sup>.

სალარ ბ. იაზიდი 1063 წ. თებერვალში გარდაიცვალა. იმავე წლის მარტში აბუ-ლ-ასვარ შავური შარვანში შეიჭრა, აიღო ერთ-ერთი ციხე და შიგ თავისი რაზმი ჩააყენა<sup>113</sup>. „იმავე წელს იგი დაბრუნდა ისევ, დალაშქრა შარვანი, დაუზოგავად გაძარცვა, გააპარტახა იგი და გაირეკა ცხვრის ფარები და საქონლის ჯოგები. მის წინააღმდეგ მებრძოლი შარვანელები დამარცხდნენ; მრავალი დიდებულთაგანი (აჰიან) ტყვედ ჩავარდა და მათი ქონება დაიტაცეს<sup>114</sup>. იქიდან წასული შავური ქ. იაზიდისთან დაბანაკდა. აქ მან დააკავა თავისი ქალიშვილი, სალარის ცოლი მისი კუთვნილი ქონებითურთ და ფულით. შემდეგ ის გაბრუნდა არანში, მაგრამ მობრუნდა მესამეჯერ 455 წ. რაჯაბში (1063 წ. ივლისი) და

110 სალარი აქ საკუთარი სახელია და არა ტიტული. შდრ. მუსაფირიანებთან.

111 ბაბ ფი-ლ-შადდადია, § 15; თარის ალ-ბაბ, § 19.

112 V. Minorsky, A history, გვ. 65; მისივე, История Ширвана и Дербенда, გვ. 92.

113 ბაბ ფი-ლ-შადდადია, § 15; თარის ალ-ბაბ, § 19.

114 დატყვევებულ დიდებულთა რაოდენობა 50 კაცს შეადგენდა, იხ. ბაბ ფი-ლ-შადდადია, § 15.

გაჩერდა სოფელ სა'ღუნში, წვავდა რა პურის ყანებს, მეზობელ სოფლებს და „მამულებს“ (ალ-ღიმა)'<sup>115</sup>.

რამ გაამძვინვარა აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლი ამგვარად? საყურადღებო ისაა, რომ როგორც წყარო გადმოგვცემს, შექირვებულმა ფარიბურზ ბ. სალარმა „გაგზავნა თავისი ვაჟი აფრიდუნი ანუშირვან ბ. ლაშქარისთან ერთად სარირის მმართველთან დახმარების მისაღებად. მაგრამ სამი თვის შემდეგ (აფრიდუნი) ხელცარიელი დაბრუნდა უკან“<sup>116</sup>.

ერთადერთი ანუშირვან ბ. ლაშქარი, რომელიც ცნობილია არანისა და შარვანის ისტორიაში, ეს არის შადადიანი მცირეწლოვანი უფლისწული ანუშირვან ბ. ლაშქარი ბ. მუსა ბ. ფადლი, რომელიც 1049 წ. არანის ტახტზე დასვეს (იხ. ზემოთ. გვ. 74), მაგრამ იმავე წელს მას ხელისუფლება წაართვა პაპამისის ძმამ, სწორედ აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლმა; ანუშირვანი შემდეგ მძევლად ბიზანტიაშიც იყო, მაგრამ ადვილი შესაძლებელია ისევ ამიერკავკასიაში დაბრუნებულიყო და შადადიანთა ტახტის დაბრუნების მოიმედეს შარვანში შეეფარებინა თავი.

ფარიბურზ ბ. სალარის კარზე ანუშირვანის ყოფნა სწორედ ამ პირობით — აბუ-ლ-ასვართან ქიშპობა შადადიანთა ტახტისათვის იყო გამართლებული და სასარგებლო<sup>117</sup>. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგები ხდება აბუ-ლ-ასვარის შარვანში ლაშქრობათა ერთ-ერთი მიზეზი მაინც.

1064 წ. იანვარში აბუ-ლ-ასვარ შავურმა კიდევ ერთხელ დალაშქრა შარვანი, დაიპყრო დასახლებული პუნქტები და ჩააყენა შარვანში თავისი ლაშქრის ნაწილი. საბოლოოდ, 1064 წ. ზაფხულში არანსა და შარვანს შორის ომი ზავეთ დამთავრდა: „აბუ-ლ-ასვარმა დაუბრუნა შარვანშაჰს ციხე ქულიამიანი, მას შემდეგ რაც მისგან მიიღო 40 ათასი დინარი“<sup>118</sup>. წყარო არ აღნიშნავს კის მფლობელობაში დარჩა დანარჩენი ციხეები და დასახლებული პუნქტები; ისინი, რომლებიც აბუ-ლ-ასვარმა დაიპყრო შარვანში<sup>119</sup>.

შადადიანთა ლაშქრის წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ

115 ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 15; თარის ალ-ბაბ, § 19.

116 თარის ალ-ბაბ, § 19.

117 შტრ. В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 92.

118 ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 15; თარის ალ-ბაბ, § 19.

119 იხ. V. Minorsky, Studies, გვ. 32, შენიშვნ. 18.

„ქუთთი ნომადები მიემხრნენ (აბუ-ლ-ასვარს)... (და) ეძებდნენ მის კეთილგანწყობილებას“<sup>120</sup>.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ არან-შარვანს შორის აღწერილი ურთიერთობის დროს ალფ არსლანი უკვე ამიერკავკასიის ფარგლებში იყო შემოსული. ზავიც ამიტომ თუ დასდეს სასწრაფოდ აბუ-ლ-ასვარმა და შარვანშაჰ ფარიბურზმა.

მსგავსად რავადიანებისა, შადადიანთა სახელმწიფოს მესვეურებმაც მორჩილად დახარეს თავი თურქ-სელჩუკთა ლაშქრის წინაშე. მუნაჯიბ-ბაშის თანახმად, საქართველოში ლაშქრობის წინ არანის, შარვანის, ბაბ ალ-აბვაბის და სხვა ქვეყნების მმართველები და ამირები ალფ არსლანის წინაშე გამოცხადდნენ, მორჩილება გამოუცხადეს და თავიანთი ლაშქრით სამსახური შესთავაზეს<sup>121</sup>. საკუთარი არსებობის შენარჩუნებისა და გამორჩენის მიზნით მათი ასეთი მოქმედება გასაგებია. ამავე დროს, ამიერკავკასიის მმართველი წრეებისათვის უკვე უცნობი აღარ იყვნენ თურქ-სელჩუკები და მათ კარგად მოეხსენებოდათ შემოსეული მტრის ძალა.

შადადიანებმა სელჩუკთა მორჩილების აღიარებით კარგად ისარგებლეს პირველ ხანებში. „457/1065 წ.“<sup>122</sup> სულთან ალფ არსლან სალჯუკი საღვთო ომისთვის გაემართა არმენიაში და რუმში. მან დაიპყრო მრავალი ციხე და გადასცა ისინი აბუ-ლ-ასვარს, არანის პატრონს, რათა შეეერთებინა თავის სამეფოსთვის, რადგანაც ისინი (ციხეები) მისი (აბუ-ლ-ასვარის) ტერიტორიის ახლოს მდებარეობდნენ“<sup>123</sup>. შადადიანებისათვის ციხეების გადაცემის დასახელებული მიზეზით ახსნა, რა თქმა უნდა, გულუბრყვილოა.

თურქ-სელჩუკთა მიერ ამიერკავკასიის დარბევით შექმნილი ვითარება, როგორც ირკვევა, კარგად გამოიყენა შადადიანთა მმართველმა. 1065 წ. ივნისში „აბუ-ლ-ასვარმა შეაგროვა ლაშქარი და შეიჭრა არმენიისა და რუმის ტერიტორიაზე. იგი დაიძრა ანისისაკენ და მოაწესრიგა იქ ყველაფერი რაც არეული იყო. მან დანიშნა თავისი საფინანსო მოხელენი (უშმალ) იქ და მოამარაგა იგი (ანისი) იარაღით, სურსათით და ჯარსკაცებათ“<sup>124</sup>.

<sup>120</sup> ბაბ ფი-ლ-შადადია, § 15. როგორც ჩანს, იგულისხმება შარვანის ქუთთი ნომადები.

<sup>121</sup> იხ. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, გვ. 220.

<sup>122</sup> უნდა იყოს 456/1064 წ.

<sup>123</sup> ბაბ ფი-ლ-შადადია, § 16.

<sup>124</sup> იქვე.

ანისის დაკავების შემდეგ აბუ-ლ-ასვარი კიდევ უფრო აფართოებს ექსპანსიას „რუმის ტერიტორიაზე“. „მან დაიპყრო ძლიერი ციხესიმაგრე ანისის მეზობლად და ჩააყენა შიგ თავისი გარნიზონი და სანდო ხალხი... შემდეგ (აბუ-ლ-ასვარი) დაბანაკდა (ვიჯინის(?))<sup>125</sup> კართან, რომელიც არის ძლიერი და მიუვალი ციხე, ერთ-ერთი საუკეთესო არმენიაში... აიღო იგი იერაშით და დასტოვა შიგ თავისი სანდო ხალხი. შემდეგ იგი მობრუნდა ჯანზაში“<sup>126</sup>.

მაგრამ, თუ აბუ-ლ-ასვარმა გამონახა საერთო ენა თურქ-სელჩუკებთან, ეს ველარ შეძლეს მისმა მემკვიდრეებმა. პირიქით, თურქ-სელჩუკებმა ბოლო მოუღეს შადადიანთა სახელმწიფოს.

ამიერკავკასიის შემომტკიცებისათვის და საქართველო-ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ზურგის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სელჩუკთა დამოკიდებულება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმან მმართველებთან გასაგებია და გამართლებული. მაგრამ ასეთი პოლიტიკა ვერ გამოდგა სიცოცხლისუნარიანი. თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს მუსლიმანმა მფლობელებმაც. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

თურქ-სელჩუკები ერთნაირად უთხრიდნენ ძირს როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსლიმანური საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ საფუძველს. განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო, ურთიერთ გამომრიცხავი მეურნეობის ფორმების მიმდევარი ორი საზოგადოების შერწყმა არ მოხერხდა და ვერც მოხერხდებოდა. ისლამს, თურქ-სელჩუკებმა რომ 100 წლის უკან მიიღეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო პრობლემის გადაჭრა. ამას დრო სჭირდებოდა.

თურქ-სელჩუკთა შემოსევების წინააღმდეგ გაერთიანებულ ბრძოლა იყო საჭირო. ამის ნაცვლად აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ორი უდიდესი პოლიტიკური ერთეული ალფ არსლანის შემოსევის შემდეგაც ებრძოდა ერთმანეთს.

იჩკვევა, რომ შადადიანების ურთიერთობა შარვანშაჰებთან არც აბუ-ლ-ასვარის შემდეგ იყო ყოველთვის კეთილმეზობლური.

აბუ-ლ-ასვარმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში დანიშნა თავის მემკვიდრედ უფროსი ვაჟი ფადლ ბ. შაჟური. დანარჩენმა ოთხმა ვაჟმა,

---

<sup>125</sup> ტექსტში არის *حيا و* ვ. მინორსკის კონიექტურით *بجنى* ბიჯნისი და არა ვეჯინი, იხ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 32, შენაშვ., 19.

<sup>126</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 16.

შადადიანთა გვარის დიდებულებმა და ლაშქარმა შეასრულა აბუ-ლ-ასვარის წინაშე დადებული ფიცი მისი ვაჟისადმი ერთგულების შესახებ და როდესაც აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლი (1049—1067) გარდაიცვალა ფადლ ბ. შავური ტახტზე დასვეს<sup>127</sup>. ამჟამად, რომ ტახტის მემკვიდრის წინასწარ დანიშვნით აბუ-ლ-ასვარს სურდა სამეფო დაეზღვია მოსალოდნელი არეულობისა და ძმათა შორის ტახტისათვის ბრძოლის სავალალო შედეგებისაგან.

აბუ-ლ-ასვარ შავურსა და შარვანშაჰ ფარიბურზს შორის დადებული ზავი მალე დაირღვა. როდესაც ფადლ ბ. შავური (ფადლ II, 1067—1073) საქართველოში დაატყვევეს (იხ. ქვევით, გვ. 197). 1068 წ. ფარიბურზ ბ. სალარმა „დაარღვია ზავის პირობა, შეიჭრა არანში და დაარბია და გაძარცვა იგი“<sup>128</sup>. არანს ამ დროს ფადლ II-ის ძმა, აშოტ ბ. შავური მართავდა. მაგრამ, როგორც უფადლ ბ. შავური ტყვეობიდან დაბრუნდა, მან ისევ ხელთ იგდო ქვეყნის მართვის სადავეები და დაუყოვნებლივ სამაგიერო ლაშქრობა მოაწყო შარვანში 463/1070—71 წ.<sup>129</sup> ამ დროისათვის ამიერკავკასიაში უკვე მეორედ განიცადა ალფ არსლანის შემოსევა.

აღნიშნული იყო, რომ აბუ-ლ-ასვარ შავურმა ალფ არსლანის მორჩილება აღიარა სელჩუკი სულთნის პირველივე ლაშქრობის დროს. ეს ცნობა ექვს არ იწვევს. სამაგიეროდ, ჰაეჰვოა ჰუსაინის ის ცნობა, რომელიც შადადიანი ფადლონის სელჩუკთა წინააღმდეგ აჯანყებას გადმოგვცემს ალფ არსლანის ამიერკავკასიაში მეორედ ლაშქრობის წინ<sup>130</sup>. ცნობა, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანია უეჭველი რომ იყოს. ჯერ ერთი, 1067 წ. ნოემბრამდე — ე. ი. უშუალოდ ალფ არსლანის მეორე ლაშქრობამდე — არანს აბუ-ლ-ასვარი მართავდა და არა ფადლონი, როგორც ჰუსაინი აღნიშნავს. შემდეგ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰუსაინის ცნობა ეხებოდეს ფადლ ბ. შავურს (1067—1073). მაგრამ, ამ შემთხვევაში, სხვა წინააღმდეგობას ვაწყდებით: ამ აჯანყებას საერთოდ არ ახსენებს შადადიანთა ისტორიის ისეთი ავტორიტეტული პირველწყარო, როგორც მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი. გაუგებარია, რატომ არ აღნიშნა მან, თუნდაც ვაკვრით, თავის ქრონიკაში აჯანყება, რომელსაც ასე დეტალურად აღწერს ჰუსაინი.

<sup>127</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 17.

<sup>128</sup> იქვე, § 18.

<sup>129</sup> იქვე.

<sup>130</sup> იხ. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, გვ. 236—237.

არანის, შარვანის და დარუბანდის საბოლოო დაპყრობა და სელჩუკებთან მათი პოლიტიკური დამოკიდებულების გარკვევა ალფ არსლანის ამიერკავკასიაში მეორე ლაშქრობის შემდეგ მოხდა.

459 წ. ზუ-ლ-ჰიჯას თვეში (1067 წ. 13 ოქტომბერი — 11 ნოემბერი) ალფ არსლანი არანში იყო. ფადლ ბ. შავურმა მას თავისი საგანძურების გასაღებები ჩააბარა, ხოლო შარვანშაჰ ფარიბურზ ბ. სალარმა დიდი ძღვენი მიართვა. შარვანშაჰი თან ახლდა ალფ არსლანს საქართველოში ლაშქრობის დროს, რომელიც 460 წ. მუჰარემში (1067 წ. 11 ნოემბერი — 11 დეკემბერი) დაიწყო<sup>131</sup>. ამრიგად. „მატიანე ქართლისა“-ს თარიღი — ქრონიკონის 288 (1068 წ.) დაზუსტებას მოითხოვს<sup>132</sup>.

ასედა თუ არა ფადლ ბ. შავური ალფ არსლანს საქართველოში არ ვიცით, ცნობილია, რომ მამამისი სწორედ აღნიშნული ლაშქრობის წინა დღეებში — 1067 წ. 19 ნოემბერს — გარდაიცვალა. მაგრამ ამ მიზეზის გამო ფადლი, ალფ არსლანის სურვილის წინააღმდეგ, განძაში ვერ დარჩებოდა.

საყურადღებოა, რომ შადადიანებმა ალფ არსლანის მეორე ლაშქრობის შედეგებითაც კარგად ისარგებლეს საქართველოს ხარჯზე.

საქართველოდან დაბრუნებული სულთანი ჯერ განძაში გაჩერდა, შემდეგ ბარდავში. ჩვენ არ ვიცით დააკისრა თუ არა ხარკი ალფ არსლანმა შადადიანებს. შარვანშაჰის მიმართ კი წყარო გარკვევით აღნიშნავს, რომ მას სულთანმა დიდი თანხის გადახდა დაავალა<sup>133</sup>. რით დაიმსახურეს შადადიანებმა სელჩუკი სულთნის ასეთი განწყობილება? ჩვენი აზრით, მხოლოდ მორჩილების აღიარებით არა.

სელჩუკები, როგორც ჩანს, კარგად ერკვეოდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ვითარებაში. შადადიანთა სახელმწიფოს საქართველოსთან მტრული ურთიერთობის შენარჩუნება-გაძლიერება სელჩუკებისათვის ხელსაყრელი იყო ამიერკავკასიაში მოწინააღმდეგე ძალების („ქრისტიანული“ ამიერკავკასია) დასასუსტებლად და დასამარცხებლად. ამიერკავკასიაში სრულ გაბატონებამდე სა-

<sup>131</sup> ბაბ ფი-ლ-შადადია, § 17; თარის ალ-ბაბ, § 22; ჰუ ს ა ი ნ ი, გვ. 30—31, ვიოწმებთ ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა ს დასახ. ნაშრომიდან, გვ. 238; მატიანე ქართლისა, გვ. 308; The Cambridge History of Iran გვ. 62.

<sup>132</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 309.

<sup>133</sup> თარის ალ-ბაბ, § 22. შალიქ-შაჰის დროს შარვანი იხდიდა ალ-ბუნდარის თანხამად 70 ათას დინარს, ნესავის მიხედვით — 100 ათას დინარს. დაწერილზეთ იხ. В. Минорский, История Ширвана и Дербенда. გვ. 160.



ქართველოსა და სომხეთისაგან მიტაცებული ტერიტორიების შადა-ლიანებისათვის გადაცემით სელჩუკები, ცხადია, აძლიერებდნენ თავის მომხრე ძალებს.

მაშინ რაღამ გამოიწვია კონფლიქტი თურქ-სელჩუკებსა და შადადიანთა სახელმწიფოს შორის, რომლის შედეგად უკანასკნელმა შეწყვიტა არსებობა. როდესაც თურქული მომთაბარული არისტოკრატია და თურქული ტომების მზარდი მოძალბა აზერბაიჯანსა და არანში აშკარად დაემუქრა შადადიანთა პოლიტიკურ არსებობას, ასეთ ვითარებაში შადადიანებმა, როგორც ჩანს, წინააღმდეგობა ვაუწიეს თურქ-სელჩუკებს. მაგრამ უკვე გვიან იყო.

არანი ისევე, როგორც აზერბაიჯანი თურქ-სელჩუკთა ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველო-სომხეთ-ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაც მოახდინეს სელჩუკებმა არან-აზერბაიჯანის სრული ანექსია.

რაც შეეხება შარვანს, მან გაუძლო თურქ-სელჩუკთა ცალკეული, მარბიელი ლაშქრის რბევა-თარეშს შემოსევების პირველ პერიოდში (XI ს. მეორე ნახევარი). ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ფარიბურზ ბ. სალარს — გამჭრიახ პოლიტიკოსს და კარგ დიპლომატს, რომელიც 1063 წლიდან მართავდა შარვანს<sup>134</sup>.

ენერგიის ნაკლებობას და უუნარობას ვერც ფაღლ ბ. შავურს დავაბრალებთ. მისთვის საბედისწერო გამოდგა საქართველოში ტყვეობა. უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანა შინაგანმა არეულობამ მოიცვა. ამიტომაც იყო, რომ სავ-თეგინ ალ-ხასს, ალფ არსლანის ამირას არ გასჭირვებია არანის ოკუპაცია 1068 წ. სექტემბერში. მაგრამ, ასეთ ვითარებაშიც ტყვეობიდან თავდახსნილ ფაღლ ბ. შავურს ფარ-ხმალი არ დაუყრია. სწორედ თავისი ენერგიის და ბრძოლისუნარიანობის წყალობით მან შეძლო ტახტის დაბრუნება, თუმცა მცირე ხნით<sup>135</sup>. ამის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაღლმა შარვანში ილაშქრა.

134 ხაკანის პოეტური შემეკიდრეობიდან ირკვევა, რომ ფარიბურზი ისპანშიც კი ჩასულა მალიქ-შაჰის კარზე. პოეტი მიმართავს შარვანშაჰ პაჰლავარ II-ის დას, რომ პაპაშენი, შაჰი ფარიბურზი მალიქ-შაჰის სანახავად ისპანშიც კი წავიდაო. იხ. Hādī Hasan, Falakī-i-Sh rāwī, გვ. 5—6: جَدِّ تو نیز شاه

فریبورز رفته هم / دیده در ملکش و در اصفهان شد.

135 ბაბ ფი-ლ-შადდალია, § 18.

შადალიანებისა და შარვანშაპების ინტერესები, ერთ კერძო შენობებში, დარუბანდში ეჯახებოდნენ ერთმანეთს. სავაჭრო-ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი დარუბანდის სრული დამორჩილებისათვის შარვანი დაუცხრომლად იბრძოდა. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დარუბანდი ნებისმიერ ძალებთან კრავდა კავშირს. მით უფრო მისაღები იყო მისთვის ერთმორწმუნე და შარვანის მოქიშპე შადალიანებთან დაკავშირება. ამის გამო არან-შარვანის ბრძოლაში დარუბანდი პირველის მხარეს იჭერს.

ფადლ ბ. შავერის შარვანში უკანასკნელი ლაშქრობის შედეგი ისიც იყო, რომ „ალ-ბაბის ხალხმა გააუქმა ხუტბის კითხვა შარვანშაპის სახელზე და დაიწყო მისი კითხვა არანის მმართველის სახელზე. არანის მმართველმა გაგზავნა ლაშქარი, რომელიც შევიდა შარვანში. მოხდა რამდენიმე ბრძოლა შარვანშაპსა და ალ-ბაბის ხალხთან (დაკავშირებულ) არანშაპის ლაშქარს შორის“<sup>136</sup>.

მაგრამ, ამ პერიოდში შარვანშაპი დაეინებით ებრძვის დარუბანდს და ღრობით წარმატებასაც აღწევს. 1068 წ. დასასრულს ფარიბურზმა თავისი ვაჟი აფრიდუნი დარუბანდის ციტადელში გაამაგრა. ამის შემდეგ „ალ-ბაბის ხალხი იძულებული იყო ეცნო შარვანშაპი; დაიწყეს ხუტბის კითხვა მის სახელზე და შეწყვიტეს კითხვა არანის მმართველის სახელზე“<sup>137</sup>.

წყარო ერთგვარად აჯამებს არანსა და შარვანს შორის დარუბანდისთვის გამართულ ბრძოლის მიმდინარეობას და აღნიშნავს: „ალ-ბაბში ხელისუფლებისთვის ბრძოლა დაიწყო შარვანშაპსა და არანის მმართველს შორის; ხან პირველი იმარჯვებდა და ხუტბა მის სახელზე იკითხებოდა... ხან მეორე ამყარებდა თავის ხელისუფლებას და ხუტბა ახლა მის სახელზე იკითხებოდა. ამ ბრძოლისაგან ალ-ბაბის ოლქის დიდი ნაწილი განადგურდა“<sup>138</sup>.

და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც საჭირო იყო გაერთიანებული და შეთანხმებული მოქმედება თურქ-სელჩუკთაგან თავდასაცავად. მაგრამ, საზოგადოების აღმავალი, ფეოდალური განვითარების ერთ-ერთი ნიშანი პოლიტიკურ ერთეულებს შორის პირველობისათვის დაუნდობელ ბრძოლაშიც გამოძვლავნდა<sup>139</sup>.

136 თარხ ალ-ბაბ, § 24.

137 იქვე.

138 იქვე, §43.

139 შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ-მნიშვნელობისათვის, გვ. 155.

თუმცა, შეინიშნება არანისა და შარვანის მმართველთა ერთიანი მოქმედებაც. 1072 წ. ივნისში ფარიბურზ ბ. სალარმა და ფადლ ბ. შავურმა გაერთიანებული ლაშქრობით აიღეს ციხესიმაგრე მალული, დახოცეს იქ მრავალი „ურწმუნო“ და გაასწორეს იგი მიწასთან<sup>140</sup>. შაქში მდებარე ამ ციხისათვის ცხარე ბრძოლა ჰქონდათ კახეთისა და შარვანის მფლობელებს<sup>141</sup>. როგორც ვხედავთ, გაერთიანებული ლაშქრით არან-შარვანის მმართველები ქრისტიანულ მეზობელ სამთავროს (კახეთს) ებრძვიან.

შადადიანთა ფეოდალურმა სახელმწიფომ თავის ძლიერების ხანას აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლის (1049—1067) მეფობის დროს მიაღწია. მისმა მემკვიდრეებმა კი თავი ვერ გაართვეს რთულ საშინაო და საგარეო ვითარებას და სახელმწიფო სწრაფად დაეშვა დაშლისა და გაქრობის გზაზე.

ფადლ II ბ. შავური (1067—1073) საკუთარმა ვაჟმა ფადლუნ ბ. ფადლმა ჩამოაგდო ტახტიდან: „466/1073—74 წ. ფადლუნ ბ. ალ-ფადლი აუჯანყდა მამამისს, ფადლ ბ. შავურს და გამოგლიჯა მას სამეფო [ხელიდან]. ლაშქარი და ქვეშევრდომნი დამორჩილდნენ მას. ბოლოს მან... გამოუყო მამამისს ციხე ხარაქი ოლქით და იქ ცხოვრობდა იგი უზრუნველად, მიუძღვნა რა თავი ღვთის სამსახურს“<sup>142</sup>.

მაგრამ დიდი ხნით ხელისუფლება ვერც ფადლუნ ბ. ფადლ ბ. შავურმა<sup>143</sup> შეინარჩუნა. წყარო გადმოგვცემს: „სულთან ალფ არსლანმა ბაბ ალ-აბვაბის და არანის ქვეყნების მმართველობა უბოძა თავის მხედართმთავრებს შორის უდიდესს და თავის მონებს (ღულმანაჰუ) შორის ყველაზე დაახლოებულს საე-თეგინს, და იგი 468/1075—76 წ. ყველა თავის თურქებით წავიდა იქითკენ. ფადლუნს არ სურდა თავისი ქვეყნის დათმობა და სეე-თეგინი გაე-

140 ბაბ ფი-ლ-შადადიია. § 16: თარბ ალ-ბაბ, § 26.

141 იხ. თარბ ალ-ბაბ, § 18, 26; В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 117.

142 ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 19.

143 შეენიშნავთ, რომ ა. ქესრავი საერთოდ უარყოფდა ამ შადადიან მმართველის არსებობას და იგი იმავე ფადლ ბ. შავურად ნიანდა. იხ. შაპრიარანი გუმ-ნამ, III, გვ. 46—48. მაგრამ ვ. მინორსკის კვალად აღვნიშნავთ, რომ მუნჯი-ბაშის ანონიმის არაბული დედანი უქვეყლად ადასტურებს ფადლუნ ბ ფადლის (ე. ი. ფადლ III) არსებობას. საინტერესოა, რომ წყარო ნაოლოდ ამ უკანასკნელ შადადიანს უწოდებს „ფადლონს“ მაშინ, როდესაც ეს სახელი ასე გაერყელებული იყო ამიერკავკასიაში.

შურა მის წინააღმდეგ. ხედავდა, რა თავის უძლურებას (მტერთან) საბრძოლველად და მის მოსაგერიებლად, მან ჩააბარა თავისი სატახტო ქალაქი ჯანზა და არანის სხვა ნაწილები მთასა და ბარში, ყველა ოლქებით და ციხეებით სულთნის ნაცვლებს (ნოვამ) და ამგვარად შადადიანთა დინასტია (დაულა) დაიშალა. არანი მთელი მათი ქონებით და ხაზინით თურქებს ჩაუვარდა ხელში... რამდენიმე ხანს ფადლ ბ. შავური გამოკეტილი იყო ციხე ხარაქში, შემდეგ ისიც წარუღეს და იგიც დააპატიმრეს<sup>144</sup>.

არაბულენოვანი წყაროს აღნიშნულ ცნობას ადასტურებს და ამდიდრებს ქართული მატრიანე: „და აილო (მალიქ-შაჰმა) განძა, და დაავდო სარანგი [სარჰანგი სავ-თეგინი] თავადად განძას და ბრძოლად ქუეყანისა ყოვლისა, ორმოცდარვა ათასითა კაციოა. შედგა ფადლონ ციხეთა მაგართა, და ვერ დაუდგნა, გამოიყვანეს და დააპატიმრეს იგიცა“<sup>145</sup>.

მაგრამ, როგორც ირკვევა, განძის შადადიანები ერთბაშად არ გამქრალან ამიერკავკასიის პოლიტიკურ სარბიელიდან. მათ შემდგომ ბედზე საყურადღებო ცნობას გვაწვდის იბნ ალ-ასირი: „მალიქ-შაჰმა ჩამოართვა არანი ფადლუნ ბ. აბუ-ლ-სავარ ალ-რავადის<sup>146</sup> და მისცა იგი სარჰანგ სავთეგინს, თავის მსახურს (ხადემ). მან (სამაგიეროდ) უბოძა ფადლუნს ასტარაბადი... [შემდეგ] ფადლუნი დაბრუნდა თავის ქვეყანაში. განიმტკიცა მდგომარეობა და აჯანყდა. სულთანმა გავზავნა მის წინააღმდეგ ამირა ბუზანი, რომელმაც დაამარცხა და დააპატიმრა იგი. სულთანმა მისცა მისი სამფლობელო ლენად (ამირების) ჭვუფს, რომელთა შორის იყო ძალი-სიძანი, ანტაქიას მთავარი. ძალი-სიძანის სიკვდილის [1098 წ.] შემდეგ მისი ვაჟი დაბრუნდა მამამისის ქვეყანაში (სირიაში). რაც შეეხება ფადლუნს იგი მოკვდა 484/1091—92 წ. ბაღდადის ერთ-ერთ მეჩეთში, ტიგროსთან“<sup>147</sup>.

შადადიანთა დამხობის ზუსტი თარიღის დადგენა ჭირს. ვარდანი განსხვავებულ თარიღს ასახელებს. იგი წერს: „1088 წ. ბუზამ [ბუზანი ?] მალიქ-შაჰის ბრძანებით წაართვა განძაკი პატლუნია-ნებს, რომელთაც შადადიანები ეწოდებთ“<sup>148</sup>.

144 ბაბ ფი-ლ-შადადია, § 19.

145 მატრიანე ქართლისა, გვ. 317.

146 აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს „ალ-შადადი“.

147 იბნ ალ-ასირი, ტორნბერგის გამ., ტ. X, გვ. 194, ვიოწმებთ ვ. მინორსკის ნაშრომიდან, Studies, გვ. 67—68.

148 ვარდანი, გვ. 132.

იბნ ალ-ასირის დამოწმებულ ცნობაში უნდა ვიგულისხმოთ ფადლ ბ. აბუ-ლ-ასვარი (ფადლ II), რომელიც შერქმა, ფადლუნ ბ. ფადლმა (ფადლ III) ციხეში გამოკეტა და შემდეგ თურქ-სელჩუკებმა დაატყვევეს. როგორც ჩანს, მას მოუხერხებია ტყვეობიდან თავის დაღწევა და ერთხელ კიდევ უცდია შადადიანთა სახელმწიფოს აღდგენა, მაგრამ ამაოდ.

ასტარაბადი გურგანში მდებარეობდა. ეს უკანასკნელი, ტაბარისტანთან ერთად, ზიარიანთა სამფლობელოს შეადგენდა ხოლმე კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. ქეი-ქაუს ბ. ისკანდერი, „ყაბუს-ნამეს“ ავტორი — აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლთან სტუმრად რომ იყო ერთხელ განძაში — ჯერ ისევე ფლობდა გურგანისა და ტაბარისტანის მთიანეთში შიდა ოლქებს მაშინ, როდესაც სანაპირო ზოლი თურქ-სელჩუკთა ხელში იყო უკვე. ქეი-ქაუსის შვილი გილან-შაჰი, ზიარიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი 1090 წ. ჯერ კიდევ ჩანს პოლიტიკურ სარბიელზე. ამ დროისათვის ტაბარისტან-გურგანის მთიანეთი ასასინებმა დაპყრეს და ზიარიანთა სახელიც ქრება<sup>149</sup>.

ფადლ II კიდევ რომ ჩასულიყო ზიარიანთა კარზე, უნდა ვირწმუნოთ, რომ ამ დროს აქ მისთვის არც ეცალათ და არც ძალა შესწევდათ, რომ შადადიანისათვის რეალური დახმარება აღმოეჩინათ.

ვერ ხერხდება იმის გარკვევა თუ როგორ, რა პირობებში, ვისი დახმარებით მოახერხა ფადლ II-მ აჯანყება. რომელიც, თუ სინამდვილეში მოხდა, სავ-თეგინის სიკვდილის (478/1085—86 წ.) შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი<sup>150</sup>.


ნიშანდობლივია შადადიანთა დასასრული. დინასტიის უკანასკნელ წევრს თურქ-სელჩუკთა შემოსევების გამო უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილს, საკუთარ სამეფოსაგან შორს, მეჩეთში შეხიზნულს ამოხდა სული. თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და გაბატონების დროის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში შადადიანთა დინასტიის ბედი გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

შადადიანთა შემდეგ არანი სხვადასხვა მფლობელების ხელიდან ხელში გადადიოდა. XII-ს დასაწყისში, მცირე ხნით, არანზე შარვან-შაჰმა, ფარიბურზ ბ. სალარმაც კი მოიპოვა გავლენა<sup>151</sup>. არანი უპი-

<sup>149</sup> იხ. C. Bosworth, *The Islamic Dynasties*, გვ. 92—93; К. Босворт, *Мусульманские династии*, гв. 135—136; *The Cambridge History of Iran*, გვ. 26—27.

<sup>150</sup> შტრ. *The Cambridge History of Iran*, გვ. 95.

<sup>151</sup> იხ. В. Милорскнй, *История Ширвана и Дербенда*, гв. 96.



რატესად სელჩუკი სულთნების ოჯახის წევრთა და ამირების ხელში იყო ხოლმე. ასე, არანი და აზერბაიჯანი მალიქ-შაჰმა გადასცა თავის ბიძაშვილს, კუტბ ალ-დინ ისმაილ ბ. იაკუთს თავისი ცოლის, ზუბეიდა ხათუნის ძმას<sup>152</sup>.

მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ სელჩუკთა იმპერია შინაური ბრძოლების ცეცხლში გაეხვია. ტახტისათვის იბრძოდნენ ორი უფლისწულის (ბარქიაროკი და მაჰმუდი) და მათი დედების (თურქან ხათუნი და ზუბეიდა ხათუნი) ირგვლივ გაერთიანებული, ვეზირებისაგან და დიდებულებისაგან შემდგარი პარტიები. შედეგია ის იყო, რომ თურქან ხათუნმა თავისი ოთხი წლის ვაჟი მაჰმუდ ბ. მალიქ-შაჰი ისპაანში დასვა ტახტზე. მოწინააღმდეგე ბანაკმა (მალიქ-შაჰის ანდერძის დამცველებმა და ნიზამ ალ-მულქის მიმდევრებმა) 13 წლის ბარქიაროკი რეიში დასვეს სულთანად<sup>153</sup>.

არანიც და აზერბაიჯანიც მიმდინარე ბრძოლაში თავიდანვე იყო ჩათრეული. ბარქიაროკმა განძა თავის ძმას მუჰამედს მისცა, ხოლო აზერბაიჯანი მცირე ხნის განმავლობაში მაუდუდ ბ. ისმაილ ბ. იაკუთის, ზუბეიდა ხათუნის ძმისშვილის ხელში იყო. მაგრამ შემდგომი ამბები უკვე შორს სცილდება ჩვენს ინტერესებს და ამდენად მათ აღარ განვიხილავთ.

### § 3. შადალიანთა ანისის ზბო

1045 წ. ზაფხულში ბიზანტიის ლაშქარმა ანისი აიღო და ამით ფაქტიურად შეწყდა ბაგრატიუნთა ანისის სამეფოს არსებობა.

ამიერკავკასიაში ბიზანტიის პოზიციების განმტკიცებაში ანისის პირველხარისხოვანი როლი დაეკისრა. იგი იმპერატორთა ნაცვლების რეზიდენციად იქცა და თავისი მნიშვნელობის შესაბამისად ქალაქს ბერძენთა ყურადღება და მზრუნველობა არ მოჰკლებია. ეს იმიტომაც, რომ ბიზანტიას კარგად ესმოდა — ქალაქის მესვეურთა სურვილისა და განწყობილების საწინააღმდეგოდ იგი თავისი მცირე გარნიზონით ანისში ფეხს ვერ მოიკიდებდა. მაგრამ ბიზანტიელთა გეგმებს განხორციელება არ ეწერა.

<sup>152</sup> ა. ქესრავი, შაჰიარან-გუმ-ნამ, II, გვ. 112; The Cambridge History of Iran, გვ. 95.

<sup>153</sup> ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური, გვ. 35—36; რავენდი, გვ. 134, 139—141; ქუსაინი, გვ. 71; ჰამდალაქ ყაზვინი, თარხ-ი გუზი-და, გვ. 449—450; მირხონდი, IV გვ. 299—302.

თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ანისის ბედიც ერთბაშად შეატრიალა. 1064 წ. აგვისტოში ალფ არსლანმა ანისი აიღო და ქალაქში თავისი ამირა დანიშნა<sup>1</sup>.

ზევით აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიაში ალფ არსლანის პირველი ლაშქრობის შემდეგ აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლმა და ლაშქრა ანისი „იქაური საქმეების მოსაწესრიგებლად“. მას „უფლება“ ჰქონდა ანისზე პრეტენზია განეცხადებინა და იქ დანიშნული ამირა არ ეცნო. აბუ-ლ-ასვარი სიძე იყო ანისის ბაგრატიონიანებისა და ამდენად, ამ უკანასკნელთა და ბიზანტიელთა დამარცხების შემდეგ, აბუ-ლ-ასვარი ხელსაყრელ ვითარებას ხელიდან არ გაუშვებდა და, გასაგებია, ქალაქის დაპატრონებას ეცდებოდა; მით უმეტეს, რომ მისთვის ასეთი ცდა პირველი არ იყო (იხ. ქვევით). მაგრამ ამჯერადაც ამაო გამოდგა შადადიანის გარჯა.

შადადიანთა მიერ ანისის დასაკუთრებას ალფ არსლანის ლაშქრობამ შეუწყო ხელი. მაგრამ, თუ როდის მოხდა ეს, ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება. ქართული წყარო ალფ არსლანის საქართველოში პირველი ლაშქრობის აღწერის შემდეგ გადმოგვცემს: „და მიიქცა სულტანი (ალფ არსლანი) ანისად, შემუსრა და წაიღო ანისი, მოსრნა და ტყუე ყვნა ურიცხუნი სულნი, და წარვიდა ქუეყანად თჳსად სპარსეთად. და ანისი წარულო ბერძენთა და მისცა მანუჩას, ძესა აბულასვარისსა“<sup>2</sup>.

ანისი ალფ არსლანმა 1064 წ. 16 აგვისტოს აიღო. არისტაკეს ლასტივერტცი ვრცლად და დეტალურად აღწერს ამ ამბავს, მაგრამ არ აღნიშნავს გადასცა თუ არა სულთანმა ქალაქი ვინმეს; იგი ურიცხვი ნადავლით დაბრუნდაო თავის ქვეყანაში, წერს არისტაკესი<sup>3</sup>. ანისი რომ ამ დროს მიეღოთ შადადიანებს, არისტაკესი ამ ფაქტს სავარაუდოა, რომ აღნიშნავდა.

ვარდანი 1074 წ. მომხდარი ამბების აღწერის შემდეგ აღნიშნავს: „პატლუნმა გამოსთხოვა ალფ-ასლანს ანისი, სამაგიეროდ მისცა მას მოქარგული ოქროქსოვილები. მაგრამ ღმერთმა გამოუგზავნა დარბეულ ქალაქს მისი ახალგაზრდა შვილიშვილი მანუჩე, რომელმაც მიაღწია რა სრულწლოვანებას დაიწყო ანისის გალავნის გაფართოება და გამაგრება. მან მოიწვია ქალაქში ცოცხლად გადარ-

<sup>1</sup> არისტაკეს ლასტივერტცი, თ. XXIV; ვარდანი, გვ. 126—127; ჰუსაინი, გვ. 33—37; Н. Орбели. Развалины Ани, გვ. 6—7; V. Minorovsky, Studies, გვ. 58.

<sup>2</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 307.

<sup>3</sup> არისტაკეს ლასტივერტცი, გვ. 126—129.



ჩენილი ყველა დიდებული... (მათ შორის) გრიგოლი, ვასაკის ძე, აპირატის შვილიშვილი, რომელსაც თან ახლდა 500 „აზნაური“... რადგანაც გრიგოლი მბრძანებლობდა მრავალრიცხოვან ლაშქარს და მრავალ დიდებულს. იგი იყო ძმა უფალი ბარსეღისა, რომელიც შემდეგ... პატრიარქად აქურთხეს მანუჩეს და ყველა სომეხის ბრძანებით და სურვილით“<sup>4</sup>.

მრავალმხრივ საყურადღებო ცნობაა, მაგრამ ზუსტი თარიღი არც ვარდანს მოეპოვება. ამავე დროს, ვარდანი ცდება, როდესაც ანისის ყიდვას ფადლ ბ. მუჰამედს მიაწერს, მაგრამ სწორად აღნიშნავს, რომ მანუჩე მისი შვილიშვილი იყო.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი გაკვირთაც არ აღნიშნავს შადადიანთა მიერ ანისის შექმნას, ხოლო ანისის ახალ პატრონს, მანუჩიძე (მანუჩე) ბ. შავურს, იგი მხოლოდ ერთხელ ახსენებს, აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლის შვილების დასახელების დროს.

აბუ-ლ-ასვარ შავური 1067 წ. გარდაიცვალა. მაშასადამე, ანისი მან 1067 წლამდე „იყიდა“ და თავის ვაჟს მანუჩეს გადასცა, შესაძლებელია, რომ ეს მოხდა 1064 წელსვე, როდესაც აბუ-ლ-ასვარმა გაილაშქრა ანისზე. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ლაშქრობის შემდეგ შადადიანებმა გარკვეული გავლენა მოიპოვეს ანისში. საყურადღებოა, რომ ვ. მინორსკი მანუჩეს ანისში მმართველობის ხანას დაახლოებით 1064—1118 წწ. შორის ათავსებს<sup>5</sup>.

საგულისხმოა, რომ აბუ-ლ-ასვარმა ხმლით კი არა, სავაჭრო გარიგებით ჩაიგდო ხელში ანისი. ასევე საინტერესოა ისიც, რომ საქმე ფულით კი არა, ოქროქსოვილებით გაიხარხა. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვარდანის შესაბამისი ნაწყვეტის თარგმანში უთანხმოებაა<sup>6</sup>. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა რ. კიკნაძის აზრი, რომ „აქ... პირდაპირ ყიდვა-გაყიდვას არ ჰქონდა ადგილი. ალფ არსლანმა უბოძა ქალაქი ფადლონს [იგულისხმებ აბუ-ლ-ასვარი, — ბ. თ.], იმან კი თავის მხრით საჩუქრები მიაართვა“<sup>7</sup>.

<sup>4</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 129.

<sup>5</sup> V. Minorsky. Studies, გვ. 80.

<sup>6</sup> ნ. ვინი თარგმნის: „зорчатые золотые ткани“ და იქვე შენიშნავს: „Мы не ручаемся за верность нашего перевода, ибо это место подлинника без сомнения искажено“. იხ. ვარდანი, გვ. 129, 147 შენიშვ. 504. ნ. ვინი თარგმნის: „Покупает Ани от Алпаслана, дав ему (в уплату) златокованные иконы (из Царкоца“. იხ. Н. Марр, Ани, გვ. 32.

<sup>7</sup> რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, გვ. 114.

სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულია, რომ მანუჩიპრ (მანუჩე) ბ. აბუ-ლ-ასვარ შავურის მმართველობა ანისში 1072 წ. იწყება<sup>8</sup>. ყოველ შემთხვევაში, ამ წელს მანუჩეს მართვა-გამგეობა ანისში დოკუმენტურად დასტურდება. ანისის მეჩეთის არაბულ წარწერაში აღნიშნულია, რომ მეჩეთი აგებულია „დიდებული ამირას შუჯა ალ-დაულა აბუ შუჯა, მინუჩეპრ ბენ შავურის ბრძანებით მალიქ-შაჰის მეფობის დროს“<sup>9</sup>.

XI ს. 60-იანი წლების ამიერკავკასიის პოლიტიკურ ვითარებაში თურქ-სელჩუკებისათვის ხელსაყრელი არ იყო შადადიანებთან ურთიერთობის გამწვავება. წინ იყო გადამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიასთან (1071 წ.). ანისის გადაცემით სელჩუკები მოკავშირეს იძენდნენ ამიერკავკასიაში შადადიანთა სახით. საყურადღებოა, რომ ალფ არსლანი ანისშიც შადადიანებს უჭერს მხარს.

შადადიანთა ხელისუფლება ანისში დროგამოშვებით, მაგრამ მაინც მთელი XII ს-ის განმავლობაში აღინიშნება.

ვარდანის ციტირებული ნაწყვეტიდან კარგად ვლინდება შადადიანთა პოლიტიკის კურსი ანისში. იგი სომხეთის ფეოდალურ წრეებთან კავშირს და მათ ინტერესებთან შეთანხმებულ მმართველობას გულისხმობდა. ანისის მოსახლეობის თვალში შადადიანებისადმი მხარდაჭერას ხელს შეუწყობდა აგრეთვე მანუჩეს მიერ ქალაქში ჩატარებული საამშენებლო სამუშაოები. ასევე სასურველი, კეთილი შედეგი უნდა მოჰყოლოდა შადადიანებსა და ბაგრატუნიანებს შორის ნათესაური კავშირების განმტკიცებას. ირკვევა, რომ მანუჩესაც, მამამისის მსგავსად, სომეხი ბაგრატუნიანის ქალი (კატა) ჰყავდა ცოლად<sup>10</sup>. კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ მანუჩეს რელიგიურ სფეროშიც გამოუნახავს სომხებთან საერთო ენა. ამას ხომ პირდაპირ აღნიშნავს ვარდანი. საგულისხმოა ისიც, რომ მისივე სიტყვით, ანისი შადადიანთა დროს, წინანდელთან შედარებით, ნაკლებ კეთილმოწყობილი არ ყოფილა<sup>11</sup>.

ანისის საქალაქო ცხოვრებაში შადადიანთა დროიდან ახალი პერიოდი იწყება. ამ ხანაში იძენს ის დამოუკიდებელი და თავისთავად

<sup>8</sup> Н. Марр, Ани, гл. 32; В. Бартольд, Ани, гл. 328; Я. Манандян, О торговле в городах, гл. 270—271; И. Орбели, Развалины Ани, гл. 7; V. Minorsky, Studies, гл. 51—81.

<sup>9</sup> იხ. В. Крачковская, И. Крачковский, Из арабской эпиграфики, гл. 695.

<sup>10</sup> ვარდანი, გვ. 150—151.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 129.

ვადი ქალაქის შინაარსს<sup>12</sup>. ეკონომიური, სოციალური, კულტურული განვითარების დონით ანისი მახლობელი აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ქალაქთა რიგში ჩადგა<sup>13</sup>.

იჩვენება, რომ ამიერკავკასიაში მალიქ-შაჰის ლაშქრობის დროს მანუჩიპრ ბ. აბუ-ლ-ასვარს ანისი მისთვის მორჩილად ჩაუბარებია. ამით კმაყოფილ სულთანს მანუჩიპრი ანისშივე დაუტოვებია მმართველად<sup>14</sup>.

სავარაუდოა, რომ თურქ-სელჩუკთა სიუზერენობა ანისს და შადადიანებს ნაწილობრივ მაინც დაიცავდა მეზობელი თურქი ამირების თავდასხმებისაგან. საგულისხმოა, რომ ვარდანს მალიქ-შაჰი „მოწყალე, კეთილგონიერ და განსაკუთრებით (სომეხი) ხალხის მიმართ კეთილად განწყობილ ადამიანად“<sup>15</sup> მიაჩნია. მართალია, მალიქ-შაჰს, ალფ არსლანის მსგავსად, სომეხ ქრისტიანთა სისხლში არ უბანავია — პირდაპირი გაგებით<sup>16</sup> — მაგრამ, ვარდანისეული შეფასება, როგორც ჩანს, მაინც გადაჭარბებულია.

ივ. ჭავჭავიძის მიერ წყაროს მიერ მალიქ-შაჰის მოღვაწეობის ანალოგიური შეფასების<sup>17</sup> განხილვის დროს აღნიშნავდა, რომ სულთნის „საქციელი, რასაკვირველია, არც „ქრისტიანეთა სიყვარულით“, არც მისის „მართლმსაჯულებით“ არის ნაკარნახევი... არამედ უბრალო ანგარიშით“<sup>18</sup>. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს ვ. გაბაშვილმა სხვა კუთხით განიხილა მალიქ-შაჰის მოღვაწეობის ქართული მემკვიდრეული შეფასება<sup>19</sup>.

ჩვენ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ვარდანის სიტყვები მალიქ-შაჰის „ანგარიშით“ გამოწვეული ანისისადმი გარკვეული ყურადღების არსებობას გამოხატავენ.

მალიქ-შაჰის სიკვდილით გამოწვეული თურქ-სელჩუკთა იმპერიაში გაჩაღებული შინაომი და თურქი ამირების თვითნებობა შადადიანებსაც შეეხო ანისში.

12 Н. Марр, Аши, гл. 32—33; И. Орбели, Развалины Аши, гл. 7—8; Я. Манандян, О торговле и городах, гл. 270.

13 იხ. Barthold — [Minorsky], Аш, гл. 507—508.

14 თუ როდის, ზუსტი თარიღის დადგენა კირს. იხ. ა. ქესრავი, შაჰრიაზანის გუმნამ, III, გვ. 60; V. Minorsky, Studies, გვ. 81.

15 ვარდანის, გვ. 129.

16 იხ. იქვე, გვ. 127.

17 იხ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 321.

18 ივ. ჭავჭავიძის, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 162.

19 ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთი ქართული წყაროების ფურცლებზე, გვ. 292—293.

1092 წ. ანისს თავს დაესხა ილ-ლაზი ბ. ართუკი, ართუკიანთა დინასტიის მარდინისა და მიაფარიკინის შტოს ფუძემდებელი. მამისი, ართუკ ბ. ეკსები ოლუზთა ტომის დოგერის სარდალი იყო. იგი ხან სელჩუკების, ხან კიდევ ბიზანტიის მხარეზე იბრძოდა. თავისი კრელი პოლიტიკური კარიერა ართუკმა პალესტინის მმართველად დაასრულა. 1091 წლიდან ართუკის საქმე მისმა ვაჟებმა ნაჯმ-ალ-დინ ილ-ლაზიმ და შუინ ალ-დინ სუკმანმა გააგრძელეს. მათ სახელი მოიხვეჭეს ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლებში. მაგრამ შემდეგ, იმავე ჯვაროსნებისა და ფატიმიანთა ეგვიპტისაგან შევიწროებული ართუკიანები დიარბაქრში, კერძოდ. მარდინსა და ჰისნ-ქაიფაში დასახლდნენ.

მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ილ-ლაზი და სუკმანი მხარს უჭერენ ტუტუმ ბ. ალუ არსლანს ძმისშვილის წინააღმდეგ ტახტისათვის ბრძოლაში (1092—1095 წწ.). თურქმანებზე დაყრდნობით ილ-ლაზი ბ. ართუკმა თანდათან თავის ხელქვეით მოაქცია დიარბაქრის მხარე<sup>20</sup>. ილ-ლაზის პოლიტიკური კარიერის დასაწყისს განეკუთვნება მისი თავდასხმა ანისზე. 7000 კაცისგან შემდგარ ართუკიანთა ლაშქარს გაერთიანებული ძალებით შეებრძოლნენ მანუჩიპრ ბ. აბუ-ლ-ასვარი და სომეხი დიდებული გრიგოლ ვასაკის ძე; უკანასკნელმა ცოტა მოგვიანებით სიცოცხლის ფასად, როგორც ვარდანი გადმოგვეცემს, მანუჩიპრ ბ. აბუ-ლ-ასვარი სიკვდილს გადაარჩინა<sup>21</sup>.

ბარქიაროკსა და მუჰამედს (მალიქ-შაჰის ვაჟები) შორის მიმდინარე ბრძოლებში ამიერკავკასიის გარკვეული ნაწილიც აღმოჩნდა ჩათრეული — არანი ხომ მუჰამედს ერგო მამისგან. შადადიანებიც მის მოკავშირედ და შემწედ გამოდიან. 1103 წ. აპრილში, ხოლმე ბარქიაროკისგან დამარცხებული და დევნილი მუჰამედი ანისში აფარებს თავს<sup>22</sup>.

ვარდანი მოგვითხრობს, რომ 1105 წ. ვინმე ამირა ხეზილმა ისარგებლა სპარსეთში ამტყდარი არეულობით, შეიჭრა სომხეთში, აიღო ლორი და გავიდა დვინში, სადაც მოკლა მანუჩეს ძმა ბუნარი (აბუ ნასრ ისკანდერ ბ. აბუ-ლ-ასვარ შავური); „მანუჩე წავიდა სპარსეთის მეფესთან (ლიას ალ-დინ მუჰამედი, 1105—1118), მიიღო მისგან ლაშქარი და მობრუნებულმა მოკლა ხეზილი თავისი ძმის

<sup>20</sup> С. Ляп-Пуль, Мусульманские династии, гл. 140—141; С. Саен, Artukids, гл. 664; С. Bosworth, The Islamic dynasties, гл. 119—120.

<sup>21</sup> ვარდანი, გვ. 136.

<sup>22</sup> V. Minorsky, Studies, гл. 82.

საფლავზე. (სამაგიეროდ) დაუთმო დვინი სპარსელებს<sup>23</sup>. ხეზილი იგივე ყიზილ-არსლანია, არზენის (მცირე აზიაში, სომხეთის პაზღვრებთან) მფლობელი. 1105 წ. იგი რუმის სულთნის, ყილიჩ-არსლანის (1092—1107) ვასალობას აღიარებდა. არის ცნობა, რომ ის მონაწილეობდა 1103 წ. ხოის ბრძოლაში<sup>24</sup>. როგორც ჩანს, ყიზილ-არსლანი მუჰამედ ბ. მალიქ-შაჰის და მანუჩიჰრ ბ. შავურის მოწინააღმდეგე ბანაკში შედიოდა და ამდენად, მისი ანისზე ლაშქრობის მიზეზები გასაგებია.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ 1053 წ. აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. ფადლმა დვინში თავისი ძე, აბუ ნასრ ისკანდერი დასვა. გაურკვეველია მხოლოდ ეს უკანასკნელი დვინს 1105 წლამდე განუწყვეტლივ ფლობდა თუ არა.

დვინისათვის ბრძოლა ისევ გრძელდება. ყიზილ-არსლანის (ხეზილი) საქმეს აგრძელებს თურქი ამირა შამს ალ-დაულა ტულან-არსლან ალ-აჰდაბ („კუზიანი“) ბ. ჰუსამ ალ-დაულა, ბითლისის და არზანის მმართველი. ალ-ფარიკი გადმოგვცემს, რომ იგი 1121 წ. დვინსაც ფლობდა. დიდგორის ომში საქართველოს წინააღმდეგ ართუციანი სიუზერენის მოწვევით მასაც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ტულან-არსლანმა თავი აარიდა კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობას<sup>25</sup>.

მანუჩიჰრ ბ. შავურის შემდეგ თურქი ამირების აგრესია ანისზე კიდევ უფრო ძლიერდება. მისი მემკვიდრე, აბუ-ლ-ასვარ შავურ II ამ შემოტევებისაგან დაუძლურებული მზად იყო ანისი 60 ათას დინარად ყარსის ამირასათვის მიეყიდა. ამის გამო თუ უწოდებს ვარდანი აბუ-ლ-ასვარ შავურ II-ს „ჯაბან და ქალაჩუნა კაცს“<sup>26</sup>.

რელიგიური წინააღმდეგობანი და შუღლი ანისში თუმცა არ ყოფილა ძალზე ღრმა და ძლიერი, მაგრამ წყაროების ზოგიერთ ცნობებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ რთული პოლიტიკური სიტუაციის შედეგად ანისში ექსცესები მაინც ხდებოდა.

ასე, აბუ-ლ-ასვარ შავურ ბ. მანუჩიჰრმა (აბუ-ლ-ასვარ შავურ II) გადაწყვიტა ანისის ტაძრის გუმბათზე მანამდე არსებული ნახევარმთვარე მუსლიმანური სარწმუნოების სიმბოლო?)<sup>27</sup> შეეცვალა

<sup>23</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 140.

<sup>24</sup> იხ. V. Minorsky, Studies, გვ. 82, შენიშ. 4.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 83. შტრ. V. Minorsky, Caucasia in the History of Mayyāfīr qīn, გვ. 32.

<sup>26</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 146.

<sup>27</sup> იხ. В. Бартольд, К вопросу о полумесяце, гв. 489—491.

ხლათიდან მოტანილი ახალი ვეებერთელა ნახევარმთვართ — „ნალით“, როგორც უწოდებენ სომხური წყაროები<sup>28</sup>.

შავურ II-ის პოლიტიკამ მდგომარეობა ანისში უკიდურესად გაამწვავა. ირკვევა, რომ ქალაქში შადადიანთა ხელისუფლებას დასაყრდენი თანდათან ეცლებოდა და ბოლოს საქმე შეთქმულებით და პოლიტიკური გადატრიალებით დასრულდა. სამუელ ანეცი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა შემოსევებით (იბერიელების, „სკითების“?) შეწუხებულმა ანისის და შირაქის ოლქის მოსახლეობამ „გამოიტანეს დასკვნა მოეწვიათ დავითი, საქართველოს მეფე; მოატყუეს ამირა აბულსუვარი მანუჩეს ძე და შემოიყვანეს (დავითი) ქალაქში ისე, რომ არ დაღვრილა არც ერთი წვეთი სისხლი“<sup>29</sup>.

დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს ანისში ქრისტიანული ხელისუფლების განმტკიცებისათვის ერთხმად აღნიშნავენ ქართული და სომხური წყაროები. გასაგები მიზეზების გამო, წყაროები დავითის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა-განმტკიცებისათვის ჩატარებულ ღონისძიებებს აღნიშნავენ ხაზგასმით (იხ. ქვემოთ, გვ. 219—220).

დავით აღმაშენებელმა გააუქმა შადადიანთა ხელისუფლება ანისში: „და წარმოიყვანა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა და მკვეალთა და სძალთა, და ჩაგზავნა აფხაზეთად; ანისისა მკველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად“<sup>30</sup>. სომხური წყაროები ანისის მმართველად ქართველ დიდებულებს აბულეთს და მის ძეს ივანეს ასახელებენ<sup>31</sup>.

რა თქმა უნდა, დავითის ეს ღონისძიებანი წინასწარ დასახული პოლიტიკური გეგმის შესაბამისად ტარდებოდა.

ანისი დავით აღმაშენებელმა 1124 წ. აილო და ამრიგად ქალაქში შადადიანთა ხელისუფლება შეწყდა, თუმცა, მცირე ხნით<sup>32</sup>.

<sup>28</sup> მ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ქ ი, გვ. 99; ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 146;

<sup>29</sup> ს ა მ უ ე ლ ა ნ ე ც ი, გვ. 451.

<sup>30</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 345. მ. ბროსე აფხაზეთის უკუშობების გვარის წარმოშობას საქართველოში გადასახლებულ შადადიანებს უკავშირებს. იხ. ს ა მ უ ე ლ ა ნ ე ც ი, გვ. 460.

<sup>31</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 146; ს ა მ უ ე ლ ა ნ ე ც ი, გვ. 561; მ ხ ი თ ა რ ა ი რ ი ვ ა ნ ქ ი, გვ. 99.

<sup>32</sup> ამ თარიღს გვაძლევს წყაროების ერთი რიგი M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, გვ. 368—369; ნ. ბერძენიშვილი, და სხვა, საქართველოს ისტორია, გვ. 162. ანისის აღების თარიღად 1124 წ. უჩვენებს საქართველოს ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებიც, გარდა ერთისა; იხ. Историю Грузии, გვ. 197, სადაც წყაროების მეორე რიგის მონაცემების საფუძველზე

ხორასანში, სულთნის კარზე მყოფმა შაჰურ II-ის უფროსმა ვაჟმა ფადლუნმა „მამამისის და ძმების თავს გადამხდარი ამბავი და დავითის (ალმაშენებლის) სიკვდილი რომ გაიგო, მოვიდა მამისეული ქალაქის, ანისის მისაღებად, და ამ მიზნით თხოვნით მიმართა აბულეთს და ქალაქის უხუცესებს. და რადგანაც ანისი იმ დროს დიდ საფრთხეში იყო თურქთაგან, აბულეთმა დაუთმო იგი ქრისტიანების და თავისი შვილის ივანეს გადარჩენის მიზნით“<sup>33</sup>.

სამუელ ანეცის ცნობით ფადლუნს ერთი წლის განმავლობაში ალყაში ჰყოლია ანისი. ქალაქის მოსახლეობა მდგრად იცავდა თავს და მხარში ედგა ივანე აბულეთის ძეს, რომელმაც მცირე ძალებით მტერს დიდი ზიანი მიაყენა. მაგრამ ბოლოს, შიმშილით შეწუხებული ქალაქი დანებდა მტერს იმ პირობით, რომ ფადლუნი შურს არ იძიებდა ანისის მოსახლეობაზე მამამისის ღალატისათვის. გამარჯვებულმა ფადლუნმა სიტყვა გატეხა და მცხოვრებლებს სამაგიერო გადაუხადა<sup>34</sup>.

ამგვარად შადადიანმა ფადლუნ ბ. აბუ-ლ-ასვარმა (ფადლუნ IV) ისევ გააგრძელა შადადიანთა ხელისუფლება ანისში. მხარეები შეთანხმებულან და „მანუჩეს შვილებმა (უნდა იყოს შვილიშვილებმა, — პ. თ.) დასდეს მტკიცე ფიცი რომ წმინდა კათოლიკე, რომელიც ანისში მდებარეობდა სომხებს ექნებოდათ და არ შეუშვებდნენ მასში ტაქიკებს ან სხვა მუსლიმან ხალხს“<sup>35</sup>.

ფადლუნ IV ანისს დაეპატრონა 1126 წ.<sup>36</sup> „მან ხელი მოჰკიდა ქალაქის და მისი ოლქის (საქმეებს) და გულმოდგინე მოღვაწეობით დაამყარა მშვიდობა. მან აიღო აგრეთვე დვინი და განძაქი და სახელი მოიხვეჭა“<sup>37</sup>.

---

აღნიშნულია 1123 წ. ისევე, როგორც ივ. ჯავახიშვილთან, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 207—208, და სხვა შეკვლევარებთანაც, იხ. V. Minorsky. Studies, გვ. 84, შენიშვ. 3; იხ. აგრეთვე История армянского народа, გვ. 159. საგულისხმოა, რომ მ. ლორთქიფანიძე სპეციალურ სტატიაში (ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან, გვ. 105) აღნიშნავს 1124 წ., ხოლო სხვა ნაშრომში (История Грузии, გვ. 108, 128) — 1123 წ.

<sup>33</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 147—148.

<sup>34</sup> ს ა მ უ ე ლ ა ნ ე ც ი, გვ. 461.

<sup>35</sup> ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურბაქელის ცნობები. გვ. 247. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 207—208; მ. ლორთქიფანიძე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან, გვ. 105—106; ა. ქ ე ს რ ა ე ი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 64—65; V. Minorsky. Studies, გვ. 84—85.

<sup>36</sup> История Армянского народа, გვ. 160; Я. М а н а н д я н, О торговле в городах, გვ. 271.

<sup>37</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 148.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საამისოდ პოლიტიკური სიტუაცია ხელსაყრელი იყო. სულთან მუჰამედ ბ. მალიქ-შაჰის მემკვიდრეებს შორის ატეხილი შინაომი ფადლუნს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებდა.

დავით აღმაშენებლის სამხედრო წარმატებებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა თურქ-სელჩუკთა ძალაუფლება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ვარდანი გადმოგვცემს, რომ დავითს თბილისის აღებით (1122 წ.) დიდი ზიანი მიუყენებია „განძაცის სულთან მსლნისათვის“<sup>38</sup>. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ვ. მინორსკის შენიშვნა, რომ დავით აღმაშენებლის გამარჯვებებს ნიადაგი უნდა შეემზადებინა ფადლუნ IV-თვის განძის ხელახალი ოკუპაციისთვის<sup>29</sup>.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1121 წ. დვინი ტულან-არსლანს ეპყრა. ახლა ქალაქის შადადიანთა ხელში გადასვლას, იგი რა თქმა უნდა, არ შეურიგდებოდა და თავისი შვილი ყურთი გაგზავნა დვინის დასაბრუნებლად; „1130 წ. ყურთი კუზის ძე თავს დაესხა დვინს და დაეუფლა მას“<sup>40</sup>. ფადლუნ IV ამ ბრძოლაში მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარემ ამითაც მოხერხებულად ისარგებლა და იგი მალულად მოაშთვეს. ამის შემდეგ „ამირობის ხელისუფლება უმცროსმა ძმამ ხუშერმა“<sup>41</sup> მიიღო; ხოლო ცოტა ხნის შემდეგ — უფროსმა, მაჰმუდმა. ანისის ქვეყანა ისევ გაქირვებაში ჩავარდა“<sup>42</sup>.

მაჰმუდ ბ. აბუ-ლ-ასვარის შემდეგ მისი სამი ვაჟი ფახრ აღდინ შადადი, ფადლუნ V და შაჰანშაჰი თანმიმდევრობით ავიდნენ ტახტზე. მათი მეფობის შესახებ მხოლოდ კანტიკუნტი ცნობები მოგვებოვება.

XII ს. შუა წლებში ანისის შადადიანთა მდგომარეობისა და გავლენა-ავტორიტეტის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ალ-ფარიკის ცნობა იმის შესახებ, რომ 1154 წ. ამირა ფახრ აღდინ შადადმა არზან ალ-რუმის (არზრუმის) მფლობელს 'იზ აღდინ სალთუქს ქალი სთხოვა ცოლად, მაგრამ უარი მიიღო და ქალიც

<sup>38</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 146.

<sup>39</sup> ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 85, შენიშვ. 2.

<sup>40</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 150.

<sup>41</sup> ა. ქესრავის კონიექტურით — „ხუშერ“ خوششهر მსგავსად „მანუჩარ“-ისა شهرمانუჩარ-ი გუმ-ნამ, III, გვ. 66.

<sup>42</sup> ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 150; ს ა მ უ ე ლ ა ნ ე ც ი, გვ. 463. შემატანიან ფადლუნის სიკვდილს 1134 წ. აღნიშნავს, მისი მეფობის მეშვიდე წელს. ე. ი. ფადლუნ IV მეფობდა 1127—1134 წწ.



სხვას მიათხოვეს. როგორც ჩანს, ანისის ამირა შეურაცხყო ამ ფაქტმა და შურისძიება განიზრახა. „მან შეატყობინა სალთუქს: „ჩემი ხელისუფლება ანა-ში (ანისში) დასუსტდა, მოდი და იყიდე (ქალაქი) ჩემგან. მე ველარ ვუძღვებ ქართველებს და არ შემიძლია მათი უკუგდება. მე ვიქნები შენს სამსახურში და პატივს გცემ შენ“. მაგრამ, როდესაც სალთუქი მივიდა, შადადმა (შურის საძიებლად) გაგზავნა (კაცი) დიმიტრისთან, ქართველთა და აბხაზთა ჰუფესთან, რომელიც იქვე ახლოს იყო... ერთი დღის სავალზე ანადან და შეატყობინა სალთუქის მოსვლა. დიმიტრი წავიდა ქართველთა ლაშქრით და დილით ანაში იყო. იგი თავს დაესხა (სალთუქს) და დახოცა მრავალი მისი (ხალხისგან). 'იზ ალ-დინ სალთუქი და მასთან ერთად მრავალი ტყვედ ჩავარდა და ურიცხვი მუსლიმი დაატყვევეს. ეს იყო სამახსოვრო დღე მუსლიმთათვის. შემდეგ დიარაბიას და სირიის მეფეებმა გაგზავნეს ელჩები აფხაზთა (საქართველოს) მეფესთან საშუამავლოდ. გამოსასყიდი 'იზ ალ-დინისთვის დაადგინეს 100 ათასი დინარი; იგი განთავისუფლდა და დაბრუნდა თავისი ქვეყანაში; უდიდესი რაოდენობის ფული გავიდა მისი ქვეყნიდან სალთუქთან (ერთად) დატყვევებულთა დასახსნელად“<sup>43</sup>.

ალ-ფარაბის დამოწმებული ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ფახრ ალ-დინ შადადის მდგომარეობა ანისში სუსტია; მეზობელ მუსლიმან ამირათა აგრესიისგან თავდასაცავად შადადიანები საქართველოს მეფეს თხოვენ დახმარებას, რაც დაუყოვნებლივ აღმოუჩინა კიდევ დემეტრემ (1125—1156), როგორც სიუზერენმა ვასალს; ანისი ხომ თვით დემეტრემ გადასცა თავისი მეფობის დასაწყისში. ფახრ ალ-დინ შადადის პაპას, აბუ-ლ-ასვარ II-ს. მაშასადამე, აქედან მოყოლებული შადადიანები საქართველოს ვასალებად აღიარებდნენ თავს.

'იზ ალ-დინ სალთუქის თავდასხმას ანისზე სხვა წყაროებიც ადასტურებენ. აღსანიშნავია, რომ ერთი მათგანი აცხადებს: „მოუხდა სა[ლ]დუხ ამირა ანის[ის] ქალაქსა, მოადგა; აქათ დემეტრ.; მეფე მოვიდა: შეიბნეს, ნებითა ღმრთისაჲთა მეფეს გაემარჯვა. დაკოცნა და ამოსწყვიტნა“<sup>44</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.). არზრუმის მმართველსა და საქართველოს მეფეს შორის გამართულ ძლიერ ბრძოლას აღნიშნავს იბნ ალ-ასირიცი 548/1153—54 წ.<sup>45</sup>

<sup>43</sup> ალ-ფარაბის ცნობას ვიმოწმებთ ვ. მენორსკის დასახ. წიგნიდან, გვ. 86—87. შდრ.ა. ქ ე ს რ ა ვ ი, შაპრიარანი-ი გუმ-ნამ, III, 67—68.

<sup>44</sup> იხ. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 225.

<sup>45</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი ც ი, გვ. 124; მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი, გვ. 18.

მიუხედავად დემეტრეს დახმარებისა, ფახრ ალ-დინ შადადმა მაინც ვერ შეინარჩუნა ხელისუფლება ანისში. იგივე ალ-ფარაჟი გადმოგვცემს, რომ 550/1155—56 წ. „მღვდლები აჯანყდნენ ანაში, ჩამოართვეს ქალაქი ფახრ ალ-დინ შადადს და გადასცეს მის ძმას, ფადლუნს“. გაძევებული შადადი სირიაში ასად ალ-დინ შირქუჰთან წასულა<sup>46</sup>. შირქუჰის მამა შადი ბ. მერვანი აიუბიანთა დინასტიის ფუძემდებელი იყო. თვითონ კი ამავე დინასტიის ჰიმსის შტოს დამაარსებელი († 564/1169 წ.). შირქუჰის ძმიშვილი იყო სალაჰ ალ-დინ იუსუფი (სალადინი)<sup>47</sup>.

აიუბიანებიც, ისევე როგორც შადადიანები, ქურთებია იყვნენ<sup>48</sup>. მათ შორის მოყვრული კავშირიც არსებობდა<sup>49</sup>. სწორედ XII ს-ის 60-იანი წლებიდან იწყება აიუბიანთა აღზევება.

შემდეგ ფახრ ალ-დინ შადადი ქ. მარდინში გადადის ართუკიან ნაჰბ ალ-დინის (1152—1176) კარზე. აქ იგი კარგად მიიღეს და მიწებიც უბოძეს მაიაფარიკინის ოლქში, სასუნის მეზობლად. მარდინში მცირე ხანს დარჩა შადადი, აქედან ის სურმარში, დედულ ბიძასთან წავიდა<sup>50</sup>. სურმარი ანისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, არეზის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. იგი იყო „დიდი ციხე და ვრცელი ვილაიეთი თბილისსა და ხილატს შორის, სახელგანთქმული ცნობილი“<sup>51</sup>.

ამასობაში ანისში ისევ სამოქალაქო ბრძოლა მიმდინარეობდა. ბრძოლის სათავეში ისევ ანისის ქრისტიანული სამღვდლოება იდგა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ შადადიანების წინააღმდეგ მებრძოლ ანისის სამღვდლოებას მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის ინტერესები არ ამოძრავებდა.

ალ-ფარაჟის ცნობით 556/1161 წ. აჯანყებულმა ანისის მღვდლებმა ქალაქიდან გააძევეს ფადლუნ V და ანისი ქართველთა მეფეს გიორგი III-ს გადასცეს. ფადლუნს თავი ციხე ბაქრან-ში სურმარის მახლობლად შეუფარებია. გიორგის დიდი ნადავლი აუღია

<sup>46</sup> ალ-ფარაჟი, იხ. ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 88.

<sup>47</sup> იხ. С. Лэи-Пуль, Мусульманские династии, გვ. 58—61; С. Bosworth, The Islamic Dynasties, გვ. 59—62.

<sup>48</sup> დაწვრილებით იხ. ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 124—132. აღსანიშნავია, რომ ერთი სომხური წყარო სალადინს დვინელს უწოდებს, იხ. მხითარ აირივანი, გვ. 101.

<sup>49</sup> ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 88.

<sup>50</sup> ალ-ფარაჟი, იხ. V. Minorsky, Studies, გვ. 88.

<sup>51</sup> მაკუთი, გვ. 62.

ანისში და შემდეგ შადადის მთელი ოჯახი ფადლუნთან ერთად ტყვედ წაუყვანია. 1161 წ. მაისში გიორგიმ ანისის გამგებლად სადლუნი დანიშნა და თბილსში დაბრუნდა<sup>52</sup>.

ვარდანი საერთოდ არ ახსენებს ანისის სამღვდელოებას და აღნიშნავს, რომ „გიორგიმ წაართვა ანისი ამირა პატლუნს“<sup>53</sup>. ქართული წყაროს ცნობით გიორგი III-მ „სამ დღე ყო ომთა სიმრავლე და ძვერა ჰუნეთა“ და „გარდახუეწასა შინა შადადიანისა კელთ იგლო ქალაქი ნებისაებრ თვისისა და არა დამბრუნებელმან... დაიმკირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად. დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთ-უხუცესისა და ამირსპასალარისა, თანაშემწეობითა სარგის მქარგრძელისათა და სხუათა თემისა დიდებულთა აზნაურთათა ურეა-ქმნილმან მოკმართა თვსთავე“<sup>54</sup> ქვეყანას.

იბნ ალ-ასირიცი ინიციატივას გიორგი III-ს ანიჭებს. იგი წერს: „556 წ. შაჰმანის თვეს (1161 წ. 26/VII—24/VIII) ქურჯებმა შეიკრიბნენ თავიანთ მეფესთან ერთად და არანიდან გაემართნენ ქალაქ ანისკენ. აიღეს იგი და დახოცეს იქ მრავალი ხალხი“<sup>55</sup>.

ქართველთა მიერ ანისის აღებაზე და ქალაქში გამართულ სიხლიან ბრძოლაზე მოგვითხრობს აგრეთვე აქამდე ნაკლებად ცნობილი ბურჰან ალ-დინ აბუ ნასრ მას'უდი, ანელი ყადი თავის მოუქნელ სპარსულ ლექსებში. სხვათაშორის ქართველებს ისიც დაუტყვევებიათ მაგრამ შემდეგ სახარების ცოდნის გამო გაუნთავისუფლებიათ<sup>56</sup>.

დაუძლურებული შადადიანების ხელიდან ანისის საქართველოს ხელისუფლების ქვეშ გადასვლამ ერთბაშად აამხედრა მეზობელი მუსლიმანი მფლობელები. ორი თვეც არ იყო გასული ანისის აღების შემდეგ, რომ მუსლიმანთა დიდი კოალიცია დაიძრა ანისისაკენ. გაერთიანებულ ლაშქარს შეადგენდნენ: 1. შაჰ-არმენი, ხლათის მფლობელი სუქმან II 2. დარბაქარში ქ. მარდინის მფლობელი კუტბ ალ-დინ ილ-ლაზი 3. არზრუმის მფლობელი ალ-მალიქ სალთუკი

<sup>52</sup> ალ-ფარაბი, იბ. ვ. ნინო რსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 89; შდრ. ა. ქვარაძე, შაჰრიარანი გუმ-ნამ, III, გვ. 68—70; მ. ლორთქიფანიძე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან, გვ. 107.

<sup>53</sup> ვარდანი, გვ. 155.

<sup>54</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 6.

<sup>55</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 125.

<sup>56</sup> იბ. ვ. მინო რსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 89; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 229, შენიშვ., 2.

4. არზენის მფლობელი ფაზრ ალ-დინ დოუღეთშაჰი 5. ყარსის და სურმარის მფლობელი<sup>57</sup>.

როგორც ვხედავთ, ანისის საკითხი შორს გასცდა შადადიანთა ისტორიის ლოკალურ ფარგლებს და იგი საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა.

ამიერკავკასიაში ქრისტიანულ და მუსლიმანურ პოლიტიკურ რეჟიმს შორის ბრძოლის შედეგი ბევრად იყო დამოკიდებული ანისზე. ანისის ფლობა მთელ ამიერკავკასიაში პოლიტიკური გაბატონების კარგი საწინდარი იყო. ქალაქის მაღალი ეკონომიური დონე და მისი დიდი სავაჭრო მნიშვნელობა აორკეცებდა აღძრულ ინტერესს. ამიტომ მიმდინარეობდა XI საუკუნიდან ბრძოლა ანისისათვის როგორც თვით მუსლიმან მფლობელებს შორის, ასევე მუსლიმანური და ქრისტიანულ სამყაროს შორის; უკანასკნელს ბიზანტიის იმპერიის ამიერკავკასიიდან გასვლის შემდეგ საქართველო ჩაუდგა სათავეში. მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა XII ს. მეორე ნახევარში და ამის შედეგი იყო ზემოაღნიშნული კოალიცია:ც. მაგრამ საკითხის შემდგომი შესწავლა სცილდება ჩვენი კვლევის ფარგლებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საქართველოს გამარჯვებამ მუსლიმანურ კოალიციაზე ანისთან 1161 წ. და 1162 წ. დვინის აღებამ დიდი რეზონანსი ჰპოვა და საქართველოს სახელმწიფოს სულ უფრო მზარდი აგრესიის შესაჩერებლად ახალი გაერთიანებული ლაშქრობა გამოიწვია.

ანისის შადადიანთა ისტორიის უკანასკნელი მონაკვეთის შესასწავლად მხოლოდ რამდენიმე ეული ცნობა მოგვეპოვება.

მუსლიმანი მფლობელები დაჟინებით ცდილობდნენ ანისიდან ქართველთა განდევნას. ვარდანის ცნობით ოთხი წლის განმავლობაში ქალაქს მტერთაგან მოსვენება არა ჰქონია<sup>58</sup>. ბრძოლის მოთავე და ხელმძღვანელი შამს ალ-დინ ელდიგუზი (1137—1175) იყო, ძლიერი და გავლენიანი ათაბაგი, აზერბაიჯანის ელდიგუზიანთა სახელმწიფოს ფუძემდებელი.

ბოლოს, როდესაც ელდიგუზმა გიორგი III-ს ზავი შესთავაზა, ქართველთა მეფე დათანხმდა და იძულებული იყო ანისი დაეტოვებინა. „შემდგომად ამისა უბოძა ანისი თვისსავე მემამულესა და ითაყუანა თავისი თვისისა ყმად“<sup>59</sup>. ვარდანის მიხედვით სხვა ვითა-

57 იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228—232; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 107—108; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

58 ვარდანო, გვ. 156.

59 ისტორიანი და აზმანი, გვ. 15.

რება ირკვევა. კერძოდ, გიორგიმ „შეიწყალა რა ქალაქი, მოიწვია ასლან მაჰმუდის ძე, წოვეის სულთანი და გადასცა მას ქალაქი რადგან ხედავდა, რომ ვერ შეინარჩუნებდა ქალაქს ურწმუნოთა სიმრავლის გამო“<sup>60</sup>. იგივე წყარო აღნიშნავს, რომ „წოვეის სულთანს“ ელდიგუზი აქეზებდა ხოლმე ანისზე სალაშქროდ. წოვეი თავრიზის მახლობლად მდებარეობდა და შესაძლებელია. ვარდანი ერაციის სელჩუკ სულთანს, არსლან ბ. თოდორულს (1161—1177) გულისხმობდეს. სულთან არსლანის ათაბაგი ხომ ელდიგუზი იყო<sup>61</sup>.

ანისი ქართველებმა 1164 წ. დატოვეს<sup>62</sup>. ალ-ფარიკის ცნობით, 1164 წ. დასასრულს ელდიგუზს ანისი ისევ შადადიანებისთვის, შაჰანშაჰ ბ. მაჰმუდისთვის გადაუცია<sup>63</sup>.

ელდიგუზ ათაბაგის ვასალ შადადიანების ხელში ანისი ათო წლის (1164—1174) განმავლობაში იმყოფებოდა. მაგრამ გიორგი III-ს ანისისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია<sup>64</sup>. 1174 წ. ქართველებმა ისევ აიღეს ანისი, ჩამოართვეს იგი ამირა შაჰან-შაჰს „დანიშნეს საკუთარი მმართველი ქალაქში და შეუერთეს იგი საქართველოს სამფლობელოს“<sup>65</sup>. ეს მმართველი, როგორც ვარდანიდან ირკვევა, ივანე ორბელი იყო. იგივე წყარო ამტკიცებს, რომ საქართველოში დაბრუნებულმა გიორგი „მეფემ თან წაიყვანა ამირა შაჰანშაჰი, რომელსაც (ანისში) დაბრუნება აღარ ეწერა“<sup>66</sup>. თუმცა, ირკვევა, რომ 1174 წ. შადადიანებს ანისში ფეხი არ ამოკვეთათ.

ნ. მარის ხელმძღვანელობით ანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ ძვირფას მასალას შორის აღმოჩნდა აგრეთვე ანისის ცენტრალურ მინარეთზე შადადიანი მმართველის ბრძანებით შესრულებული წარწერა. ამჟამად ჩვენს ყურადღებას ამ თრიად მნიშვნელოვანი წარწერის ავტორი და თარიღი იპყრობს. წარწერაში აღნიშნულია: „მე ქეჲ-სულთან ბ. მაჰმუდ ბ. შავფურ ბ. მანუჩიპრ შადადმა ჩემი წინაპრების და შთამომავლობის დღეგრძელობისათვის ვბრძანეთ... წელსა ხუთას ოთხმოცდათხუთმეტ-

60 ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 156.

61 იხ. ვ. შ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

62 ბ. სილაგაძე (საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 112) ვარდანზე დაყრდნობით, რომელიც თარიღს გარკვეულად არ ასახელებს, 1167 წ. ვარაუდობს, ხოლო ალ-ფარიკი კონკრეტულად აღნიშნავს თარიღს.

63 ვ. შ ი ნ ო რ ს კ ი, იქვე.

64 შდრ. მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი, გვ. 18; ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მხითარ გოშის „აღბანეთის ქრონიკა“, გვ. 48—49.

65 ა ლ - ფ ა რ ი კ ი, იხ. ვ. შ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

66 ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 158—159; ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., III, გვ. 70—72.

სა<sup>67</sup>. როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, წარწერის თარიღი (595/1198—99 წ.) არავითარ ეჭვს არ იწვევს<sup>68</sup>.

რაც შეეხება ავტორს, მისი სახელის დაზუსტებაში არაარსებითი განსხვავება შეინიშნება<sup>69</sup>. ყოველ შემთხვევაში, უეკველია, რომ იგი მაჰმუდ ბ. შაუერის ერთ-ერთი შვილია, შესაძლებელია შაჰანშაჰი.

კერძოდ, ვ. მინორსკი აღნიშნავდა, რომ წარწერაში აღნიშნული პიროვნება, რომელიც თავის თავს მაჰმუდის ძეს უწოდებს, უეკველად არის შადადის და ფადლუნ IV ძმა და შეიძლება ნიშნავდეს შაჰანშაჰს, რომელმაც თავისი სპარსული სახელი („შაჰანშაჰი“) არაბულად გადათარგმნა („სულთანი“); თუმცა, როგორც საკუთარი სახელი ის იშვიათია<sup>70</sup>. საყურადღებოა, რომ ვ. მინორსკისავე აზრით, წარწერის ტექნიკური შესრულება და, რაც მთავარია, სტილი დაბალი ხარისხისა და ლარიბია<sup>71</sup>.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია წარწერის თარიღი. ირკვევა, რომ XII ს. დასასრულს შადადიანებს კიდევ ერთხელ მოუპოვებიათ ხელისუფლება ანისში. მაგრამ როდის და რამდენი ხნით? ეს კითხვები ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება.

როგორც აღვნიშნეთ, შადადიანთა ისტორია ანისში მჭიდროდ გადაეხლართა ამიერკავკასიის და უფრო ვრცელი გეოგრაფიული რეგიონის პოლიტიკური სიტუაციის მნიშვნელოვან მოვლენებს. ამაში თვით შადადიანების დამსახურება როდია განმსაზღვრელი, არამედ ანისის, როგორც პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცენტრის მნიშვნელობა. ქალაქისათვის თავგამოდებით იბრძოდა როგორც საქართველო და ელდიგუზიანთა სახელმწიფო, ასევე სხვა შედარებით მცირე რანგის მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულის ხელმძღვანელი.

<sup>67</sup> იხ. Л. Г у з а л ь я н, Персидская надпись, გვ. 633: من کی سلطان بن

محمود بن شاور بن منوچهر الشّادادی از بری جان درازی جدّ و فرزندنام  
چنان فرمودیم که ... فی تاریخ سنه خمس و تسعین و خمسمایه

<sup>68</sup> ლ. გ ი უ ზ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 641; ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.


<sup>69</sup> კერძოდ, سلطان که من ვ. მინორსკი კითხულობს: „I, who (am) Sultan“ — იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 100, შენიშვ. 1.

<sup>70</sup> V. Minorsky, Studies, გვ. 101.

<sup>71</sup> იქვე.

ჩვენ ამჟერად მხოლოდ ანისის შადადიანთა ისტორია გვაინტერესებდა და შევეცადეთ შეგვესწავლა იგი. აქედან გამომდინარე, შეგნებულად არ შევეხეთ ანისთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გარკვევა ასე საინტერესოა და მნიშვნელოვანი XII ს. ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრების წარმოსაჩენად.

### შ ა დ ა დ ი ა ნ ე ბ ი (ანისის)



### § 4 დარუბანდის საამირო

დარუბანდის ისტორიული ბედის განსაზღვრაში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გეოგრაფიულმა გარემომ შეასრულა. ამასთანავე, ეთნიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობები დიდ სავაჭრო-ეკონომიურ და სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობასთან ერთად ქმნიდნენ იმ გარემოს, რომლის წიაღში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის, და არა მარტო ამიერკავკასიის ისტორიაში დარუბანდის კოლორიტული ქალაქი-სახელმწიფო.

კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. ყოი-სუს მიმართულებით განშტოებული ქედები კასპიის ზღვას ზედ ებჯინებიან ისე, რომ სანაპიროსა და მთებს შორის რჩება ვიწრო, 2—3 კმ სიგანის გასასვლელი.

უხსოვარი დროიდან კავკასიონის გადაღმა გაშლილ ვრცელ

ტრამალებზე, ამ ქემშარიტად „მსოფლიო შარაგზაზე“<sup>1</sup> აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ განუწყვეტლივ მოძრაობდნენ მომთაბარე ტომთა და ხალხთა დიდი მასები. სკვითები, სარმატები, ჰუნები, ალანები, ხაზარები, თურქები, პაჰანიგები, მონღოლები და სხვები „ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ გზაზე და მორიგეობით ასვამდნენ თავიანთ ბეჭედს აქაურობას“<sup>2</sup>. ყველა ამ ხალხებისათვის კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო აღნიშნული გასასვლელით ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნების რბევა-თარეშისათვის ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და ხელსაყრელი გზა იყო.

კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე გასასვლელი ძველთაგანვე იყო ცნობილი, I—II — სს-ის ბერძნული და ლათინურენოვანი წყაროები მას „კარს“ უწოდებენ<sup>3</sup> ისევე, როგორც ქართული წყარო („ზღვს კარი“)<sup>4</sup>. საქართველოში მას სომხური სახელწოდებითაც (ჩორ) იცნობდნენ<sup>5</sup>. დაღესტნის ზოგიერთი ხალხი დარუბანდს დღესაც ძველ სახელს (ჩული, ჩურულ) უწოდებს<sup>6</sup>. სპარსელებმა მას „დახშული კარი“ (დარბანდ) დაარქვეს<sup>7</sup>, ხოლო არაბებისათვის იგი „კარი“ (ალ-ბაბ) და „კართა კარი“, (ბაბ ალ-აბვაბ) იყო. თურქები მას „რკინის კარებს“ (დემირ-კაპი) უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ თარიღ ალ-ბაბი ზოგჯერ აერთიანებს სახელწოდებებს: ალ-ბაბ-ი დარბანდ, ალ-ბაბ-ი სულ (ჩორ)<sup>8</sup>.

აღნიშნული კარების ჩაკეტვა სამხრეთის ცივილიზებული ქვეყნებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. როგორც ფიქრობენ, შესაძლებელია, რომ კავკასიონის ზეკარების გამაგრება ჯერ კიდევ აქემენიანებმა დაიწყეს<sup>9</sup>. მაგრამ მთავარი ამ საქმეში სასანელებმა გააკეთეს.

1 ს. ჭანაშვილი, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 184.

2 იქვე.

3 К. Тревер, Очерки, გვ. 274—275.

4 ლეონტი მროველი, გვ. 12, 13.

5 იაკობ ცურტაველი, მარტილობა შუშანიკისი, გვ. 22, 24.

6 История Дагестана, გვ. 122; Д. Кажлаев, Дербент — город-музей, გვ. 4.

7 რადვანაც მსგავსი „დახშული კარი“, ე. ი. ზეკარი, გასასვლელი სხვაგანაც არსებობდა, ამიტომ აღმოსავლური წყაროები ზოგჯერ უფრო აზუსტებენ ხოლმე მათ მდებარეობას და ჩვენს შემთხვევაში გვხვდება „შარვანის დარუბანდიც“.

8 თარის ალ-ბაბ, § 14; В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 119.

9 ე. შინორსკი, იქვე, გვ. 30; კ. ტრევერი, იქვე, გვ. 275.



კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობას სასანური ირანის სოციალური და ეკონომიური წყობა მოითხოვდა.

პარტიის საზოგადოების ზედა ფენებში სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის ახალმა ფორმებმა განვითარების შედეგად დაშალეს პარტიის სახელმწიფო<sup>10</sup>. ახალ, სასანელთა სახელმწიფოს საზოგადოებრივ წყობაში წამყვანი და გაბატონებული ადგილი სპარსელ მიწათმფლობელ საერო და სასულიერო დიდებულებს ეჭირათ<sup>11</sup>. სასულიერო-არისტოკრატიული წრიდან გამოსულ სასანელთა დინასტიას პირველ რიგში აღნიშნული პრივილეგიებული სოციალური ფენების მონაპოვრის და ბატონობის დაცვა ევალებოდა. ამრიგად, მეურნეობის პროგრესულ, ინტენსიური მიწათმოქმედების ფორმაზე დამყარებული სასანური ირანისათვის გარდაუვალი იყო წინააღმდეგობა მეჯოგე-მომთაბარე, ექსტენსიური მეურნეობის მიმდევარ ჩრდილოეთთან. გადაუღებელ ამოცანად წამოიჭრა ათვისებული, მიწათმოქმედების რაიონების დაცვა მომთაბარეთა თავდასხმებისგან<sup>12</sup>.

მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა VI-ს. მეორე ნახევარში, როდესაც შეიქმნა უზარმაზარი თურქული იმპერია, ჩინეთის საზღვრებიდან აღმოსავლეთ ევროპამდე რომ იყო გადაჭიმული. ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა თურქთა დაკავშირებამ ბიზანტიის იმპერიასთან, სასანური ირანის მუდმივ მოქიშპესთან. ალანების დამორჩილების შემდეგ თურქები უშუალოდ მიუახლოვდნენ კავკასიას. როგორც ჩანს, სწორედ კავკასიიდან, დარუბანდის გასასვლელიდან ემუქრებოდა სასანურ ირანს ძირითადი საფრთხე, რადგანაც აქ გაიშალა ზოსრო ანუშირვანის (531—678) დროს თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობის ძირითადი სამუშაოები<sup>13</sup>. თავის მხრივ, სასანურ პროვინციებს შორის აზერბაიჯანს უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა სასანური სახელმწიფოსათვის. ამიტომაც უფრთხილდებოდა და ამაგრებდა იგი თავის ბატონობას ამ მხარეში.

ჩრდილოეთის თავდასხმებისაგან თავდასაცავად გრძელი კედლების და ზღუდეების მშენებლობა მხოლოდ სასანური ირანის ხვე-

10 იხ. ვ. გაბაშვილი, სასანური ირანის სახელმწიფო, გვ. 18—23.

11 იქვე, გვ. 38; Н. Пигулевская, და სხვა, История Ирана, გვ. 48.

12 Е. Пахомов, Крупнейшие памятники, გვ. 37—39.

13 В. Бартольд, Место прикаспийских областей, გვ. 670—671.

დრი არ იყო. ეს პროცესი მიმდინარეობდა მთელს იმდროინდელ მსოფლიოში რომიდან და ბიზანტიიდან დაწყებული ირანთა და ჩინეთით დამთავრებულა. კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გამაგრებაც ამ ერთიანი პროცესის ნაწილს შეადგენდა.

აღნიშნული სანაპირო სასანელებს მხოლოდ დარუბანდით არ გაუმაგრებიათ. აფშერონის ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთისაკენ, დარუბანდამდე ამჟამად ცნობილია სამი ზღუდე-კედლის ნაშთები. ერთი მათგანის — შარვანის (ანუ შაბრანის), მდ. გილგან-ჩაის ხეობაში — კვალი 30 კმ-ზე შეინიშნება ზღვის სანაპიროდან მთების მიმართულებით. ცნობილია აგრეთვე ერთი კედლის ნაშთები დარუბანდის ჩრდილოეთითაც. მართებულად არის შენიშნული, რომ აღნიშნული ზღუდე-კედლების თანმიმდევრობა ამიერკავკასიაში სასანელთა მფლობელობის საზღვრებს შეესაბამება<sup>14</sup>. აღნიშნული ნაგებობანი ერთი, მთლიანი კომპლექსის შექმნას გულისხმობდა.

დარუბანდის ნაგებობანი ამიერკავკასიაში სასანური ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო და მრავლისმეტყველი ძეგლია. იგი დღესაც განაცვიფრებს მნახველს და ადვილად წარმოუდგენს მას თავის ოდიდელ სიდიადეს და ძლიერებას.

დარუბანდის ორი, პარალელური — ჩრდილოეთის და სამხრეთის — კედელი ზღვიდან გამოდიოდა, დასვლეთის მიმართულებით გადაჭრიდა გასასვლელს, თანდათან ვიწროვდებოდა და ღრმა ხეობით გამოყოფილ მთაზე აღმართულ ციტადელს უერთდებოდა. კედლებს შორის მანძილი (ქალაქის სიგანე) ზღვის სანაპიროსთან 450 მ, ციტადელთან კი 350 მ. იყო. ჩრდილოეთის კედლის სიგრძე 3675 მ-ია, სამხრეთის — 3500 მ. ამრიგად ქალაქის ფართობი დაახლოებით 1,5 კვ. კმ. შეადგენდა. არათანაბარი სისრულით შემორჩენილი კედლების საშუალო სიმაღლე 6 მ აღწევს) უმაღლესი — 18—20 მ. კედლების სისქე 2,75 მ-ია (ვ. მინორსკი აღნიშნავს 4 მეტრს)<sup>15</sup>. კედლები აგებული იყო 1 მ X 70 სმ X 35 სმ ზომის ქვათლილებით. ადგილობრივი, მეზობელი მთებიდან გამოტანილ ლოდებისაგან დამზადებული ქვათლილების ფოსოებში გამდნარი ტყვიით ჩამაგრებული რკინის ლეროები ქვათლილებს ერთმანეთთან

<sup>14</sup> Е. Пахомов, Крупнейшие памятники, გვ. 39—43; К. Тревер, Очерки, გვ. 267—274; М. Артамонов, История хазар, გვ. 117—121.

<sup>15</sup> В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 120; V. Minorsky, A history, გვ. 87; К. Тревер, Очерки, гв. 279, ზუსტი განზომილებანი იხ. П. Спасский, Дербентские укрепления, гв. 267—276.

მკიდროდ აკავშირებდა<sup>16</sup>. კედლებში დატანებული კოშკები და ბურჯები გალავნის სიმტკიცეს და თავდაცვისუნარიანობას კიდევ უფრო ზრდიდა. ჩრდილოეთის კედელში ე. პასომოვი 45 კოშკს და ბურჯს აითვლის, კ. ტრევერი — 30 კოშკს<sup>17</sup>.

ჩრდილოეთის კედელს მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც ძირითად დაბრკოლებას მომთაბარეთა და სხვათა შემოსევების გზაზე. სამხრეთის კედელთან შედარებით მან უფრო დიდხანს შეინარჩუნა თავისი ფუნქცია და, ჩვენს დრომდე შემორჩენილი, დღესაც თანამედროვე დარუბანდის ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენს.

ქალაქის კართაგან უმრავლესი სამხრეთის კედელში იყო გაკრილი. ჩრდილოეთის კედელში მხოლოდ სამი (მათ შორის ერთი პატარა) კარები იყო დატანებული. ეს ფაქტიც კარგად მიუთითებს დარუბანდის ინტენსიური ურთიერთობის მამართულებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ორივე კედელი დასავლეთით ციტადელს უერთდებოდა. ციხესიმაგრე ზემოდან დაპყურებდა მთის ფერდობზე შეფენილ, მკედროდ დასახლებულ ქალაქს, რომელიც თანდათან ეშვება დაბლა და ზღვის სანაპიროსთან წყდება. უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბარტოლდი უარყოფდა X ს. დარუბანდში ციტადელის არსებობას<sup>18</sup>. მაგრამ ახლა აშკარად დასტურდება, რომ აქ X ს-შიც არსებობდა დედა-ციხე (ციტადელი)<sup>19</sup>.

ღირსშესანიშნავი ნაგებობა იყო დარუბანდის ნავსადგური. რადგანაც დარუბანდთან კასპიის ზღვაზე არ არსებობდა ბუნებრივი უბე, ამიტომ გაკეთებული იყო ტექნიკურად რთული და იმ დროისათვის ეკონომიურად ძვირი ხელოვნური ნავმისადგომი. წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქალაქის კედლები პარალელურად ღრმად შედიოდნენ ზღვაში 600 წყრთის (დაახლოებით 300 მ) სიგრ-

<sup>16</sup> შდრ. ქართული „უწყვეტი წყობა“. იხ. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, გვ. 22—23, 79.

<sup>17</sup> Е. Пахомов, Пехлевийские надписи, гв. 12—13; К. Тревер, Очерки, гв. 280.

<sup>18</sup> «В противоположность нынешнему городу Дербент X в. не имел Цитадели». — В. Бартольд, Дербент, гв. 423, და იქვე, გვ. 426: «Рубрук впервые упоминает цитадель Дербента».

<sup>19</sup> წყარო აღნიშნავს: „969 წ. აჰმადზა აღადგინა აღ-ბაბის ციხე (قلعة الباب)“, რომელშიც „ამადი ჩვეულებრივ ცხოვრობდა“. — თარხ. აღ-ბაბ, § 35—36 (ხაზი ჩვენია, პ. თ.). შდრ. კ. ტრევერი, იქვე, გვ. 280: „...стены примыкают к цитадели Нарын-Кала, которая построена после X в.“.

ძეზე. კედლებს შორის გაბმული იყო ჯაჭვი, რომელიც ბოქლომით იკეტებოდა და მას (ბოქლომს) საკუთარი მცველი (საპიმ ალ-კოჭლ) ჰყავდა. ნებართვის გარეშე გემი ვერც შევიდოდა და ვერც გამოვიდოდა დარუბანდის ნავსადგურიდან<sup>20</sup>.

გამაგრებული ნავსადგურის წყალობით გადაურჩა დარუბანდი რუსთა მარბიელი ფლოტის თავდასხმას X ს-ში. იმავე ნავსადგურის მეშვეობით დარუბანდი კასპიის ზღვაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა<sup>21</sup>.

დარუბანდის საფორტიფიკაციო კომპლექსში შედიოდა აგრეთვე უშუალოდ ციტადელიდან დასავლეთის მიმართულებით მთებში აგებული გრძელი კედელი, ე. წ. დაღ-მარა, რომლის ნაშთები ამჟამად 15 კმ-ის სიგრძეზე შეინიშნება<sup>22</sup>. მთებში აგებული იყო აგრეთვე სათვალთვლო კოშკები და სხვა სადარაჯო ნაგებობანი. ამის შემდეგ უსათუძვლო არ უნდა იყოს იბნ ალ-ფაკიპის ცნობა, რომ ბაბ ალ-აბვაბი შედგებოდა 360 კოშკისაგან, რომლებიც ბაბ ალ-ლანამდე (დარიალს) არიანო გადაჭიმული<sup>23</sup>.

სასანელების მიერ ხეობების ჩაყეტვას ქართული წყაროც ადასტურებს. როდესაც „ქართლს შინა სპარსნი განძლიერდეს... კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისნი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთისვე და ორნი დვალეთს და ერთი პარკუანს დორძოკეთისსა და იგი მთიულნი გომარდად დაადგინნეს. და სხუაჲ ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჳევსა და... სპარსთა ხაზარეთისა კარნი შექმნეს და ხაზარნი მეოტ ყვენეს“<sup>24</sup>.

აღნიშნული ნაგებობანი დარუბანდს მტრის გარშემოვლისგან იცავდა.

დარუბანდის თავდაცვითი კომპლექსი ერთდროულად არ შექმნილა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მასალისაგან იყო აგებული

20 ჰოდუდ ალ-ალემი, გვ. 164; ააკუთი, გვ. 19—20.

21 დარუბანდის შესახებ დაწერილებით, გარდა აღნიშნულისა იხ. ისტაბრი, BGA, I, გვ. 184; СМОМПК, XXIX, გვ. 11; შუკადასი, BGA, III, გვ. 376; СМОМПК, XXXVIII, გვ. 9; შას'უდი, გვ. 189—190; В. Бартольд, К истории Дербента, გვ. 786—787; ზისიევი, Новое известие о стенах Дербента, გვ. 788.

22 შ. არტამონოვის დასკვნით—40 კმ-ზე, იხ. შისი Древний Дербент, გვ. 129.

23 იბნ ალ-ფაკიპი, BGA, V, გვ. 286, СМОМПК, XXXI, გვ. 11; იბნ ხორდაღბეჰი, BGA, VI, გვ. 123—124, СМОМПК, XXXII, გვ. 15; ააკუთი, გვ. 21.

24 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 723—724.

ქალაქის კედლებიც<sup>25</sup>. ისტორიული ტრადიცია აგურის კედლების აგებას სასანელ კავადს (488—531) მიაწერს. ჩრდილოეთის კედლის ფალაური წარწერების თანახმად ქვის კედლები ხოსრო ანუ შირვანის დროს აიგო<sup>26</sup>. საკითხის შესწავლისათვის გასათვალისწინებელია ლეონტი მროველის ცნობაც: „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვს-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების „დაჯმა კარი“<sup>27</sup>. საკითხის დაწვრილებით შესწავლა, ამჟამად სცილდება ჩვენს მიზნებს და მასზე აღარ შევჩერდებით. მით უმეტეს, რომ ქართული მატრიანეს ცნობა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

დარუბანდის მშენებლობანი და შემდეგ მათი დაცვა მძიმე ტვირთად აწვა ამიერკავკასიის მოსახლეობას. სომეხი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დიდი ქალაქის ჩოლის (დარუბანდის) განსაკვიფრებელი კედლების ასაშენებლად სპარსეთის მეფეებმა ქანცი გამოაცალეს ალბანეთს ხუროთმოძღვართა შეგროვებით და სხვადასხვა მასალის გამოძალით<sup>28</sup>. დარუბანდში სამსახური ევალებოდა ქართლის პიტიახშს ვარქსენ არშუშას ძესაც ( 484 წ.). ვარქსენი ემუქრება თავის მეუღლეს შუშანიკს სასახლეში თუ არ დაბრუნდებიო „ჩორდ წარგვე შენ ანუ კარად კარაულითა“<sup>29</sup>. ჩორს ყოფნა რომ სასიკეთო ყოფილიყო ვარსქენი განაწამებ შუშანიკს იქ გაგზავნიოთ არ დაემუქრებოდა. შუშანიკი 475 წ. გარდაიცვალა<sup>30</sup>. ამრიგად, უცილობლივ დასტურდება, რომ V ს. 70-იან წლებში დარუბანდის ზეკარის დასაცავად სასანელებს უკვე სამსახური ჰქონდათ დაწესებული და მისი ასრულება ამიერკავკასიაში სასანური ირანის ვასალებსაც ევალებოდათ.

სასანელები „დიდ ყურადღებას იჩენდნენ ამ სასაზღვრო ადგილებისადმი და თვალს არ აშორებდნენ მათ მისი სარგებლიანობის, დიდი საფრთხისა და ძლიერი საშიშროების გამო“<sup>31</sup>. იბნ ალბალხი გადმოგვცემს, რომ ხოსრო ანუ შირვანმა ხაზარებთან საბრ-

25 მ. არტამონოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 129—131.

26 Е. Пахомов, Пехлевиийские надписи, გვ. 21; Г. Нюберг, Материалы, გვ. 120—121; К. Тревер, Очерки, გვ. 276—277.

27 ლეონტი მროველი, გვ. 13.

28 მოსე კადანკატვაცი, გვ. 105.

29 იაკობ ურტაველი, მარტილობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები, გვ. 058—059.

30 იბ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 117—118.

31 აკუთი, გვ. 20.

ძოლველად „კარებების შეკვრა ბრძანა და (იქ) ბევრი ხალხი დაასახ-  
ლა და ის მხარეები და ვილაიათები როგორც არის შარვანი, შაქი  
და სხვ. „საკვებად“ მათ მისცა“<sup>32</sup>.

სასანელები დარუბანდში და მის მიდამოებში ასახლებდნენ  
ირანულ ტომებს უმთავრესად კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროე-  
ბიდან. ასე შეექმნა საფუძველი ირანული ელემენტის არსებობას  
კავკასიური სამყაროს ამ კუთხეში.

ხელისუფლებისათვის სანდო, მაგრამ ადგილობრივი გარემო-  
სათვის უცხო კონტინენტის დასახლება გაგრძელდა არაბთა დროსაც.  
VIII ს. პირველ ნახევარში დარუბანდში გადმოსახლეს 24000 მე-  
ომარი დამასკოდან, ჰიმსიდან, მოსულიდან, ქუფადან, ალ-ჯაზირა-  
დან. ისინი ტომობრივი ნიშნის მიხედვით დაასახლეს და ასე ჩაშოყა-  
ლიბდა დარუბანდში ცალკეული უბნები; ყოველ მათგანს საკუთარი  
მეჩეთი გააჩნდა<sup>33</sup>.

არაბთა სახალიფოს დროს დარუბანდის ისედაც დიდი პოლი-  
ტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო  
იზრდება. ზაზარების წინააღმდეგ ბრძოლაში, კავკასიონს გადაღმა  
არაბული პოლიტიკის წარმატებაში, ისლამის გავრცელების საქმე-  
ში დარუბანდს — მუსლიმანური სამყაროს უკიდურეს ჩრდილოეთ  
საყრდენს ამიერკავკასიაში — გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებო-  
და. ამიტომ იყო, რომ მნიშვნელობის შესაბამისად დარუბანდი არაბ-  
თა სახალიფოს შეუნელებელი ყურადღებით და მზრუნველობით  
სარგებლობდა<sup>34</sup>.

22/643 წ., როდესაც არაბები პირველად მივიდნენ ბაბ ალ-  
აბვაბში ქალაქს იეზდიგერდ III-ის (632—651) სახელით მართავ-  
და შაჰრ-ბარაზი<sup>35</sup>. არაბთა ხელში ქალაქი დაპყრობითი გეგმების  
ხორცშესხმისთვის მთავარ ბანტიონად იქცა. დარუბანდში არაბების  
დამკვიდრებას მტკიცე საფუძველი შეუქმნა მასლამა ბ. აბდ ალ-

---

و همه دربندهارا عمارت کردند فرمود 94—95: ფარს-ნამე, გვ.

و مردم بسیار نشاند و آن اعمال و ولایتها را چون شروان و شگی و  
دیگر اعمال بنان پاره بدیشان داد تا آن ثغر مضبوط و نواه ملک  
خزر بستند.

<sup>32</sup> დერბენდ-ნამე, გვ. 89—90. სხვა წყაროების შესახებ იხ. В. Бар-  
тольд, Дербент, გვ. 421; შტრ. საქუთო, გვ. 20—21.

<sup>34</sup> იხ. Е. Козубский, История города Дербента, გვ. 16—20.

<sup>35</sup> В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 38,—ტაბა-

რის ცნობა.

მალიქმა. 732 წ. მასლამამ „ტაჰიკების (არაბების) სახელზე ხელახლა ააშენა დარბანდი“<sup>36</sup>. ამავე დროს, 115/733—34 წ. აღნიშნავს ამ მშენებლობას ტაბარიც<sup>37</sup>. ვ. ბარტოლდი იმოწმებს ადგილობრივ გადმოცემას და აღნიშნავს, რომ მთავარი მეჩეთიც დარუბანდში 115 წ. ჰქ. აუგია მასლამა ბ. აბდ ალ-მალიქს. არაბული გარნიზონის მოთხოვნებთან დასაკმაყოფილებლად დარუბანდში აშენდა სურსათ-სანოვავისა და ქერის (ცხენთა საკვებად) ბელლები, იარაღის საწყობები, საცხოვრებელი სახლები და მოლაშქრეთათვის<sup>38</sup>. როგორც ჩანს, არაბების დროს დამკვიდრდა დარუბანდის საქალაქო ცხოვრებაში ის ზოგიერთი ტრადიციები, რომლებმაც შემდეგ ქალაქში სოციალურ-ეკონომიური, შინაკლასობრივი და მწვავე პოლიტიკური ბრძოლის გაღვივებას შეუწყვეს ხელი.

ხაზარებთან მძიმე ბრძოლებში არაბებმა ბოლო მოუღეს ამიერკავკასიაში მათ თავდასხმებს<sup>39</sup>. ამით არაბებმა პროგრესული როლი ითამაშეს ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიულ განვითარებაში. კავკასიონის გადაღმა ხაზარებთან ბრძოლაში არაბებს სტაბილური წარმატებისათვის არ მიუღწევიათ. ასეთივე მდგომარეობა იყო ისლამის გავრცელების საქმეშიც. X ს-შიც კი ხაზართა ძალაუფლება თითქმის დარუბანდის კედლებს აღწევდა. დარუბანდის ჩრდილოეთით არაბები ფლობდნენ მხოლოდ რამდენიმე ციხესიმაგრეს, ქალაქიდან ერთი ფარსახით (6 კმ) რომ იყვნენ დაშორებული. მეზობელი სამთავროს, ხაიდაკის მმართველი კი სამ რელიგიას აღიარებდა ერთდროულად და პარასკევს დღეს თუ მეჩეთში ატარებდა, შაბათს — სინაგოგაში, ხოლო კვირას ეკლესიაში ღოცულობდა. სხვა არაბული წყაროს მოწმობით ეს მთავარი ერთადერთი მუსლიმანი ყოფილა თავის სამფლობელოში<sup>40</sup>.

ხაზართა შორის ერთიანი, მტკიცე სარწმუნოების არარსებობა<sup>41</sup> ჩვენთვის საინტერესო გარემოში სარწმუნოებრივ სიჭრელეს იწვევდა. საკუთრივ დარუბანდშიც ისლამი აბსოლუტურად გაბატონებული არ იყო. ქრისტიანობას აქ თავიდანვე საკმაოდ ძლიერი

<sup>36</sup> მოსე კალანკატვაცი, გვ. 261.

<sup>37</sup> В. Бартольд. Дербент, გვ. 421.

<sup>38</sup> В. Бартольд, Дербент, გვ. 423; მისივე, Место прикаспийских областей, გვ. 675.

<sup>39</sup> В. Бартольд. Хазары, გვ. 597. არაბ-ხაზართა ბრძოლების შესახებ იხ. М. Артамонов. История Хазар, გვ. 202—232.

<sup>40</sup> В. Бартольд, Дагестан, გვ. 409, იბნ-რუსტეს და მას'უდის ცნობებზე დაყრდნობით.

<sup>41</sup> იხ. В. Бартольд. Хазары, გვ. 599; მისივე, Дагестан, გვ. 410.

პოლიტიკები ჰქონდა. არაბებამდე ერთ დროს დარუბანდში ქრისტიანთა საპატრიარქო ტახტიც კი იდგა. ვითარება, როგორც ირკვევა. არც არაბთა დროს იცვლება მკვეთრად. მასლამა ბ. აბდ ალ-მალიქმა (VIII ს. პირველი ნახევარი) „არ დაანგრია აღმოსავლეთის საპატრიარქო სასახლე, რომელიც დღემდე (X-ს დასასრული) არსებობს (დარუბანდში)“<sup>42</sup>. ორი სამყაროს საზღვარზე მდგომი<sup>43</sup> დარუბანდი თვითონაც რთული და უაღრესად დაძაბული სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებით ხასიათდებოდა.

არაბთა გაბატონების დროიდან დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად ხალიფა დარუბანდის მმართველად ნიშნავდა მთავარსარდალს: მისი უპირველესი მოვალეობა ხაზართა შემოტევისაგან ქალაქის დაცვა იყო. აბასელთა დროიდან სახალიფოს ძალაუფლება ამიერკავკასიაში თანდათან შესუსტდა. ამ ვითარების შედეგმა დარუბანდშიც იჩინა თავი.

ხალიფა მუთავაქილმა (847—861) ბაბ ალ-აბვაბი და მასზე დამოკიდებული ტერიტორია 851 წ. იკტად მისცა მუჰამედ ბ. ხალიდს. შარვანშაჰების იაზიდთანა დინასტიის დამაარსებელს<sup>44</sup>. ამის გამო იყო, რომ იაზიდთანებს დარუბანდი თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ და ქალაქის საბოლოოდ შემოერთებისათვის დაუინებით ებრძოდნენ დარუბანდის ამირებს. მუჰამედ ბ. ხალიდის სიკვდილს (861 წ.) შემდეგ იაზიდთანებმა ვერ შეინარჩუნეს დარუბანდი. თუმცა „როდესაც 861 წ. (ხალიფა) მუთავაქილის მკვლელობის შემდეგ დაიწყო უწყესრიგობა, ჰაისამ ბ. ხალიდმა (მუჰამედის ძმამ) მოიპოვა დამოუკიდებლობა შარვანის საქმეებში... (და) იგი ცნობილი გახდა როგორც შარვანშაჰი“<sup>45</sup>.

869 წლიდან დარუბანდში დამოუკიდებელი მმართველობა მოიპოვა ჰაშიმ ბ. სურაკამ, დარუბანდის ჰაშიმიანთა დინასტიის ფუძემდებელმა<sup>46</sup>. ჰაშიმი არაბული გვარის, ბანუ სულაიმის წარმომადგენელი, კლიენტი (მავალი) იყო. ამიერკავკასიის არაბულ აღმინისტრაციაში ამ გვარს, ჩვეულებრივ, მაღალი თანამდებობანი ეკავა. ნიშანდობლივია, რომ ბანუ სულაიმის ძლიერი გვარის კლიენტი

42 მოსე კალანკატვაცი, გვ. 261.

43 В. Минорский и, История Ширвана и Дербенда, гв. 119.

44 თარხ ალ-ბაბ, § 5.

45 იქვე, § 6.

46 იქვე, § 32.



აღწევს დარუბანდში დამოუკიდებლობას, საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ჰაშიმ ბ. სურაქას წინაპრები ადრეც ყოფილან დაიუბანდის მმართველებად. ჰარუნ ალ-რაშიდის (786—809) დროს ბაბ ალ-აბვაბის პატრონი (საჰიბ) ყოფილა ნაჯმ ბ. ჰაშიმი<sup>47</sup>.

უკვე ამ დროსვე მქლავნდება ჰაშიმიანთა ტენდენცია დამოუკიდებლობისაკენ. ალ-ბაბის მოსახლეობამ (უნდა ვიფიქროთ, ნაჯმ ბ. ჰაშიმის მეთაურობით) წინააღმდეგობა გაუწია ხალიფას მოხელეს და თავს დაესხა გადასახადის ამკრეფს (*‘ამილი*). ამ აჯანყებამ იმსხვერპლა ნაჯმ ბ. ჰაშიმი; შემდეგ მისი ვაჟი ჰაფსუნი ხაზართა ხაჯანის დიდი რაზმის დახმარებით თავს დაესხა დარუბანდს და თარეშით მდ. არეზამდე გავიდა. სხვა ცნობები ამ პიროვნების შესახებ არ მოგვეპოვება. ირკვევა მხოლოდ, რომ მისი ოჯახი განავრცობდა დარუბანდში არსებობას, ვიდრე ჰაფსუნის შვილიშვილის შვილი, ჰაშიმ ბ. სურაქა 869 წ. არ დაეუფლა დარუბანდს<sup>48</sup>.

თარხ ალ-ბაბ-ის დახასიათებით ჰაშიმ ბ. სურაქა ერთ-ერთი სახელგანთქმულ რაისთაგანი და მოსაზღვრე ოლქების მებრძოლთაგანი ყოფილა<sup>49</sup>. „რაისი“ აქ, რა თქმა უნდა, ტერმინის ზოგადი მნიშვნელობით — „მოთავე“, „ხელმძღვანელი“, „მეთაური“ — არის ნახმარი.

ჩვენთვის მკუთად საყურადღებოა ჰაშიმ ბ. სურაქას დარუბანდის დამოუკიდებელ მმართველად გახდომის ვითარება და პირობები. წყარო გადმოგვცემს: „როდესაც მუთავაქლის მკვლელობის (861 წ.) შემდეგ სახალიფო დაიშალა და იმის გამო, რომ თურქმა კლიენტებმა მმართველობა დაისაკუთრეს, ალ-ბაბის ხალხი და მოსაზღვრე ოლქების *ლაზიები* შეიკრიბნენ და დანიშნეს ჰაშიმი თავიანთ ამირად და ერთგულად ემორჩილებოდნენ მას. მისი ყოფა-ქცევა მათ მიმართ იყო კარგი და იგი მოქმედებდა სამართლიანად და მიუკერძოებლად, საქმეებს წყვეტდა მხოლოდ ბრძენ მოხუცებთან და რაისებთან მოლაპარაკების შემდეგ. ყველაფერს რასაც აკეთებდა ის, აკეთებდა საერთო შეთანხმებით. ასე, რომ მის დროს მოსაზღვრე ოლქების და „ცენტრების“<sup>50</sup> საქმეებში წესრიგი სუფევდა და მტრებს ეშინოდათ მისი“<sup>51</sup>.

47 ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 98, იაკუბის ცნობა.

48 თარხ ალ-ბაბ, იქვე; დამოწმებულია სრული სახელიც: ჰაშიმ ბ. სურაქა ბ. სალის ბ. ჰაფსუნ (ჰაფსუნ) ბ. ნაჯმ ბ. ჰაშიმ ბანუ სულაჰის (გვარის) კლიენტი.

49 თარხ ალ-ბაბ, § 32.

50 ტერმინის განმარტება იხ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

51 თარხ ალ-ბაბ, იქვე.

რა თქმა უნდა, ასეთი იდეალური (და იდილიურიც) მდგომარეობა შორს იდგა რეალური ვითარებისაგან და არ ასახავდა დარუბანდის საქალაქო ცხოვრების ჭეშმარიტ სურათს, რომელიც მკვეთრად და რელიეფურად, კლასობრივი და შინაკლასობრივი წინააღმდეგობების სრული გაშიშვლებით, ქალაქის შიგნით ამირას ხელისუფლებასა და ქალაქის არისტოკრატიას შორის მიმდინარე მწვავე და ხანგრძლივ ბრძოლას გამოხატავდა. დამოწმებულ ცნობაში ყურადღებას აპყრობს ქალაქის საზოგადოების გაბატონებული ფენების იმ უფლებების და პრივილეგიების აშკარა ანარეკლი, რომელსაც სხვა წყაროებიც ადასტურებენ და, რომლებმაც საზოგადოების ფეოდალური განვითარების საფუძველზე, მთელი რიგი ხელსაყრელი პირობების წყალობით, ხელი შეუწყო ალნიშნული ბრძოლის გაღვივებას და განვითარებას

დარუბანდის საამიროს პირველი ამირების ყურადღება გამახვილებულია (თარიხ ალ-ბაბ-ის ინფორმაციის რანახმად) მეზობელი სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლებზე. სარირსა და შანდანზე თავდასხმები<sup>52</sup> ნადავლის გარდა გავლენის სფეროს გაფართოებას ან უშუალო დაპყრობებსაც გულისხმობდა. აღსანიშნავია, რომ XI ს. დასაწყისში დარუბანდის ამირა მუჰამედ ბ. ჰაშიმი (886—915) და შარვანშაჰი ალი ბ. ჰაისამი გაერთიანებულ ლაშქრობას აწყობენ შანდანზე. ლაშქრობამ მარცხი განიცადა<sup>53</sup>, მაგრამ აქ საყურადღებოა შარვანისა და დარუბანდის შეთანხმებული, ერთიანი მოქმედება, რაც ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის ძალზე იშვიათი მოვლენა იყო.

დარუბანდის საამირო მცირე ტერიტორიას ფლობდა. ჩრდილოეთით ჯერ ხაზარების, შემდეგ სხვადასხვა მომთაბარე ტომების მეზობლობა დარუბანდს არათუ ექსპანსიის საშუალებას არ აძლევდა, პირიქით, მას თვითონ უხდებოდა მათი თავდასხმების მოგერიება. სამხრეთით შარვანის სამეფოსთან ურთიერთობა X—XII სს. განმავლობაში ძირითადად ასევე მტრული და ხშირი ბრძოლებით აღსავსე იყო.

ორ ფეოდალურ ერთეულს შორის ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი მიზეზი დარუბანდის სამხრეთით, თანამედროვე კუბის რაიონის და მდ. სამურის აუზში მდებარე ნაყოფიერი, მიწათმოქმედებისათვის ძვირფასი მიწებისათვის ბრძოლა იყო. ეს მიწები ჯერ

<sup>52</sup> თარიხ ალ-ბაბ, § 32, 33.

<sup>53</sup> იქვე. § 8, 33.

ლექტორ სამთავროებს ეკუთვნოდათ; შემდეგ კი შარვანსა და დარუბანდს შორის „განხეთქილების ვაშლად“ იქცა<sup>54</sup>; ხოლო XI ს. II ნახევრის ერთ მოპენტში ამ ბრძოლაში შადადიანებიც კი ჩაერვივნენ. თარიხ ალ-ბაბი არა ერთხელ აღწერს შარვანსა და დარუბანდს შორის აღნიშნული ოლქებისათვის, განსაკუთრებით შაბარანისა და მასკატისათვის ატეხილ ბრძოლებს. თუ პირველი ძირითადად შარვანის საკუთრებას წარმოადგენდა, მეორეს მუნაჯიმ-ბაში 833 წლიდან დარუბანდის ამირების კუთვნილებად აცხადებს<sup>55</sup>.

ქართული წყაროები ორივე დასახელებულ ოლქს იცნობს: „ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა“<sup>56</sup> იგივე მასკატი და შაბარანია. ეპითაღმწერელი უფრო კონკრეტულად გადმოგვცემს: „ველსა... შაბურანისასა“<sup>57</sup>. შაბურანი ქალაქიც იყო. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელი 1124 წ. აპრილში „დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა“<sup>58</sup>. მაშასადამე. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ შაბურანი ამ დროს დარუბანდს ემორჩილებოდა.

შარვანსა და დარუბანდს შორის „საარსებო სივრცისათვის“ ბრძოლაში არც თუ იშვიათად სხვა ძალებიც ჩაერეოდნენ ხოლმე და ვითარება უკიდურესად მწვევლებოდა. 968 წ. შარვანშაჰ აჰმად ბ. მუჰამედის (956—981) ძმა, ჰაისამი აჯანყების მიზნით „გამოვიდა ლეკების ქვეყნიდან და თავი შეაფარა (მუსათირიან) სალარ იბრაჰიმ ბ. მარზუბან დელიემელთან“; შემდეგ ორივენი თავს დაესხნენ შარვანს და ალ-ბაბის სანახებს. შარვანშაჰმა მხოლოდ ფულის გადახდით მოიპოვა ზავი. მისმა ძმამ ჰაისამმა მასკატში დარუბანდის ამირა აჰმად ბ. აბდ ალ-მალიქთან (939—976) შეაფარა თავი, სადაც ის პატივისცემით მიიღეს. შარვანშაჰს ჰაისამის სახელით დარუბანდის ამირამ შარვანის ნაწილი მოსთხოვა. მოსალოდნელი უარის შემდეგ დარუბანდის ამირამ შეაგროვა ლაშქარი განაპირა ოლქებიდან. უმეტესად სარირიდან და დაიძრა შარვანზე. აიღო იერიშით შაბარანი, გადასწვა იგი და დიდი ნადავლით ხელდამძიმებული დარუბანდს გაბრუნდა. დაბრუნებისას სარირის ხალხი ამირაზე „ერთი დღით აღრე შევიდა ალ-ბაბში და ქალაქში დაიწყო არეულობა“, სარირელები

54 В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 108.

55 თარიხ ალ-ბაბ, § 31.

56 ისტორიანი და აზმანი, გვ. 17.

57 ეპითაღმწერელი. გვ. 249.

58 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 344.

გაძარცვეს, წაართვეს მათ შარვანში მოპოვებული ნადავლი და ამას-თან ასი მეთაურიც (რაისები) მოუკლეს<sup>59</sup>.

ზოგჯერ შარვანსა და დარუბანდს შორის ბრძოლის საბაბი ერთი კონკრეტული „მამული“ იყო; როგორც მაგ., 999 წ. „სრკი-მას მამულისათვის“ (დაჲათ შირკიჲა) გამართული ბრძოლა. „დარუბანდელმა“ ალ-ლაშქარი ბ. მამმუნმა (998—1002) გაიმარჯვა და შემდეგ ისევ შაბარანზე გაილაშქრა, მაგრამ ამჯერად დამარცხ-და<sup>60</sup>.

შარვანი მოკავშირეებს „მოსაზღვრე ოლქის ხალხში“ (აჰლ ალ-სულრ) ეძებდა, თუ აქამდე რომი შარვანსა და ალ-ბაბს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ახლა მათი დანხარებით შარვანშაჰმა დარუბანდიდან „გაგდებული“ ამირა მანსურის ადგილი დაიჭირა და დარუბანდის ციხეში თავისი გარნი-ზონი ჩააყენა<sup>61</sup>. ბრძოლა ამით არ დამთავრებულა, ამირა მანსურ-მა სარირის მხარდაჭერა ჰპოვა და 1021 წ. ისევ დაეპატრონა ქა-ლაქს. „შემდეგ მანსური დაიძრა შაბარანზე...“ ვერც ერთმა მხარემ წარმატებას ვერ მიაღწია და მეტოქენი სახლებში დაბრუნდნენ. მა-გრამ, დარუბანდში დაბრუნებული მანსური 1023 წ. „ალ-ბაბის ხალხმა“ გააძევა თავის ქალაქიდან და შარვანშაჰი მოიწვიეს. გამარ-ჯვება დიდხანს ვერც შარვანშაჰმა იაზიდ ბ. აჰმადმა (991—1029) იზეიმა. 1024 წ. ნოემბერში ამირა მანსური ისევ დაეუფლა ქალაქს<sup>62</sup>.

დარუბანდის საამიროს ისტორიისათვის ყველაზე მეტად ასეთი სიტუაცია არის ხოლმე დამახასიათებელი და ნიშანდობლივი, რო-დესაც საგარეო ბრძოლებს თვით ქალაქში შინაომები გადაეხლარ-თება და, პირიქით, როდესაც შინაომებში დიდი მონდომებით ჩა-ერევიან ხოლმე მეზობელი სამთავროები, განსაკუთრებით შარვანი, რომლის სანუკვარი ოცნება დარუბანდის საამიროს სრული ანექსია იყო. დარუბანდის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის კი საბაბი სა-კმარისზე მეტიც იყო: ქალაქში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ბრძოლაში დარუბანდის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა და კლასი მონაწილეობდა. მებრძოლი მხა-რეები მოკავშირე და მხარდამკერ ძალას ყველგან ეძებდნენ.

დარუბანდს მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთით, თა-ნამედროვე დაღესტნის ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა სარწ-

<sup>59</sup> თარის ალ-ბაბ, § 12, 35.

<sup>60</sup> იქვე, § 14.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე, § 14, 38.

მუნობის და ეთნიკური შეზღვევების პოლიტიკურ ერთეულებთან. ეს ურთიერთობა მერყევი და ცვალებადი ხასიათისა იყო, რადგანაც იმ პოლიტიკურ ქაოსში, რომელშიც აღმოჩნდა ამიერკავკასიის ეს მხარე ჯერ არაბთა სახალიფოს ძალაუფლების დასუსტება-გაქრობის, ხოლო შემდეგ ხაზართა სახელმწიფოს დაშლის შედეგად, შეუძლებელიც იყო დარუბანდის სააბირო (ისევე, როგორც სხვა პოლიტიკური ერთეულებაც) მეზობლებთან ურთიერთობაში ერთხელ შემუშავებულ პოლიტიკურ კურსს გაჰყოლოდა.

ტაბარსარანი დარუბანდის უახლოესი მეზობელთაგანი იყო დასავლეთით. უკვე V ს-დან (სომხური წყაროებით) ცნობილი ეს სამთავრო ძირითადად მდ. რუბასის ხეობაში მდებარეობდა. ადგილობრივ, ეთნიკურად ჰრელ, მთიელ მოსახლეობას ერთვოდა აგრეთვე ირანული ახალშენები (თათები). არაბთა შემოსევების დროს ცნობილი იყო ტაბარსარან-შაჰი მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მალე გამუსლიმანდა და მისი ხსენებაც გაქრა. არის ცნობა, რომ 332/943—44 წ. ტაბარსარანს მართავდა ალ-ბაბის ამირას დისშვილი<sup>63</sup>.

მაგრამ, უკვე 948 წ. ამ სამთავროში შარვანშაჰის ძეს ეხედავთ, რომელიც ჯერ კიდევ პაპამისის დროს მართავდა ტაბარსარანს<sup>64</sup>. მაშასადამე, იაზიდთან და ჰაშიმიანებს შორის დასაწყისშივე ბრძოლა მიმდინარეობს ტაბარსარანისათვის. როგორც ირკვევა, შარვანს გაცილებით დიდი გავლენა ჰქონდა ამ მხარეზე. უფრო მეტაც, აქ შარვანშაჰთა დინასტიის უგვირგვინო წევრები იყვნენ დაპყდრებულნი<sup>65</sup>. დარუბანდის ამირების პოზიციები ტაბარსარანში სუსტი იყო. ასე, 939 წ. ქალაქში მორიგი პოლიტიკური გადატრიალების შედეგად დარუბანდიდან გაძევებული ამირას ნაცოლად რანსებმა ტახტზე დასვეს ტაბარსარანის მმართველი შარვანშაჰთა დინასტიიდან<sup>66</sup>. ტაბარსარანში დარუბანდი მხოლოდ რამდენიმე სოფელს ფლობდა უცილობლად<sup>67</sup>.

ხაიდაკი (იგივე კაიტალი, ჯიღანი) დალესტნის სხვა სამთავროებთან შედარებით პოლიტიკურად უფრო დაწინაურებული იყო. ეს სამთავრო, ჩრდილო-დასავლეთიდან უშუალოდ რომ ეკვროდა დარუბანდს, X ს-ში ჯერ კიდევ არ აღიარებდა ისლამს. ხაიდაკის მთავარი ატარებდა წოდებას სალიქან. ეს ძველი თურქული წარ-

63 იხ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

64 თარის ალ-ბაბ, § 10.

65 იქვე, § 19.

66 იქვე, § 35.

67 ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 125—126; История Дагестана, გვ. 122.

მოშობის ტიტული (ჩინური ტრანსკრიფციით სე-ლი-ჟა აშკარად მოწმობს ხაიდაკელთა დამოკიდებულებას ხაზარებზე, რასაც აღნიშნავს კიდევ მას'ული<sup>68</sup>. მუნაჯიმ-ბაშის ანონიმის ცნობით, 916—930 წლებს შორის დარუბანდის ამირას დიდად ეხმარება სალიქან-ი (მოხსენებულია როგორც პ-როვნება) ხაზართა ლაშქრით<sup>69</sup>.

მას'ული აღნიშნავს, რომ ალ-ბაბის ხალხი დიდ ზიანს განიცდიდა ხაიდაკისაგან. ამას თარხ ალ-ჰამ-იყ ადასტურებს. 432/1040—41 წ. ხაიდაკელები თავს დაესხნენ დარუბანდს, აიღეს ციტადელა და დაატყვევეს ამირა აბდ ალ-მალიქ ბ. მანსური (1034—1043) და მისი ცოლი შამქუფე, შარვანშაჰის ასული<sup>70</sup>. ეს ლაშქრობა შესაძლებელია, დარუბანდში შარვანის გავლენის (დარუბანდ-შარვანის დამოყვრებით) ზრდის წინააღმდეგ იყო მიმართული.

შემდეგ წლებში დარუბანდ-ხაიდაკის ურთიერთობა უმჯობესდება. უკანასკნელი არც თუ იშვიათად ეხმარება დარუბანდს გაქირვების უამს. ჩნდება და მტკიცდება მათ შორის ნათესაური კავშირებიც. 1064 წ. ამირა მანსურ ბ. აბდ ალ-მალიქი (1043—1065) ცოლად თხოულობს ხაიდაკის ამირას შვილიშვილს, დარუბანდის ერთ-ერთი ძლიერი რაისის ასულს. კავშირმა იმავე წელს მოუტანა მანსურს სასურველი შედეგი. ხაიდაკის ამირას ღულამთა რაზმით იგი რაისთა დაჯგუფებას ებრძვის დარუბანდში<sup>71</sup>. მანსურის ძმას, ალ-ლაშქარის ცოლად ჰყავდა ხაიდაკელი (მმართველის?) ქალი: მისგან ხაიდაკში იშვა და იქვე გაიზარდა აბდ ალ-მალიქ ბ. ლაშქარი — დარუბანდის მომავალი ამირა<sup>72</sup>. დარუბანდის ამირებს არაერთხელ უპოვიათ თავშესაფარი ხაიდაკში. ნიშანდობლივია თარხ ალ-ჰამ-ის, ცნობა, რომ ერთ-ერთი ამირა „ჩვეულებისამებრ გაემართა ხაიდაკში დახმარების საქმებნელად, რათა დაებრუნებინა ხელისუფლება (ალ-ბაბში)“<sup>73</sup>.

ხაიდაკის მმართველს, ამრიგად, „უფლება“ ჰქონდა დარუბანდის საქმეებში ჩარევისა. მისთვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იყო 11 წლის აბდ ალ-მალიქ ბ. ლაშქარის საამიროს ტახტზე ასვლა 1065 წ.); სავარაუდოა ხაიდაკის მმართველისვე ხელშეწყობით<sup>74</sup>.

68 იხ. СМОНПК, XXXVIII, გვ. 43.

69 თარხ ალ-ბაბ, § 34; იხ. ვ. მონოროსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 127—128.

70 თარხ ალ-ბაბ, § 39.

71 იქვე, § 40.

72 იქვე, §40—41.

73 იქვე, § 45.

74 იქვე, § 41.

საყურადღებოა, რომ შარვან-ღარუბანდის ბრძოლაში ხაიდაკი ღარუბანდს უჭერს მხარს<sup>75</sup>. შარვანის აგრესიული მოქმედების პირობებში ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

ხაიდაკის დასავლეთით სარირის მიმართულებით მდებარეობდა ქარახი. ამ პატარა სამფლობელოს ორი სახელწოდებიდან — ქ რ ზ, ქ რ ჯ — უფრო სწორია პირველი. ქარახის მფლობელი, რომელიც ატარებდა ტიტულს ბ რ ზ ბ ა ნ (მარზბანი?) მუსლიმანი ყოფილა<sup>76</sup>. საინტერესოა, რომ 385/995 წ. ღარუბანდის ამირას მუსლიმანობაზე მოუქცევია ქარახის მოსახლეობა<sup>77</sup>. მათი განვითარების დონის კარგი მაჩვენებელია მას'უდის ცნობა, რომ ისინი კომპლექტით ყოფილან შეიარაღებულნი<sup>78</sup>. როდესაც 424/1033 წ. რუსთა და ალანთა გაერთიანებული ლაშქარი, ღარუბანდის დასარბევად მიმავალი, ჯვარ ქარახს დაესხა თავს, მას დახმარება აღმოუჩინა ღარუბანდის დაბალთა რაისმა და მტერი უუკუგდებულ იქნა<sup>79</sup>. ვ. მინორსკის მიახნია, რომ რადგანაც ქარახის დაცვაში მთავარ როლს დაბალთა რაისი, ჰაისამ ბ. მაიმუნ ალ-ბა'ი ასრულებდა ეს მიუთითებს, რომ ღარუბანდი კონტროლს უწევდა თავისი ტერიტორიის ამ დასავლეთ ფორპოსტს<sup>80</sup>. აღსანიშნავია, რომ 1065 წ. ქარახის რაისები მონაწილეობდნენ ღარუბანდის საშინაო ბრძოლაში ღარუბანდის ძლიერი რაისის, მუფარიჯ ბ. მუზაფარის მოკავშირეებად<sup>81</sup>.

სარირი ღარუბანდის საამიროს დასავლეთ მეზობელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამფლობელო იყო. სახელწოდება სპარსულ-არაბული გეოგრაფიული ტრადიციით (სამკიზ ალ-სარირი ნიშნავს „ტახტის მფლობელს“) აღნიშნავს მთიანი დაღესტნის ავარელებით დასახლებულ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ დაღესტნური ქრონიკები მთიან დაღესტანს არასოდეს არ უწოდებენ სარირს, არამედ — ავარიას<sup>82</sup>.

X ს-დან დაწყებული სარირი შესამჩნევად დაწინაურდა და იგი მნიშვნელოვან ტერიტორიას მოიცავდა. (სატახტო ქალაქი იყო ხუნზახი). მას'უდი და იბნ რუსტე აღნიშნავენ, რომ სარირის

75 История Дагестана, გვ. 24.

76 მას'უდი § 12, გვ. 203.

77 თარის ალ-ბაბ, § 36.

78 მას'უდი, იქვე.

79 თარის ალ-ბაბ, § 38.

80 В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 130.

81 თარის ალ-ბაბ, § 41.

82 მას'უდი, § 1, 15, ევ. 121, 223—204; История Дагестана, გვ. 123.

მმართველი და მისი ქვეშევრდომნი ქრისტიანობას აღიარებდნენ<sup>83</sup>. მართლაც, ავარიის ტერიტორიაზე მრავლად მოიპოვება ქრისტიანული სარწმუნოების მატერიალური ძეგლები. ეს სარწმუნოება აქ საქართველოდან ვრცელდებოდა ძირითადად და XIV—XV სს-შიც შეინარჩუნა თავი<sup>84</sup>. მუნაჯიმ-ბაშის ანონიმო ასახელებს სარირის ორ მმართველს, რომელთაც ბუხთ-ჰიშო' რქმევიათ. ეს სახელი კი „ტიპური ქრისტიანული სახელია ირანულ-სირიული წარმოშობისა“<sup>85</sup>. პირველმა 905 წ. მუხანათურად დაატყვევა დარუბანდის ამირა მხლებლებთან ერთად. თუმცა, უემდეგ გაანთავისუფლა ისინი და საჩუქრებით და პატივისცემით გაისტუმრა<sup>86</sup>. მეორე ბუხთ-ჰიშოს ქალიშვილი სწრიმა (სარა?) 1025 წ. ცოლად შეირთო დარუბანდის ამირამ<sup>87</sup>. მოგვიანებით, სარირის მმართველის სიძეა აგრეთვე დარუბანდის რაისთა მეთაური მუთარიჯ ბ. მუზაფარი, რომელიც სიმამრის სამხედრო ძალას ალ-ბაბის ამირას წინააღმდეგ მიმართავს ხოლმე<sup>88</sup>.

აქედანაც ირკვევა დარუბანდ-სარირის ურთიერთობის ცვალებადობა. თუ 968 წ. დარუბანდის ამირა და სარირის მმართველი ერთიანი ძალით შარვანს დაესხნენ თავს, 971 წ. თებერვალში „გაათრებული ბრძოლა მოხდა ალ-ბაბის ხალხსა და სარირიელებს შორის (ალ-ბაბის) ჯიჰადის კართან. მუსლიმანები დამარცხდნენ და დაახლოებით 1000 კაცმა თავი დასდო ბრძოლაში“<sup>89</sup>. 1055 წ. სარირის მმართველმა ხელი შეუწყო ამირა მანსურს ტახტზე ასვლაში; მაგრამ, იმავე მმართველმა 1064 წ. „შეკრიბა ურწმუნოთა და სხვადასხვა თურქთა დიდი ბრბო და თავს დაესხა ბაბ ალ-აბვაბს“<sup>90</sup>.

ეთნიკურად, სოციალურად, ეკონომიურად, პოლიტიკურად, რელიგიურად და კულტურულად ისეთ კრეულ გარემოში, როგორშიც მოქცეული იყო დარუბანდის საამირო, ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირები შეუძლებელი იყო.

83 ვიმოწმებთ ვ. მონორსკის დასახ. ნაშრომიდან. გვ. 136; ა ა კ უ თ ი, გვ. 62.

84 ვ. მონორსკის აზრით ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელება შესაძლებელია დაუკავშირდეს საქართველოში ცამეტ სირიელ მამათა მოღვაწეობას. ვ. მონორსკი, იქვე, გვ. 136.

85 В. Милютинский, История Ширвана и Дербенда, гв. 136.

86 თარის ალ-ბაბ, § 33.

87 იქვე, § 38.

88 იქვე, § 41.

89 იქვე, § 35.

90 იქვე, § 40.



დარუბანდის საამიროს საგარეო პოლიტიკის ძირითად ფაქტორს და ამავე დროს მეტად მტკივნეულ საკითხს შარვანის სამეფოსთან ურთიერთობა წარმოადგენდა. მაგრამ ეს ურთიერთობა ისე მჭიდროდ არის გადახლართული ორივე პოლიტიკური ერთეულის საშინაო მდგომარეობასთან, რომ მათი განცალკევებით შესწავლა არც არის მიზანშეწონილი.

გარემომცველი გარემოს ყველა ძირითადი ნიშანი და წინააღმდეგობა თავს იყრის და დარუბანდში და საზოგადოების აღმავალი ევოდალური განვითარების პირობებში გადატყდებოდა.

ჰაშიმიანთა ძალაუფლება დარუბანდში თავიდანვე არ იყო მტკიცე. ამის ერთ-ერთი მიზეზი თვით დინასტიის შიგნით მიმდინარე მწვავე პოლიტიკური ბრძოლა იყო. შინაურ ბრძოლაში ქალაქის სოციალური ფენების ფართო მონაწილეობა განსაკუთრებით აღრმავებდა და შეურიგებელ ხასიათს ანიჭებდა აღნიშნულ ბრძოლას.

916 წ. იანვარში ტახტზე ასულ აბდ ალ-მალიქ ბ. ჰაშიმს იმავე წლის მარტში ძმისშვილი აუჯანყდა და, რადგანაც „ალ-ბაბის ხალხი კეთილად იყო მისდამი განწყობილი, მან გააგდო ბიძა და დაიკავა მისი ადგილი“<sup>91</sup>. გაძევებული აბდ ალ-მალიქი აზერბაიჯანში იუსუფ ბ. აბუ-ლ-საჯისთან წავიდა დახმარების საძებნელად. იუსუფმა დარუბანდის ამირად აბდ ალ-მალიქი სცნო და 6000 მეომარით ხელი გაუმართა. აბდ ალ-მალიქმა დაამარცხა ალ-ბაბის „ხალხი“, გააძევა დარუბანდიდან ძმისშვილი და ქალაქს დაეუფლა. შემდეგ მან შაბარანს გაილაშქრა, რათა შარვანშაჰთან თავშეფარებული ურჩი ძმისშვილი შეეპყრო. მაგრამ, დარუბანდიდან გამოსულ აბდ ალ-მალიქს ძმისშვილმა ქალაქში სხვა გზით შეასწრო და იქ გამაგრდა. გაწბილებულმა ამირამ ალყა შემოარტყა დარუბანდს და ბოლოს ხაზართა ლაშქრის დახმარებით (ს ა ლ ი ქ ა ნ -ის ზელმძღვანელობით საშველად მოსული; იხ. ზემოთ) მოახერხა ძმისშვილის ხელში ჩაგდება „მან მოკლა იგი და მისი მდგომარეობა განმტკიცდა“<sup>92</sup>. მაგრამ ამირას ასეთი „მტკიცე მდგომარეობა“ დარუბანდში იშვიათი და ხანმოკლეა. ჩვეულებრივ, პირიქით იყო ხოლმე, რასაც ნათლად ადასტურებს თარხ ალ-შაჰი.

ტახტის მაძიებელთა და ამირას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შემთხვევის აღწერა-დახასიათება ძალზე შორს

<sup>91</sup>თარხ ალ-შაჰ, § 34.

<sup>92</sup> იქვე.

წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ 869—1075 წლებს შორის, *თარის ალ-ბაბ*-ის მიხედვით დარუბანდში საამიროს ტახტზე მსხდომ 14 ამირადან მხოლოდ ოთხი ამირას ზეობის დროს არ ყოფილა ქალაქში აჯანყება. ნიშანდობლივია, რომ სამი მათგანი 884—915 წწ. — ე. ი. ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში — ადგა ხელისუფლების სათავეში; ხოლო მეოთხე, ლაშქარ ბ. მაჰმუნი, მხოლოდ ოთხი წელი (998—1002) მართავდა ქალაქს. 915 წლიდან კი ყველა დანარჩენი ათი ამირას დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო მისი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და ჯანყი. არც თუ იშვიათად ამ ბრძოლას ამირას სიცოცხლეც ეწირებოდა, (ამ შემთხვევაში — სამი ამირა).

დარუბანდში პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლის წამომწყები და მებრძოლ ძალთა მეთაურები, ჩვეულებრივ, რაისები იყვნენ ხოლმე. რაისების მოქმედებას კარგად ახასიათებს X ს. შუა წლებში დარუბანდში დატრიალებული ამბები. 939 წ. თებერვალში ქვეშევრდომებმა „ერთგულების ფიცით“ ტახტზე დასვეს 3 წლის ამირა აჰმად ბ. აბდ ალ-მალიქი (939—976). ივლისში „რაისები აუჯანყდნენ მას, გააგდეს იგი ქალაქიდან და ერთგულება შეჰფიცეს ტაბარსარანის მმართველს ჰაისამ ბ. მუჰამედ ბ. იაზიდს<sup>93</sup> და შეიყვანეს იგი ქალაქში. ჰაისამმა ქალაქში დაახლოებით ორი წელი დაჰყო... 941 წ. მაისში ის ჩამოაგდეს (ტახტიდან) და გააგდეს (ქალაქიდან). ისევ მოიყვანეს აჰმად ბ. აბდ ალ-მალიქი და შეჰფიცეს მას (ერთგულება). მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, 330 წ. რაბი პირველში (941 წ. დეკემბერი) იგი [ისევ] გააგდეს და დააბრუნეს ჰაისამი; მაგრამ ისიც ჩამოაგდეს (ტახტიდან) ექვსი (შვიდი) თვის შემდეგ და შეჰფიცეს მამამისს, შარვანშაჰ მუჰამედ ბ. (აბუ ტაჰირ) იაზიდს, რომელმაც თავის ნაცვლად გაგზავნა (დარუბანდში) თავისი ძმა აჰმად ბ. იაზიდი. ცოტა ხნის შემდეგ (დარუბანდლებმა) იგიც ჩამოაგდეს და მეორეჯერ დააბრუნეს ამირა აჰმად ბ. აბდ ალ-მალიქი... 953 წ. იგი (ისევ) ჩამოაგდეს (ტახტიდან) და გააძევეს ქალაქიდან. მის ადგილზე მათ დასვეს ლაქზთა მეფე... 342 წ. ჯუმადა პირველში (953 წ. სექტემბერი). ზულ-კადა-ში (954 წ. მარტი) მათ ჩამოაგდეს იგი და გააძევეს ქვეყნიდან. [მესამეჯერ] დააბრუნეს აჰმად ბ. აბდ ალ-მალიქი“<sup>94</sup>.

უნდა გავიხსენოთ, რომ 955 წ. მუსაფირიანი მარზუბან ბ. მუჰამედი აჯანყების ჩასაქრობად დარუბანდის მიდამოებში იმყოფე-

<sup>93</sup> შარვანშაჰთა დინასტიიდან.

<sup>94</sup> თარის ალ-ბაბ, § 35.

ბზდა (იხ. ზემოთ გვ. 30), სავარაუდოა, რომ ეს ექსპედიცია დარუბანდის ამბების მოწესრიგებასაც ისახავდა მიზნად. მაგრამ მუსაფირიანის ამ ლაშქრობას დარუბანდში მდგომარეობის სტაბილიზაცია არ ქალედვა... როგორც ჩანს, დარუბანდმა მუსაფირიანთა არც ვასალობა იკისრა, რადგანაც 358/968—69 წ. მეორე მუსაფირიანის, სალარ იბრაჰიმ ბ. მარზუბანის მოთხოვნას, რომ მასთან გამოცხადებულიყო, დარუბანდის ამირამ აჰმად ბ. აბდ ალ-მალიქმა ყურიც არ ათხოვა. „სალარმა გაგზავნა რაზმი... მასკატში, მაგრამ ადგილობრივმა ხალხმა ჩაკეტა ვიწროები და გზები: მათ დახოცეს მრავალი თავდამსხმელთაგან, ხოლო დანარჩენი ილტვოდნენ“<sup>95</sup>.

ამის შემდეგ აბდ ალ-მალიქმა შარვანშაჰის თავდასხმა მოიგერიო. თავდასხმის მიზეზი ის იყო, რომ დარუბანდში თავს აფარებდა შარვანშაჰის ძმა „და მისი გულისთვის ჩამოვარდა შუღლი“ ამირასა და შარვანშაჰს შორის<sup>96</sup>.

აღწერილი პოლიტიკური კატაკლიზმების მსგავსი იშვიათი არ იყო დარუბანდის ისტორიაში. 1054 წ. ივლისში აქ აშკარად სამოქალაქო ბრძოლა მიმდინარეობს: „გაჩაღდა ბრძოლა (ამირა მანსურ ბ. აბდ ალ-მალიქსა — 1042—1065), ქალაქის ხალხსა და რაისებს შორის“. ერთი თვის შემდეგ ამირა იძულებული იყო ოჯახითურთ დაეტოვებინა ქალაქი. მან შეაგროვა ლაშქარი მომხრე დარუბანდელთა და ტაბარსარანელთაგან და მიაღვა დარუბანდს. „ქალაქის რაისები და დიდებულები გავიდნენ ქალაქიდან და ცხარე ბრძოლა გაიმართა (ქალაქის) პალესტინის კართან. მანსურის ლაშქარი დამარცხდა; ამის შემდეგ რაისებმა და ალ-ბაბის ხალხმა მოიწვია მისი ძმა... მათ შეიყვანეს იგი „მთავრობის სახლში“ და მიაართვეს მას თავიანთი ერთგულების კეთილსურნელოვანი ყვავილი (რაჰ-ქანა), და გაიხარეს ამით დიდებულებმა და მოსაზღვრე ოლქების ხალხის რაისებმა“<sup>97</sup>.

მოწვეული ლაშქარი ბ. აბდ ალ-მალიქი დიდხანს ვერ შერჩატახტს. 1055 წ. იანვარში იგი საკუთარ სახლში მოკლა გაძევებული ძმის. ამირა მანსურის ღულამმა<sup>98</sup>.

დარუბანდის შინაომში შარვანშაჰები ან უშუალოდ მონაწილეობდნენ, ან მათი ხელი იყო ხოლმე გარეული პოლიტიკურ გაღატ-

95 თარის ალ-ბაბ, § 35.

96 იქვე.

97 იქვე, § 40.

98 იქვე.

რიალებებსა და შეთქმულებებში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ დარუბანდიც ესხმოდა თავს შარვანს (მაგ., 930 და 1021—1022 წლებში)<sup>99</sup>. მაგრამ მოქმედების ინიციატივა და საერთო უპირატესობა შარვანის მხარეზე იყო. დარუბანდის საამიროს საზრუნავი შარვანის აგრესიისგან თავის დაცვა იყო.

დარუბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში შარვანი მოხერხებულად სარგებლობდა რაისებსა და ამირას შორის არსებული წინააღმდეგობებით. თავის მხრივ, რაისებსაც არა ერთხელ მოუწვევიათ შარვანშაჰი ქალაქში. 1035 წ., მორიგი გადატრიალების შედეგად დარუბანდიდან გაძევებული ამირა აბდ ალ-მალიქ ბ. მანსურის (1034—1043) ნაცვლად ქალაქი შარვანშაჰ აბუ მანსურ ალი ბ. იაზიდს (1034—1043)<sup>100</sup> დამორჩილდა. უკანასკნელმა „აღადგინა დარუბანდის ციხე და ჩააყენა შიგ თავისი გარნიზონი. შემდეგ მან თავის ნაცვლად „მთავრობის სახლში“ დატოვა თავისი ვეზირი და შარვანში გაბრუნდა“<sup>101</sup>.

საკითხის ამგვარად მოგვარება ჩვეულებრივი იყო იმ დროს — უახლოეს მაგალითად გამოდგება ქართველი მეფეების პოლიტიკა ანისში.

დარუბანდის სრული ანექსია შარვანმა ვერ შეძლო. საქალაქო არისტოკრატია თავგამოდებით იბრძოდა დარუბანდში მტკიცე პოლიტიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. შარვანშაჰის ვეზირის, როგორც მარიონეტის, მმართველობა კი ქალაქის დიდებულთათვის, როგორც ჩანს, მისაღები იყო. მაგრამ ეს მიუღებელი იყო ჰაშიმიან-ე ამირასათვის. ამჯერადაც აბდ ალ-მალიქი იმავე, 1035 წ. თავა დაესხა დარუბანდს, მოკლა შარვანშაჰის ვეზირი და ქალაქს დაეპატრონა<sup>102</sup>.

ამირა აბდ ალ-მალიქი ხედავდა თავისი მდგომარეობის სისუსტეს და ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით შარვანშაჰს დაუნათესავდა. მან ცოლად შეირთო შარვანშაჰის და შამქუდე. მაგრამ „როდესაც რაისებმა დაინახეს, თუ როგორ გაძლიერდა (ამირას) მდგომარეობა შარვანშაჰთან მოყვრული კავშირებით, ისინი შეშინდნენ თავიანთი მდგომარეობის გამო“ და დარუბანდის რაისები ისევ

99 თარის ალ-ბაბ, § 15, 34.

100 ეს ის შარვანშაჰია, რომელმაც თავისი ძმა მოკლა და შემდეგ მისი მეუღლე სითი, შადადიანი ფადლ ბ. მუჰამედის ქალი ცოლად შეირთო.

101 თარის ალ-ბაბ, § 16, 39.

102 იქვე, § 39.

აჯანყდნენ, მათ მოკლეს ამირას ვეზირი ხოლო თვით აბდ ალ-მალქი შარვანს გაიქცა<sup>103</sup>.

რაისების ესოდენი აღზევება და მათ ხელში დარუბანდის მმართველობის გადასვლა, ცხადია, არც შარვანშაჰს მოსდიოდა თვალში. ამიტომ იყო, რომ მან დააპატიმრა მის კარზე, როგორც ჩანს, მოსალაპარაკებლად მისული რაისები და ამრიგად, ამირას ტახტის დაბრუნების საშუალება მისცა.

მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ შარვანშაჰს არ მოსწონდა დაწყნარებული დარუბანდი და ქალაქში განმტკიცებული ამირა. ასე იყო 1068 წ., როდესაც ამირა აბდ ალ-მალქი ბ. ლაშქარიმ ისარგებლა რაისებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით და დაეუფლა ქალაქს. ეს მოხდა ოქტომბერში, ხოლო ნოემბერში შარვანშაჰი დაიძრა დარუბანდზე. ბრძოლაში ამირა მოკავშირის, ხაიდაკელთა ლაშქრის სიმტკიცემ იხსნა<sup>104</sup>. შარვანშაჰის შეტევა მოიგერიეს, მაგრამ ახლა ბრძოლას იწყებს რაისთა რაისი მუფარიჯ ბ. მუზაფარი, რომელიც საერთოდ კრიჭაში ედგა ამირას ხელისუფლებას დარუბანდში და რომელსაც ზურგს უმაგრებდა სიმამრი, საჩირის მმართველი. ამირა აბდ ალ-მალქი ხაიდაკში გაიქცა ისევ<sup>105</sup>.

მართლაც, რომ საინტერესოა „აღინიშნოს თუ რა ზომამდე დაკარგა ბაბ ალ-აბევაბმა „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ მებრძოლი ავანპოსტის ხასიათი, თუკი ქალაქში მებრძოლი მხარეები დამოკიდებული იყვნენ დაღესტნის ტომთა დახმარებაზე: მუფარაჯი საჩირს ეყრდნობოდა, ხოლო აბდ ალ-მალქი — ხაიდაკს და „მთების მეფეებს“<sup>106</sup>.

აღნიშნულ ბრძოლაში „გამარჯვებული მუფარიჯი გამოვიდა, ხოლო აბდ ალ-მალქის საქმეები აირია“. საქმე ამჯერად იმით დასრულდა, რომ „შარვანშაჰი დაიძრა და დაიკავა ქალაქი და ალ-ბაბის ციხე. მან დატოვა იქ თავისი ვაჟი აფრიდუნ ბ. ფარიბურზი, თვითონ კი შარვანში გაბრუნდა და თან წაიყვანა ბორკილგაყრილ რაისთა უმრავლესობა“<sup>107</sup>.

ჰაშიმიანთა ხელისუფლება დარუბანდში კრიზისმა მოიცვა. თავგასული რაისების ალაგმვა და შარვანის ენერგიული შემოტევის მოგერიება ჰაშიმიან ამირას სულ უფრო უჭირდა. ამ დროს ჩაერია

103 თარის ალ-ბაბ, § 39.

104 იქვე § 42.

105 იქვე.

106 В. Минорский, История Ширвана и Дербенда, гл. 103—104.

107 თარის ალ-ბაბ, § 42.

დარუბანდისათვის ბრძოლაში შადადიანი ფადლ ბ. შავერიც (იხ-ზემოთ, გვ. 86).

დარუბანდის უაღრესად რთული და დაძაბული სიტუაცია ვერც თურქ-სელჩუკებმა მოაწესრიგეს. მათ ვერ დაამყარეს აქ მტკიცე პოლიტიკური რეჟიმი; ყოველ შემთხვევაში, ასეა ალფ არსლანის შემდეგაც 1075 წლამდე, აქ კი თარიხ ალ-ბაბ-ის თხრობა წყდება.

თუ შარვანში თურქ-სელჩუკები პირველად 1066 წ. გამოჩნდნენ, დარუბანდის დაპყრობა მათ პირველად, როგორც ჩანს, 1068 წ. სცადეს ალფ არსლანის საქართველოში ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ<sup>108</sup>. ირკვევა, რომ ალფ არსლანმა პირველი ნაბიჯი ფრთხილად და ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით გადადგა. მან შარვანშაჰის ტყვეობიდან გაანთავისუფლა რაისი ალლაბ ბ. ალი და სავ-თეგინთან ერთად გაგზავნა დარუბანდში. „თურქებმა ჯერ დაიპყრეს მასკატი და გაძარცვეს იგი. შემდეგ მათ წაართვეს (ალ-ბაბის) ციტადელი შარვანელებს... ქალაქი ჩამოართვეს რაისებს და სავ-თეგინმა თავის მოადგილედ ალ-ბაბში დანიშნა ალლაბ ბ. ალი, თვითონ კი უკან გაბრუნდა სულთანთან“<sup>109</sup>.

როდესაც 1068 წ. 28 დეკემბერს ალლაბ ბ. ალი მოკვდა, შარვანშაჰ ფარიზურზმა ისევ ხელთ ეგდო დარუბანდი და იქ თავისი შვილი აფრიდუნი დანიშნა გამგებლად<sup>110</sup>. ამან გამოიწვია სელჩუკთა მეორე ლაშქრობა დარუბანდში. ამჯერად, 1071 წ. ნოემბერში ალფ არსლანმა ლაშქრის მეთაურად თურქი ღულამი ჩააღმა დანიშნა. 1072 წ. იანვარში შარვანშაჰმა დაცალა დარუბანდის ცხესიმაგრე და ქალაქი იალმას ხელში გადავიდა<sup>111</sup>. მაგრამ, როგორც კი ალფ არსლანი ერაყში დაბრუნდა, დარუბანდის „ხალხმა“ იმავე წელს გადასცა ქალაქში ხელისუფლება ამირა აბდ ალ-მალიქს<sup>112</sup>.

თურქ-სელჩუკთა ხელისუფლება დარუბანდში 1075 წლიდან მტკიცდება, როდესაც მალიქ-შაჰმა ქალაქის გამგებლად ისევ სავ-თეგინი დანიშნა. წყაროს თანახმად, ზუტხას დარუბანდში მალიქ-შაჰის და სავ-თეგინის სახელზე კითხულობდნენ<sup>113</sup>. 1075 წელ-

108 იხ. ვ. შინო რ ს კ ი, იქვე, გვ. 103.

109 თარიხ ალ-ბაბ, § 42.

110 იქვე, § 24, 42.

111 იქვე, § 25, 44.

112 თარიხ ალ-ბაბ, § 44.

113 იქვე, § 46; შდრ. ვ. შინო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

სვე სავ-თეგინმა არანიც მიიღო სამართავად<sup>114</sup>. ეს ფაქტები პრ-დაპირ კავშირში უნდა იყოს მალიქ-შაჰის ამიერკავკასიაში ლაშქრობასთან, და, შესაძლებელია, ამ ლაშქრობის თარიღის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს<sup>115</sup>.

თუმცა, ალფ არსლანის ამირამ, სავ-თეგინმა მიიღო დარუბანდში ხელისუფლება, მაგრამ „ადგილობრივი ინტრიგები (ისევ) შეუწინაღობელი ძალით გრძელდებოდა“<sup>116</sup>. საამიროში ამ დროს ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მუფარიჯ ბ. მუზაფარი იყო, რომელსაც შარვანშაჰთან ჰქონდა კავშირი გაბმული.

ამან ის გამოიწვია, რომ „ალფ არსლანის ერაყში დაბრუნების შემდეგ, 463/1071 წ. ალ-ბაბის ხალხმა ისევ მოიწვია ამირა აბდ ალ-მალიქი ხაიდაკიდან. იგი მოიყვანეს ქალაქში, ჩააბარეს მას ხელისუფლება და მან დაუწყო შარვანელებს ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით“<sup>117</sup>. დარუბანდში მძაფრი პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს: „464/1071—72 წ. (დარუბანდის) მცხოვრებლებმა გააგდეს აბდ ალ-მალიქი ქალაქიდან. შემდეგ მათ [ისევ] დააბრუნეს იგი [რომ მოგვიანებით] — ისევ გაეგდოთ. ასე გრძელდებოდა 468 წლამდე. ამ წლის მუჰარამში (1075 წ. აგვისტო) ალ-ბაბის ხალხმა დაიბრუნა ამირა აბდ ალ-მალიქისადმი მიცემული ფიცო და გააგდო იგი. ჩვეულებისამებრ, ის გაემართა ხაიდაკში დანმარების საძებნელად, რომ ძალაუფლება დაებრუნებინა, მაგრამ დარუბანდელებმა დევნის დროს დაიჭირეს იგი და როგორც ტუსალი მოათავსეს ქალაქ ჰუმაიდიაში. 468 წ. 5 მუჰარამს (1075 წ. 20 აგვისტო) მათ შეჰფიცეს მის ბიძაშვილს, მამუნ ბ. მანსურ ბ. აბდ ალ-მალიქს, რომელიც დასვეს „მთავრობის სახლში“, იგი იყო მაშინ 11 წლის“<sup>118</sup>.

მამუნ ბ. მანსური შამქუეეს შვილიშვილი იყო. ამ არჩევანს ხელი უნდა შეეწყო შარვანთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მუფარაჯი, მამმუ-

114 ბაბ ფი-ლ-შადდალიია § 19.

115 თარიღად ასახელებენ: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 160)—1073—1074 წწ.; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა (ქრონიკები I, გვ. 222—230)—1077 წ.; თანამედროვე თურქი ისტორიკოსები (იხ. ნ. შე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო, გვ. 306)—1076 წ.; ჯ. ბ ო ს ე ო რ თ ი (The Cambridge History of Iran, გვ. 95)—471/1078—79 წ. შტრ. ვ. პ ი ნ ო რ ს კ ი, იქვე. გვ. 96.

116 ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

117 თარის ალ-ბაბ, § 44—45.

118 იქვე.

ნის მამის, მანსურის მკვლელი<sup>119</sup>. წყარო გადმოგვცემს: „მდგომარეობა ალ-ბაბში [მერყევი გახდა]: მას ხან შარვანშაჰი და მისი წარმომადგენლები მართავდნენ, ხან რაისები და მათი ბელადი მუფარიჯ ბ. მუზაფარი“<sup>120</sup>. ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ქალაქში თურქ-სელჩუკთა ხელისუფლების არსებობაც.

ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა გავარკვიოთ როგორ დასრულდა დარუბანდში მიმდინარე ცხარე შინაკლასობრივი ბრძოლა; დაიმორჩილა, თუ არა საბოლოოდ შარვანის სამეფომ დარუბანდის საამირო და სხვა საკითხები.

როგორც აღვნიშნეთ, თარიხ ალ-ბაბ-ში თხრობა 1075 წ. წყდება. დარუბანდი ამ დროს თურქ-სელჩუკთა ხელისუფლებას ემორჩილება. XI ს. დასასრულიდან სელჩუკთა იმპერიაში დაწყებული დინასტიური ომების გამო მათი გავლენა ამიერკავკასიაში დასუსტდა. შარვანის სამეფომ შეინარჩუნა არსებობა საკუთარი დინასტიის მმართველობით.

რაც შეეხება დარუბანდს, აქ ბევრი რამ უცნობი და გასარკვევია და მხოლოდ კანტიკუნტი ცნობებით და ნუმისმატიკური მასალების მოშველიებით ხდება შესაძლებელი გავითვალისწინოთ საამიროს ისტორიის ზოგიერთი საკითხი XII ს-ში.

საყურადღებოა ქართული მატიანეს ერთი ცნობა დარუბანდ-შარვანის ურთიერთობიდან: „მათვე დღეთა (1120 წ.) შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ, და მოსწყყდნეს შარვანელი“<sup>121</sup>. მაშასადამე, ირკვევა, რომ დარუბანდის საამირო განაგრძობს არსებობას და, რაც მთავარია, მას შარვანთან ბრძოლაში გამარჯვების უნარიც შესწევს.

თარიხ ალ-ბაბ-ი კარგად იცნობს (1063 წლიდან) აფრიდუნ ბ. ფარიბურზს. 1066 წ. იგი მამამისმა დარუბანდის მმართველად აკი დასვა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აფრიდუნმა ფეხი ვერ მოიკიდა დარუბანდში. თუმცა, ქალაქის ციხეში შარვანიდან ყოველთვიურად გაგზავნილი სამხედრო რაზმების წყალობით გამაგრებული აფრიდუნი ყოველ ხელსაყრელ მომენტში თავს ესხმოდა „ალ-ბაბის ხალხის მიწებს და დამუშავებულ ნაკვეთებს“<sup>122</sup>. ასე, რომ აფრიდუნ ბ. ფარიბურზსა და დარუბანდის „ხალხს“ შორის მტრობას ადრევე ჰქონდა ფესვი გადგმული.

119 შდრ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

120 თარიხ ალ-ბაბ, § 41.

121 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 339.

122 თარიხ ალ-ბაბ, § 24.



ჩვენთვის უცნობია როდის შეცვალა აფრიდუნ ბ. ფარიბურზმა მამამისი შარვანის ტახტზე და განაგებდა თუ არა 1120 წ. იგი სამეფოს. ცნობილია, რომ აფრიდუნს ჰყავდა ძმა მანუჩიკრ ბ. ფარიბურზი, რომელიც ნუმისმატიკური მასალის თანახმად აფრიდუნის სიკვდილამდე მჭდარა შარვანის ტახტზე<sup>123</sup>. ყოველ შემთხვევაში, როგორც მართებულად შენიშნავდა ე. პახომოვი, ქართული წყაროს მიერ აფრიდუნ ბ. ფარიბურზის მხოლოდ სახელით მოხსენიება მისი შარვანშაპობით (შარვანის მფლობელობით) უნდა იყოს გამართლებული<sup>124</sup> ისევე, როგორც დარუბანდელისა, რომლის სახელსაც წყარო, სამწუხაროდ, არ ასახელებს.

პოეტი ხაკანი შარვანშაპ ახსიტან I-ის (XII ს. მეორე ნახევარი) მეუღლისადმი მიძღვნილ ხოტბაში, შარვანის დედოფალს აფრიდუნის — „სარწმუნოებისთვის წამებულის“ (შაჰიდ) — შთამომავალს უწოდებს<sup>125</sup>. მუსლიმანური დარუბანდის საამიროსთან ბრძოლაში შარვანშაპის სიკვდილის შაჰიდად მიჩნევას ის საფუძველი გააჩნია, რომ „დარუბანდელის“ მოკავშირედ ხშირად გამოდიოდნენ არამუსლიმანი ხალხები. ასე, რომ ხაკანის ეპითეტი შინაარსმოკლებული არ არის<sup>126</sup>.

დარუბანდის საამიროს პოლიტიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ესპანელი არაბი მოგზაურის, აბუ ჰამიდ ალ-ანდალუსი ალ-ღარნატის ცნობა. 1131 წ. ღარნატი, ჩრდილოეთ ირანიდან საქსინში მიმავალი, დარუბანდში შეჩერდა. იგი გადმოგვცემს თავის საუბარს დარუბანდის ამირა აბდ ალ-მალიქ ბ. აბუ ბაქრთან. ღარნატი ახსენებს აგრეთვე დარუბანდის სხვა ამირას — საიფ ალ-დინ მუჰამედ ბ. ხალიფა ალ-სულამის<sup>127</sup>. როგორც ირკვევა, ღარნატის დარუბანდში ყოფნის დროს ამირა საიფ ალ-დინ მუჰამედი გარდაცვლილი ყოფილა<sup>128</sup>.

დამოწმებული ცნობიდან ნათელია, რომ ჯერ ერთი, დარუბანდს ისევ საკუთარი ამირა განაგებს და, რომ ეს ამირა, როგორც ამას

<sup>123</sup> ვ. შ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

<sup>124</sup> E. Пахомов, Краткий курс, გვ. 31.

<sup>125</sup> ხ ა კ ა ნ ი, გვ. 273.

<sup>126</sup> ე. პ ა ხ ო მ ო ვ ი, იქვე. ასეთი განმარტება საექვოდ მოაჩნია ნ. ასათიანს. იხ. მისი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 31, შენიშვ. 3. მაგრამ, ჩვენი აზრით, მოყვანილი არგუმენტები მოკლებულია დამაჯერებლობას.

<sup>127</sup> ალ-ღარნატი, გვ. 85, Путешествие ал-Гарнати, გვ. 8, 50.

<sup>128</sup> В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 184, შენიშვ. 1.

მისი ნისბა (წარმოშობის აღმნიშვნელი სახელი) გვაფიქრებინებს, სულამის გვარის პაშიმიანთა დინასტიის გამგრძელებელი იყო. ვ. მინორსკი იმოწმებს დერბენდ-ნამე-ს და აღნიშნავს რომ შესაძლებელია საიფ ალ-დინი რაისების ოჯახიდან წარმოდგებოდეს<sup>129</sup>; ამაზე უნდა მიუთითებდეს მამამისის სახელი (თუ წოდება?) „ხალიფა“, რომელიც დერბენდ-ნამე-ს დამოწმებულ გვერდებზე აღლავ ალ-სულამის თანამდებობას — „ნაცვალი“ — აღნიშნავს<sup>130</sup>.

თავისთავად მეტად საყურადღებო ამ მოსაზრებას დამაჯერებელი საბუთების უქონლობის გამო ჭერჭერობით ვერ მივიღებთ. მთავარი ამჯერად ის არის, რომ აშკარად დასტურდება დარუბანდში საკუთარი ამირას არსებობა. ამას ადასტურებს იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარიკი.

ამ ავტორის თანახმად, XII ს. შუა წლებში დარუბანდს განაგებდა ამირა აბუ-ლ-მუზაფარი. რომელიც, როგორც ჩანს, დემეტრე მეფის სიუზერენობას აღიარებდა<sup>131</sup>. (შედარებით ვრცლად იხ. ქვევით, გვ. 215).

დარუბანდის საამირომ რომ წარმატებით გაართვა თავი შარვანთან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და შეინარჩუნა არსებობა, ამას ნათლად და გარკვევით ადასტურებენ XII საუკუნეში ამირების მიერ დარუბანდში მოჭრილი მონეტები.

1857 წ. სოფ. დილომში აღმოჩენილ მონეტების დიდ განძში სხვებთან ერთად აღმოჩნდა დარუბანდის ამირების მიერ მოჭრილი მონეტებიც. შემდეგ, 1928—29 წწ. დარუბანდში ნუმიზმატიკური მასალის ძიებამ ე. პახომოვს უხვი მონაპოვარი მისცა: არანაკლებ ათასი ცალისა მან თვითონ შეისწავლა<sup>132</sup>.

ე. პახომოვი დარუბანდის ამირების მონეტებს ტიპის მიხედვით რვა ჯგუფად ყოფს. მისი დახასიათებით ყველა ისინი ე. წ. უწესოდ მოჭრილი მონეტებია. გამოშვებულია მახლობელ აღმოსავლეთში ვერცხლის კრიზისის დროს და წარმოადგენენ ლითონის, უმეტესად სპილენძის (ტყვიის, ვერცხლას და სხვათა მცირე შენარევებით) უფორმო ფირფიტებს ერთიდან ოც გრამამდე წონით. ზოგიერთ მონეტაზე უწესოდ მოჭრის გამო მოთავსებულია ზედწერილის მხოლოდ ნაწილი.

129 დერბენდ-ნამე, გვ. 108—109, 135, 140.

130 შდრ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 165, 184.

131 იბნ ალ-აზრაყი, გვ. 222—223.

132 Е. Пахомов, О дербендском княжестве, გვ. 1—3.

მიღებული წესის თანახმად, ჩვენს შემთხვევაშიც, ყველა მონეტაზე მოთავსებულია ხალიფას სახელი. ჩვეულებრივი სქემის მიხედვით ხალიფას სახელს მოსდევს სულთნის სახელი. უკანასკნელის აღნიშვნა უფრო რეალური პოლიტიკური დამოკიდებულების შინაარსს ატარებდა, ვიდრე ხალიფას სახელის ამოკრა.

დარუბანდის მონეტების პირველ სამ ტიპზე მოთავსებულია მხოლოდ სიტყვა „სულთანი“, საკუთარი სახელის აღნიშვნა. თუ ამ მონეტებზე ეს მოვლენა ზედწერილის ნაწილობრივი ამოტვიფრით შეიძლება აიხსნას, ყველა დანარჩენი ტიპის მონეტებზე (ისეთებზეც, რომელთაც სრული ზედწერილი აქვთ) სულთნის ხსენებაც არ არის. ეს ხდება არაუგვიანეს 1160 წლისა. აღნიშნული ფაქტი აშკარად მიუთითებს დარუბანდის საამიროს პოლიტიკურ თავისთავადობაზე. ასევე არ აღნიშნავენ სულთნის სახელს შარვანშაჰების მონეტებიც<sup>133</sup>.

ქრონოლოგიურად მონეტებს შორის უადრესია ამირა ალ-მალიქ ალ-ადილ მუზაფარ ბ. მუჰამედ ბ. ხალიფას მონეტები, ხალიფების ალ-მუჰტადის (1136—1160) და ალ-მუსტანჯიდის (1160—1170) სახელებით. მონეტები მოჭრილია 555—59/1160—64 წწ. შორის. ეს ამირა მუზაფარი (ალ-ფარიკისთან არის აბუ-ლ-მუზაფარი) უეჭველია, რომ დარნატისთან დამოწმებული საიფ ალ-დინ მუჰამედ ბ. ხალიფას შვილია<sup>134</sup>. მომდევნო მონეტები მუზაფარის შემკვიდრების მიერ არის მოჭრილი.

ეს მონეტებია: ბეკ-ბარს ბ. მუზაფარისა ხალიფების მუსტადის (1170—1180) და ნასირის (1180—1225) სახელებით და აბდ ალ-მალიქ ბ. ბეკ-ბარსის მონეტები ხალიფა ნასირის სახელით.

ამრიგად ირკვევა, რომ XII ს-შიც დარუბანდის საამიროს საკუთარი დინასტია მართავდა, რომელსაც საკუთარივე, შარვანისგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გააჩნდა<sup>135</sup>. გაურკვეველია მხოლოდ რა კავშირშია ეს დინასტია X—XI სს. დარუბანდის მმართველ ჰაშიმიანთა დინასტიასთან; მისი გამგრძელებელია, თუ რაისთა რაისის მუფარიჯ ბ. მუზაფარის გვართან არის დაკავშირებული. გვიანდელი ამირების სახელთა გათვალისწინებაც არაფერს არ გვაძლევს: თუ სახელი „მუზაფარი“ რაისთა გვარისკენ მიგვიითითებს, სახელი „აბდ

<sup>133</sup> E. Пахомов, О дербендском княжестве, გვ. 4.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 4—5; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

<sup>135</sup> შდრ. ე. პახომოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 1: „...с его собственной политикой, шедшей отнюдь не по руслу политики Ширвана“.

ალ-მალიქი“ ჰაშიმიან ამირებზე მიგვანიშნებს<sup>136</sup>. განცალკევებულად დგას „ბეკ-ბარსი“ და, როგორც ე. პახომოვიც აღნიშნავს, ძნელი სავარაუდოა, რომ ამ თურქულ სახელს ატარებდეს ძველი არაბული გვირგვინის წარმომადგენელი, რომელიც „აღზრდილი იყო არაბული გვირგვინის სიამაყის ტრადიციებზე“<sup>137</sup>. მაგრამ, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ასეთი ძველი წარმოშობის გვირგვინი და ოჯახებში (მაგ., მარალას მმართველ აჰმადილიანებში) თანდათან, გარკვეულ გავლენით, ფეხს იკიდებდა თურქული სახელებიც<sup>138</sup>.

ნუმისმატიკური მასალა ახასიათებს აგრეთვე საამიროს დამოკიდებულებას თურქ-სელჩუკებთან. ე. პახომოვის დაკვირვებით, თუ დაახლოებით XII ს. ნახევრამდე დარუბანდის ამირები ხაზს უსვამენ ერაყზე ვასალურ დამოკიდებულებას, შემდგომ პერიოდში მონეტები ახასიათებენ დარუბანდის საამიროს — „ამ მინიატურულ სახელმწიფოს“<sup>139</sup> — როგორც სრულებით დამოუკიდებელს და არავითარ შემთხვევაში შარვანშაჰებზე დამორჩილებულად, რომელთა სახელები მონეტებზე ერთხელაც არ აღინიშნება<sup>140</sup>.

ჩვენი აზრით, თვით XII ს. პირველ ნახევარშიც თურქ-სელჩუკთა ძალაუფლება დარუბანდზე არ იყო მტკიცე და ყოვლისმომცველი. ეს აზრი არ უნდა იყოს მოულოდნელი თუ გავითვალისწინებთ თურქ-სელჩუკთა ბატონობის ხასიათს დარუბანდში XI ს. მეორე ნახევარში და სხვა ზემოხსენებულ ფაქტებს.

გასათვალისწინებელია ის მცირე მნიშვნელობის ცნობებიც, სხვადასხვა ლიტერატურული წყაროებიდან რომ მომდინარეობენ და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან საამიროს შინაგანი ცხოვრების ზოგიერთ სფეროზე.

პოეტი ხაკანი (1120—1199) ერთხანს დარუბანდის ამირას კარზეც ცხოვრობდა<sup>141</sup>. დაახლოებით 551/1156 წ. მან ხოტბა მიუძღვნა ამირა მუზაფარ ბ. მუჰამედს. ხოტბაში ის ასე მიმართავს ამირას: დარაი დარბანდ, რაც „დარუბანდის მფლობელს“ ნიშნავს და ამავე დროს, ე. მინორსკის აზრით, ნართალად აქემენიან დარიოსზე მიანიშნებს<sup>142</sup>. ხაკანის დივანში სულ ათიოდე ხე-

136 შტრ. В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 185.

137 ე. პახომოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

138 შტრ. ე. მინორსკი, იქვე.

139 ე. პახომოვი, იქვე, გვ. 4.

140 იქვე; История Дагестана, გვ. 181.

141 ხაკანი, იხ. ზ. საყადის გამოკვლევაში მამდუჰინ დიგერხაყანი, გვ. ჩეჰელლიაქ.

142 ე. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 185, შენიშვ. 3.

ლისუფალია დასახელებული, რომელთაც პოეტმა სახოტბო ლექსე-  
ბი უძღვნა. მათ შორის არიან შარვანშაჰები, ხორეზმშა-  
ჰები, ერაყის სელჩუკი სულთნები და ელდიგუზიანიცი<sup>143</sup>.

ასევე, მუჯირ ალ-დინ ბაილაკანიმ, ელდიგუზიანების კარის პო-  
ეტმა ერთი წელი — 556/1160-61 — იმავე მუზაფარ ბ. მუჰამე-  
დის კარზე გაატარა და მას რამდენიმე ყასიდა უძღვნა<sup>144</sup>.

სახელგანთქმული მუსლიმანი პოეტების სიმპათია დარუბან-  
დის მმართველისადმი, სავარაუდოა, რომ მეცენატობით იყო განპი-  
რობებული. ცნობილია, რომ დარუბანდის მმართველს, რომელსაც  
ნიზამის ერთი-ერთი ლექსი მოსწონებია, მისთვის ჯილდოდ ახალგაზ-  
რდა ყივჩაყი მონა-ქალი, აფაკი გაუგზავნია საჩუქრად<sup>145</sup>. აფაკი  
შემდეგ დიდი პოეტის მეუღლე გახდა, როგორც ფიქრობენ, 1172  
ან 1173 წელს<sup>146</sup>. ამ წლებში, მონეტების თანახმად, დარუბანდს  
ამირა ბეკ-ბარს ბ. მუზაფარი მართავდა.

ბეკ-ბარს ბ. მუზაფარი შეცვალა აბდ ალ-მალიქ ბ. ბეკ-ბარს-  
მა. მისი მმართველობა, როგორც ჩანს, 1222 წლამდე გაგრძელებუ-  
ლა. ამ წელს, მონღოლთა შემოსევების დროს, იბნ ალ-ასირი და-  
რუბანდის მმართველად ვინმე რაშიდს ასახელებს. რომელსაც იმა-  
ვე პარაგრაფში შარვანშაჰის ტიტულით მოიხსენიებს<sup>147</sup>. ამასთან  
დაკავშირებით, საგულისხმოა იაკუთის ცნობა: „შამახი... შარვანის  
ქვეყნის დედაქალაქია არრანის მხარეში. ი თ ვ ლ ე ბ ა ბ ა ზ ა ლ-  
ა ბ ვ ა ბ ი ს ე რ თ-ე რ თ ო ლ ქ ა დ. მისი პატრონი შარვანშაჰი  
არის ძმა დარუბანდის მმართველისა“<sup>148</sup> (ხანი ჩენია, პ. თ.).

ე. პახომოვი ხსენებული რაშიდის ვინაობას გაურკვეველად  
თვლიდა და აღნიშნავდა, რომ იბნ ალ-ასირი შარვანშაჰის ტიტულს  
მას შეცდომით უწოდებდა<sup>149</sup>. ვ. მინორსკის იბნ ალ-ასირის და  
იაკუთის დამოწმებული ცნობები არეულად მიაჩნდა<sup>150</sup>. ზ. ბუნია-

<sup>143</sup> E. Бертельс. Низам и Фузूल, 60; ხაკანი, ქვ. სი-  
ო ნ ე ჰ — ჩ ე ჰ ე ლ ო ი ა ქ.

<sup>144</sup> ე. ბერტელსი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

<sup>145</sup> იქვე, გვ. 117.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 119, 484—486.

<sup>147</sup> იბ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

<sup>148</sup> იაკუთი, გვ. 66.

<sup>149</sup> ე. პახომოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

<sup>150</sup> В. Минорский, История Ширвана и Дербенда, გვ. 186: «По-  
добная запутанность встречается и у Якута, жившего также в начале  
XIII в.» აღსანიშნავია, რომ ნაშრომის პირველ გამოცემაში არის: „However, in  
the same paragraph he (Ibn al-Athir, XII, 264, year 619/1222) is given the

ტოვი კი დარუბანდის მმართველ რაშიდს შარვანშაჰთან სახლის წევრად თვლის<sup>151</sup>.

შემახას დარბევის შემდეგ ჯებე და სუბუდაის ლაშქარი დარუბანდისაკენ დაიძრა. კირაკოს განძაყეცის ცნობით, მონღოლებს დაუპირებიათ ქალაქის ჭიქურ გავლა, მაგრამ დარუბანდის მფლობელ ტაქიეებს („არაბები“ სომხური წყაროების მიხედვით) არ გაუტარებიათ ისინი<sup>152</sup>. ამ ცნობას ერთი სომხური ანონიმური წყაროც ადასტურებს<sup>153</sup>.

მონღოლების დარუბანდთან დაკავშირებულ ამბებს სხვა მატრიანეებიც მოგვითხრობენ. რადგანაც მონღოლებმა იცოდნენ, რომ დარუბანდს ძალით ვერ აიღებდნენ, ამიტომ ხერხი იხმარეს და შარვანშაჰს კაცები გაუგზავნეს: ვითომდა ზავის დასადებად შენი ხალხი გამოგზავნეო. როდესაც მონღოლთა წინაშე შარვანშაჰის ათი დიდებული (აქამირ) გამოცხადდა მათ ერთი მათგანი იქვე მოკლეს, ხოლო დანარჩენს განუცხადეს: თუ დარუბანდის შემოსავლელ გზას არ გვიჩვენებთ თქვენც ასევე დაგხოცავთო. შეშინებული შარვანელები იძულებული იყვნენ მონღოლებისათვის მეგზურობა გაეწიათ და ამგვარად მონღოლთა ლაშქარი დიდი გაჭირვებით გავიდა დაშთი ყიფჩაყ-ში<sup>154</sup>.

ჯუვეინი უფრო მოკლედ აღნიშნავს: მონღოლებმა „როდესაც დარუბანდს მიაღწიეს და რადგანაც არავისგან არ გაეგონათ, რომ

---

title of sharvanshah. This can be connected with the testimony of Yaqut who lived at the same time”—V. Minorsky, A history, გვ. 141.

151 З. Буниятов. Некоторые дополнения, გვ. 49—51.

152 კირაკოს განძაყეცი, გვ. 3. აღსანიშნავია, რომ კირაკოსის სიტყვით (გვ. 1), მონღოლები თითქოსდა დარუბანდის გავლით შემოიჭრნენ ამიერკავკასიაში. მაგრამ, ეს მისსავე მომდევნო სწორ ცნობებს — და საერთოდ ის ტორიულ სინამდვილეს — აშკარად ეწინააღმდეგება. როგორც ჩანს, აქ უნებლიე შეცდომაა დაშვებული.

153 სებასტაოცი, გვ. 23: „Татары хотели со всем своим имуществом пройти через Дербент в свою страну, а войско турок, которые были в Дербенте, не пропустили их, тогда они (татары) пересекли трудно проходимые места Кавказских гор и ушли. Предводителем их был Субэдэ-багатур“. (ხაზი ჩენია, 3. თ.)

154 რაშიდ აღ-დინი აღნიშნავს: «و چون گذشتن از دربند متعذر  
ئ. რაშიდ აღ-დინი, ჭამი' აღ-თავარის, სპარს. ტექსტი, გვ. 138, რუს. »...باد  
თარგმ., გვ. 228—229.

იქ რომელინე ლაშქარი გასულიყო, ან ბრძოლით გაეელო, ეშმაკობა იხმარეს და ისე გავიდნენ<sup>155</sup>.

ჩრდილოეთ კავკასიაში მონღოლთაგან მუხანათურად დამარცხებული ყივჩაყების ერთი ტალღა დარუბანდს მიაწყდა და ქალაქის მმართველ რაშიდს თავშესაფარი სთხოვა. როდესაც უარი მიიღეს ყივჩაყები ეშმაკობით დაეუფლნენ დარუბანდს, ხოლო რაშიდმა გაქცევით უშველა თავს და, — ზ. ბუნიატოვის აზრით — შემახაში თავის ერთ-ერთ ძმასთან, შემახას მფლობელ შარვანშაპთან, შეათარა თავი<sup>155</sup>.

ცნობილია, რომ XIV ს-ში შარვანს მართავდა „დარუბანდელი შარვანშაჰების“ შტო<sup>157</sup>. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XIII ს. პირველ მეოთხედში იაზიდინი შარვანშაჰების ერთმა შტომ შეძლო დარუბანდიდან იქაური მმართველი ამირების გაძევება და იქ დამკვიდრება<sup>158</sup>. ამ მიმართებით, საყურადღებოა რაშიდ ალ-დინის ცნობა, რომ მის ერთ-ერთ ვაჟს ცოლად ჰყავდა დარუბანდელ ხელმწიფეთა შთამომავალი შარვანშაჰის ქალი და, რომ ამ შარვანშაჰის გვარი დარუბანდსა და შაბარანს ფლობდა<sup>159</sup>.

მაგრამ, ასეთი მოსაზრება არ გულისხმობს, რომ დარუბანდმა დაკარგა ადრინდელი პოლიტიკური სტატუსი და შარვანს დამორჩილდა. საამისო ცნობები წყაროებში არ გვხვდება. პირიქით, ზ. ბუნიატოვის შეხედულებით XIII ს. პირველი მეოთხედის დასასრულისათვის შარვანთან ურთიერთობის სფეროში პრიორიტეტი აშკარად დარუბანდის მხარეზეა<sup>160</sup>. ჩვენთვის, ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს თუ, სახელდობრ, ვინ მართავდა ქალაქს.

---

<sup>155</sup> ҟუვეინი, I, გვ. 116: «و چون بدر بند رسیدند و کس نشان نداده بود که هیچ لشکر از آنجا گذشته باشد یا بحرب شده حیلتی ساختند» «...дочь ширван-шаха государя Шабрана и Шамахи, который происходит из рода государей Дербенда. [вот уж] около двух тысяч лет, как султанский [престол] принадлежит их роду, и до настоящего времени они являются государями Дербенда и Шабрана».

<sup>156</sup> ზ. ბუნიატოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

<sup>157</sup> ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 181, 187.

<sup>158</sup> შდრ. იქვე, გვ. 181.

<sup>159</sup> რაშიდ ალ-დინი, მიმოწერა, გვ. 186: „...дочь ширван-шаха государя Шабрана и Шамахи, который происходит из рода государей Дербенда. [вот уж] около двух тысяч лет, как султанский [престол] принадлежит их роду, и до настоящего времени они являются государями Дербенда и Шабрана“.

<sup>160</sup> ზ. ბუნიატოვი, იქვე. ა. ალი-ზადეც აღნიშნავს: „...Дербенд представлял собой сильную крепость. которая в это время не принадлежала ширваншаху“. იხ. მისი Социально-экономическая и политическая история. 33. 359.

თავისი სამხედრო ძალების გასაძლიერებლად ჯალალ ალ-დინმა ყივჩაყებთან დაკავშირება გადაწყვიტა და მათი ტომების ამიერკავკასიაში გადმოსაყვანად მათთან თავისი კაცი (წარმოშობით ყივჩაყი) გაგზავნა. მალე ყივჩაყთა 50 ათასი კარვისაგან შემდგარი ურდო დარუბანდს მიადგა. ქალაქს ამ დროს მცირეწლოვანი მმართველის (ძველი ჰაშიმიანი ამირების შთამომავალი?) ათაბაგი ალ-ასადი განაგებდა.

როგორც ჩანს, ხორეზმშაჰის და ყივჩაყების დაკავშირება სახიფათოდ მიუჩნევიათ დარუბანდში და ალ-ასადმა გზა არ გაუხსნა ყივჩაყთა ტომებს სამხრეთში. ამის საპასუხოდ ჯალალ ალ-დინმა დარუბანდის აღება გადაწყვიტა და „აიღებდნენ კიდევ, რომ საქმეს გონიერი ხელმძღვანელი ჰყოლოდაო“ — აღნიშნავს ნესავი. ირკვევა, რომ ალ-ასადი სულთანთან მისულა მოსალაპარაკებლად. ჯალალ ალ-დინმა კარგად მიიღო ათაბაგი და ის და მისი ხელმწიფე ბავშვი დიდი იკტებით დაასაჩუქრა, რომლებთანაც შედარებით დარუბანდი უმნიშვნელოდ მცირე იყო. სამაგიეროდ, დარუბანდი ჯალალ ალ-დინის რწმუნებულის ხელში უნდა გადასულიყო.

მაგრამ მოლაპარაკება და ხორეზმშაჰის გეგმები ჩაიშალა; შეცვლილ, გამწვავებულ ვითარებაში ალ-ასადმა დარუბანდში დაბრუნება მოახერხა და ქალაქს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა<sup>161</sup>. და ეს იმ დროს, როდესაც შარვანმა ჯალალ ალ-დინის სრული მორჩილება აღიარა და შარვანშაჰი სულთანს ხარკს უხდის.

ექვმიუტანლად დასტურდება, რომ აღნიშნულ პერიოდშიც დარუბანდს ისევ საკუთარი მმართველები განაგებდნენ და მათი პოლიტიკა ჯალალ ალ-დინის მიმართ — შარვანის პოლიტიკისაგან განსხვავებით — ან ორგული იყო, ან აშკარად მტრული<sup>162</sup>.

ამრიგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ IX ს. 60-იან წლებში შექმნილი დარუბანდის საამირო დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა უშუალოდ XI ს-ის უკანასკნელ მესამედამდე. ხოლო XII ს-ში ისევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. რაც შეეხება XI ს-ის უკანასკნელ მესამედს და XII ს-ის პირველ ათეულ წლებს, ამ დროს დარუბანდი, შესაძლებელია, შარვანის მფლობელობაში მოექცა თურქ-სელჩუკთა საერთო სიუზერენობით<sup>163</sup>.

161 დაწვრილებით იხ. ნ ე ს ა ვ ი, რუს. თარგმ. თავი 77, გვ. 220—221.

162 Е. Пахомов, О дербендском княжестве, გვ. 10—11.


163 შდრ. იქვე; История Дажестана, გვ. 181—182.



რა თქმა უნდა, „დამოუკიდებელი“ აქ, და ყველგან, როდესაც ტერმინს რომელიმე განხილული პოლიტიკური ერთეულის მიმართ ვხმარობთ, გულისხმობს თავისი პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას, საკუთარი ხელისუფლების არსებობას, ასე ვთქვათ, ნაწილობრივ და არა სრულ დამოუკიდებლობას, რაც, თავისთავად, ფეოდალურ საზოგადოებაში მცირე პოლიტიკური ერთეულების სინამდვილეში გამორიცხული იყო.

თავისი დამოუკიდებლობა და, როგორც ჩანს, არსებობაც დარუბანდის საამირომ მხოლოდ XIII ს. 30-იანი წლების ბოლოს დაასრულა, როდესაც დარუბანდი მონღოლებმა დაიპყრეს.

### პ ა შ ი მ ი ა ნ ე ბ ი



XI ს-ის მეორე ნახევარში თურქ-სელჩუკთა გაბატონებამ მკვეთრად შეცვალა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური რუკა. არსებობა შეწყვიტა ზოგიერთმა ადგილობრივმა დინასტიამ და მათი სამფლობელო სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში გაერთიანდა. გადარჩენილი ადგილობრივი მმართველები თურქ-სელჩუკთა ყურმოჭრილი მონები გახდნენ და მათ სამსახურში შევიდნენ. ამრიგად, თურქ-სელჩუკთა იმპერიაში გათქვეფილი ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ისტორია სელჩუკთა სახელმწიფოს საერთო პოლიტიკურმა ცხოვრებამ შთანთქა და მხოლოდ და მხოლოდ მათ ცხოვრებაში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გამო იქცევენ ეს ერთეულები მემატიანთა ყურადღებას.

თურქ-სელჩუკებს დამორჩილებული და მათ სამსახურში მყოფი ადგილობრივი დინასტიების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ნაწილობრივ მაინც შეძლო ძველი ყოფის მიმსგავსებული მდგომარეობის შენარჩუნება და შემდეგ, სელჩუკთა სამსახურში დაწინაურებულმა, ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებულმა საკუთარ დინასტიურ მფლობელობას ჩაუყარა საფუძველი. ეს პროცესი განსაკუთრებით მკვეთრად მიმდინარეობდა „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს დაშლის პერიოდში. აღნიშნულს ნათლად ადასტურებს აჰმადილიანთა ფეოდალური სახელმწიფოს ისტორია.

აჰმადილიანთა<sup>1</sup> დინასტიის სამფლობელოს ცენტრს ქ. მარალა წარმოადგენდა. ამიტომ მათ ხშირად მარალას „მმართველებს“ (პაქემ) უწოდებდნენ. აჰმადილიანთაგან ზოგიერთი სელჩუკი სულთნების ათაბაგები იყვნენ. აქედან გამომდინარე, რაშიდ აღდინი მათ „მარალას ათაბაგებსაც“ უწოდებს<sup>2</sup>. დინასტია პერიოდულად, ძლიერების ეპოს თავრიზსაც ფლობდა. ცნობილია, რომ ისინი ფლობდნენ აგრეთვე ძლიერ ციხესიმაგრეს რუინ-დუზს.

აჰმადილიანთა სამფლობელოს ზუსტი საზღვრების დადგენა ძნელდება საჭირო ცნობების სიმცირის გამო. იმ პოლიტიკურ ვითარებაში აჰმადილიანთა დინასტია რომ არსებობდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი პოლიტიკური საზღვრების არსებობა წარმოუდგენელიც კი იყო.

<sup>1</sup> იმის გამო, რომ დინასტიის წევრებს შორის ხშირია სახელი „აყსონჯორი“ აჰმადილიანებს ზოგჯერ აყსონჯორიანებსაც უწოდებენ ხოლმე.

<sup>2</sup> რაშიდ აღდინი, ისმილითა ისტორია, გვ. 137—145. შტრ. „...a dynasty of princes of Maragha“—V. Minorsky, Ahmadîjîs გვ. 300.

მთლად ნათელი არ არის აჰმადილიანთა წარმოშობის საკითხი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დინასტიის პირველი წარმომადგენლის სახელი — აჰმადილ ბ. იბრაჰიმ ბ. ვაჰსუდან ალ-რაავადი ალ-ქურთი. აქედან გამომდინარე, თუ რავადიანთა დინასტიიდან ცნობილი ვაჰსუდან ბ. მამლანი ამირა აჰმადილის წინაპარი იყო, მაშინ აჰმადილიანები რავადიანთა მეჰკვიდრეებად გამოდიან. მაგრამ, ამის გადაჭრით მტკიცება არ იქნებოდა გამართლებული, რადგანაც ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში არ ჩანს იბრაჰიმ ბ. ვაჰსუდან რავადიანი, აჰმადილის მამა და დამაკავშირებელი რავადიანთა დინასტიასთან. პოეტი ყათრანი ვაჰსუდანის ოსამვაეს შორის იბრაჰიმს არ ასახელებს<sup>3</sup>. მაგრამ, ასევე გაუმართლებელია მხოლოდ ამ მიზეზით აღნიშნულ დინასტიებს შორის შესაძლო კავშირის უარყოფა. საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია აჰმადილ ბ. იბრაჰიმის ნისბა. — ალ-რაავადი ალ-ქურთი.

ცნობილია, რომ თურქ-სელჩუკთა შემოსევების დროს ადგილობრივი დინასტიების მრავალი წარმომადგენელი დაიღუპა. გადარჩენილებმა მხოლოდ მოგვიანებით, საერთო სიტუაციის და პოლიტიკური ურთიერთობის სტაბილიზაციის პირობებში შეძლეს პოლიტიკურ სარბიელზე თავის წარმოჩენა. მათ შორის უნდა დავასახელოთ აჰმადილიანთა დინასტიის პირველი ორი წარმომადგენელი. რაც შეეხება აზდის ტომის არაბი რავადიანების გაქურთებას, — აჰმადილ ბ. ვაჰსუდან ალ-რაავადი ალ-ქურთი — როგორც ვ. მინორსკი შენიშნავს, ამის მიზეზი ადგილობრივ გარემოსთან დამყარებულ ნათესაურ კავშირებში და დროის მოქმედებაში უნდა ვეძიოთ<sup>4</sup>. ყოველ შემთხვევაში, აჰმადილიანების და რავადიანების კავშირის საწინააღმდეგოდ მკვლევარნი არაფერს არ აღნიშნავენ<sup>5</sup>.

პირველ ცნობას აჰმადილ ბ. იბრაჰიმის შესახებ იბნ ალ-ასირი გვაწვდის<sup>6</sup>. 501/1108 წ. სულთან მუჰამედ ბ. მალიქ-შაჰი (1105—1118) ებრძვის საიფ ალ-დაულა სადაკას (1086—1108), ქ. ჰილას პატრონს, მაზიადიანთა დინასტიის ცნობილ, წარმომადგენელს<sup>7</sup>

<sup>3</sup> იხ. ა. ქესრავეი, შაჰრიაზან-ი გუმ-ნამ, II, გვ. 113.

<sup>4</sup> ვ. მინორსკი, იქვე.

<sup>5</sup> ა. ქესრავეი, დასახ. ნაშრ., გვ. 112—113; ვ. მინორსკი, იქვე; The Cambridge History of Iran, გვ. 33, 170.

<sup>6</sup> ვიმოწმებთ ა. ქესრავეის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 113.

<sup>7</sup> აღნიშნული ბრძოლის შესახებ იხ. ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური, გვ. 39; რავენდი, გვ. 154; ჰუსაინი, გვ. 80—81; მირზონდი, IV, გვ. 305. იბნ ალ-ასირი, ერთად-ერთი აღნიშნავს აჰმადილის მონაწილეობას დასახელებულ ბრძოლაში. იხ. იბნ ალ-ასირი, ტორნბერგის გამ., ტ. X, გვ. 306—314.

აჰმადილ ბ. იბრაჰიმი ამ ბრძოლაში სულთან მუჰამედის მხარეზეა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი: რაშიდ ალ-დინის თანახმად აჰმადილი მუჰამედის ძუძუმტეა (ძამშირე)<sup>8</sup>. პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებაც სულთან მუჰამედთან კავშირს უკარნახებდა აჰმადილ ბ. იბრაჰიმს. მუჰამედ ბ. მალიქ-შაჰი ხომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიას ფლობდა და მისი სიუზერენობით აჰმადილიანები საკუთარი სამფლობელოს შენარჩუნებასა და გაზრდას უზრუნველყოფდნენ.

აჰმადილ ბ. იბრაჰიმი, როგორც ირკვევა, ძლიერი ამირა და ეკონომიურად წვლმაგარი მფლობელი ყოფილა. 505/1111—12 წ. იგი თავისი ლაშქრით ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება თულ-თეგინს — სირიის სელჩუკი სულთნის დუკაკ ბ. ტუტუშის (1095—1104) ყოფილ ათაბაგს, იმხანად სულთანს. წყაროები მოწმობენ, რომ ამირა აჰმადილს 5000 მხედრისგან შემდგარი ლაშქრის გამოყვანა შეძლებია, ხოლო მისი შემოსავალი წელიწადში 400 ათას დინარს შეადგენდა თურმე<sup>9</sup>.

აჰმადილ ბ. იბრაჰიმი აღნიშნულ ლაშქრობაში მონაწილეობისთვის სულთნისგან თავრიზის მიღებას იმედოვნებდა. ნიშანდობლივია, რომ აჰმადილს თვალი უჭირავს თავრიზზე — რავადიანების სამკვიდრო „მამულზე“, რომელიც ახლა შაჰ-არმენ სუკმანის ხელში იყო<sup>10</sup>. მიაღწია თუ არა მიზანს აჰმადილმა უცნობია. 510 წ. მოჰარეშში (1116 წ. 16/V—15/VI) კი იგი ისმაილიტებმა მოკლეს ბაღდადში, სულთნის სასახლეში, ათაბაგ თულ-თეგინთან საუბარში გართული. რაშიდ ალ-დინის ცნობით, აჰმადილს ალეპოელი ისმაილიტების ოთხი კაცისგან შემდგარი ჯგუფი დასხმია თავს<sup>11</sup>. რით დაიმსახურა ამირა აჰმადილმა ისმაილიტების რისხვა ჩვენთვის ასევე უცნობია.

აჰმადილიანთა სახელმწიფოს ისტორიის შემდგომი პერიოდის კვლევას გარკვეული სირთულე ახლავს. გარდა იმისა, რომ დინას-

---

<sup>8</sup> რა შ ი დ ა ლ-დ ი ნ ი, ისმაილიტთა ისტორია, გვ. 137. თავისთავად, ეს ფაქტიც ნათელს ყოფს სელჩუკიან სულთნებთან აჰმადილიანთა ურთიერთობის ხარისხს.

<sup>9</sup> ი ბ . ა . ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 114; ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, იქვე.

<sup>10</sup> ა . ქ ე ს რ ა ვ ი დასახ. ნაშრ., II, გვ. 114; ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 300.

<sup>11</sup> რ ა შ ი დ ა ლ-დ ი ნ ი, ჯამი, აღ-თავარიხ, გვ. 137. შდრ. ა . ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 114—115; ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 300.

ტიის წევრთა სახელები და ტიტულები ერთნაირად არ არის დასახელებული წყაროებში, არ ხერხდება აგრეთვე აჰმადილიანთა გენეალოგიური კიბის ყველა საფეხურის დადგენა-დაზუსტება. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური გადმოგვცემს: „აყსონყორი, მარალას და აზერბაიჯანის ათაბაგი აჰმადილ ბ. იბრაჰიმ ვაჰსუდანის, აზერბაიჯანის მმართველის მონა იყო; როდესაც აჰმადილი მოკლეს აყსონყორმა საზრიანად და მოხერხებულად მარალა და თავრიზი აზერბაიჯანისა აიღო“<sup>12</sup>. საგულისხმო ის არის, რომ აღზევებულმა და გაძლიერებულმა მონამ, თურქ-სელჩუკთა ბატონობით შექმნილ პირობებში, თავისი ყოფილი სიუზერენის სამფლობელოს მართვის სადავეები იგდო ხელთ. ამრიგად, აყსონყორი (სახელის მიხედვით იგი თურქი უნდა იყოს) აჰმადილიანთა დინასტიის გამგრძელებლად გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ ნათესაურად მას აჰმადილიანებთან არაფერი არ აკავშირებდა<sup>13</sup>.

სწორედ ასეთი მეტამორფოზა ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა იყო ადგილობრივი მმართველი დინასტიების ისტორიაში თურქ-სელჩუკთა ბატონობის პერიოდში.

თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლაში და თურქი ამირების თუ სხვა დიდმოხელეთა აღზევება-გაძლიერებაში დიდი როლი ითამაშა ათაბაგის ინსტიტუტმა, რომელიც ფართოდ გავრცელდა შექმნილ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში. XII ს-ში თითქმის ყველა სელჩუკი სულთნის სასახლის კარი მოხერხებული ტრამპლინი იყო ათაბაგებისა და დიდებული ამირებისთვის საკუთარი სამფლობელოს შესაქმნელად და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. სახელმწიფოს მართვის სადავეები,

---

<sup>12</sup> ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური, გვ. 75—76: «آقسنقور اتابك مراغه و آذربايجان بنده احمدبلي بن ابراهيم وهسودان بودند حاكم آذربايجان چون احمدبلي كشته شد آقسنقور براي و تدبير مراغه و تبريز آذربايجان بگرفت» (Некоторые сведения, гв. 35) ზუსტად არ იმოწმებს ზაჰირ ალ-დინ ნიშაბურის აღნიშნულ ტექსტს. საყურადღებოა, რომ წყარო აჰმადილს პატრიარქად, მრ. რიცხვში მოიხსენიებს.

<sup>13</sup> ა. ქესრავი აყსონყორს აჰმადილ ბ. იბრაჰიმის ძედ მიიჩნევდა. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 115. ასევე, მ. შარბულიც, იხ. მისი, Феодальные государства Азербайджана, გვ. 69. კ. ჩაიენი საკითხს გაურკვევლად თვლიდა: К. Чайкин, Ильдегизиды, Аксонкориды и Мангуджакиды, гв. 38.

სელჩუკ სულთნებს ხელიდან რომ ეცლებოდათ, სწორედ აღნიშნული ათაბაგების და ამირების ხელში გადადიოდა.

რავენდი აღნიშნავს, რომ სულთან მაჰმუდ ბ. მუჰამედს (1118—1131) „მრავალი მსახური ჰყოლია, რადგანაც — განმარტავს ისტორიკოსი — სასახლეში ბევრი ქალები ისხდნენ. [მათ სამსახურში] ყოველმა მათგანმა ქონება მოიპოვა და განდიდნენ“<sup>14</sup>. მირხოზონდი უფრო რეალურად და კონკრეტულად წარმოგვიდგენს მდგომარეობას: „სულთან მაჰმუდი დროის უმეტეს ნაწილს ქალების სამსახურში ატარებდა და მათდამი დიდი სიყვარული და მიდრეკილება ჰქონდა. მნიშვნელოვანი საქმეების უმრავლესობას განსახილველად ჰარემის მსახურებს აძლევდა. ამიტომ მისმა მსახურებმა ამირობას მიაღწიეს“<sup>15</sup>.

სელჩუკი სულთნების და უფლისწულების ათაბაგებად, როგორც აღვნიშნეთ, აჰმადილიანთა დინასტიის წევრებიც იყვნენ.

სულთან მუჰამედ ბ. მალიქ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა შინაომმა სელჩუკთა სახელმწიფოში. ტახტის მემკვიდრედ დანიშნულ მაჰმუდსა და მის ძმებსა და ბიძას — სანჯარ ბ. მალიქ-შაჰს<sup>16</sup> შორის რვათვიანი ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ მაჰმუდი დასავლეთ ირანის და ერაყის სულთანად დაჯდა. ახალი სულთნის მაჰმუდ ბ. მუჰამედის წინააღმდეგ ბრძოლა მისმა ძმამ თორუღმა გააგრძელა, რომელიც ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ფლობდა. თორუღი დამარცხდა და განძაში გაიქცა; მიუხედავად ამისა, სანჯარის დიქტატის შესაბამისად მაჰმუდმა თორუღს დაუთმო გილანი, დეილემი, ქ. ყაზვინი და სხვა რამდენიმე ქალაქი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ამ რაიონში მოკალათებული თორუღი თითქმის განუწყვეტლივ ებრძოდა მაჰმუდ ბ. მუჰამედს მისი სულთნობის მთელი ხნის განმავლობაში<sup>17</sup>. ასევე ებრძოდა მაჰმუდს მეორე ძმა მას'უდ ბ. მუჰამედი, მოსულის, ალ-ჯაზირას და აზერბაიჯანის მალიქი. ერთ-ერთი ბრძოლა მათ შორის 1120 წ. მოხდა, რომელშიც მაჰმუდმა გაიმარჯვა<sup>18</sup>.

14 რ ა ვ ე ნ დ ი, გვ. 205; შ დ რ. ზ ა კ ი რ ა ლ-დ ი ნ ნ ი შ ა ბ უ რ ი, გვ.

15 მ ი რ ხ ო ნ დ ი, IV, გვ. 321.

16 490—552/1097—1157 წწ. მართავდა აღმოსავლეთ ირანს. 511/1118 წლიდან — სელჩუკთა გვარში უზენაესი სულთანი.

17 ზ ა კ ი რ ა ლ-დ ი ნ ნ ი შ ა ბ უ რ ი, გვ. 53; რ ა ვ ე ნ დ ი, გვ. 169—170; მ ი რ ხ ო ნ დ ი, IV, გვ. 320.

18 ზ ა კ ი რ ა ლ-დ ი ნ ნ ი შ ა ბ უ რ ი, გვ. 54. ტექსტში არის 524, ნაცვლად 514 წლისა, რაც აშკარად შეცდომაა. შ დ რ. მ ი რ ხ ო ნ დ ი, IV, გვ. 320; The Cambridge History of Iran, გვ. 121.

რთული პოლიტიკური ვითარება აჰმადილიანთაგან უტყუარ პოლიტიკურ აღლოს, მოქნილ დიპლომატიას და საყრდენი ძალების სიმტკიცეს მოითხოვდა. როგორც ჩანს, ყველაფერი ეს მეტ-ნაკლები სისრულით გააჩნდათ დინასტიის წევრებს. ამის მოწმობაა, რომ აჰმადილიანებმა მონღოლთა შემოსევებამდე მიიტანეს თავი.

აყსონყორ აჰმადილიანის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ცნობილია, რომ 514/1120 წ. აჰმადილიანებს მარალა დაუკარგავთ. ქალაქი მას'უდ ბ. მუჰამედმა თავის ყოფილ ათაბაგს ყასიმ ალ-დაულა ალ-ბურსუკის უბოძა, მასთანადამე, მას'უდის ურთიერთობა: აჰმადილიანებთან მტრული ყოფილა და ეს გასაგებიც არის; აზერბაიჯანის მფლობელი მას'უდი ეცდებოდა მარალაში დამოუკიდებელი სამფლობელოს გაუქმებას. მაგრამ, აყსონყორმა მაჰმუდ ბ. მუჰამედის დახმარებით მოკლე დროში დაიბრუნა მარალა. თუმცა, აყსონყორი არც სულთან მაჰმუდის მორჩილებას აპირებდა და, როდესაც მან თოღრულ ბ. მუჰამედის ათაბაგის სიკვდილი გაიგო, სასწრაფოდ ბაღდადი დატოვა, აზერბაიჯანს მიაშურა და თოღრულის ათაბაგობა მოიპოვა.

აყსონყორ აჰმადილიანის პოლიტიკურ ზრახვებს, როგორც ჩანს, თოღრულ ბ. მუჰამედთან კავშირი შეესაბამებოდა. მან თოღრულის დასახმარებლად 10 ათასი მხედრისგან შემდგარი ლაშქარი გამოიყვანა და ქ. არდებილზე გაილაშქრა. ქალაქის მოსახლეობამ მდგარი წინააღმდეგობა გაუწია თოღრულ-აყსონყორის ლაშქარს და ქალაქში არ შეუშვა. გაწბილებულმა მოკავშირეებმა თავრიზის აღებრთ სცადეს არდებლთან დამარცხების ანაზღაურება. ამასობაში სულთან მაჰმუდ ბ. მუჰამედმა სპასუხო დარტყმა მიაყენა მოკავშირეებს: მისმა ლაშქარმა მარალას ალყა შემოარტყა. შექმნილი ვითარება აყსონყორსა და თოღრულ ბ. მუჰამედს კარგს არაფერს უქადდა და თათბირის შემდეგ აზერბაიჯანი დატოვეს. მათ თავი შეაფარეს თოღრულის ყოფილ ათაბაგს ამირა ანუშთეგინ შირგირს. აბჰარის და ზენჯანის მფლობელს. ანუშთეგინის რჩევით ლტოლვილებმა სულთანს პატიება სთხოვეს და მორჩილება აღუთქვეს. სულთან მაჰმუდი დათანხმდა. ეს ამბები მოხდა 1121 წ.<sup>19</sup>

<sup>19</sup> ა. ქესრავი, შაჰრაიან-ი გუმ-ნამ, 11, გვ. 115—116; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 300.

აწიერკავკასიაში აყსონყორის მოქმედების შესახებ ერთ ცნობას ქართული წყაროც გვაწვდის. 1123 წ. შემახასთან დაბანაკებულ სულთან მაჰმუდის „წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნდული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულთანსა წინაშე“<sup>20</sup>. უეჭველია, რომ აღსუნდული იგივე აყსონყორ აჰმადილიანია<sup>21</sup>. როგორც ჩანს, აყსონყორს არ უღალატია თავისი სიტყვისთვის და სულთან მაჰმუდის დასახმარებლად მიეშურებოდა კიდევ, მაგრამ ის დავით აღმაშენებლის ლაშქარმა დაამარცხა. შემახასთან სულთნისა და აჰმადილიანის ძალების გაერთიანება ქართველი ზეფისათვის მეტად სასიფათო იყო<sup>22</sup>.

მომდევნო ხანაში აყსონყორი სულთან მაჰმუდის კარზე ერთ-ერთი დაახლოებული და დაფასებული პიროვნება იყო. 523/1128—29 წ. იგი სულთნის დავალებით ებრძვის ერაყში მაზიადიან დუბეის ბ. სადაკას (1108—1135). დუბეისი და თორღულ ბ. მუჰამედი, აყსონყორის ყოფილი მოკავშირე, სულთან მაჰმუდის და ხალიფა მუსტარშიდის ძლიერი მოწინააღმდეგენი იყვნენ<sup>23</sup>.

სულთან მაჰმუდის მიერ თავისი ძის დაუდის ათაბაგად აყსონყორ აჰმადილიანის დანიშვნამ დიდად შეუწყო ხელი აყსონყორის გაღლენის ზრდას.

მაჰმუდ ბ. მუჰამედის სიკვდილმა (1131 წ.) დასავლეთ ირანის და ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოში შინაური არეულობის და ტახტისმაძიებელთა ბრძოლის ახალი, ძლიერი ტალღა დაძრა. ამავე წელს აყსონყორმა ვეზირ აბუ-ლ-ყასიმ დარგუზინის მხარდაჭერით უფლისწული დაუდი სულთანად გამოაცხადა და აზერბაიჯანში, არანში და ჯიბალში ზუტმა მის სახელზე აღაველინეს. ამავე დროს, ერაყში მას'უდ ბ. მუჰამედმა გამოაცხადა თავი სულთანად, ხოლო ფარსსა და ხუზისტანში — მეორე ძმამ, სელჩუკ-შაჰმა. ხალიფა მუსტარშიდმა (1118—1135) სულთან სანჯარს, როგორც დინასტიის უფროს წარმომადგენელს მიანდო საქმის მოწესრიგება. მაგრამ, სანჯარმა კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა: მან მესამე ძმა თორღულ ბ. მუჰამედი გამოიყვანა ასპარეზზე; სანჯარი

20 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 344.

21 შდრ. ვ. მიწორსკი, იქვე.

22 იხ. ივ. ჯაფახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 205—206.

23 ამ ბრძოლის შესახებ დაწვრილებით იხ. The Cambridge History of Iran,



პირადად მივიდა ჯიბალში და თოღრული ტახტზე დასვა, ვეზირად კი ღარგუზინი დაუნიშნა<sup>24</sup>.

აყსონყორ აჰმადილიანის ინტერესები შეილახა. შერყეული პოზიციების განმტკიცებისათვის აყსონყორი, დაუდი და მათი მომხრე ამირები თავრიზში შეიკრიბნენ და 526/1132 წ. ქ. ჰამადანთან თოღრულს ბრძოლა გაუმართეს. როგორც ჩანს, ეს ამირები გრძობდნენ აყსონყორის და დაუდის სისუსტეს და ბრძოლის დროს თოღრულს მიემხრნენ. თოღრულ ბ. მუჰამედმა გაიმარჯვა და იმავე წელს თავრიზსა და მარაღას დაეუფლა. აყსონყორმა და დაუდმა ბაღდადს შეაფარეს თავი<sup>25</sup>. თოღრულის აზერბაიჯანზე შეტევამ მის ძმას მას'უდ ბ. მუჰამედს განძა დაატოვებინა და ისიც ბაღდადში გაიქცა.

ამრიგად, ბაღდადში თავი მოიყარეს სულთან თოღრულ ბ. მუჰამედის (1132—1134) მეტოქეებმა: მალიქ დაუდ ბ. მამედმა, ბიძაშისმა მას'უდ ბ. მუჰამედმა და ათაბაგ აყსონყორ აჰმადილიანმა. თოღრულის წინააღმდეგ მათ ბრძოლას მხარს უჭერდა ხალიფა მუსტარშიდი. მან მას'უდი სულთანად, ხოლო დაუდი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა და ხუტბა მათ სახელზე წაიკითხეს.

527/1132—33 წ. გაერთიანებული ლაშქარი ბაღდადიდან დარბა. სულთან თოღრული ამ დროს ჰამადანში იმყოფებოდა. აზერბაიჯანს მისი ათაბაგი ყარა-სონყორი განაგებდა. მეზობელი მხარეები არღებილთან შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად გამარჯვება აყსონყორ აჰმადილიანის მხარეს დარჩა. არღებილიდან აყსონყორი და მას'უდი ჰამადანისკენ დაიძრნენ და თოღრული კიდევ ერთხელ დაამარცხეს, ამჯერად უკვე საკუთარ სატახტო ქალაქთან. ახლა სულთან თოღრულის მდგომარეობა შეიქმნა კრიტიკული. ხოლო 529/1134 წ. მისმა ნაადრევმა სიკვდილმა მას'უდ ბ. მუჰამედს ტახტისაკენ გზა გაუხსნა<sup>26</sup>. ახალ სიტუაციაში აყსონყორ აჰმადილიანის ძალაუფლება და გავლენა გაიზარდა. დაუდ ბ. მამედის მხოლოდ და მხოლოდ მისი შემწეობით ინარჩუნებდა ხელისუფლებას აზერბაიჯანსა და ჯიბალში.

<sup>24</sup> ზ ა ჰ ი რ ა ლ-დ ი ნ ი შ ა ბ უ რ ი, გვ. 54; რ ა ვ ე ნ დ ი, გვ. 208; მ ი რ-ს ო ნ დ ი, IV, გვ. 321.

<sup>25</sup> მ უ ს ა ი ნ ი, გვ. 94; ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 117; ვ. მ ი ნ ო რ ს-კ ი, იქვე.

<sup>26</sup> ზ ა ჰ ი რ ა ლ-დ ი ნ ი შ ა ბ უ რ ი, გვ. 54; რ ა ვ ე ნ დ ი, გვ. 208—209; მ უ ს ა ი ნ ი, გვ. 95—98; მ ი რ-ს ო ნ დ ი, IV გვ. 321; ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 118—119; The Cambridge History of Iran, გვ. 125.

ვასალის ასეთი გაძლიერება და აღზევება, რასაკვირველია, არ მოსწონდათ მის სიუზერენებს. აქედან გამომდინარე, ეკვს არ იწვევს წყაროების ცნობა, რომ აყსონყორ აჰმადილიანი სულთნის მიგზავნილმა ისმაილიტებმა მოკლეს 527/1132—33 წ. მაგრამ, ცნობილი არ არის კერძოდ რომელმა სულთანმა მოიშორა თავიდან სახითათოდ დაწინაურებული ქვეშევრდომი. ალ-ბუნდარი სულთან თოღრულს ასახელებს, იბნ ალ-ასირი — სულთან მას'უდს<sup>27</sup>. რაშიდ ალ-დინი მხოლოდ თარიღს და ისმაილიტი მკვლელების ვინაობას გადმოგვცემს<sup>28</sup>. ჰუსაინის ცნობით, აყსონყორსა და სულთან მას'უდს შორის შუღლი ჩამოვარდნილა დუბეის ბ. სადაკას მკვლელობის შემდეგ<sup>29</sup>. მაგრამ, დუბეისი 1135 წ. მოკლეს ასე, რომ ჰუსაინის ცნობას ვერ დავეყრდნობით.

ამავე დროს, ადვილი შესაძლებელია, აყსონყორი მისი წინამორბედის მსგავსად, ისმაილიტებს საკუთარი ინიციატივით მოექცა, როგორც თავისი მოქიშპე. ირანის ჩრდილოეთ და ჩრდილოდასავლეთ პროვინციებში ისმაილიტთა სახელმწიფო თავისი ისტორიის პირველი პერიოდის დასასრულს სუნიტ სელჩუკთა სახელმწიფოსთან ბრძოლებში წარუმატებლობას განიცდიდა. მთავარი ციხესიმაგრე, ალამუთი დაცემას მხოლოდ სულთან მუჰამედ ბ. მალოქ-შაჰის სიკვდილმა გადაარჩინა. მაგრამ, ჰასან საბაჰის (1090—1124) მმართველობის უკანასკნელ წლებში ისმაილიტთა პოზიციები განმტკიცდა. ასევე გაგრძელდა მისი შემკვლელის ბუზურგ უმიდის (1124—1138) დროს<sup>30</sup>. აყსონყორ აჰმადილიანის სამფლობელო უშუალოდ მეზობლობდა ისმაილიტთა სახელმწიფოს ცენტრს და ნათ შორის მტრობა ადვილი შესაძლებელია.

აყსონყორს აჰმადილიანთა დინასტია თან არ გადაჰყოლია. პირიქით, მისი მემკვიდრის დროს დინასტიის პოლიტიკური და ეკონომიური შეძლების დონე კიდევ უფრო იზრდება და აჰმადილიანთა ფეოდალურ სახელმწიფოს თავის თანამედროვე, მსგავს პოლიტიკურ ერთეულებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს.

უნდა აღინიშნოს, რომ აყსონყორის მემკვიდრეს წყაროები სასვადასხვაგვარად მოიხსენებენ<sup>31</sup>. ჩვენც მოხერხებულობის თვალსაზრისით, ვხმარობთ „აყსონყორ II“-ს.

<sup>27</sup> იბ. ა. ქ ე ს რ ა ვ ი, იქვე, გვ. 119; ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, იქვე: M. Hodgson. The Order of Assassins, გვ. 113. შენიშვნ. 40.

<sup>28</sup> რ ა ნ ი დ ა ლ - დ ი ნ ი, ისმაილიტთა ისტორია, გვ. 145.

<sup>29</sup> ჰ უ ს ა ი ნ ი, გვ. 100.

<sup>30</sup> M. Hodgson, The Order of Assassins, გვ. 41—42; მისივე, Alamut, გვ. 353.

<sup>31</sup> ასე, იბნ ალ-ასირი (ტორანურის გამ., ტ. X, გვ. 166, 177), ჰამდალამ ყაზ-

სულთან თორღულ ბ. მუჰამედ ბ. მალაქ-შაჰის გარდაცვალებას (1134 წ.) უკვე ჩვეულებრივად ქცეული სულჩუკთა სახელმწიფოს შინაგანი აშლილობა მოჰყვა. ტახტისმადიებელნი ჰამადანისკენ დაიძრნენ. გარდაცვლილი სულთნის ძმა მას'უდ ბ. მუჰამედი ბაღდადიდან, ძმისშვილი მალიქ დაუდ ბ. მამედ ბ. მუჰამედი (1131--1132 წლებში სულთანყოფილი, აყსონყორის პროტექე) — თავიზიდან. დაიწყო ამ ორ ბანაკში გაერთიანებულ ამირებს შორის ბრძოლა. როგორც მოსალოდნელი იყო, აყსონყორ II დაუდის ბანაკშია. დაუდს მას'უდმა დაასწრო. მან, მიუხედავად დიდა თოვლისა და ქარბუქისა, ჰამადანს მიადწია, ინიციატივა ხელთ იგდო და ტახტი დაისაკუთრა, დაუდი კი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა, მას თავისი ქალიშვილი ცოლად მისცა<sup>32</sup> და აზერბაიჯანის. არანის და არმენიის მმართველად დანიშნა<sup>33</sup>. აყსონყორ II საქმის ასეთი დაბოლოებით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო; მას, როგორც ათაბაგს, ამ ქვეყნების მართვაში მცირე როლი როდი ელოდა.

მაგრამ დაუდი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა. მან აყსონყორ II-თან ერთად სპარსეთის ერაცის და ხორასნის დაპყრობის დაპირებით ხალიფა მუსთარშიდი მიიმხრო და სულთან მას'უდს (1134—1152) ბრძოლა დაუწყო. ჰამადანთან 529/1135 წ. მომხდარ ბრძოლაში მას'უდმა გაიმარჯვა და ხალიფაც ტყვედ იგდო ხელთ. აქედან სულთანმა აზერბაიჯანში გაილაშქრა და დატყვევებული ხალიფაც თან წაიყვანა რომელიც, წყაროების ერთობლივი მოწმობით, მარაღასთან მოუკლავთ ისმალიტებს. ცხადია, რომ სულთან მას'უდს დაუდისა და აყსონყორ II-ის წინააღმდეგ გაულაშქრია. მაგრამ, როგორც ჩანს, მათი წინააღმდეგობა საბოლოოდ ვერ გაუტეხია. რადგანაც მომდევნო წლებში მათ შორის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა.

ვინი (თარხ-ი გუზიდა, გვ. 472): „აყსონყორ“. ჰუსაინი (გვ. 130): „არსლან ბ. აყსონყორ“. იმად ალ-დინ ალ-ისფაჰანი (იხ. V. Minorsky. Ahmadilis, გვ. 300): „ნუსრათ ალ-დინ არსლან-აბა“. ა. ჰესრავი, (დასახ. ნაშრ., II, გვ. 119): „ნუსრათ ალ-დინ არსლან აბა ხასბეგ ბ. აყსონყორ“ نصرۃ الدين ارسلان آبه خاصب (پسر آقنقر). ე. ჩაიენი (დასახ. ნაშრ., გვ. 38): „ხასბეგ ნოსრეთ ოდ-დინ არსლან-აბა“. ე. მინორსკი (იქვე): „აყსონყორ II“.

<sup>32</sup> ზ ა ჰ ი რ ა ლ - დ ი ნ ი შ ა ბ უ რ ი, გვ. 55—56; რ ა ე ე ნ დ ი, გვ. 226—227; მ ი რ ხ ო ნ დ ი, IV, გვ. 322.

<sup>33</sup> ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ყ ა ზ ე ი ნ ი, თარხ-ი გუზიდა, გვ. 464—465; ინგლის. თარგმ., გვ. 103.

მოკლული ხალიფას ადგილი მისმა შვილმა რაშიდმა (1135—1136) დაიკავა. როგორც ირკვევა, პოლიტიკური ძალების გადაჯგუფება არ მომხდარა. ხალიფა რაშიდმა მალიქ დაუდთან და ათაბაგ აყსონყორ II-თან ერთად ისპაანზე, სულთან მას'უდის წინააღმდეგ გაილაშქრა 530/1136 წ. მაგრამ, რაშიდიც, მამამისის მსგავსად, ისმაილიტის დანამ განგმირა ისპაანის ალყის დროს<sup>34</sup>.

ამის შემდეგ აჰმადილიანების შესახებ კარგა ხნის მანძილზე ცნობები არა გვაქვს. ამის მიზეზი აყსონყორ II-ის პოლიტიკური აქტივობის დასუსტებაში უნდა ვეძებოთ. ეს მისი მოქიშპე ათაბაგების და ამირების გაძლიერებით აიხსნება. ერთი მათგანი იყო ხასბექ ბეგ არსლან ბ. ბალანქერი სულთან მას'უდის დაახლოებული ამირა-ჰაჯიბი და ათაბაგი. წყაროს ცნობით, არსლან აბა (იგივე აყსონყორ II) და ხასბექი ძველთაგანვე მტრობდნენ ერთმანეთს. ამ მტრობამ, სავარაუდოა, რომ თავისი წვლილი შეიტანა იმ ლაშქრობაში, რომელიც 545/1151 წ. ჩატარდა აზერბაიჯანში და რომელსაც მარალას გალავნის დანგრევა მოჰყვა. ხასბექი მომდევნო წლებში იმდენად გაძლიერდა, რომ იგი თავის სურვილისამებრ ცვლიდა სულთანს ტახტზე. ასე, მან ტახტიდან ჩამოაგდო მალიქ-შაჰ ბ. მაჰმუდი (1152—1153) და მის ადგილზე მუჰამედ ბ. მაჰმუდ ბ. მუჰამედი (მუჰამედ II) დასვა. შამა ალ-დინ ელდიგუზის და აყსონყორ II აჰმადილიანის ბატონობას და გავლენას აზერბაიჯანში საფრთხე დაემუქრა. მაგრამ, პოლიტიკური ვითარება მოულოდნელად ისევ შეიცვალა.

ახალმა სულთანმა პირველ რიგში განდიდებული ხასბექ ბ. ბალანქერი მოაკვლევინა და მისი თავი აზერბაიჯანში აყსონყორ II-ს და ათაბაგ ელდიგუზს გაუგზავნა — თავიანთი მტრის სიკვდილით გაიხარებენ<sup>35</sup>. მაგრამ, ამანათმა აზერბაიჯანის მმართველებს სიფხიზლე გაუმახვილა და ისინი გააფრთხილა: ჩვენც ასეთი ბედი არ გვეწიოსო. მათ შეთქმულება მოუწყვეს სულთან მუჰამედ II-ს. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის ადგილზე სულეიმან-შაჰ ბ. მუჰამედი დასვეს. შესაფერი კანდიდატის პოვნა ადვილი საქმე იყო. უმემკვიდროდ გადაგებული სულთან მას'უდ ბ. მუჰამედის სიკვდილის (1152 წ.) შემდეგ ტახტისთვის იბრძოდნენ მისი ძმა სულეიმან-შაჰი და ძმისშვილები (მაჰმუდისა და თოღრულის შვილები).

სულეიმან-შაჰმა ვერ გაამართლა იმედები და ხელისუფლებას

<sup>34</sup> ზ ა კ ი რ ა ლ-დ ი ნ ნ ი შ ა ბ უ რ ი, გვ. 56; რ ა ვ ე ნ დ ი, გვ. 229;

ჰ ა მ დ ა ლ ა ჰ ა ზ ვ ი ნ ი, თარხი-ი გუზიდა, გვ. 465, ინგლის. თარგმ., გვ. 102.

<sup>35</sup> მ ი რ ხ ო ნ დ ი, IV, გვ. 333; ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 120—121.

ჩამოაშორეს. აყსონყორ II-ის მხარდაჭერით ტახტზე ისევ მუჰამედ II დასვეს. 554/1159 წ. სულთანმა აყსონყორ II თავისი მცირეწლოვანი ვაჟის ათაბაგად დანიშნა<sup>36</sup>. ამასთანავე, როდესაც სულთან მუჰამედ II-ის სიკვდილის (1160 წ.) შემდეგ აყსონყორ II-მ, მომხრე ამირების მხარდაჭერით, ტახტზე ისევ თავისი კანდიდატი სულეიმან-შაჰ ბ. მუჰამედი (1160—1161) მეორეჯერ დასვა, აყსონყორის გავლენა დიდად გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მეორე პრეტენდენტის არსლან ბ. თოდრულის გასულთნებას ცდილობდა მისი ათაბაგი და მამინაცვალი შამს ალ-დინ ელდიგუზი. არსლანის გასულთნება ელდიგუზის ისედაც ძლიერ ხელისუფლებას შეუზღუდავ უფლებებს მიანიჭებდა. ამიტომ გასაგებია, აჰმადილიანის ელდიგუზის მოწინააღმდეგე ბანაკში ყოფნის მიზეზები.

თუ აქამდე აყსონყორ II-სა და ათაბაგ ელდიგუზს შორის შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა (ყოველ შემთხვევაში, მათ შორის აშკარა ბრძოლა არ აღინიშნება. ჰუსაინის ცნობით, ისინი მოყვრებიც კი ყოფილან)<sup>37</sup>, ახლა მათი ინტერესები აშკარად და გარდაუვლად დაუპირისპირდა ერთმანეთს. ტახტისთვის ბრძოლა ფაქტიურად ორ ძლიერ ათაბაგს შორის ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლას ნიშნავდა, ხოლო უშუალოდ ტახტზე სულთანად ვინ იქნებოდა ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სელჩუკი სულთნები დიდი ხანია თავიანთი ძლიერი ათაბაგების და ამირების ხელში სათამაშო თოჯინებად იყვნენ გადაქცეული.

სულეიმან-შაჰ ბ. მუჰამედმა მეორეჯერაც ვერ შეინარჩუნა ძალაუფლება. მისი უსუსურობა სახელმწიფოს მართვაში აშკარად გამოემჟღავნა. მხოლოდ რამდენიმე თვის სულთნობის შემდეგ მისი ადგილი არსლან ბ. თოდრულმა (1161—1177), ელდიგუზის კანდიდატმა დაიკავა. სულეიმანი ციხეში ჩასვეს და შემდეგ მშვილდის ლარით მოაშთვეს<sup>38</sup>.

<sup>36</sup> რაშიდ ალ-დინი, ჯამი' ალ-თავაიხი, რუს. თარგმ., გვ. 80—81; ა. ქყ-ს რაგი., დასახ. ნაშრ., გვ. 122; The Cambridge History of Iran, გვ. 176.

<sup>37</sup> ჰუსაინი, გვ. 122.

<sup>38</sup> ზაჰირ ალ-დინი შაბური, გვ. 72—74; რავენდი, გვ. 274—280; ჰუსაინი, გვ. 131—132; ჰამდალაჰ ყაზვინი, თარხი-ი გუზიდა, გვ. 468—471; მირხონდი, IV, გვ. 336—337.

ამ დროისათვის შამს ალ-დინ ელდიგუზ ათაბაგის ძლიერება უკვე საყოველთაოდ ცნობილია. იგი არანისა და აზერბაიჯანის დიდი ნაწილის მფლობელი და ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოს ფაქტიური მმართველი იყო; ტიტულსაც შესაფერს — „დიდი ათაბაგი“ (ათაბაგ ა'ზამ) ატარებდა. შექმნილ ვითარებაში ნუსრათ ალ-დინ არსლან აბა ხასბექ ბ. აყსონყორი (აყსონყორ II) ელდიგუზს ვედარ უტოლდება. ელდიგუზიანთა მოძალების გამკლავებისათვის იგი მოკავშირეებს ეძებს.

ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოში ელდიგუზიანთა გაბატონება ხალიფას ინტერესებს ლახავდა. ამიტომ იყო, რომ ხალიფა მუსტანჯიდმა (1160—1170) არ ცნო სულთნად არსლან ბ. თოღრული. ამასთანავე, ხალიფას ვეზირი ხელს უწყობდა და ავუღიანებდა აყსონყორ II-ს ელდიგუზის წინააღმდეგ. ასე შეიკრა კოალიცია, რომელშიც ხლათის მფლობელი შაჰ-არმენი ნასირ ალ-დინ სუქმან ბეორეც (1128—1183) შევიდა და გაერთიანებულმა ლაშქარმა 1161 წ. მდ. სეფიდ-რუდზე სასტიკად დაამარცხა ელდიგუზიანთა ლაშქარი მუჰამედ ჯეჰან-ფეჰლევან ბ. ელდიგუზის სარდლობით. მაგრამ, როგორც ჩანს, ბრძოლა აჰმადილიანებსა და ელდიგუზიანებს შორის ამით არ დამთავრებულა. იმავე წელს აყსონყორმა ზუთი ათასი მხედარი გაგზავნა რეის ამირა ინანჯ სონყორის დასახმარებლად, რომელიც სხვა ამირებთან ერთად ელდიგუზს ებრძოდა ჰამადანთან. ამ ბრძოლაში კი ელდიგუზის, ასევე კოალიციურმა ლაშქარმა გაიმარჯვა<sup>39</sup>.

ამის შემდეგ ელდიგუზიანთა პრიორიტეტი უეჭველია და ხელშეუვალი. ასეთ პირობებშიც აჰმადილიანთა სახელმწიფო ისევე განაგრძობს არსებობას და, როგორც ირკვევა, ელდიგუზიანთა ვასალადაც არ აღიარებს თავს. საქართველოსთან საბრძოლველად გაერთიანებულ ლაშქარში ელდიგუზთან ერთად აყსონყორ II-ის მონაწილეობა ვასალის სიუზერენის დროშის ქვეშ ყოფნას არ ნიშნავს. ეს ლაშქრობა მუსლიმან მფლობელთა ერთობლივი ღონისძიება იყო საქართველოს წინააღმდეგ. 1163 წ. ქართველების დამარცხებამ (იხ. ქვემოთ, გვ. 222—224) მუსლიმანურ სამყაროში დიდი სახელი მოუხვეჭა ელდიგუზს და მის თანამებრძოლთ. მაგრამ, მშვიდობა აჰმადილიანებსა და ელდიგუზიანებს შორის მალე დაირღვა.

<sup>39</sup> ა. ქესრავეი, დასახ. ნაშრ., გვ. 123; V. Minorsky, Maragha, გვ. 286; The Cambridge History of Iran, გვ. 171, 177—178.

563/1167—58 წ. აყსონყორ II-მ თავის მეურვეობაში ნყოფი სელჩუკი უფლისწული მალიქ დაუდ ბ. მაჰმედი სულთანად გამოაცხადა და ბაღდადში მის სახელზე ხუტბის წაკითხვა ხალიფას თხოვა. ეს აქტი აშკარად შამს ალ-დინ ელდიგუზის წინააღმდეგ იყო მიმართული. მანაც არ დააყოვნა, სასწრაფოდ ლაშქარი შეყარა და მუჰამედ ბ. ელდიგუზის სარდლობით აყსონყორთან საომრად მარალას იგაზვნა. ალყაშემორტყმული აჰმადილიანი მტერს ველარ გაუმკლავდა და ზავი ითხოვა.

ამის შემდეგ აყსონყორის, ისევე, როგორც მისი ძმის ამირა შირგირის, შესახებ წყაროები დუმან. ვიდრე 570/1174.—75 წლამდე, როდესაც იბნ ალ-ასირი აყსონყორ II აჰმადილიანის სიკვდილს გვაუწყებს<sup>40</sup>.

აჰმადილიანთა სახელმწიფოს შემდგომ ისტორიას ისევ ელდიგუზიანებთან ურთიერთობის ფონზე ვეცნობით. ორ დინასტიას შორის შუღლი და მტრობა მომდევნო თაობაშიც გადავიდა.

საყურადღებო ის არის, რომ ათაბაგ აყსონყორის დროს აჰმადილიანები, როგორც ირკვევა, ჯერ ისევ ფლობდნენ თავრიზს. მაგრამ, როდესაც აყსონყორ II გარდაიცვალა და მისი ადგილი სახელმწიფოში მისმა ვაჟმა ფალაქ ალ-დინმა დაიკავა ელდიგუზიანებმა შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ მიიჩნიეს და აჰმადილიანების წინააღმდეგ გაილაშქრეს. მუჰამედ ჯეჰან-ფეჰლევან ბ. ელდიგუზმა (1175—1186) რუინ-დევში გამაგრებულ ფალაქ ალ-დინს ალყა შემოარტყა, თავისი ძმა ყიზილ-არსლანი კი, ამავე დროს, თავრიზის ასაღებად გაგზავნა.

სამხედრო ოპერაციებისაგან, როგორც ჩანს, არც მარალა იღვა განზე. რაშიდ ალ-დინის ცნობით, მარალას დამცველ ლაშქარს დაუტყვევებია ყიზილ-არსლანის ორი, უნდა ვივარაუდოთ, დიდებული პიროვნება. ირკვევა, რომ აჰმადილიანებსა და ელდიგუზიანებს შორის ტყვეების შემწეობით სამშვიდობო მოლაპარაკება გამართულა და ბოლოს ზავიც შეუქრავთ, რომლის თანახმადაც ქ. თავრიზი ელდიგუზიანთა მფლობელობაში გადადიოდა, ხოლო მარალა ფალაქ ალ-დინის საკუთრებაში რჩებოდა.

აშკარაა, რომ ორ ფრონტზე საბრძოლველად აჰმადილიანებს ძალა აღარ ეყოთ და ისინი იძულებული გახდნენ თავრიზი ელდი-

<sup>40</sup> იხ. V. Minorsky. *Ahmadilis*, გვ. 300; მისივე. *Maragha*, გვ. 286; ა. ქესრაევი. *დასახ. ნაშრ.*, II, გვ. 124—125.

გუზიანებისთვის დაეთმოთ. აქ ყოილ არსლან ბ. ელდიგუზი დამკვიდრდა. ეს ამბები 570/1174—75 წ. მოხდა<sup>41</sup>.

XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პოლიტიკურ სარბი-ელზე ცნობილი პიროვნებაა 'ალა ალ-დინ ქორფუ-არსლანი (1174—1208) — აჰმადილიანთა დინასტიის მომდევნო წევრი. მის დროსაც გრძელდება ელდიგუზიანთა სახელმწიფოსთან მტრული ურთიერთობა. მასთან ბრძოლაში ქორფუ-არსლანი მოხერხებულად სარგებლობდა ელდიგუზიანთა მოწინააღმდეგე ძალების მხარდაჭერით. იგი სულთან თორღულ ბ. არსლანის (1176—1194) მოკავშირეა.

584/1188—89 წ. ხალიფასთან ბრძოლაში დამარცხებულ სულთან თორღულს ქორფუ-არსლანი ჰამადანში ეახლა და სამსახური აღუთქვა. სულთანმა სამაგიეროდ მას თავისი ვაჟის ათაბაგობა უბოძა. აღზევებული ელდიგუზიანების წინააღმდეგ ბრძოლას სულთან თორღული ქორფუ-არსლან ათაბაგთან კავშირში ცდილობს. საგულისხმოა, რომ რავენდის სიტყვით ქორფუ-არსლანის კავშირით „სულთნის ლაშქარი გამხნევედა (გამხიარულდა) რადგან ათაბაგთან ერთად ისევ იბრძოლებდნენ“<sup>42</sup>.

საქმე ის იყო, რომ, როდესაც ათაბაგ ყოილ არსლანმა გაიგო ხალიფასთან ბრძოლაში სულთნის დამარცხება, ძლიერი ლაშქრით ჰამადანისკენ გაემართა, მაგრამ, შემდეგ მოულოდნელად უკან გაბრუნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სულთანსა და აჰმადილიანს შორის გაბმული კავშირის გამო. ამის შემდეგ ქორფუ-არსლანი ისევ მარალაში დაბრუნდა. რავენდის გადმოცემით, სულთან თორღულს ათაბაგ ყოილ არსლანის აზერბაიჯანში არყოფნით უსარგებლია და მისი სამფლობელო დაულაშქრავს. გამარჯვებული სულთანი თავრიზში გაჩერებულა<sup>43</sup>. წყაროები არ აღნიშნავენ, მაგრამ ექვი არ არის, რომ სულთნის ამ ლაშქრობასთან ქორფუ-არსლანიც იქნებოდა დაკავშირებული.

შამს ალ-დინ ელდიგუზის მემკვიდრეების დროს ელდიგუზიანთა სახელმწიფო თანდათან კარგავს ადრინდელ ძლიერებას და შინაგან სიმტკიცეს. ეს ნათლად შეინიშნება აბუ ბაქრ ბ. მუჰამედ ბ. ელდიგუზის (1191—1210) დროს. ამიტომ იყო, რომ ალა ალ-

41 რ ა შ ი დ ა ლ-დ ი ნ ი, ჯამი' ალ-თავარის, რუს. თარგმ., გვ. 104; ა. ქ ე ს-რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 125—126; V. Minorsky, Maragha გვ. 287. შდრ. მისივე, Ahmadilis, გვ. 300.

42 რ ა ვ ე ნ დ ი, გვ. 347.

43 იქვე, გვ. 348; ჰ უ ს ა ი ნ ი, გვ. 157—158.



დინ ქორთვა-არსლანმა 602/1205—06 წ. ირბილის (არბელა) და შაპრაზურის პატრონთან (მუზაფარ ალ-დინ ქუქ-ბური) ერთად აბუ ბაქრის წინააღმდეგ გაილაშქრა და თავრიზის დასაკუთრება სცადა. აბუ ბაქრმა დახმარება აითოლმიშს, მამამისის ყოფილ მამლუქს სთხოვა. აბუ ბაქრის მორჩილებიდან აითოლმიში დიდი ხანია გამო-სულიყო და როგორც ერაცის ერთ-ერთი ძლიერი ამირა ვრცელ ტერიტორიას ფლობდა.

ნიშანდობლივია, რომ ელდიგუზიანთა სახელმწიფო რა გზითაც შეიქმნა, იმავე გზით იშლება.

აითოლმიშმა თავი დაანება ალამუთის ციხესთან ისმაილიტებთან ბრძოლას და თავრიზისკენ გაეშურა. შეშინებულმა მუზაფარ ალ-დინ ქუქ-ბურიმ მიატოვა ქორთვა-არსლანი და დიდი თხოვნის მიუხედავად უკან გაბრუნდა. ქორთვა-არსლანს ისღა დარჩენოდა, რომ მარალაში ჩაკეტილიყო. ამრიგად, აბუ ბაქრ ელდიგუზიანის მდგომარეობა მოულოდნელად უკეთესისკენ შებრუნდა და მან ალყა შემოარტყა მარალას. ვ. მინორსკი იმოწმებს იბნ ალ-ასირს და აღნიშნავს, რომ ალა ალ-დინ ქორთვა-არსლანი იძულებული იყო დაეთმო მარალა; სამაგიეროდ მიიღო ქალაქები ურმია და უშნუ<sup>44</sup>. აღსანიშნავია, რომ იბნ ალ-ასირი სხვაგან განსხვავებულ ცნობებს იძლევა, კერძოდ, ქორთვა-არსლანმა დათმო მხოლოდ ერთი ციხე-სიმაგრე; ის, რომელიც შუღლის საგანი იყო (რუინ-დუზი?). სამაგიეროდ კი იგივე ქალაქები მიიღო<sup>45</sup>. დამარცხებული ქორთვა-არსლანისათვის ზავის ასეთი პირობები უსაფუძვლოდ გამოიყურება. როგორც ჩანს, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს პირველი ვარიანტი დგას.

ქორთვა-არსლანის შემდეგ (604/1207—08 წ.) აჰმადილიანთა სახელმწიფო სწრაფად დაადგა დაშლის გზას. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა მათი სამკვიდრო ბუდის მოშლამ. მართალია, ურმია მნიშვნელოვანი ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრი იყო<sup>46</sup>, მაგრამ მარალას დაკარგვა ელდიგუზიანებთან ბრძოლაში აჰმადილიანთა პოზიციების დასუსტებას მოწმობდა აშკარად.

<sup>44</sup> იხ. V. Minorsky. Almadilis, გვ. 300.

<sup>45</sup> იბნ ალ-ასირი, გვ. 129—130. შღრ. ა. ქ ე ს რ ა ვ ი, შაპრაიან-ი გუკნამ, II, გვ. 128.

<sup>46</sup> ამ ქალაქების მოკლე დახასიათება იხ. ა ა კ უ თ ი, გვ. 10—12, 15—16; შღრ. G. Le Strange. The Lands, გვ. 165—166.

ქორფა-არსლანის შესახებ ზოგიერთ ცნობას ნიზამიც გვაწვდის. ცნობილია, რომ დიდმა პოეტმა მისი დაკვეთით დაწერა (1197 წ.) თავისი საუკეთესო პოემა „შვიდი მზეთუნახავი“. აღსანიშნავია, რომ შარვანშაჰისგან განსხვავებით (მისი დაკვეთით პოეტმა დაწერა „ლეილა და მაჯნუნი“) ქორფა-არსლანმა შემოქმედებითად არ შეზღუდა ნიზამი და მას თემის არჩევანში სრული თავისუფლება მიანიჭა იმ პირობით, რომ პოემა დახვეწილი და დიდი ოსტატობით შესრულებული უნდა ყოფილიყო<sup>47</sup>. პოემის შესავალში, ჩვეულების შესაბამისად, ნიზამი ვადმოგვცემს რამდენიმე ბიოგრაფიულ ცნობას ქორფა-არსლანის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ნიზამი მას აყსონყორიანთა გვარის განმამტკიცებელს უწოდებს და—რაც განსაკუთრებით საყურადღებოა—აღნიშნავს, რომ ქორფა-არსლანის მამას და პაპას აბჯადის სრულყოფილება მისგან (ქორფა-არსლანისგან) აქვთო.

ვ. დასთგირდის და ე. ბერტელსის აზრით ნიზამის აქ იმის თქმა სურს, რომ ქორფა-არსლანმა კი არ მიიღო მამა-პაპისგან სახელი და დაფასება, არამედ ისინი ღებულობენ „ათას პატივისცემას“ მისგან<sup>48</sup>. საყურადღებო აქ ის არის, რომ ქორფა-არსლანი თითქოს არ ამყოფს თავისი წინაპრებით. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აპმადილიანები ადრინდელი, არაბული წარმოშობის რავადიანების მემკვიდრეებად არ თვლიდნენ თავს.

რავენდი აღნიშნავს, რომ 577/1181—82 წ. ბიძამისმა ქორფა-არსლანს მიაართვა დიდი ხელოვნებითი შესრულებული კალიგრაფიული სავარჯიშო<sup>49</sup>.

ყველაფერი ეს იმიტომ არის საყურადღებო, რომ ნათლად გვიხასიათებს თურქი მონა-მსახურის მემკვიდრის სოციალურ სახეს,

<sup>47</sup> იხ. ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 129—134; E. Бертельс, Ни-  
замии и Физули. გვ. 146—148, 413—414.

<sup>48</sup> იხ. ე. ბ ე რ ტ ე ლ ს ი, დასახ. ნაშრ., გვ. 148, შენიშვ. 297; გვ. 479:

حافظ و ناصر زمان و زمين	عمدۀ مملکت علیٰ الدین
به زابل ارسلان بتاج و سریر	شاه کرب ارسلان کشورگیر
اب و جد با کمال ابجد از و	نسل افسنقری موید از و

„სამეფოს საყრდენი აღა აღ-დინი /მფარველი და მცველი დროისა და ქვეყ-  
ნის/ შაჰი ქორფა-არსლანი, მხარეების მპყრობელი /მეზობი აღფ არსლანისა გვირ-  
ვინით და ტახტით/ აყსონყორიანთა გვარი მისგან განმტკიცდა/ მამა-პაპას მი:გან  
აქვს აბჯადის სისრულე“.

<sup>49</sup> რ ა ვ ე ნ დ ი, გვ. 44.

რომელსაც XII ს. დაპლევს უკვე აშკარად გამოხატული კულტურული ნიდრეკილებანი და მოთხოვნილებანი გააჩნია.

ნიზამის პოემიდან „შვიდი მზეთუნახავი“ ირკვევა, რომ ქორფა-არსლანს ორი ვაჟი ჰყოლია — ნუსრათ ალ-დინ მუჰამედი და ფალაქ ალ-დინ აჰმადი. მამის შემდეგ ერთი მათგანი ავიდა აჰმადილიანთა ტახტზე. მაგრამ, მისი მცირეწლოვნების გამო სახელმწიფოს მამამისის ერთ-ერთი მსახურთაგანი (ხადემ) განაგებდა<sup>50</sup>.

ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ შფოთსა და შინაგან ბრძოლას იწვევდა ხოლმე. ამჯერადაც ასე მოხდა: აჯანყდა ერთ-ერთი ამირა. მგურვემ შეძლო მოწინააღმდეგე ბანაკის დამარცხება და ხელისუფლების შენარჩუნება, მაგრამ, მცირე ხნით. 605/1208 წ. ეს მცირეწლოვანი აჰმადილიანიც გარდაიცვალა და, როგორც ირკვევა, მამაკაცთაგან დინასტიის გამგრძელებელი აღარავინ არ დარჩა, ელდიგუზიანი აბუ ბაქრ ბ. მუჰამედ ფეჰლევანი აჰმადილიანთა (აყსონყორიანთა) სამფლობელოს ცენტრს — მარაღას დაეპატრონა ციხესიმაგრე რუინ-დუზის გარდა, სადაც ხსენებული მგურვემ გამაგრდა ხაზინით და ავლა-დიდებით<sup>51</sup>.

მაგრამ აჰმადილიანთა დინასტია უკვალოდ არ გამქრალა. ნესავის ცნობით, ათაბაგ უზბეგმა თავის ერთადერთ ყრუ-მუნჯ ვაჟიშვილს ხამუშს ცოლად შერთო რუინ-დუზის ქალბატონი, რომელიც ალა ალ-დინ ქორფა-არსლანის ერთ-ერთი შვილიშვილი იყო<sup>52</sup>. ეს ქორწინება, როგორც ჩანს, ის ხავსი იყო, რომელსაც გადაშენების პირას მისული ორივე დინასტია — ელდიგუზიანები და აჰმადილიანები — ეჭიდებოდა არსებობის შესანარჩუნებლად.

შემდეგი მონაკვეთი აჰმადილიანთა სახელმწიფოს ისტორიიდან მონდოლთა. შემოსევების პერიოდში ირკვევა.

როგორც ცნობილია, ჩინგიზ-ყაენის მიერ ხორეზმშაჰ მუჰამედის (1200—1220) დასაჭერად გაგზავნილი ლაშქარი ამიერკავკა-

<sup>50</sup> იგულისხმება ტერმინის არაპირდაპირი მნიშვნელობა. ხ ა დ ე მ ი ა მ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, გულისხმობს სასახლის კარზე დაწინაურებულ, აღზევებულ პირს. შდრ. მ. მინოვის შენიშვ. 1, ნ ე ს ა ვ ი, გვ. 405: خادم بآن معنى

که امروز خواجه می گویم

<sup>51</sup> იხ. ა. ქ ე ს რ ა ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 134; ვ. მ ი ნ ო რ ს კ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 301; მ. მინოვის კომენტარი, იხ. ნესავი, გვ. 404—450.

<sup>52</sup> ნ ე ს ა ვ ი, გვ. 161, რუს. თარგმ., გვ. 175; ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 157—155. ამ ქალის სახელი წყაროებში სხვადასხვაგვარად იხსენიება: დუზ-ბანუ და სულაფა-ხათუნი იხ. კომენტარები, ზ. ბუნიატოვისა — ნ ე ს ა ვ ი, რუს. თარგმ., გვ. 377, შენიშვ. 3; მ. მინოვისა — ნესავი, გვ. 404—405.

სიაშიც შეიქრა და აქაც მისთვის ჩვეული ცეცხლი და მახვილი დაატრიალა. 618 წ. საფარის თვეში (1221 წ. აპრილ-მაისი) კვებუნონის და სუბუდაი-ბაჰადურის საერთო ხელმძღვანელობით მონღოლთა ლაშქარი თავრიზის შემდეგ მარალას მიაღდა. ირკვევა, რომ ამ დროს ქალაქს ისევ ზემოხსენებული ქალბატონი ფლობდა, მაგრამ მას გაჭირვების ქამს მარალა მიუტოვებია და რუინ-დუზის ციხესიმაგრეში შეუფარებია თავი, ხოლო ქალაქი ბედის ანაბრად მიუტოვებია. მარალაში არავინ არ დარჩენილა, რომ მონღოლთა წინააღმდეგ ქალაქის მოსახლეობის ბრძოლას სათავეში ჩასდგომოდა.

მიუხედავად ამისა, მარალას მოსახლეობას ფარ-ხმალი არ დაუყრია და მონღოლთა ლაშქარს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. მონღოლები რამდენიმე დღე ებრძოდნენ ქალაქს და ბოლოს, ჩვეულებრივ, ჰაშარის გამოყენებით აიღეს მარალა. მონღოლებმა დახოცეს ქალაქის მრავალი დიდებული და მდაბიო, თან წაიღეს რისი წაღებაც შეიძლებოდა, ხოლო დანარჩენი ცეცხლს მისცეს, ან გაანადგურეს და ასე დატოვეს მარალა<sup>53</sup>.

წყაროები გადმოგვცემენ, რომ შემდეგ, როდესაც მონღოლებმა ნახჭევანის ვილაიეთიც დაარბიეს, მათთან ათაბაგი ხამუში გამოცხადდა და მორჩილება აღიარა. მონღოლებმა ხამუშს ხის ფაიზა, ტამლა და „დაწერილი“ უბოძეს და მას სამფლობელოები შეუნარჩუნეს<sup>54</sup>; სავარაუდოა, რომ მათ შორის — აჰმადილიანთა სახელმწიფოს ნაშთიც.

არსებობის უკანასკნელ პერიოდში აჰმადილიანთა სახელმწიფოსათვის არც ხორეზმშაჰ ჯალალ ალ-დინ მანქბურნის (1220—1231) აუვლია გვერდი. თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა სახელმწიფო (სახელმწიფო, ფაქტიურად, ამ დროს მას უკვე აღარც ეთქმის) უკანასკნელი ხორეზმშაჰის ამიერკავკასიაში ბატონობის დროს, კარგად ჩანს ნესავის ცნობიდან.

როდესაც ჯალალ ალ-დინი აზერბაიჯანისკენ დაიძრა მარალას მოსახლეობამ მის ვეზირს წერილი გაუგზავნა და სთხოვა, რომ მას მარალაზე ხორეზმშაჰის ლაშქრობის სურვილი გაეღვივებინა და დაეჩქარებინა, რათა ქალაქში ჯალალ ალ-დინის ხელისუფლების

53 ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 139; მ ი რ ხ ო ნ დ ი, V. გვ. 99; რ ა შ ი დ ა ლ - დ ი ნ ი, ჯამი' ალ-თავარიხ, სპარს. ტექსტი, გვ. 137; რუს. თარგმ., გვ. 227—228.

54 იქვე, გვ. 228; რ უ ვ ე ი ნ ი, I, გვ. 116: هو اتابگ خاموش با يلي  
پيش آمد اورا کاغذ و التمعنا داد.

დამყარებით ეხსნა ქალაქის მოსახლეობა დიდებულთა ჩაგვრისაგან, ქალების მმართველობისაგან და ქართველთა „კლანჭებისაგან“ — ე. ი. იმ გაპირვებისაგან, რომელსაც მარალა განიცდიდა<sup>55</sup>.

გადაქარბებული, როგორც ირკვევა, აღნიშნულ თხოვნაში არაფერი არ არის. არა მარტო აჰმადილიანთა, არამედ ელდიგუზიანთა სახელმწიფოსაც ფაქტიურად ქალი, ათაბაგ უზბეგის ცოლი, ერაყის უკანასკნელი სელჩუკი სულთნის თორღულ მეორის (1177—1194) ქალი განაგებდა.

1225 წ. ზაფხულის დასაწყისში ჯალალ ალ-დინი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მარალაში შევიდა. იგი რამდენიმე დღე დარჩა ქალაქში.

მარალა კი დანებდა ხორეზმშაჰს, მაგრამ აჰმადილიანთა ქალბატონმა ისევ რუინ-დეზს შეაფარა თავი<sup>56</sup>.

როდესაც ჯალალ ალ-დინმა თავისი ვეზირი შარათ ალ-მულქი აზერბაიჯანის გამგებლად დანიშნა, ამ უკანასკნელმა ენერგიულად შეუტია დაუმორჩილებელ ციხესიმაგრეებს, მათ შორის რუინ-დეზსაც. მისი ბრძანებით ციხეს ხანგრძლივი ალყა შემოარტყეს.

შეპირვებულმა ციხის მფლობელმა ცოლობა შესთავაზა ვეზირს იმ პირობით, თუ ქორწინების შემდეგ რუინ-დეზი ისევ მის გამგებლობაში დარჩებოდა. შარათ ალ-მულქი დათანხმდა, მაგრამ ქორწინება ჩაიშალა: ერაყიდან დაბრუნებულმა ჯალალ ალ-დინმა თავად ისურვა რუინ-დეზის ქალბატონზე დაქორწინება. ციხესიმაგრეს ალყა მოხსნეს, მისი პატრონი სულთანს მიჰგვარეს, ხოლო გამგებლად (ვალი) ხორეზმშაჰმა თავისი მსახური (ხადიმ ალ-ხასს) დანიშნა<sup>57</sup>.

სულთნის მოხელე დიდი გულმოდგინებით შედგომია რუინ-დეზიდან მცხოვრებთა გასახლებას და ციხესიმაგრის დასაკუთრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დაეუფლებოდა ციხეს „ვერც უფლებით და ვერც მოლაპარაკებით“ — გადმოგვეცემს ნესავი. მაგ-

55 ნ ე ს ა ე ი, გვ. 140, რუს. თარგმ., გვ. 154—155.

56 აღსანიშნავია, რომ რუინ-დეზი, როგორც ეს წყაროების აღწერილობიდან ჩანს, არ იყო ციხესიმაგრე ჩვეულებრივი გაგებით: „იგი შედგებოდა ათასი სახლისაგან, რომლებიც ძველმა მცხოვრებლებმა მემკვიდრეობით მიიღეს თავის მამებისაგან“ — იხ. ნ ე ს ა ე ი, რუს. თარგმ., გვ. 205, გვ. 337, შენიშვ. 2.

57 ნ ე ს ა ე ი, რუს. თარგმ., გვ. 204—205.

რამ, მან ვერ დასახა მოქმედების სწორი გეგმა, ციხის მცხოვრებლებთან შეტაკება მოუხდა და ამ ბრძოლაში მოიკლა კიდევ: „ვითარება კი ციხეში ისეთივე ღარჩა, როგორიც იყო, დაძაბული და ძნელი“<sup>58</sup>.

აშკარად ირკვევა, რომ აჰმადილიანთა შორის ჯერ კიდევ არსებობდა გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომლებიც სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ შექმნილ სიტუაციაში მათი წინააღმდეგობა განწირული იყო.

შემდგომ, XIII ს. 40-იან წლებში, ათაბაგ ხამუშის ვაჟმა ნუსრაათ ალ-დინმა, მანამდე რომ რუმში იყო თავშეფარებული, მონღოლთაგან (ყადაყ ნოინისაგან) „აზერბაიჯანისა და თავრიზის თუგანის ამირობაზე ტამლიანი ფირმანი მიიღო“, რაშიც მას ერთ-ერთი მალიქი ეცილებოდა<sup>59</sup>. იყო, თუ არა ეს ნუსრაათ ალ-დინი მარალას ქალბატონის შვილი (ათაბაგ ხამუშს მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდა) დანამდვილებით არ ვიცით<sup>60</sup>. ამდენად, დროის მცირე მონაკვეთშიც აჰმადილიანის ნაშეიერის „მფლობელობა“ თავისი წინაპრების „მამულში“ ექვეს გარეშე არ დგას.

ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ აჰმადილიანთა სახელმწიფო ამიერკავკასიაში ჯალალ ალ-დინის ბატონობის დროს თუ არა, მონღოლთა გაბატონების დასაწყისშივე გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან.


<sup>58</sup> ნ ე ს ა ე ი, რუს.თარგმ., გვ. 204—205.

<sup>59</sup> «...و اتابک نصره الدین را که پسر اتابک خاموش بود و هم

در آن مدت از روم بیرون آمده و بعد از احتفا روی نموده بضدیت ملک صدر الدین بامیر تومانی تبریز و آذربایجان فرمانی بالتامغا گرفت.»  
ჯ უ ე ე ი ნ ი, II, გვ. 248; შდრ. ინგლ. თარგმ., II, გვ. 511: „...he (Qadaq Noyan) also procured a firman with al-tamgha appointing as the commander of the tumen in Tabriz and Azerbaijan the atabeg Nusrat-ad-Din, son of the atabeg Khamush who had come out of Rum and after remaining in hiding had shown his face [again] as an opponent of the malik Sadr-ad-Din“. ე. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 301: „...Nusrat al-Din was hiding in Rūm, but towards 641/1246 he obtained an al-tamgha from Güyük Khān for the governorship of Tabriz and Ādharbaydjan“.

<sup>60</sup> თუმცა ზ. ბუნიატოვი კითხვას დადებითად პასუხობს, იხ. ნ ე ს ა ე ი, რუს. თარგმ., გვ. 377, შენიშვ. 3.

აჰმადილ ბ. იბრაჰიმ ბ. ვაჰსუდან რავადი



§ 6. ბეშქენიანთა საამირო

XII საუკუნეში და XIII ს. პირველ მეოთხედში ჩრდილო-დასავლეთ ირანის (სამხრეთი აზერბაიჯანი) ერთ-ერთ ოლქს ქართული წარმოშობის ბეშქენიანთა დინასტიის წევრები მართავდნენ.

საამიროსადმი ინტერესს აღვივებს, ჯერ ერთი ბეშქენიანთა ქართული წარმოშობა და მეორეც ის, რომ მის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა თურქ-სელჩუკთა იმპერიაში განსხვავებული პოლიტიკური სტატუსის მქონე სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა, — ე. ი. ის პროცესი, რომელმაც საბოლოოდ დაშალა აღნიშნული იმპერია.

სამწუხაროდ, ცნობების სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს მთელი სისრულით აღვადგინოთ ბეშქენიანთა საამიროს დაარსების, არსებობის და მოსპობისა თუ გადაშენების სურათი. შედარებით უხვ მასალას ბეშქენიანთა შესახებ მუჰამედ ნესავი გვაწვდის.

614/1217—18 წ., როდესაც ხორეზმშაჰ ალა ალ-დინ მუჰამედი (1200—1220) ფეხდაფეხ მისდევდა ელდიგუზიან ათაბაგ უზბეგ ბ. მუჰამედს შესაპყრობად, უკანასკნელმა დიდებულთა რჩევით ჰამადანიდან ლაშქრის დიდი ნაწილი ხაზინით და ბარგი-ბარხანით თავისი ერთ-ერთი დიდებული მოკავშირის მალიქ ნუსრათ ალ-დინ მუჰამედ ბ. ბიშთგინის<sup>1</sup> (بيشتگين) ხელმძღვანელობით თავრიზში გა-

<sup>1</sup> შეენიშნავთ, რომ ნესავი „ნუსრათ ალ-დინ მუჰამედის“ ნაცვლად, როგორც არის ხოლმე მონეტებზე, ხშირად წერს „ნუსრათ ალ-დინ მუჰამედს“. შდრ. V. Minorsky., The Georgian maliks, გვ. 869, შენიშუ. 2.

გზავნა: თვითონ კი მცირე რაზმით ძნელი და ფარული გზებით აზერბაიჯანში ჩასვლას ეშურებოდა ძალის მოსაყრებად. უზბეგმა კი დააღწია თავი საფრთხეს, მაგრამ ნუსრათ ალ-დინ მუჰამედ ბ. ბიშთგინი აზერბაიჯანში, ქ. მიანიჯთან ტყვედ ჩაეარდა და იგი სხვა დიდებულებთან ერთად ხორეზმშაჰს მიჰგვარეს ჰამადანში.

დიდებული ტყვეები ყოველდღე გაჰყავდათ ქალაქის მოედანზე და დამცირებულნი უცქერდნენ თუ როგორ თამაშობდა სულთანნი ცხენბურთს. ერთ დღეს სულთნის ყურადღება მიიპყრო ნუსრათ ალ-დინ მუჰამედის საყურეებმა — დიდმა, სამაჯურის სიმსხორტუ რგოლებმა. სულთანმა მათი ტარების მიზეზი აკითხა ტყვე დიდებულს. მუჰამედ ბ. ბიშთგინმა უპასუხა: „სულთან ალფ არსლანმა საქართველოში ლაშქრობის დროს დაატყვევა მათი (ქართველების) ამირები: (შემდეგ) გაანთავისუფლა ისინი და ბრძანა, რომ მათთვის ყურებში წყვილი, დიდი რგოლები გაეყარათ, რომლებზეც სულთნის სახელი იყო დაწერილი<sup>2</sup>. გავიდა ხანი და, როდესაც [სელჩუკთა] სახელმწიფოს საყრდენები გამოეცალა, მათ (ყოფილმა ტყვეებმა) მორჩილების წყალი ამღვრიეს, პაპაჩემის (ჯადღ) გამოკლებით. იგი გამუსლიმანდა და მისი ვილაიეთი და მემკვიდრეები გადარჩნენ ისლამისა და ერთგულების წყალობით“.

ხორეზმშაჰს გული მოუღობო ამ ამბავმა. მან ნუსრათ ალ-დინს ძვირფასი ტანსაცმელი უბოძა და მასთან ცხენბურთიც ითამაშა. როდესაც მუჰამედ ბ. ბიშთგინმა ერაყიდან დაბრუნება გადაწყვიტა, სულთანმა დაასაჩუქრა იგი კიდევ უფრო ბრწყინვალე და უმაღლესი, თავადური ტანსაცმლით და უბოძა სიგელი, რომლითაც უმტკიცებდა მას მისი წინაპრების საკუთრებას, სახელდობრ ქალაქებს აპარს და ვარავის მათი ციხესიმაგრეებით და შემოგარენით, აგრეთვე ქ. სარავს<sup>3</sup> ათაბაგ უზბეგის სამფლობელოდან. ყოველივე ამის სანაცვლოდ, ნუსრათ ალ-დინს საყურე რგოლები შეუცვალეს და მათზე ხორეზმშაჰის სახელი წააწერეს.

თავის სამფლობელოში დაბრუნებულმა ნუსრათ ალ-დინმა — განაგრძობს ნესავი — ვერ გაბედა ათაბაგ უზბეგისგან გამოეთხოვა ხორეზმშაჰისგან ბოძებული სარავი. ხოლო როდესაც ხორეზმშაჰ

<sup>2</sup> შეენიშნავთ, რომ ალფ არსლანმა რომანოზ კეისარსაც კი გაუყარა ყურებში რგოლები, როდესაც ის 1071 წ. მანაზკერტის ბრძოლაში დაატყვევა. იხ. რ ა ე ნ დ ი, გვ. 119.

<sup>3</sup> თანამედროვე ქ. სარაბი.



მუჰამედის შვილმა სულთან ჯალალ ალ-დინმა დაიპყრო თავრიზი, მაშინ წარსდგა მის წინაშე ნუსრათ ალ-დინი თავისი სიგელით. ჯალალ ალ-დინმა გაუახლა და დაუმტკიცა მას სიგელი და იგი მის მსგავსთა შორის გამორჩევით, დიდი სიკეთით და გულკეთილობით დაიახლოვა და დადგა მასთვის და მისი ოჯახისათვის სრული კეთილდღეობა<sup>4</sup>.

მუჰამედ ნესავის ცნობას ადასტურებს ჰამდალჰა ყაზვინიცი. იგი წერს: „სულთან ალფ არსლანი საღვთო ომისთვის საქართველოში გაემართა და ბაგრატ გიორგის ძესთან ბრძოლის შემდეგ მათ შორის ზავი დაიდო. საქართველოს ზოგიერთი დიდებული (ამირა) სულთნის ხელში ტყვედ ჩაეპარდა. ნაწილი მათგან გამუსლიმანდა. ერთი მათ შორის ბიშქინი იყო. მონობის (აღმნიშვნელი) რგოლების ნაცვლად (სულთანმა) მას ყურში ცხენის ნალი გაუყარა და ყველა მისი მემკვიდრე ისეთივე დიდ რგოლებს ყურით ატარებს. (სულთანმა) როგორც საკარგავი (იკტა) მას მისცა ქალაქი ვარავი, ახლა ბიშქინად ცნობილი“<sup>5</sup>. იმავე ავტორის თანახმად ქ. ვარავის ფიშქინი მას შემდეგ ეწოდა, რაც ამ ადგილის მმართველი (ჰაქიმ) ფიშქინ ქართველი (ფიშქინ გრჩი) გახდა<sup>6</sup>.

ამრიგად, ბეშქენიანთა ქართული წარმოშობა ექვეს არ იწვევს<sup>7</sup>.

<sup>4</sup> ნესავი, გვ. 5, 25, 28—29, რუს. თარგმ., გვ. 46, 58, 60, 62—63: შურ. И. Петрушевский, Бешкениды-Плштегиниды, გვ. 58—59; სანტორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 869—869.

<sup>5</sup> ჰამდალჰა ყაზვინი, თარიხ-ი გუზიდა, გვ. 441: سلطان اب انسلان بغزای گرجستان رفت بعد از محاربه حاکم آنجا بقراط بن گویگور با سلطان اب انسلان صلح کرد و بعضی امرا گرجستان در دست سلطان اسیر کشته و بعضی مسلمان شدند از ایشان یکی بتکین (sic) بود بجای حلقه بندگی فعل اسپ در کوشی او کرد و تخمه همه او همچنان حلقه بزرگ در کوش میدارند شهر وراوی باقطاع بدو داد. — თან დაკავშირებულ სიტყვებს ფიქსიმილე გამართულად ვერ აღნიშნავს, მაგრამ, აშკარაა, რომ უნდა იყოს ბიშქინ შურ. თარიხ-ი გუზიდა, ე. განტინის (J. Ganlin) გამ. ტ. 1, გვ. 212: ბიშქინ

<sup>6</sup> ჰამდალჰა ყაზვინი, ნუსხათ ალ-ყულუბ, გვ. 82: در اول پیشکین... وراوی می خواندند چون پیشکین گرجی حاکم آنجا شد بدو معروف گشت. — ჯანისა და ჩინის მონაცვლეობა აქ, და სხვა მსგავს შემთხვევებში, სპარსულ ხელნაწერებში ჩვეულებრივია.

<sup>7</sup> უკანასკნელ ხანს დინასტიის ფუძემდებელს, ყველა მკვლევარისაგან განსხვავებით, მ. სეიფედინი — Нумизматические материалы, გვ. 47 - 54 —

აღფ არსლანმა საქართველო პირველად 1064 წ. დალაშქრა. იგი „უგრძნულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი... გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს, და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე. და მასვე დღესა ჩამოუწია თორს და ღვეის-კეკს, და თვთ დადგა თრიალეთს სამ დღე“. შემდეგ სულთანი „წავიდეს ჭავახეთს და მოადგეს ახალქალაქს, რამეთუ მე ს ხ ნ ი ა ზ ნ ა უ რ ნ ი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე... ვერლარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა... და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტ ყ უ ე ყ ვ ნ ე ს უ რ ი ც ხ უ ნ ი ს უ ლ ნ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე თ ა ნ ი; აღიდეს განძი და ტ ყ უ ე ძ ლ ი ე რ ა“<sup>8</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

ამავე ლაშქრობის შესახებ თავის თხზულებაში ცნობებს გვაწვდის აგრეთვე XI ს-ის მოღვაწე გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი)<sup>9</sup>. გიორგი მთაწმინდელი აღფ არსლანის შემოსევის დროს საქართველოში, ახალქალაქში ყოფილა. მას თან ახლდა გიორგი მცირეც. თურქთა თავდასხმის შესახებ ეს უკანასკნელი აღნიშნავს: „მოიწია რისხვად იგი უგრძნულად... რამეთუ... არა თუ ახალქალაქისა ოდენ მკვდრნი მოისრნეს, არამედ დ ი დ -დ ი დ ნ ი და წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი მ თ ა ვ ა რ ნ ი და ე რ ი ს თ ა ვ ნ ი ს ა მ ე უ ფ ო ხ ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ნ ი ძ ვ რ -ძ ვ რ ად მოისრნის და წარწყმდეს, რომლისა მიერ ღმრთის-მსახური მეფე ბაგრატ დიდსა მწუხარებასა შთავარდა“<sup>10</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.). ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ „წარწყმედა“ ნიშნავს „დაკარგვა“-საც<sup>11</sup>.

ირკვევა, რომ 1064 წ. ზაფხულში აღფ არსლანი მოულოდნელად შემოსევია საქართველოს სამხრეთ პროვინციებს<sup>12</sup>. საყურად-

წვაროს მიუთითებლად ყოვჩაყად აცხადებს. ნუმისმატიკურ მასალაზე დაკრძნობით, როგორც ჩანს, მას მხარს უჭერს ზ. ბუნიატოვიც (იხ. ნესავი, რუს. თარგმ., გვ. 310). მაგრამ, ასევე ნუმისმატიკურ მასალაზე დაყრდნობით მკვლევარებს (ი. პეტრუშევსკი, ე. პახომოვი) სახელი „ბიშქინი“ („ფიშქინი“) ქართულ „ბეშქენ“-თან დაკავშირებულად მიაჩნიათ. იხ. Е. Пахомов, Монетныеклады, გვ. 49.

<sup>8</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 306.

<sup>9</sup> ცხორება გიორგი მთაწმინდელისა. იხ. კ. ქ ა კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 217—218, 247—250.

<sup>10</sup> ცხორება გიორგი მთაწმინდელისა. გვ. 174.

<sup>11</sup> იხ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 540; შდრ. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული.

<sup>12</sup> დაწვრილებით იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 151—152; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო, გვ. 222—225, 228.

ლებოა, რომ ქართული წყაროები, ერთხმად აღნიშნავენ ამ დროს მრავალი ქართველი დიდებულის დატყვევებას, „დაკარგვას“.

1067—68 წწ. ალფ არსლანმა ისევ დალაშქრა საქართველო. ამჯერად ის აღმოსავლეთიდან, რანისა და ჰერეთის გავლით შემოიჭრა ქვეყანაში „და მოისრა ურიცხვ სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა“<sup>13</sup>.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართული წყაროები ალფ არსლანის საქართველოში ლაშქრობის დროს ტყვედ წაყვანილ პირებს კონკრეტულად, სახელდებით არ ასახელებენ.

ალფ არსლანის შემდეგ საქართველოში მალიქ-შაჰმა ილაშქრა. ამის შესახებ ერთი საყურადღებო ცნობა მოგვეპოვება: „მოვიდა სულტანი მალიქ-შა მტერად ყოველთა ქრისტიანეთა. მიაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულტანსა, და დაყო მის თანამცირედი ხანი, და გამოეპარა. და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვლდესა, და წარულო სამშვლდე, და ტყუე იქმნა ივანეთავითა, ცოლითა და შვილის შვილითა და ყოველთა აზნაურთა დედა წულითა, და წაიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ და შეიქცა გარე“<sup>14</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

როგორც ვხედავთ, აქ კონკრეტულად არის დასახელებული სელჩუკების მიერ დატყვევებული პიროვნება. საყურადღებოა, რომ ივანე ლიპარიტის ძე თრიალეთის მფლობელის, კლდე-ქარის ძლიერი ერისთავთ-ერისთავის მემკვიდრე იყო. აქედანვე (თრიალეთ-მესხეთ-ჯავახეთიდან) იყვნენ, უნდა ვივარაუდოთ, ივანეს მხლებელი აზნაურები — ყველა თუ არა, უმრავლესობა მაინც. — რომლებიც მასთან ერთად ტყვედ ჩავარდნენ.

ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება რომ არა, შეიძლება გვეფიქრა, რომ ბეშქენიანთა წინაპარი სწორედ ზემოაღნიშნული ლაშქრობის დროს დაატყვევეს სელჩუკებმა და ირანს წაიყვანეს. მაგრამ, საქმეც ის არის, რომ წყაროები დაჟინებით აღნიშნავენ — ბეშქენიანთა წინაპარი ალფ არსლანის ლაშქრობის დროს იქნაო დატყვევებული.

ივანე ლიპარიტის ძის შემდგომი ბედი უცნობია. დავით აღმაშენებლის დროს, 1101 წელს, მოკვდა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი „რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული... ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა... და არღარავინ დაშთა საყოფელთა

<sup>13</sup> მათიანე ქართლისა, გვ. 308—309.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 316—317.

მათთა მკვდრი... და მამული მათი აღიღო მეფემან<sup>15</sup>. თუ საგვარეულოს რომელიმე წევრმა შეძლო გვარის გაგრძელება ირანში, მაშინ ქართული წყაროების დუმილი ამის თაობაზე ისევ ნიადაგს აცლის ჩვენს ვარაუდს. ამასთანავე, სახელი „ბეშქენ“ ჩვენ არ შეგვხვდრია კლდე-ქარის ერისთავთა საგვარეულოში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელი, რომელიც მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, სწორედ თრიალეთში და მესხეთ-ჯავახეთში იყო ხშირი და მტკიცედ ფეხმოკიდებული.

სახელი „ბეშქენ“ ირანული წარმოშობისაა<sup>16</sup>. როგორც ჩანს, იგი აღრევეა საქართველოში შემოსული, ქართულ ნიადაგზე დამკვიდრებული და გაქართულებული. სამცხეში ეს სახელი უკვე IX—X სს. გვხვდება<sup>17</sup>. მაგრამ, ეს სულაც არ გამოორიცხავს სახელის არსებობას წინარე ხანაშიც. მომდევნო საუკუნეებშიც „ბეშქენ“ ხშირად გვხვდება საქართველოს სინამდვილეში. იგი დამოწმებულია ნარატიულ, დოკუმენტურ, ლიტერატურულ წყაროებში.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში სამცხის ორი დიდი ფეოდალური გვარის წარმომადგენლებს შორის გვხვდება სახელები „...დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაჲ [ძისა] იოანესაჲ“, და მირიანის შვილებისა: სულა, ბეშქენ და ლაკლაკი<sup>18</sup>. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიც, „ბეშქენ“, როგორც ჩანს, საგვარეულო სახელია ისევე, როგორც ირანის ბეშქენიანებში.

„მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს ბეშქენ ჯაყელის, თუხარისის ერისთავის შესახებ, რომელიც ფარსმან თმოგველთან ერთად 1044—1045 წლებში განმდგარია ბაგრატ IV-სგან<sup>19</sup>. ფოცხოვში, სოფ. აღის ეკლესიაზე დაცულ წარწერაში მოხსენებულია სახელი „ბეშქენი“<sup>20</sup>. საყურადღებოა აგრეთვე: ახალქალაქთან მდებარე სათხის (ჯავახეთში) ეკლესიის წარწერა, რომელშიც დამო-

<sup>15</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 326; ქრონიკები, I, გვ. 195.

<sup>16</sup> შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები, გვ. 450: „საშ. სპარს. Pēšēn მომდინარეობს ძველი ირანული სიტყვიდან paīsa ახ. სპარს. Pēšāh „ხელოვნება, ხელსაქმე“.

<sup>17</sup> ადრე ჩვენ აღენიშნავდით, რომ ეს სახელი თითქოს XI ს. იყო ცნობილი საქართველოში, იხ. ჩვენი წერილი — მასალები, გვ. 117.

<sup>18</sup> ბასილი ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, გვ. 136, 172—173.

<sup>19</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 298.

<sup>20</sup> E. Такайшвили, Археологические экскурсии, III, გვ. 2—4.

წმებულისა — „ბეშქენის ყმაჲ“<sup>21</sup>. სათხის ეკლესია, მისი ერთ-ერთი წარწერის თანახმად აშენებულია ფარსამ ერისთავთ-ერისთავსა მიერ<sup>22</sup>.

ახალციხის რაიონში, სოფ. ურავლის მახლობლად შემორჩენილი აგარის მონასტრის კომპლექსის ერთ-ერთი ნაგებობის („ტრაპეზი“) კედელზე ამოკვეთილ წარწერაში აღნიშნულია ერისთავთ-ერისთავი ბეშქენი<sup>23</sup>. ვ. ბერიძე წარწერას XI ს-ში შესრულებულად მიიჩნევს<sup>24</sup>.

დამოწმებულ წარწერაში მოხსენებული ბეშქენი მკვლევართა აზრით, შესაძლებელია „მატიანე ქართლისაში“ მოხსენებული ბეშქენ ჭაყელი იყოს. ბეშქენ ჭაყელი 1118 წ. მოკლეს თურქებმა<sup>25</sup>. უცნობია, თუ რა ვითარებაში მოიკლა იგი. პირადად თურქებთან ბრძოლას ის, სავარაუდოა, ვეღარ შეძლებდა — ამ დროისათვის (1118 წ.) ბეშქენი ასწელს მიტანებული მოხუცი მაინც იქნებოდა. იბადება კითხვა: 1044 და 1118 წლების ბეშქენ ჭაყელი ერთ-და იგივე პიროვნებაა თუ არა? ვ. ბერიძე „ქართლის ცხოვრების“ და აგარის წარწერის „ბეშქენს“ თითქოს სხვა-ღასსევა პიროვნებად მიიჩნევს<sup>26</sup>.

სახელი „ბეშქენი“ დამოწმებულია აძიკვის ბარელიეფზეც<sup>27</sup>: „ქრისტე აღიდე შოთაჲ და გამრეკელ და ბეშქენ და ვარაზბაყურა“<sup>28</sup>. წარწერა მკვლევართა აზრით XI—XII სს. თარიღდება. უფრო ზუსტად, XII ს. პირველი ნახევრით<sup>29</sup>.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახელი „ბეშქენ“ თრიალეთში, სამცხე-ჯავახეთშია შედარებით ხშირად დამოწმებული.

---

<sup>21</sup> И. Ростомов, Ахалкалакский уезд, გვ. 104—105. შდრ. ე. თაყაიშვილის შენიშვნები, იხ. მისი დასახ. ნაშრ., იქვე. ვ. ციციკარიშვილი, ქავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 37—39.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>23</sup> წარწერა პირველად, მაგრამ შეცდომებით გამოაქვეყნა ს. ასლანიშვილმა, — ძველი საქართველო, გვ. 125—127. წარწერა მეცნიერულად შეისწავლა და სწორი ტექსტი დაადგინა ვ. ბერიძემ. იხ. მისი, აგარის მონასტრის „ტრაპეზი“, გვ. 97—99. იგივე წარწერა დამოწმებულია აღაპეზში. იხ. ნ. მარია, აღაპეზი, გვ. 28.

<sup>24</sup> ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

<sup>25</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 334.

<sup>26</sup> ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

<sup>27</sup> აძიკვის ეკლესია მანგლისთან, სოფ. გონარის მიდამოებში მდებარეობს.

<sup>28</sup> ნ. ბერიძენიშვილი, აძიკვის წარწერის გამო, გვ. 280.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 278; ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, გვ. 25—26.

„...ბეშქენი ყველაზე უფრო ჭაყელთა გვარში გავრცელებული სახელი იყო, მაგრამ ის სხვა გვარებშიც გვხვდება (ვარდანიძეებში, შვეციისძეებში, კილასძეებში და სხვა)“<sup>30</sup>.

ჭაყი სამცხეში, ახალციხის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. აქვე გადიოდა სამცხე-არტანის გზა<sup>31</sup>. ცნობილი იყო არსიანის მთებიდან გამომავალი ჭაყისწყალი<sup>32</sup> და ციხე<sup>33</sup>, რომელიც ჭაყელთა საკუთრებას შეადგენდა, ჭაყელთა გვარი საკმაოდ ძლიერია იყო საქართველოში.

სახელი „ბეშქენი“ გეოგრაფიული პუნქტის აღსანიშნავადაც გვხვდება და ნიშანდობლივია, რომ ისევე თრიალეთში. წალკის ჩრდილოეთით, მდ. ბეშქენაშენის-წყლის ნაპირზე მდებარეობდა სოფ. ბეშქენაშენი. თუმცა. პირველად სოფლის სახელი 1392 წ. დაწერილ სიგელში შეგვხვდა<sup>34</sup>, მაგრამ ეს სოფელი რომ XI ს-ზე ადრეც არსებობდა ირკვევა ბეშქენაშენში არსებული ეკლესიებით<sup>35</sup>. სოფლის სახელი შევიდა ქართულ ფოლკლორშიც<sup>36</sup>.

შეიძლება ხალხურ გადმოცემებში შემონახულიყო რაიმე საყურადღებო ცნობა. მაგრამ, თრიალეთ-წალკის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დიდი ცვლილებების გამო, ამასაც მოკლებული ვართ<sup>37</sup>.

სახელი „ბეშქენი“ ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში. რამდენჯერმეა ის დამოწმებული კორიდეტის სახარების მონაწერებში<sup>38</sup>. საგულისხმოა, რომ ორ მინაწერში ერთსა და იმავე პიროვნებას ეწოდება როგორც „ბეშქენი“, ასევე — „ბექა“<sup>39</sup>. შეიძლება ვიკითხოთ: რა მიმართებაშია ერთმანეთთან სახელები „ბეშქენი“ და „ბექა“?

30 ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

31 იხ. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. გვ. 92—93.

32 ე ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 126.

33 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 94, 105.

34 ქრონიკები, II, გვ. 196.

35 Е. Такайшвили. Археологические экскурсии, IV, გვ. 15. შდრ. თ. ტატიშვილი, მასალები, გვ. 55—56.

36 იხ. ზ გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, გარდაბნისა და გაჩიანის საერისთაონი.

37 ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტომონიმიკის შესწავლისათვის, გვ. 29.

38 Н. Мапр, Грузинские приписки, გვ. 223, 225, 228, 238.

39 იქვე, გვ. 226.

ხშირად გვხვდება „ბეშქენი“ აღაპებში<sup>40</sup>. ე. მეტრეველის აზრით აღნიშნულ აღაპებში მოხსენებული პირები XIII—XIV სს. ცხოვრობდნენ.

საქართველოში ამ სახელს ჩვეულებრივ საზოგადოების სოციალურად მაღალი ფენების წარმომადგენლები ატარებდნენ. ასეა უმრავლეს შემთხვევაში. თუმცა, ზოგჯერ „ბეშქენი“ დაბალ სოციალურ ფენებშიც გვხვდება, მაგრამ შეცვლილი ფორმით. ასე, 1513 წ. ამილახორი თაყა სამთავისის საყდარს სწირავს სოფ. ნადარბაზევს და საამისო სიგელში წერს: „დავადგინეთ მწირველად და მეეკუდრედ ბეშქენას ძე მოძღუარი მარკოზ“<sup>41</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.). როგორც ვხედავთ, აქ „ბეშქენის“ ნაცვლად ნახმარია „ბეშქენა“.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მხოლოდ ოთხჯერ არის დამოწმებული აღნიშნული სახელი. აქედან, ორჯერ „ბეშქენა“-ს ფორმით, თითოჯერ — „მაცაცა ძე ბიშქან“ და „მერაბა ძე ბშქნ“-ის ფორმით. საყურადღებოა, რომ ორ უკანასკნელსაც ს. ჯიქია კითხულობს როგორც „ბეშქენა“<sup>42</sup>.

დამოწმებული მასალა (მისი გაზრდა თავისუფლად შეიძლება) საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ სახელი „ბეშქენი“ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. ამის შემდეგ საფუძველსმოკლებული ჩანს ვ. მინორსკის სიტყვები, რომ თითქოს ეს სახელი იშვიათი იყოს საქართველოში<sup>43</sup>. მართალია, ავტორის ეს დასკვნა „ქართლის ცხოვრების“ მასალებს ეყრდნობა, მაგრამ იქაც სახელი „ბეშქენი“ იშვიათი არ არის.

აღმოსავლურ წყაროებში „ბეშქენი“ შეცვლილი ფორმით გვხვდება ხოლმე. ზოგჯერ არის „ბიშქინ“ ზოგჯერ „ფიშქინ“, და „ფიშთექინ“. ამის გამო ი. პეტრუშევსკი აღნიშნავდა, რომ „ფიშთექინი“ ქართული სახელის „ბეშქენის“ ან „ფიშქინის“ თურქუ-

40 ე. მეტრეველი, მასალები; ტექსტები, გვ. 72 (აღაპის № 10), 75 (№ 65), 84 (№ 60), 89 (№ 113), 92 (№ 140): კომენტარები გვ. 134 (№ 60), 148 (№ 113), 154 (140), 177 (№ 307). შღრ. ნ. შარია, აღაპნი, გვ. XIV, XXV! (აღაპი № 7), XXVII (№ 46), 28 (№ 110), 76 (№ 302).

41 ქრონიკები, II, გვ. 332.

42 مرايه ولد بشكن، ماساسا ولد بيشكان، بشكنه — იხ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქ. ტექსტ., გვ. 263, 456, 472, 479; თარგმანი, გვ. 258, 446, 478.

43 „But even in Georgia this name is very uncommon“. — V. Minor sky, The Georgian maliks, გვ. 870.

ლი ენის გავლენის შედეგად შეცვლილი ფორმა არისო<sup>44</sup>. შევნიშნავთ, რომ ქართულ სინამდვილეში არ შეინიშნება სახელი „ფიშქინი“, გვხვდება მხოლოდ „ბეშქენი“. ასე, რომ ი. პეტრუშევსკის შენიშვნა შესწორებას და დაზუსტებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა აღინიშნოს, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იცნობს მხოლოდ „ბეშქენ“ ფორმას და არა „ფიშქინს“

თურქ-სელჩუკების გაბატონებამ მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში. „ირანელი ფეოდალების მიწაწყლის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულ-მომთაბარულმა არისტოკრატამ იგდო ხელთ. ასევე მოხდა შუა აზიაში, ერაყში, მცირე აზიაში და საზოგადოდ, ყველგან, სადაც მათ გაბატონება შესძლეს“<sup>45</sup>. მოხდა მიწის ფონდის გადანაწილება. ამან გამოიწვია ის, რომ „ამიერიდან გაბატონებული, ფეოდალური კლასის მთავარსა და წამყვან ჯგუფს წარმოადგენდნენ თურქი ამირები“<sup>46</sup>. ირანის საზოგადოებაში ასეთ სოციალურ ცვლილებებს დიდად შეუწყობდა იკტას ფეოდალურმა ინსტიტუტმა. იკტა ახალ პირობებში მეტად მოხერხებული ფორმა აღმოჩნდა მიწის ფეოდალური ექსპლოატაციისათვის. მისი საშუალებით თურქული სამხედრო არისტოკრატია ახერხებდა მიეღო მიწის კუთვნილი ნაკვეთიდან ყველაფერი ისე, რომ თვითონ არ ეწარმოებინა მეურნეობა. პირველ ხანებში მაინც მომთაბარე თურქ-სელჩუკებს უბრალოდ არ შეეძლოთ. მათ არ იცოდნენ მიწის დამუშავება და მეურნეობის წარმოება. ამიტომ „იკტაში თურქ-სელჩუკები ხედავდნენ სისტემატური და შექცეული შემოსავლის საუკეთესო ფორმას“<sup>47</sup>.

თურქული მომთაბარე სამხედრო არისტოკრატია ირანელ ფეოდალებს, დეჰყანებს საკუთარ მტრად მიიჩნევდა. ამიტომ იგი ცდილობდა ყოველმხრივ შეევიწროებინა ეს უკანასკნელნი. ზელჩუკები ცდილობდნენ ძველი, ირანელი ფეოდალების ადგილზე თავისი ერთგული და მათ სამსახურში მყოფი უცხო წარმოშობის პირები დაესვათ.

44 И. Петрушевский, Бешкениды-Пиштегиниды, გვ. 590.

45 ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი X—XI საუკუნეებში, გვ. 129.

46 იქვე, გვ. 130.

47 იქვე, გვ. 131; შტრ. Б. Якубовский, Вопросы периодизации, გვ. 37, 39—40.



თურქ-სელჩუკებმა ომების შედეგად აუარებელი ტყვე იგდეს ჩელთ. მათგან მრავალი დამპყრობლების სამსახურში დგებოდა. ხშირად ერთგული სამსახურის, საკუთარი ნიჭისა და უნარის წყალობით ყოფილი ტყვე თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში დიდ წარმატებას აღწევდა. *სიასეთ-ნამე ტყვე-ღულამის* კარიერის ზრდის პირობებს სპეციალურად განსაზღვრავდა. ახალ *ღულამს* ერთი წლის განმავლობაში ცხენზე ჯდომის უფლება არა ჰქონდა, მას ქვეითად უნდა ემსახურა. ერთი წლის შემდეგ მას ეძლეოდა ცხენი უბრალო მოკაზმულობით. მეხუთე წელს — საუკეთესო უნაგირი, მოსირბული აღვირი და სხვ., მეშვიდე წელს — ერთგუმბათიანი კარავი, სამი მონა და სხვ. ამრიგად, ყოველწლიურად იზრდებოდა მისი დაფასება, რაშიც, წოდება მაგრამ ვიდრე არ მიაღწევდა 37 წლის ასაკს მას არ ეძლეოდა მიწის ნაკვეთი<sup>45</sup>.

სელჩუკების სამსახურში აღზევებული პირები იკტას საფუძველზე ლებულობდნენ მიწის ნაკვეთებს, ხშირად კი მთელ ოლქებს. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება უნდა ყოფილიყო ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდის წინაპარი, საქართველოში დატყვევებული (საძცხელი?) დიდებული.

მუჰამედ ნესაეცს თანახმად ალფ არსლანის ტყვე ნუსრათ ალ-დინის პაპა (ჯადდ) ყოფილა. ვ. მინორსკი მართებულად შენიშნავს, რომ ეს არ უნდა იყოსო სწორი, და აი რატომ.

ცნობილია ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდის მამის, ბიშქინ ბ. მუჰამედის მონეტები (587—607/1191—1210-11 წლებში მოჭრილი)<sup>46</sup>. ალფ არსლანმა საქართველო პირველად 1064 წ. დალაშქრა, ამრიგად, შეუძლებელია ნუსრათ ალ-დინის პაპა მუჰამედი, ბიშქინის მამა, დინასტიის ფუძემდებლად მივიჩნიოთ. რადგანაც, ამ შემთხვევაში, ბიშქინსა და მუჰამედს — მამასა და შვილს შორის — ინტერვალი 127 წელიწადს შეადგენს. ეს კი ჩვეულებრივ, ბუნებრივ ფარგლებს დიდად სცილდება. ცხადია, რომ მუჰამედსა და ალფ არსლანის ტყვეს შორის უნდა არსებობდეს ბეშქენიანთა დინასტიის კიდევ ერთი, დამაკავშირებელი წევრი. ასეთი პიროვნება უნდა იყოს იმად ალ-დინ ისპაჰანის „სელჩუკთა ისტორიის“ ბუნდარისეულ შემოკლებაში დამოწმებული ამირა ბიშქინი. მამასა-

<sup>45</sup> სიასეთ-ნამე, გვ. 133—134, რუს. თარგმ., გვ. 110—111.

<sup>46</sup> ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 871. ავტორი რატომღაც 1198 წ. აღნიშნავს.

დამე, ნესავისთან არსებული „პაპა“ უნდა გავიგოთ როგორც „წინაპარი“<sup>50</sup>.

მკვლევართა შორის იმად ალ-დინ ისპაჰანისთან დამოწმებული ამირა ბიშქინის ქართული წარმოშობა ექვეს არ იწვევს. კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რომ ამირა ბიშქინს ჰყოლია ვაჟი მუჰამედი<sup>51</sup>. ამრიგად, გენეალოგიური ჯაჭვი ასე იკვრება: ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინ ბ. მუჰამედ ბ. ბიშქინი. მაგრამ, ალფ არსლანის ტყვე უკანასკნელი ბიშქინი მაინც არ უნდა იყოს, რადგანაც 1132 წ. (იხ. ქვევით) იგი ღრმა მოხუცი იქნებოდა და მისგან ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობა და მით უმეტეს თავის გამოჩენა თითქოს ნაკლებ სავარაუდოა.

ამირა ბიშქინი აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანის და ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მან თავი გამოიჩინა 1132 წ. ივლისში ჰამადანთან გამართულ ომში, სადაც სულთან თორღული (1132—1134) მალიქ დაუდის და აყსონყორ აჰმადილიანის დაჯგუფებას ებრძოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამირა ბიშქინი აყსონყორ აჰმადილიანის მოწინააღმდეგე ბანაკში იმყოფებოდა.

ჰამადანის ბრძოლაში სულთან თორღულის კოალიციამ გაიმარჯვა. გამარჯვების აღსანიშნავად პოეტმა იმად ლაზნევიმ სულთანს სახოტბო ლექსი უძღვნა, სადაც სხვათა შორის შექცეულია ამირა ბიშქინიც ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის<sup>52</sup>.

მაგრამ, ათაბაგ აყსონყორი და მალიქ დაუდი ბრძოლას განაგრძობდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ჰამადანთან დამარცხების შემდეგ აყსონყორმა ბაღდადს შეაფარა თავი და შემდეგ, ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში, 1133 წ. დაუდთან ერთად აზერბაიჯანისკენ დაიძრა (იხ. ზევით გვ. 149).

აქ, სულთან-თორღულის ბანაკში არიან ამირა ბიშქინი და ყარა-სონყორი. ეს უკანასკნელი ქ. ზენჯანში გამაგრდა, ხოლო ბიშქინი სხვა ამირებთან ერთად — არღებილში. აყსონყორმა არღებილს

50 შღრ. ვ. მინორსკი, იქვე.

51 ა. ქენსრაფი, შაჰირაან-ი გუმ-ნამ, II, გვ. 118; К. Чайкин. Ильдегизиды, Аксонкориды и Мангуджакиди, გვ. 37.

52 „ბიშქინის შესახებ, ქვეყნას შემწე რომ არის, მსმენია/ რომ ერთი შეტევით ორი მხარე ერთმანეთს შეენარცხა“ از بیشکین که بهلو گیتی است  
شکست ای دو کشوو در یکدگر شکست  
შაჰირაან-ი გუმ-ნამ, II, გვ. 117—118.

აღყა შემოარტყა. ამჯერად გამარჯვება ათაბაგ აყსონყორის კოალიციას ხვდა წილად. ამირა ბიშქინმა აღყაშემორტყმულ ქალაქს თავი კი დააღწია, მაგრამ შექმნილი ვითარება ომ მისთვის საზიანო იყო. ეს ცხადია. თუმცა, მალე ათაბაგ აყსონყორის სიკვდილით ბიშქინის მდგომარეობა ისევ გაუმჯობესდა.

ბეშქენიანთა საამიროს ჩამოყალიბების თარიღი უცნობია. რა თქმა უნდა, აღნიშნულ პოლიტიკურ სიტუაციაში შეუქლებელიც, იყო მყარი სამფლობელოს შექმნა. ყოველ შემთხვევაში, არსებული მასალა შესაძლებლობას გვაძლევს დაახლოებით მაინც გავითვა-ლისწინოთ საამიროს ტერიტორია.

ნესავიდან ვიცი, რომ ბეშქენიანები ფლობდნენ ქალაქების აპარის და ვარავის ოლქებს. იაკუთი ადასტურებს ამ ცნობას და დამატებით დასძენს: „უნარი... პატარა ქალაქი, მდიდარი წყლებითა და ბაღებით, აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქში. მასა და არდაბილს შორის 7 ფარსახია მთაში [სავალი]. არდაბილში ხილი უმთავრესად აქედან შეაქვთ. ითვლება ბიშქინის აპრუსა და ვარავის მფლობელის გამგებლობაში. მე მინახავს იგი“<sup>53</sup>. ჯალალ აღ-დინის დროს, როგორც ირკვევა, ისინი ფლობდნენ ქ. სარაბსაც.

ჰამდალამ ყაზვინის თანახმად ქ. ვარავს შემდგომში ბიშქინი (მიშქინი) ეწოდებოდა. ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს, რომ რაშიდ აღ-დინის ცნობით, მონღოლთა დაპყრობების პერიოდში ქალაქი უკვე ატარებდა ბიშქინის სახელს. მაგრამ, უშუალოდ მათი შემოსევების წინ ქალაქი ჯერ კიდევ ძველი სახელით იყო ცნობილი. იაკუთი წერს: „ვარავი... პატარა ქალაქი სასიამოვნო, მრავალსიკეთიანი და წყლებიანი, აზერბაიჯანის მთებში არდაბილსა და თაბრანს შორის. იგი იბნ ბიშქინის, ამ მხარის ერთ-ერთი ამირას ვილაიეთია. მე ვნახე იგი... მასა და აპრს შორის ერთი სავალია“<sup>54</sup>.

ვარავი (ბიშქინი) ვილაიეთის მთავარი ქალაქი ყოფილა. მონღოლების დროსაც ბიშქინი (მიშქინი) ადმინისტრაციული ერთეულის — თუმნის ცენტრალური ქალაქი იყო. ჰამდალამ ყაზვინი აღწერს ამ ვილაიეთს: „ფიშქინის (მშქინ, მრშქინ) თუმანში შეიღი ქალაქი შედის: „ფიშქინი, ხნავი, ანადი, ვრჯაყი, შპარი, თ. ქ. ლჭე, ქ.ლ.ნ.ბ.რ. პირველად ვარავი ეწოდებოდა, როდესაც ფიშქინ ქართველი (پيشكين گرجي) იმ ადგილის მმართველი (ჰაქემ) გახდა (შემდეგ) ეს (სახელი — ფიშქინ) ეწოდა... მარცვლეულით და ხილით მდიდარია. აქაური ხალხი (აქლ) შათის, ზოგიერთი ჰანიფის და

53 ააკუთი, გვ. 19.

54 იქვე, გვ. 89.

ნაწილი შიეს მიმდევრები არიან. მისი დივანის შემოსავალი 5200 დინარია... ანადი და არჯაყი ორი დაბაა (კასაბა). ანადი ფირუზ ბ. იეზდიგერდ ბ. ბაპრამ გურ სასანელმა ააშენა, არჯაყი — მისმა ვაჟმა კუბად ბ. ფირუზმა. ორივეს ჰავა ზომიერია, წყალი საბალანის მთიდან მოედინება, კარგი და ვრცელი ბაღები აქვთ... აპარი პატარა ქალაქია, მისი ჰავა ცივია... ვილაიათი დაახლოებით ოც სოფელს შეიცავს... ქლნბრი დაბაა, ტყეებს შორის მოთავსებული და მალალ-მთიანი ადგილია... ძლიერი ციხე აქვს<sup>55</sup>.

ქ. აპარს იაკუთიც აღწერს: „აპრუ... ქალაქი დასახლებული და მრავალსიკეთიანი, მიუხედავად იმისა, რომ დაბლობშია. მდებარეობს აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქში არდაბილსა და თაბრიზს შორის. უწოდებენ მის ემირს იბნ ბოშქინს. გამოვიდა აქედან მრავალი ჭაკოპი და მუჰადდასი. მასა და ვარანვის, მეორე ქალაქს შორის ორი დღის სავალია“<sup>56</sup>.

ქ. ბიშქინი დღესაც არსებობს მიშქინის სახელწოდებით. იგი მდებარეობს არდებილის დასავლეთით დაახლოებით 70 კმ-ის დაშორებით<sup>57</sup>. ქალაქს ახასიათებს ლე სტრენჯიც და შეცდომით აღნიშნავს, რომ სახელი ქალაქმა იმ დინასტიისგან მიიღო, რომელიც აქ XIV ს-ში მართავდა<sup>58</sup>.

ჰამდალაჰ ყაზვინის აღწერიდან საყურადღებო ის ირკვევა, რომ ბეშქენიანთა სამფლობელო განვითარებული მიწათმოქმედების რაიონში მდებარეობდა. გაურკვეველია მთლიანად ფლობდნენ თუ არა ბეშქენიანები ფიშქინის თუჰანს; სავარაუდოა, რომ ასე იყო, რადგანაც ჩანს, რომ ეს მხარე ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, ფიშქინის თუშნის დიდ ნაწილს ბეშქენიანები ფლობდნენ. ზემოხსენებული ქ. სარაბიც არდებილ-თავრიზის გზაზე მდებარეობდა, ვარავის დასავლეთით.

ამრიგად, ბეშქენიანთა საამირო თავრიზისა და არდებილის ოლქებში მდებარეობდა და საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას მოიცავდა<sup>59</sup>. როგორც ირკვევა, ბეშქენიანებს იმდენი ძალა და უნარი შესწევდათ, რომ მათ დამოუკიდებელი მმართველობა (ცხადია, რომელიმე „უზენაესი“ ხელისუფლების სიუზერენობის აღიარებით)

<sup>55</sup> ჰამდალაჰ ყაზვინი, ნუჰათ ალ-ყულუბ, გვ. 82—84.

<sup>56</sup> აკუთი, გვ. 19.

<sup>57</sup> იხ. И. Огранович, Провинции Персии, გვ. 174—183.

<sup>58</sup> G. Le Strange, The Lands, გვ. 169.

<sup>59</sup> შტრ. ე. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 869.

შეინარჩუნეს იმ რაიონში, სადაც ჯერ რაევდიანები ბატონობდნენ, შემდეგ აჰმადილიანები და ბოლოს ელდიგუზიანები.

ბეშქენიანთა საამირო ორგანულად იყო დაკავშირებული სამხრეთ აზერბაიჯანის სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. იგი წარმოადგენდა სავსებით ჩამოყალიბებულ ფეოდალურ სამთავროს, რომელიც საკუთარ პოლიტიკას ატარებდა. ის ფაქტი, რომ ბეშქენიანები კრიდნენ საკუთარ მონეტას, კარგად ახასიათებს მათ პოლიტიკურ მდგომარეობას საერთოდ და ელდიგუზიანებთან დამოკიდებულებაში კერძოდ.

ბეშქენიანთა მონეტების უმრავლესობა დაცულია ლენინგრადში, სახელმწიფო ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ განყოფილებაში. ა. მარკოვის კატალოგით ცნობილია ბეშქენიანთა 23 მონეტა. როგორც ირკვევა, მათვე ეკუთვნით ა. ფრენის მიერ გამოქვეყნებული ელდიგუზიან ათბაგ უზბეგის უცნობი ვასალის მიერ 614/1217—18 წ. მოჭრილი მონეტა; მასზე წარწერილია ხალიფა ნასირის, უზბეგის და, როგორც ი. პეტრუშევსკი ამტკიცებს, ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ფიშქინ ბ. მუჰამედის სახელები<sup>60</sup>. მართლაც, ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ განყოფილებაში დაცულ რ. ფაშაშერის ხელნაწერ კატალოგში აღნუსხულია 24 მონეტა. გარდა ამისა, ბეშქენიანთა მონეტების ორი ეგზემპლარი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში<sup>61</sup>.

ბეშქენიანთა მიერ მოჭრილი, ჩვენთვის ცნობილი ყველა მონეტა სპილენძისაა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან მცირე პოლიტიკური ერთეულების გამგებლებს მხოლოდ სპილენძის ფულის მოჭრის უფლება ჰქონდათ. მაგრამ, ისიც უნდა გაეთვალისწინოთ, რომ, საერთოდ ამ პერიოდში, ვერცხლის მონეტის მოჭრა სხვა სინელებთანაც იყო დაკავშირებული.

ცნობილია, რომ XI ს. შუა წლებიდან დაწყებული, ვერცხლის კრიზისთან დაკავშირებით, ვერცხლის მონეტა მცირე რაოდენობით იჭრება; იგი თანდათან გადის მიმოქცევიდან, მცირდება მისი სინჯი, იზრდება ლიგატურა. ხოლო XII ს. დასაწყისიდან გაფუჭებული ვერცხლის მონეტაც კი იშვიათი იყო ბრუნვაში. ჩვენ არ შეგვხვებით ვერცხლის კრიზისის პრობლემას აღმოსავლეთში<sup>62</sup>. აღვნიშ-

60 ი. პეტრუშევსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 593.

61 საყურადღებოა, რომ მ. სეიფედინი ასახელებს ბეშქენიანთა კიდევ რამდენიმე მონეტას, რომლებიც, ავტორის თანახმად, მოსკოვისა და თბილისის მუზეუმებში ინახება. იხ. М. Сеифеддин, Нумизматические материалы т. 49—52.

62 საკითხი არ არის საბოლოოდ შესწავლილი; გაურკვეველია თვით კრიზისის გამომწვევი მიზეზებიც კი. შტრ. М. Федоров, К вопросу о „серебряном кризисе“.

ნავთ მხოლოდ, რომ ასეთ პირობებში ბეშქენიანთა მიერ მხოლოდ სპილენძის მონეტის მოჭრის ფაქტით, ალბათ, არ უნდა განვსაზღვროთ ბეშქენიანი ამირების პოლიტიკური უფლებამოსილება.

ნუმიზმატიკური მასალა ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ბეშქენიანთა ისტორიის შესასწავლად. მონეტების უმრავლესობა მრგვალი ფორმისაა, თუმცა გვხვდება სხვა ფორმის მონეტებიც. ასევე, უმეტესი მათგანი წესიერად არის მოჭრილი. უწესოდ მოჭრილია ოთხი მონეტა 24-დან. მაგრამ, ამ მსრივ, ბეშქენიანთა მდგომარეობა ამიერკავკასიის სხვა პოლიტიკური ერთეულების სამონეტო საქმესთან შედარებით, თითქოს, ცუდად არ გამოიყურება.

უწესოდ მოჭრილი მონეტები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ელდიგუზიანების, შარვანშაჰების და, ყველაზე მეტად, დარუბანდის ამირების მიერ მოჭრილ მონეტებში<sup>63</sup>. ბეშქენიანთა ყველა მონეტა თითქმის ერთი და იგივე დიამეტრისაა. 24 მონეტიდან ექვსი 30 მმ დიამეტრის არის, ოთხი — 31 მმ-ის, ორი — 31,5 მმ-ის, ორი — 32 მმ-ის და ოთხი 29 მმ დიამეტრის მქონეა. ყველაზე დიდი, 33 მმ დიამეტრის მონეტა მოჭრილია ნუსრაათ ალ-დინ მაჰმუდის მიერ ჯალალ ალ-დინის სახელზე. შეიძლება ნუსრაათის მიერ ოდნავ უფრო დიდი მონეტის მოჭრა გამოწვეული იყო ხორეზმშაჰის მას-დაში კეთილი განწყობილებით. ყველაზე მცირე ზომის მონეტა კი 28 მმ დიამეტრის არის, ფიშქინ ბ. მუჰამედის მიერ მოჭრილი, ისიც ერთი ცალი.

ასეთივე მდგომარეობაა მონეტების წონაშიც; ყველაზე მსუბუქი მონეტა 14,58 გრ. იწონის, ყველაზე მძიმე — 18,13 გრ; 16 გრ. იწონის რვა მონეტა, ხოლო დანარჩენი რვა — 17 გრ. ბეშქენიანების ზარაფხანა აპარში მდებარეობდა.

აღნიშნული დამახასიათებელი ნიშნები, ჩვენი აზრით, ბეშქენიანთა სამფლობელოში სამონეტო საქმის მაღალ კულტურაზე უნდა მიუთითებდეს.

ნუმიზმატიკური მასალით შესაძლებელი ხდება ბეშქენიანთა დინასტიის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გარკვევა. ბრიტანეთის მუზეუმის მონეტის პირზე აღნიშნულია ხალიფა ნასირის (1180—1223) სახელი; ზურგზე — ათაბაგ აბუ ბაქრ ბ. მუჰამედ ფაჰლავან ბ. ელდიგუზის (1191—1210)<sup>64</sup>, და მალიქ ალ-უმარა ბიშქინ ბ. მუ-

<sup>63</sup> Е. Пахомов. Монеты Грузии, гл. 79—80; მისივე. О дербендском княжестве, гл. 2. ბეშქენიანთა მონეტების ფაქტობრივი და შედარებით ვრცელი დახასიათება იხ. ჩვენს წერილში—მასალები.

<sup>64</sup> ბოსვორთის მიხედვით 591—607/1195—1210 წწ. იხ. С. Bosworth, The Islamic Dynasties, გვ. 123.

ჰამედის სახელი. თარიღიდან იკითხება მხოლოდ *თის'ინ* (ოთხ-მოცდაათი); მაშასადამე, მონეტა მოჭრილია 590—599/1194—1203 წლებს შორის რომელიმეში. მეორე მონეტას იგივე პირი აქვს, ხოლო ზურგზე წარწერილია ორი სახელი: *ათაბაგ ალ-მალიქ ალ-აშამ უზბეგ ბ. მუჰამედ* (607 — 622/1210 — 1225) და *მალიქ ალ-უმარა ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინ ბ. მუჰამედ*<sup>65</sup>. როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილია ბეშქენიანთა სამი თაობა, და არა „სრული რიგი“, როგორც ვ. მინორსკი აღნიშნავდა<sup>66</sup>. ამ რიგის აღმავალი ნაზით შევსება შესაძლებელია შემოსხენებული ამირა ბიშქინით, რომელიც მუჰამედის მამა უნდა იყოს<sup>67</sup>.

ერმიტაჟის ბეშქენიანთა მონეტების კოლექციიდან პირველი ექვსი მონეტა ფიშქინ ბ. მუჰამედის მმართველობის დროს არის მოჭრილი ქ. აპარში. ერთ მათგანზე გაირჩევა თარიღი — 594/1197—98 წ. და ელდიგუზიან ათაბაგის აბუ ბაქრის (1191—1210) სახელი. ა. მარკოვის განსაზღვრით ისინი მოჭრილია 587—607/1191—1210 წწ. შორის<sup>68</sup>. აპარშია აგრეთვე მოჭრილი ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინის სახელით მონეტები. ერთ-ერთ მათგანზე იკითხება თარიღი 612/1215—16 წ. და ათაბაგ უზბეგ ბ. მუჰამედის სახელი არის აგრეთვე აპარშივე 6(2)3/1226 წ. ხორეზმშაჰ ჯალალ ალ-დინ მანქტურნის სახელზე მოჭრილი მონეტები<sup>69</sup>.

ნუმიზმატიკური მასალა ბეშქენიანთა საამიროს პოლიტიკური სტატუსის საკითხსაც აშუქებს. ირკვევა, რომ ისინი ელდიგუზიანთა სახელმწიფოს სიუზერენობას აღიარებდნენ. ამავე დროს, ბეშ-

<sup>65</sup> St. Lane-Pool, Catalogue of Oriental coins, გვ. 250. აღნიშნულ კატალოგში დასახელებული მონეტების ნომრებია 689 და 690. № 690 მონეტის პირის წარწერაში ავტორი კითხულობს ხაღდა ალ-ნასირის (1180—1225), ხოლო ზურგის წარწერაში — „ნუშქინ ბ. მუჰამედ“ (نوشكين بن محمد) სახელებს.

<sup>66</sup> „Here we have the complete series of the Georgian rulers of Meshkin“ — მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 870.

<sup>67</sup> ა. ქესრავე ამას პირდაპირ აღნიშნავდა და დასძენდა, რომ მამა-შვილს „გრძელი ამავეი აქეთო“, რომლის მოთხრობასაც იგი ცალკე გვიპირდებოდა:

این امیر بیشگین و پسرش محمد داستان درازی دارند ما در یکی از کتابهای این بخشهای این کتاب یاد خواهیم کرد. რამდენადაც ნიციტ ავტორმა ეგრ შეასრულა ეს დაპირება. ჩვენთვისაც ეს „გრძელი ამავეი“ უცნობია, ჭერჭერობით მაინც.

<sup>68</sup> A. Марков, Инвентарный каталог, გვ. 433—434.

<sup>69</sup> იქვე.

ქენიანებმა რომ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს საკუთარი სამფლობელო ეს აშკარად მოწმობს საამიროს ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალთა სიცოცხლისუნარიანობას.

აღსანიშნავია, რომ ელდიგუზიანთა სახელმწიფოს დაშლის (1225 წ.) შემდეგაც ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინის პოლიტიკური როლი, და გავლენა სამხრეთ აზერბაიჯანში არ შესუსტებულა. იგი აქტიურ როლს თამაშობს მაშინდარე პოლიტიკურ ამბებში, რომლებშიც — შეგვიძლია დავასკვნათ — ნუსრათ ალ-დინს არ ღალატობდა პოლიტიკური აღლო.

ნესავე გადმოგვცემს, რომ 1227 წ. ჯალალ ალ-დინის ვეზირ შარაფ ალ-მულქსა და ათაბაგ უზბეგის მამლუქ ბულდაის შორის დიდი მტრობა იყო. როგორც ირკვევა, ბულდაი თავგამოდებით ებრძოდა ელდიგუზიანთა სახელმწიფოში, კერძოდ აზერბაიჯანში, ხორეზმელთა გაბატონებას. ჯალალ ალ-დინის შემოსევის შემდეგ მან შამის ქვეყანას შეაფარა თავი. შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანში სრული პოლიტიკური ქაოსი გამეფდა ბულდაიმ სცადა „გაემარგებინა ათაბაგების სახელმწიფოს დარღვეული ჯებირი“. როდესაც ბულდაი კაპანის დამოუკიდებელ ამირებს დაუკავშირდა და ისინი ხორეზმშაჰის ვეზირის წინააღმდეგ და ელდიგუზიანთა სახელმწიფოს აღსადგენად ბრძოლისათვის დაითანხმა, აზერბაიჯანში შარაფ ალ-მულქის ხელისუფლებას საფრთხე შეექმნა. ამავე დროს, ბულდაი ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინს დაუკავშირდა და მას ხორეზმელთა წინააღმდეგ კავშირი შესთავაზა. ნუსრათმა სიამოვნებით მიიღო ბულდაი და მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა; მაგრამ, ამავე დროს, მან შარაფ ალ-მულქს საიდუმლოდ აცნობა ბულდაის გეგმები და საქმის ვითარება.

სულთნის ვეზირმა ნუსრათ ალ-დინს მიანდო გამწვავებული სიტუაციის მოწესრიგება და მას თავისი სახელით მოქმედების უფლება მისცა. ნუსრათმა მრავალი იტკასა და უხვი საჩუქრების დაპირებით შეძლო მამლუქ ბულდაის დაყოლიება და იგი შარაფ ალ-მულქის ერთგულებაზე დააფიცა. ამის შემდეგ ორივე სულთნის ვეზირთან გამოცხადდნენ, რომელიც მდ. არეზის ნაპირას იყო დაბანაკებული. შარაფ ალ-მულქმა დაპირებისამებრ უხვად დაასაჩუქრა ბულდაი.

ამგვარად, შარაფ ალ-მულქს მიეცა მოქმედების თავისუფლება და იგი ნუსრათ ალ-დინთან და ბულდაისთან ერთად ალ-მალქ ალ-აშრაფ მუსა აიუბიანის ჰაჯიბის წინააღმდეგ. დიძრა საბრძოლველად. ქ. ხოის მიდამოებში პირველსავე შეტაკებაში დამარცხე-



ბულმა ქაჯიბმა ალიმ ქ. ბერჯის ციხესიმაგრეს შეაფარა თავი, საბოლოოდ ბრძოლა შარათ ალ-მულქის გამარჯვებით დამთავრდა.

ამჟამად, რომ ყოველივე ამის შემდეგ ხორეზმშაჰის ვეზირის მხარდაჭერით ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინი კიდევ უფრო განიმტკიცებდა პოლიტიკურ აქციებს აზერბაიჯანში<sup>70</sup>.

აღსანიშნავია, რომ ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინი თავიდანვე არ იდგა აზერბაიჯანში შარათ ალ-მულქის პოლიტიკის მიმდევართა თუ ხელშემწყობთა რიგებში. ასე, როდესაც ჯალალ ალ-დინმა თავისი ვეზირი აზერბაიჯანის მმართველად დატოვა, და როდესაც შარათ ალ-მულქმა მოელი თავისი ძალები ელდიგუზიანთა სახელმწიფოს ურჩი ციხესიმაგრეების და დიდმოხელეთა დასაპყრობად დასამორჩილებლად მიმართა, ამ ბრძოლის დროს ზოგიერთმა ასეთმა დიდმოხელემ ნუსრათ ალ-დინის მამულში ჰპოვა თავშესაფარი. ასეთი იყო, მაგალითად ელდიგუზიანთა დიდი ქაჯიბი ნასირ ალ-დინ მუჰამედი<sup>71</sup>.

როგორც ვნახეთ, წინარე ხანის ბეშქენიანებიც (ამირა ბიშქინის მაგალითი) არ იფარგლებოდნენ ვიწრო, ლოკალური პოლიტიკური მიზნებით. ისინი ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და საკუთარი მიზნების გათვალისწინებით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის (მაგ. სულთნის ტახტისთვის ბრძოლა) გადაწყვეტაში.

ბეშქენიანთა ტიტულატურაზე დაკვირვებაც გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს. ზემოთ დამოწმებული იყო, რომ ჰამდალაჰ ყაზვინი ფიშქინ ქართველს ქ. ვარავის ქაქიმს უწოდებს. ამის საფუძველზე ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს, რომ ქაქიმი აქ უეჭველად ნახმარია მემკვდრეობითი მფლობელის მნიშვნელობით<sup>72</sup>. ჩვენი აზრით კი, ტერმინი სწორედ რომ ზოგადი, საერთო მნიშვნელობით („მმართველი“) არის ნახმარი. თავისთავად საეჭვოა, რომ პირველი ბეშქენიანისათვის სამემკვიდრეოდ ებოძებინათ მიწა-წყალი; ნიშანდობლივი ის არის, რომ მან

<sup>70</sup> Б е с а в и, გვ. 186—187, რუს. თარგმ., გვ. 212—215.

<sup>71</sup> Б е с а в и, რუს. თარგმ., გვ. 204.

<sup>72</sup> «... термин «хаким» в данном случае употреблен, несомненно, в значении наследственного владельца, подобно тому, как хакимами персидские историки именовали и сюзеренов Пишкина и Ахара — Азербайджанских атабеков ильдегизидов». — И. Петрушевский, Бешкениды-Пиштегиниды, გვ. 588.

სამართავად, იქტად მიიღო ვარავისა და აპარის ოლქები. საყურადღებოა, რომ დინასტიის სწორედ გვიანდელი წევრები უწოდებდნენ თავიანთ თავს *მალიქებს*. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წყარო ერთ-ერთ ბეშქენიანს მხოლოდ „ამირას“ უწოდებს (იხ. ზემოთ გვ. 173—4).

ამრიგად, ბეშქენიანთა ტიტულატურა კარგად ასახავს დინასტიის წევრთა აღმასვლას სოციალური კიბის საფეხურებზე.

ბიშქინ ბ. მუჰამედი და ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინი მონეტებზე *მალიქ* ალ-უმარა-დ იწოდებიან. ხოლო რამდენიმე მონეტაზე ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდი — „სამართლიან მალიქა-დაც“ (ალ-მალიქ ალ-ადელ). როგორც ცნობილია, მუსლიმანურ სამყაროში არაბული ტერმინი *მალიქი* ზოგადად „მეფეს“, „მონარქს“ აღნიშნავდა, უპირატესად არამუსლიმანური წარმოშობის მქონეს. შემდეგ ტერმინი უფრო სპეციფიკური მნიშვნელობით იხმარებოდა სახალიფოს ტერიტორიაზე აღმოცენებული დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების მმართველების აღსანიშნავად. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ტერმინმა სწორედ მონღოლთა შემოსევების წინა ეპოქაში მიიღო ის მნიშვნელობა, რომელიც ადგილობრივ. მემკვიდრეობით მიწათმფლობელ ფეოდალს, მთავარს გულისხმობდა. *მალიქის* ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი საკუთარი მონეტის მოჭრაც იყო<sup>73</sup>.

ყველაფერი ეს გარკვეულ შექს ჰფენს ბეშქენიანთა უფლებრივ მდგომარეობას და საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ბეშქენიანების პოლიტიკური დამოკიდებულება ელდიგუზიან ათაბაგებზე მხოლოდ ფორმალური თუ იყო.

აღსანიშნავია, რომ სახელი „ბეშქენი“ (ფიშქინი) გვხვდება ელდიგუზიანთა გენეალოგიაშიც. ნიზამი თავისი მეხუთე პოემის (ისკანდერ-ნამე) პირველი ნაწილის (*შარაფ-ნამე*) შესავალში, საღაც ლაპარაკია თუ ვის ეძღვნება პოემა. გარკვევით ასახელებს, ე. ბერტელსის აზრით, ნუსრათ ალ-დინ აბუ-ბაქრ ბიშქინ ბ. მუჰამედს. იგივე პიროვნება დასახელებულია — ზოგიერთ ხელნაწერში — პოემის მეორე ნაწილშიც (*იყბალ-ნამე*). მაგრამ, ცნობილია სხვა ვარიანტებიც, რომელთა მიხედვით პოემის მეორე ნა-

<sup>73</sup> M. Plessner, *Malik*, გვ. 222; В. Бартольд, *Двенадцать лекций*, გვ. 93, 151; მიხიჯე, *Хан*, გვ. 624; იბრაჟე, *История Туркестана*, გვ. 150; И. Петрушевский, *Очерки*, გვ. 112; М. Асланов, *Л. Надиралдзе*, *Малук*, გვ. 973—974.

წილი ეძღვნება სსკა პიროვნებას<sup>74</sup>. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვ. მინორსკი არ იზიარებს ე. ბერტელსის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სახელი „ბეშქენი“ ეკუთვნის ნუსრათ ალ-დინ აბუ ბაქრს<sup>75</sup>.

ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ქართული წყარო ანახელებს ათაბაგ აბუ ბაქრის(?) ვაჟს ბეშქენს. შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ ქართველებმა „დაიონავრეს ქალაქი სამნი, ვითა არს წესი: სარკინოზთა ლაშქართა შინა-ქონება ქალაქთა და სიმდიდრეთა: ერთი ათაბაგისა, ერთი ათაბაგის ძისა ბეშქენ ქველისა, ერთი სათმან ეზდინის ძისა...“<sup>76</sup> ვ. მინორსკის აზრით სწორედ ეს ბეშქენ ქველ უნდა იგულისხმებოდეს იკბალ-ნამეს მიძღვნაში. როგორც ჩანს, თავიდანვე პოემის შესავალ ნაწილში დასახელებული იყო ორი პიროვნება ათაბაგი აბუ ბაქრი და მისი ძე ფიშქინი. „სპარსულ პოემებში იმ პიროვნების შეილების მოხსენიება, რომელსაც ეძღვნება პოემა, ჩვეულებრივი იყო“<sup>77</sup>. აქ სიტყვას აღარ გვაგვარძლებთ ნიზამის პოემის შესავალი ნაწილიდან გამომდინარე პრობლემის შესახებ.

ჩვენთვის საინტერესოა, საიდან გაჩნდა აზერბაიჯანის ელდიგუზიან ათაბაგთა გენეალოგიაში სახელი „ბეშქენი“. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მეტად მცირე მასალა რაიმეს გადაჭრით თქმის შესაძლებლობას არ იძლევა. გარდა იმისა, რომ როგორც ვ. მინორსკი აღნიშნავს, შესაძლებელია ელდიგუზიანებსა და ბეშქენიანებს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა<sup>78</sup>. ეს მოსაზრება მით უფრო ყურადსაღებია, რომ კ. ჩაიკინის შეხედულებით სახელი „ბეშქენი“ უჩვეულო და უცხო იყო მუსლიმანი მემბატიათათვის<sup>79</sup>.

ნუსრათ ალ-დინ მაჰმუდ ბ. ბიშქინის შესახებ ცნობები XIII ს. 20-იანი წლების შემდეგ არ მოგვეპოვება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი მონღოლთა შემოსევების დროს დაიღუპა. მით უმეტეს, რომ ჯალალ ალ-დინი მონღოლების შეურიგებელი მტერი იყო: ხოლო, მაჰმუდ ბ. ბიშქინის და ბორეზმშაჰის ურთიერთობა პირველ-

<sup>74</sup> დაწერილებით იხ. E. Бертельс, Роман об Александре, გვ. 49—52. მისივე, Низами и Фузული, გვ. 151—163; К. Чайкин, Ильдегизиды, Аксонкориды и Мангуджакиды, გვ. 36.

<sup>75</sup> ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 873, შენიშ. 1.

<sup>76</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 71.

<sup>77</sup> ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 873.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 874.

<sup>79</sup> კ. ჩაიკინი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

ისადმი მონღოლთა მტრულ დამოკიდებულებას ბუნებრივად განაპირობებდა. მაგრამ, გადაწყვეა თუ არა თან ნუსრათ ალ-დინს ბეშქენიანთა დინასტია ცნობილი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ჰამდალაჰ ყაზვინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ალფ არსლანის ტყვის მემკვიდრეები თავის წინაპრის მსგავსად ისევ ატარებდნენო დიდ საყურე-რგოლებს<sup>80</sup>, შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ბეშქენიანთა დინასტიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა თავი დააღწია მონღოლთა შემოსევების ძნელბედობას<sup>81</sup>.

---

<sup>80</sup> ჰამდალაჰ ყაზვინი, თარიხ-ი გუზუდა, გვ. 441: ... و تخمه همه او

همچنان حلقه بزنگ در گوش میدارند

<sup>81</sup> შდრ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 874.

საქართველო და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის  
პოლიტიკური ერთეულები XI—XII საუკუნეებში

პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, XI—XII საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფეოდალურ სახელმწიფოებთან განსაკუთრებით ცხოველ ხასიათს იძენს.

აღნიშნული საუკუნეების ამიერკავკასია, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი პოლიტიკურად კრელ სურათს წარმოადგენდა. ამ სურათს ქმნიდა მრავალი დიდი თუ პატაოა, სხვადასხვა დროს წარმოქმნილი, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიური წყობის და სარწმუნოების პოლიტიკური ერთეულები.

საქართველოს ურთიერთობის შინაარსს ამ პოლიტიკურ ერთეულებთან მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მათი სოციალურ-ეკონომიური წყობა, ხოლო შემდეგ ის პოლიტიკური ორიენტაცია, რომელსაც ირჩევდა ესა თუ ის პოლიტიკური ერთეული, და უკვე ამ არჩევანით იგი გარკვეულ გეზს იღებდა ამიერკავკასიის თუ მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ნიშანი კი, თავის დროზე, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაპყრობითი ბრძოლები იყო, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ადგილობრივი მმართველი დინასტიების მოსპობა, ან სრული დამორჩილება.

XII საუკუნის ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკებთან მებრძოლ ერთად-ერთ ძლიერ და ორგანიზებულ ძალას საქართველოს სახელმწიფო წარმოადგენდა. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნულ ბრძოლაში სელჩუკების მოწინააღმდეგე საქართველოს მოკავშირე იქნებოდა, ხოლო მოკავშირე — მოწინააღმდეგე.

საქართველოს ურთიერთობა ზემოთ განხილულ პოლიტიკურ ერთეულებთან (ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან) მათი დაარსების დროიდანვე შეინიშნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სისრულით შევისწავლოთ საქართველოს ურთი-

ერთობა მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან. ამრიგად, წყაროებში დაკული ცნობების რაოდენობა უკვე თავისთავად მიგვიანიშნებს ინტენსიური ურთიერთობის მიმართულებაზე<sup>1</sup>.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე რავადიანთა განმტკიცებას და დაწინაურებას გარდაუვლად თან მოჰყვა მათი ინტერესების შეჯახება გაერთიანების გზაზე დამდგარ სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებთან. ამ ბრძოლაში რავადიანები მარტონი არ იყვნენ.

დავით დიდი კურაპალატის († 1001 წ.) მოღვაწეობა საფრთხეს უქმნიდა ჩრდილოეთ სირია-მესოპოტამიაში ახლად აღმოცენებული, ცალკეული, დამოუკიდებელი დინასტიების ხელმძღვანელთა ექსპანსიური პოლიტიკის წარმატებას ამიერკავკასიის მიმართულებით. როდესაც დავითმა მანაზკერტი აიღო და ქალაქში იქაური მოსახლეობის ნაცვლად ქართველები და სომხები ჩაასახლა „ამით გაღიზიანებულმა სპარსელებმა და არაბებმა დავითს ელჩები გაუგზავნეს წინადადებით ქალაქი დაგვიბრუნეო, წინააღმდეგ შემთხვევაში შენთან საომრად გამოვეშურებითო“<sup>2</sup>. დავითისაგან უარი მიიღეს და მაჰმადიან მფლობელთა გაერთიანებული ლაშქარი სომხეთისკენ დაიძრა.

ამ ხანებში (X ს. მიწურული) მანაზკერტზე თვალი ექირათ ქურთული წარმოშობის მარვანიანთა დინასტიის მესვეურთ. ამრიგად, საქართველოს ერთ-ერთი მოქიშპეთაგანი მარვანიანები იყვნენ. 990 წ. დინასტიის ფუძემდებლის, ბაღის სიკვდილით<sup>3</sup> შექმნილი ხელსაყრელი ვითარება დავითმა, როგორც ჩანს, ხელიდან არ გაუშვა, და მანაზკერტი აიღო. მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტში ფეხის მოკიდება კარგ პერსპექტივას უქმნიდა საქართველოს საგარეო პოლიტიკას. ამით შეუფოთებულმა მარვანიანებმა რავადიან მამლან ბ. აბუ-ლ-ჰაიფასთან კავშირში დავით კურაპალატის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

გაერთიანებულ ლაშქარს „დავითიც მარტოცა არ დაჰხვედრია. მან მეშველად მოიწვია ბაგრატ II (937—994) ქართველთა მეფე,

---

<sup>1</sup> ამ ურთიერთობის მთავარი არხები შადადიანთა და შარვანის სახელმწიფოებისკენ მიემართებოდა.

<sup>2</sup> ა ს ო ლ ი კ ი, გვ. 191.

<sup>3</sup> იხ. С. Лэн-Пуль. Мусульманские династии, გვ. 96; С. Bosworth, The Islamic Dynasties, გვ. 53—54; К. Босворт. Мусульманские династии, гл. 87—88.

გაგიკ სომეხთა მეფე და აბასი<sup>4</sup>, ქართველ-სომეხთა შეერთებულმა ჯარმა ბაგრევანდის სანახებში ქ. ვალაშკერტში დაიბანაკა<sup>5</sup>. ასოლიკის მიხედვით მოწინააღმდეგენი არ შებმიან ერთმანეთს: „სპარსელთა ჯარები, რომლებმაც თავი მოარიდეს ბრძოლას, ჩამოშორდნენ („არაბებს“) და მთელი ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ცეცხლს უკიდებდნენ ბაგრევანდის ქვეყანას და მისგან აღმოსავლეთით მდებარე მრავალ სოფლებს; ამის შემდეგ ისინი წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში“<sup>6</sup>.

იკვევა, რომ ასოლიკი „სპარსელთა ჯარებში“ რავადიანთა ლაშქარს გულისხმობს<sup>7</sup>. ჩვენ არ ვიცით რამ აიძულა მამლან ბ. აბულ-ჰაიჯა განშორებოდა ბრძოლის ველს. ყოველ შემთხვევაში, ეს არ ყოფილა მისი უკანასკნელი ცდა სომხეთ-საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მოსაპოვებლად.

როდესაც 998 წ. ხლათთან დავით კურაპალატის ლაშქარი მარვანიანებთან ბრძოლაში დამარცხდა<sup>8</sup>, მამლანმა ეს თავისი გეგმების განხორციელებისათვის ხელსაყრელ შემთხვევად მიიჩნია.

იმავე, 998 წ. რავადიანი მამლან ბ. აბულ-ჰაიჯა თავისი მოკავშირეებითურთ 100 ათასიანი ლაშქრით „ტაოს ასაოხრებლად წამოვიდა“<sup>9</sup>, მან ვასპურაკანის ქვეყანა გაიარა და აპაჰუნის ოლქში გაჩერდა<sup>10</sup>.

ღრმად მოხუცებულმა დავით კურაპალატმა თავისი ლაშქრის სარდლობა გაბრიელ ოჩოპენტრეს ძეს ჩააბარა. „ამასთანავე დავითმაც მოკავშირენი მოიწვია და გურგენმა ქართველთა მეფემ თავისი 6000 რჩეული მეომარი მოაშველა ფერის ჯოჯიკის ძის მეთაურობით, ამდენივე გამოგზავნა გაგიკ სომეხთა მეფემ; ჯარით მოეშველა აგრეთვე ვანანდის მეფე აბასი“<sup>11</sup>.

მოწინააღმდეგენი აპაჰუნის ოლქში სოფ. წემბოსთან შეხვდნენ ერთმანეთს. მამლან ბ. აბულ-ჰაიჯა ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა<sup>12</sup>. ამის შემდეგ საქართველოსა და რავადიანთა სახელმ-

4 შესაძლებელია ვანანდის (ყარსის) მეფე აბასი (984—1029).

5 ივ. ჯავეახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 129.

6 ასოლიკი, გვ. 191—192.

7 იხ. იქვე, გვ. 191, 193.

8 იქვე, გვ. 192—193.

9 ივ. ჯავეახიშვილი, იქვე.

10 ასოლიკი, გვ. 194.

11 ივ. ჯავეახიშვილი, იქვე.

12 დაწვრილებით იხ. ასოლიკი, გვ. 193—196; ივ. ჯავეახიშვილი,

იქვე, გვ. 129.

წიფოს შორის ურთიერთობის ამსახველი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება.

ყურადღებას იპყრობს რავადიანთა პოლიტიკური ინტერესების გავრცელების ფარგლები დასავლეთის მიმართულებით. მაგრამ, როგორც ჩანს, განცდილმა მარცხმა ზღვარი დაუდო რავადიანთა ზრახვებს საქართველოს მიმართ. ხოლო შემდგომში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები რავადიანებს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებას ნაკლებად აძლევდა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რავადიანთა სახელმწიფო საქართველოს უშუალო მეზობელი არ ყოფილა და, ამდენად, მათ შორის მკიდრო ურთიერთობას ნაკლები საფუძველი გააჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად სფეროს შარვანისა და შადადიანთა სახელმწიფოებთან ურთიერთობა შეადგენდა.

სამივე სახელმწიფო თითქმის ერთდროულად გამოვიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე და არსებობისთვის ბრძოლა განაპირობებდა მათი ურთიერთობის შინაარსს. ასეთ პირობებში რელიგიური დოქტრინის დაცვა, ხშირად, უკანა პლანზე გადაინაცვლებდა ხოლმე. ასე, მაგალითად, შადადიანთა ისტორიის დასაწყისშივე სალარ მარზუბანისგან შევიწროებულმა მუჰამედ ბ. შადადმა 953 წ. დვინი რომ დატოვა, ოჯახი ვასპურაკანის მეფესთან გახიზნა, თავად კი „რუმის მეფეს“ მიმართა დახმარებისათვის. მართალია, მუსლიმანური წყაროები „რუმში“ ზოგჯერ საქართველოსაც გულისხმობენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად ასე არ უნდა იყოს<sup>13</sup>.

შადადიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს შორის ურთიერთობის აღმნიშვნელ პირველ ფაქტს ქართული წყარო გვაწვდის.

სტაბილიზაციისა და შინაური მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ შადადიანთა სახელმწიფო მეზობლებთან ურთიერთობაში აგრესიულ პოლიტიკას დაადგა. „მას ეამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ეამითი-ეამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად“<sup>14</sup>.

ზუსტია ქართული წყაროს მიერ შადადიანი ფადლ ბ. მუჰამედის (985—1031) მოქმედების შეფასება. მას მართლაც იმდენი შეეძლო, რომ მხოლოდ „ეამითი-ეამად მეკობრობით და პარვით“ და-

<sup>13</sup> შტრ. V. Minorsky. Studies, გვ. 37.

<sup>14</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 279.



ერბის და „ადგილითი ადგილად“ გაეძარცვა ქვეყანა. ეს იყო ერთდროული ალაფისა და ნადავლისათვის გათვალისწინებული სამხედრო თარეში, რომელიც ასე ჩვეულებრივი იყო ფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობაში.

განძის ამირას ასეთ მოქმედებას ხელს უწყობდა საქართველოს შინაგანი მდგომარეობა. კახეთ-ჰერეთის სამთავროები X ს-შიც მტრობდნენ ერთმანეთს. ამავე დროს მათი შემოერთებისთვის იბრძვის პოლიტიკური გაერთიანების გზაზე დამდგარი საქართველოს მეფე<sup>15</sup>. ამიტომ იყო, რომ „XI საუკუნის მთელ მანძილზე ცხოველი ბრძოლა მიმდინარეობდა „აფხაზთა მეფესა“ (ე. ი. საქართველოს მეფესა) და კახეთის მეფეს შორის. აფხაზთა მეფენი დაჟინებით ცდილობდნენ ჰერეთ-კახეთის შეერთებას დანარჩენ საქართველოსთან“<sup>16</sup>. ასეთ ვითარებაში ბაგრატ III (980—1014), ცხადია, არ დაუშვებდა უცხო ძალის გაბატონებას ჰერეთ-კახეთში. მართლაც, „იხილა რა დიდმან მეფემან ბაგრატ კადნიერება მისი (ფადლონისი) დიდად შეძრწუნდა და აღივსო შურიითა. განემზადა ყოვლითა სპითა მისითა“<sup>17</sup>. მაგრამ, ბაგრატმა მარტომ არ გაილაშქრა ფადლონზე, არამედ „წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა; აწვა, რათა იძიოს შური ფადლონისაგან. ხოლო მან განიხარა სიხარულითა დიდითა“<sup>18</sup>.

ფადლონისაგან შევიწროებული სომეხთა მეფე დიახაც, რომ „დიდად განიხარებდა“. მაგრამ, საყურადღებო ის არის, რომ ბაგრატ III გაერთიანებულ ლაშქრობას აწყობს ფადლ ბ. მუჰამედის წინააღმდეგ. ეს ფაქტი კარგად ახასიათებს შადადიანთა სახელმწიფოს სამხედრო შესაძლებლობას. მოკავშირენი ძორაკერტს შეიკრიბნენ და „მიმართეს ფადლონს, დიდად განლაღებულსა, მოძულეს ქრისტიანეთასა“<sup>19</sup>.

არ უნდა შეგვაცბუნოს ზემოთ დახასიათებული ფადლონის მოქმედების და ამ პასაჟის შინაარსის ურთიერთშედარებამ. ქურთული ტომების სამხედრო ძალა ფადლონს „განლაღებული“ მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. შადადიანთა თარეშთან საბრ-

15 იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან. მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 170—176.

16 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 255.

17 შატიანე ქართლისა, გვ. 279.

18 იქვე.

19 იქვე, გვ. 280.

ძოლველად ბაგრატ III-ის დაკავშირება გაგიკ (990—1020) სომეხთა მეფესთან პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით გამართლებული იყო.

ლაშქრობა მოკავშირეთა გამარჯვებით დამთავრდა: „მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა... და მკირედთა ღღეთა დაღეწნეს ზღუდენი შანქორისანი. ხვალისა ღღე ეგულეზოდა შემუსრვად და წარტყუენვად ქალაქისა მის. მას ღამესა მოუვლინა მოციქული ფადლონ, ითხოვა შენდობა; აღუთქვა ღღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუყუეთა ხარაჯა და დაუწერა თავისთავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“<sup>20</sup>. მაშასადამე, ფადლონმა დიპლომატიკურად, წერილობით გააფორმა თავისი ვალდებულებანი ბაგრატის წინაშე.

საქართველოსა და შადადიანთა სახელმწიფოს ურთიერთობაში ეს მნიშვნელოვანი ფაქტი დასტურდება მატიანეს ტერმინით „დაუწერა“. ცნობილია, რომ „ქართულ დიპლომატიკაში ტერმინი „დაწერილი“ იურიდიული შინაარსის წერილობით დოკუმენტს აღნიშნავს“<sup>21</sup>. ჩვენს შემთხვევაში, აქედან ის ირკვევა მნიშვნელოვანი, რომ „ფადლონმა... თავი ბაგრატის ყმად იცნო, ე. ი. მისცა მას უფლება ლაშქრობის მოთხოვნისა“<sup>22</sup>.

აღნიშნული ლაშქრობის ზუსტი თარიღის დადგენა ჭირს. „მატიანე ქართლისა“ წელს არ ასახელებს, მუნაჯიმ-ბაშის ანონიმთან კი ამ ბრძოლის შესახებ საერთოდ არაფერი არ არის ნათქვამი. ივ. ჯავახიშვილის აზრით ბრძოლა მოხდა 1010—1014 წწ. შორის“<sup>23</sup>. „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო თარიღს 1011—1012 წლებს შორის ათავსებს<sup>24</sup>.

შესაძლებელია, ფადლონზე ძლევამოსილი ლაშქრობის გამოძახილს წარმოადგენდეს ბაგრატ III-ის საშველრო მოღვაწეობის ის შეფასება, რომელსაც ქართული ქრონიკა გვაწვდის: „ბაგრატ... დაიპყრა ყოველი კავკასია თვთმპყრობელობითა ჭიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ა დ ა რ ბ ა დ ა გ ა ნ ი და შ ა რ ვ ა ნ ი მოხარყე ყო, სომხითისა კელმწიფებითა“<sup>25</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

<sup>20</sup> მატიანე ქართლისა. გვ. 280.

<sup>21</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 237.

<sup>23</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 132.

<sup>24</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, და სხვა, საქართველოს ისტორია, გვ. 141.

<sup>25</sup> ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ძე, გვ. 382; შდრ. მატიანე ქართლისა, გვ. 281.

თითქოს გაზვიადებულ ამ ცნობას გარკვეული ნიადაგი მაინც გააჩნდა<sup>25</sup>. ბაგრატის გამარჯვება და ფადლონზე ხარაჯას დაკისრება ქართულ წყაროს, როგორც ჩანს, იმის საფუძველს აძლევდა, რომ აღარბადაგანი (ე. ი. შადადიანთა სახელმწიფოს ტერიტორია?) საქართველოს დამორჩილებულ ქვეყნად ჩაეთვალა. რაც შეეხება შარვანს, აქ ვითარება კიდევ უფრო ბუნდოვანია. ცნობილი ის არის, რომ X ს. დასასრულიდან შეიმჩნევა ამ ქვეყანასთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის გარკვეული გაცხოველება. მაგრამ, ეს კახეთის მეფეებს უფრო უნდა ეხებოდეს, ვიდრე ბაგრატ III-ს.

საყურადღებოა ბაგრატ III-ის სამეფო ტიტული „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართუელთა, კახთა და რანთა“. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „საქართველოს მეფის სახელწოდება... საქართველოს წეს-წყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და რეალური მნიშვნელობა ჰქონდა“<sup>27</sup>.

გასარკვევია, თუ რა იგულისხმება „რანთა მეფე-ში“. ან ტიტულს ჰერეთ-კახეთის მეფეებიც ატარებდნენ და როცა ბაგრატ III-მ დაიმორჩილა ისინი (მაგ., 1011 წ. კვირიკე დიდი) ცხადია, რომ მათ წოდებასაც დაისაკუთრებდა.

ყოველ შემთხვევაში, ქართული „რანი“, როგორც ჩანს, არ გულისხმობდა არანს და ამდენად რანთა მეფეები შადადიან მმართველ ამირებს არ უნდა ნიშნავდეს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ვახუშტი, როდესაც ბაგრატ IV-ის (1027—1072) ფადლონის წინააღმდეგ ლაშქრობაზე წერს, აღნიშნავს, რომ კვირიკე III კახთა მეფემ „უსველა მეფესა ბაგრატსა რანთა ზედა“<sup>28</sup>.

ბაგრატ III-ის და ფადლ I-ის მტრული ურთიერთდამოკიდებულება ნიშანდობლივი გახდა საქართველოსა და შადადიანთა სახელმწიფოების შემდგომი ურთიერთობისათვის.

„და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა<sup>29</sup>, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმალა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე

26 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, იქვე; ლ. მენაბდე; აზერბაიჯანი ძველ ქართულ მწერლობაში, გვ. 244.

27 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, 23. 9—11, 17.

28 ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 151.

29 ე. ი. ფადლონი არ იცავდა ბაგრატ III-თან დადებულ საზავო ხელშეკრულებას. შდრ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 43, შენიშვ. 1.

აბაზას-ძე; მოვიდა დიდი კვრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კვრიკესითა შეკრებულ იყვნეს ეკლესს ფადლონს ზედა; გააქციეს ფადლონ და აუწყუდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვ. ამიერიდან ვიდრე სიკუდილამდე შეჰკავდა ფადლონ<sup>30</sup>.

უქვევლია, რომ ეს ბრძოლა 1027—1031 წლებს შორის მოხდა<sup>31</sup>. თუ კახთა მეფის, კვირიკე III დიდის სიკვდილის ბროსესეული თარიღი (1029 წ.) სწორია<sup>32</sup>, მაშინ საძიებელი თარიღის ფარგლები უფრო ვიწროვდება და 1027—1029 წწ. თავსდება. ნ. ბერძენიშვილის აზრით ბრძოლა 1027—1030 წწ. შორის მოხდა<sup>33</sup>. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს იბნ ალ-ასირის ერთი ცნობა.

არაბი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ 421/1030 წ. ფადლონი თავს დაესხა ხაზარებს; ბევრი დახოცა, ნაწილი დაატყვევა და ხელთ იგდო დიდი ნადავლი. უკან იგი უზრუნველად ბრუნდებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ ხაზარები საბოლოოდ დაამარცხა და თავი სამშვიდობოს ეგონა. მაგრამ ისინი სწრაფად დაედევნენ მას, დახოცეს ათი ათას კაცზე მეტი მისი ხალხიდან, წაართვეს ნადავლი, ხელთ იგდეს მუსლიმანთა ლაშქრის ქონება და უკან გაბრუნდნენ<sup>34</sup>.

ვ. ბარტოლდი და ა. ქესრავი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღნიშნავენ, რომ იბნ ალ-ასირის დამოწმებულ ცნობაში ხაზართა ნაცვლად ქართველები უნდა იგულისხმებოდეს<sup>35</sup>. ვფიქრობთ, რომ ეს აზრი არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან ხაზართა და ქართველთა („აბხაზთა“) სახელების აღრევა მუსლიმა-

30 მატეანე ქართლისა, გვ. 296.

31 ბაგრატი IV 1027 წ. ავიდა ტახტზე, ხოლო ფადლონი 1031 წ. 19 სექტემბერს მოკვდა.

32 „შესაძლებელია, ბროსეს თარიღი... უფრო სწორეც იყოს, ვიდრე ვახუშტის თარიღი — 1038 წ. „ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი, გვ. 236. შენიშვ. 36.

33 ნ. ბერძენიშვილი, იქვე გვ. 236.

34 იბნ ალ-ასირი, გვ. 115.

35 «Здесь, как и у Бундари (изд. Хаутсма, II, 31<sub>11</sub>), хазары по всей вероятности, названы ошибочно вместо грузин или абхазов». — В. Бартольд. Хазары, гв. 601; ა. ქესრავი, შაჰრავან-ი გუმ-ნამ, III, გვ. 15—16, შენიშვ. 23.

ნურ წყაროებში იშვიათი არ არის გრაფიკული მონახაზის იდენტიფიკაციის გამო<sup>36</sup>.

საკვირველია, რომ მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი საერთოდ არ ახსენებს აღნიშნულ ბრძოლას. სამაგიეროდ იგი გადმოგვცემს, რომ 417/1026—27 წ. არანში შეჭრილა მჯაზ-ის პატრონი და ალყა შემოურტყამს სმქუჟ-ისათვის. ფაქტობრივად დიდი ლაშქრით დაძრულა მათთან საომრად, ცხარე ბრძოლაში დაუმარცხებია, უკუუქცევია ისინი და დაუხოცავს ათი ათასი კაცი<sup>37</sup>. გეოგრაფიული პუნქტები, ვ. მინორსკის კონიექტურით, უნდა აღნიშნავდნენ „აბხაზ“-ს და „შამქორ“-ს<sup>38</sup>.

ჩვენი აზრით, სამივე წყაროს ცნობა ერთსა და იმავე ბრძოლას უნდა ეხებოდეს<sup>39</sup>. „მატიანე ქართლისას“ და იბნ ალ-ასირის ცნობებით ირკვევა ბრძოლის საერთო შედეგი და ზუსტი თარიღი (1030 წ.). ამავე დროს, მუსლიმანური წყაროების დეტალებიდან ჩანს, რომ ოპერაციის ერთ მომენტში უპირატესობა ფაქტობრივად მხარეზე ყოფილა.

ქართული წყაროს ციტირებულ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ფრაზა: „დიდი ფაქტობრივად... სწურობდა ყოველთა მოთაულთა ამის (ბაგრატი) სამეფოსათა“. ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის განმარტებით „მოთაული თავად მყოფია“. ვინ იყვნენ ეს „მოთაულები“; რაიმე ხელი, ძალაუფლება ჰქონდათ მათ ფაქტობრივად ქვეყანაზე და ამიტომ „სწურობდა“ მათ განძის ამირა? ხომ არ უკავშირდება ეს მომენტი ბაგრატ III-ის და ფაქტობრივად ზავის პირობებს? ყველა ეს კითხვა თავის პასუხს ელის.

გაძლიერებული ფაქტობრივად „ავად ქცევა“ ისევე აწუხებდა მის ქრისტიან მეზობლებს, როგორც მუსლიმანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია თბილელი ამირა ჯაფარ ალის ძის მონაწილეობის მიზეზი ფაქტობრივად მებრძოლ კოალიციაში.

ბრძოლა მძაფრი და დაუნდობელი იყო. დღევანდელმა მოკავშირეებმა „დაწინაურებული“ ფაქტობრივად რომ „უკან დასწიეს“,

---

<sup>36</sup> „ხაზარები“ الخزار. „ქართველები“ الجرج. როგორც ვხედავთ, განხილავს მხოლოდ დიაკრიტიკული ნიშნები გეოგრაფიას.

<sup>37</sup> ბაბ ფი-ლ-შადლადია. § 10.

<sup>38</sup> V. Minorsky. Studies გვ. 17, 26, შენიშ. 8: ტექსტში არის المجاز როგორც ჩანს, უნდა იყოს الإبخاز და شكور ნაცვლად سكو-ისა.

<sup>39</sup> 417/1026—27 წ. ქართველთა ლაშქრობა არანში სხვა წყაროებით არ დასტურდება.

შემდგომ ერთმანეთში დაიწყეს ბრძოლა. ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ივანე აბაზას ძემ „გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს... წარუღეს ბირთვსი“<sup>40</sup>. ახლა უკვე ბაგრატ IV-ეს აშინებს ისედაც ძლიერი ლიპარიტის შემდგომი აღზევება და „შეიწყალა აფხაზთა მეფემან (ჯაფარი) და გაუტევა ტფილისს ზედა ამირად“<sup>41</sup>.

ასეთ სიტუაციაში თბილელ ჯაფარიანებსა და განძის შადადიანებს შორის მტრობა ორივე მხარისათვის დამლუპველი იყო და, როგორც ჩანს, მათი ურთიერთობა გაუმჯობესებულა. ყოველ შემთხვევაში, 429/1037—38 წ. დაწყებული ბაგრატ IV-ის ორწლიანი ალყით შეპირებული თბილისის ამირა მზად იყო „დამით წარსვლად განძას ლაშქარიას თანა ფადლონის შვილსა“<sup>42</sup>. ეს იყო ფადლონის შვილიშვილი და არა შვილი, ლაშქარი ბ. მუსა ბ. ფადლი (1034—1049). თბილისის ამირა, როგორც ირკვევა, ოღუზთა გამოჩენამ იხსნა<sup>43</sup>.

ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან ერთი საინტერესო ეპიზოდი განძასთან, შადადიანებთან არის დაკავშირებული. „და დადგომილ იყვნეს განძას ქუეყანასა თურქნი, და წასაღებელად მიეწურა განძა“<sup>44</sup>. ამბავი ხდება ორდროსთან იბრაჰიმ იანალის მიერ ლიპარიტ დიდის დატყვევების (1048 წ. სექტემბერი) შემდეგ<sup>45</sup>. მუსლიმანური წყაროებიდან (აზმი, იბნ დუჰაკი ირკვევა, რომ განძა 1047 წლიდან ყუთულჰიმ ბ. არსლან იაბლუს ალყაში იმყოფებოდა<sup>46</sup>. განძის აღება ამიერკავკასიაში თურქთა გაბატონებას დიდად შეუწყობდა ხელს.

კარსმომდგარმა საფრთხემ, რომელიც ბიზანტიის ინტერესებს ამიერკავკასიაში უშუალოდ დაემუქრა, იმპერიას თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის სწორი გეგმა უკარნახა: „გამოგზავნა თავისა ნაცვლად ბერძენთა მეფემან ლიხტური ლაშქრითა დიდითა, და აწვეს ბაგრატ ყოვლითა ლაშქრითა მისითა, და წაჰყვა თანა. დაემართნეს.

40 მათიანე ქართლისა, გვ. 296—297.

41 იქვე, გვ. 297.

42 იქვე; ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 115.

43 იქვე.

44 მათიანე ქართლისა, გვ. 302.

45 იქვე; კ ე დ რ ე ნ ე, გვ. 74—78; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 146—147.

46 იხ. V. Minorsky, Studies, გვ. 62; The Cambridge History of Iran., გვ. 43; ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

თურქთა; და მივიდეს განძის კარსა, და მირიდეს თურქთა, და დაარჩინეს განძის ქუეყანა, და შემოიქცეს მშვიდობით<sup>47</sup>. „ლიხტური“ იგივე რექტორი ნიკიფორ საჭურისია, ბერძნულ წყაროებში „ნიკიფორიცა“-დ ცნობილი პიროვნება, განთქმული თავისი სისასტიკით და ანგარებით<sup>48</sup>.

ოღუზი თურქების მოქმედების ხასიათს (რავადიანებთან დაკავშირებით) კარგად იცნობდნენ ამ დროისათვის ამიერკავკასიაში. ბაგრატ IV-ის მონაწილეობა ბიზანტიელთა ლაშქარში „განძის ქუეყნის დასარჩენად“ პოლიტიკური თვალსაზრისით სწორი იყო. შადადიანთა სახელმწიფოს მოსპობა და არანში თურქთა გაბატონება საქართველოსაც აშკარა საფრთხეს უქმნიდა. საერთოდ კი, ბერძნულ-ქართველთა ერთიანი ლაშქრობა, რომელიც ვ. მინორსკის გამოკვლევით 1048 ან 1049 წელს ჩატარდა<sup>49</sup>, შექმნილი პოლიტიკური ვითარების საღი შეფასების ნაყოფს წარმოადგენდა. შედეგი ის იყო, რომ დასუსტებული შადადიანთა სახელმწიფო „დაარჩინეს“ და ამით მას შესაძლებლობა მიეცა მეოთხედი საუკუნით კიდევ გაეხანგრძლივებინა თავისი არსებობა. ამ მიმართებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე აბუ-ლ-ასვარის ენერგიულ და მტკიცე მმართველობას განძაში — სწორედ 1049 წლიდან.

როგორც აღვნიშნეთ, ლაშქარი ბ. მუსა ბ. ფადლის მეფობა შადადიანთა ისტორიაში ძნელბედობის ხანა იყო. შაჯჰიმის და დიდებულთა ერთი ნაწილის გადაწყვეტილება — დაეტოვებინათ „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ აგებული ციხეები (იხ. ზევით, გვ. 74). — ცხადია, საქართველოს სამეფოების შადადიანთა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მზარდი აგრესიით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ ურთიერთობაში ბაგრატ IV-ის ჰეგემონობას მყარ ნიადაგს შეუქმნიდა მისი მონაწილეობა ნიკიფორეს ლაშქრობაში. მაგრამ, ახლო მომავალში მკვეთრად შეიცვალა ვითარება.

შაჯჰიმის განზრახვას პოლიტიკური გადართილება მოჰყვა. ტახტზე ასულმა აბუ-ლ-ასვარმა შეძლო საშინაო მდგომარეობის ბოწესრიგება და 445/1053—54 წ. პატარა ლაშქრობაც კი მოაწყო, სავარაუდოა, საქართველოში<sup>50</sup>; აიღო ერთი ციხესიმაგრე და ჩააყენა შიგ თავისი ხალხი იარაღით და სურსათით<sup>51</sup>. მეფე ბაგრატი ამ

47 მატიაზე ქართლისა, გვ. 302.

48 Ф. Успенский, История Византийской империи, гв. 68—69.

49 ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 59—64.

50 ტექსტში არის აღ-ზრია, უნდა ვივარაუდოთ აღ-ჯრზია.

51 ბაბ ფი-ლ-შადლაღია, § 14.

დროს (:C54—1057 წწ.) საბერძნეთში იმყოფებოდა და, როგორც ჩანს, აბუ-ლ-ასვარმა ისარგებლა ამ შემთხვევით.

აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება საქართველოსა და შადადიანთა სახელმწიფოს ურთიერთობის ხასიათის გარკვევა XI ს. პირველ ნახევარში.

ტერიტორიული გაფართოებისათვის ურთიერთ ბრძოლაში მტკიცე და გადამწყვეტ წარმატებას ვერც ერთი მათგანი ვერ აღწევს. თუმცა, გარკვეული უპირატესობა საქართველოს მხარეზე ამკარად შეინიშნება.

მკვეთად იცვლება ვითარება ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა გაბატონების პერიოდში. მომთაბარეთა შემოსევები ის ფარი იყო რომლის გამოყენებით შადადიანებმა ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს საქართველოსთან ბრძოლაში.

საგულისხმოა, რომ როდესაც „454/1062 წ. თბილისის დიდებულთა ნაწილი მივიდა მასთან (აბუ-ლ-ასვართან) და თხოვა გაეგზავნა ვინმე რომელსაც ისინი ჩააბარებდნენ (თბილისის) ციხეს“, აბუ-ლ-ასვარმა ვერ გაბედა ციხეს დაპატრონებოდა. ხოლო, როდესაც ალფ არსლანმა დალაშქრა ამიერკავკასია და „მრავალი ციხესიმაგრე გადასცა აბუ-ლ-ასვარს“<sup>52</sup>, ამჯერად მას უარი აღარ უთქვამს. ასევე ისარგებლეს შადადიანებმა ალფ არსლანის მეორე ლაშქრობით, რის შედეგად ფადლ ბ. შავუტრმა მიიღო „თბილისის სასაზღვრო რაიონი“ (სადრ); „ჩამავალმან (ალფ არსლანმა) წარუღო (თბილისის ამირას) ტფილისი და რუსთავი, და მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა“<sup>53</sup>.

და არც გასაკვირია, თუ „ამისა შემდგომად იწყო ფადლონ ამპარტავანებასა და ურჯუებასა, და სიახლესა ტფილისისა სადა სადმე გამოყვანებასა კელოსანთასა“<sup>54</sup>.

საინტერესოა, რომ ფადლონ II საქართველოსთან ბრძოლაში გარდა პოლიტიკურისა, სოციალურ მიზნებსაც ესწრაფვის. ღონისძიების ინტენსივობის და შედეგის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყვით, მაგრამ განძა რომ ხელოსნური წარმოების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი იყო ამიერკავკასიაში ეს ცნობილია და აქედან გამომდინარეობს ფადლონ II-ის მიზნებიც.

ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში ფადლონ II-ს დრო არ დაუკარგავს და 1068 წ. ივლისში თურქ-სელჩუკთა მიერ ახლახან დარბეულ საქართველოში ილაშქრა. მან „არად შერაცხა დიდგორ-

<sup>52</sup> ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 14.

<sup>53</sup> იქვე, § 16; მათიანე ქართლისა, გვ. 310.

<sup>54</sup> იქვე.



თა დგომა მეფისა. წარმოემართა ლაშქრითა, ოცდაცამეტი ათასითა კაცითა, მოვიდა ტფილისს და დაიბანაჲა ველსა ისინისაჲს. ხოლო მუნ დაუტევნა კარაენი და აღმოვლო ლამე ყოველ მუხნარისა, და არბივნა ქართლისა ნაპირნი<sup>55</sup>.

მაგრამ, ფადლონი ანგარიშში მოტყუვდა. ბაგრატ IV ჯერ ისევ ფეხზე იდგა და მტერთან ბრძოლის უნარი შესწევდა. ქართველ დიდებულთა რჩეული ლაშქარი ფადლონს დაედევნა, „ხოლო ქართლს ვერღარა ჩამოესწრნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხნარს წინა წილენის გორთა თანა. უკანასა კერძსა შეებნეს და პირველსავე კრძლისა მოკიდებასა გააქციეს ფადლონი... მცირედნი ვინმე გაესწრნეს... მოსრეს და ტყუე ყვეს ლაშქარი ფადლონი, სოლო ფადლონი თხუთმეტითა ოდენ ცხენოსნითა წარვლო გზა წილენისა... და გაქდა ნარღუევთა გზით ერწოდ“<sup>56</sup>.

ქართულ წყაროს ეთანხმება მუსლიმანურიც: „როდესაც მუსლიმანთა ხელები სავსე იყო ნადავლით, აფხაზთა დაიპირეს გასასვლელები და შეებრძოლნენ მათ. მუსლიმანები დამარცხდნენ და გაიქცნენ. მხოლოდ ფადლი დარჩა მამაცთა მცირე ჯგუფთან ერთად. ისიც იძულებული იყო გაქცეულიყო მას შემდეგ რაც მისი ხალხი დაიხოცა“<sup>57</sup>.

როგორც ირკვევა, ფადლონს კახეთის მეფის აღსართან გაგოკის ძის (1058—1084) სამფლობელოსკენ აუღია გეზი. მან საფრთხის გამო ვინაობა დამალა და „თქუა თავი თვისი მოციქულად, ვითარმედ: „ფადლონის მოციქული ვარ და მახარობელად მივალ აღსართანის თანა; აფხაზთა მეფისა ლაშქარი გაგაქციეთ“. მაგრამ „ამირათ-ამირა ფადლონი“ იცნეს და შეიპყრეს<sup>58</sup>. მუნაჯიმ-ბაშის ანონიმის ცნობით ფადლონს „აერია გზა და მოხვდა შაქისა და ჯურჯანის ერთ-ერთი მთავრის (მატრიკ)<sup>59</sup> ექანა ბენ ქუთრის სოკლში“<sup>60</sup>.

საყურადღებოა, რომ აღსართანამდე გაღწევა ფადლონს სამშვიდობოს გასვლად მიაჩნია. ეს იმიტომ, რომ კახთა მეფე და ბაგრატ IV ერთმანეთს მტრობდნენ<sup>61</sup>.

55 მათიანე ქართლისა, გვ. 310; ბაბ ფი-ლ-შადლადია, § 17.

56 მათიანე ქართლისა, გვ. 310—311.

57 ბაბ ფი-ლ-შადლადია, § 17.

58 მათიანე ქართლისა, გვ. 311.

59 „მატრიკი, პატრიკიოზი“. ჰერეთში ბიზანტიური ტარტულების შესახებ ახ. თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 308—309.

60 ბაბ ფი-ლ-შადლადია, § 17.

61 იხ. თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 228—232.

თელავს ფადლონი როგორც ისაკ ტოლობელისძის ტყვე ჩაიყვანეს და აღსართანს გადასცეს. ეს უკანასკნელი თითქოს გულკეთილად უნდა შეხვედროდა ფადლონს. მაგრამ, კახთა ნეფე უფრო ჭკვიანურად მოიქცა. ფადლონი „როგორც კი ჩამოჭვეითდა მისი სახლის წინ, აღსართანმა იმწამსვე დაატუსაღა იგი ვერაგულად და ყავდა დაკავებული რამდენიმე დღეს“<sup>62</sup>. ხოლო, შემდეგ, აღსართანმა ფადლონი „მსწრაფლ წარიყვანა ხორნაბუჯს, რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა. მიუპყრეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუჯი. წარიყვანეს არადეთად და მისცა არადეთი აღსართანსვე“<sup>63</sup>. ესენი რომ ხელთ იგდო, მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა აღსართანმა ფადლონი ბაგრატს. კახთა მეფემ აქაც მოითბო ხელი. რადგანაც ბაგრატ „შეშინდა გაშუებასა ფადლონისსა, მისცა ბოქორმა და უჯარმო კახთა, და წამოიყვანა ფადლონ“<sup>64</sup>.

ხორნაბუჯი კახეთ-ჰერეთის (კამბეჩოვანის) მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ძველი დროიდანვე. ბაგრატ IV-ის დროს იგი საერისთაოს ცენტრია. XI ს-ში ხორნაბუჯის ერისთავები კახთა მეფეებთან ერთად იბრძვიან კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებლობისათვის. ალფ არსლანის შემოსევების შედეგად ხორნაბუჯი, როგორც ირკვევა, ფადლონს ჩაუგდია ხელში. კახეთის სამეფოსთან ბრძოლაში ეს ფაქტი შადადიანი ამირას დიდი, მაგრამ ხანმოკლე წარმატება იყო.

ნარეკავთან დამარცხება და ფადლონის ტყვეობა შადადიანთა სახელმწიფოს ძვირად დაუჯდა. ბაგრატმა როგორც კი ფადლონი ხელთ იგდო, იგი „გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა და აღღეს ჭირვეულად ტფილისი“<sup>65</sup>. თბილისი კი აიღო, მაგრამ „არა დაიჭირა ბაგრატ თავისად ტფილისი, არამედ დმანისს დატევებული სითლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად და მისცა მას ტფილისი.

<sup>62</sup> ბაბ ფი-ლ-შადადია, § 17.

<sup>63</sup> მატიაწე ქართლისა, გვ. 312; შდრ. ივ. ჯაქეაზიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 156: „ხოლო კახთა მეფემ აღსართანმა ფადლონი სწრაფად ხორნაბუჯში წაიყვანა“. თ. პაპუაშვილი, იქვე. გვ. 232: „ეს უკანასკნელი (აღსართანი) მას (ფადლონს) ხორნაბუჯის ციხეში შეამწყვდევს“. მაგრამ, ისმის კითხვა: აღსართანს რომ ფადლონი ხორნაბუჯში ჩაემწყვდია, ციხე მის ხელში უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ ასე იყო, მაშინ რაღად დასჭირდა აღსართანს „მიპყრობა ფადლონისი“?

<sup>64</sup> მატიაწე ქართლისა, გვ. 312.

<sup>65</sup> იქვე.

ხოლო თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარან, გრიგოლ-წმინდანი, ქავაზინი, და ორმოცდაათნი ათასი დრაჰკანი, და მძველნი ძმისწული მისი. ძე მანუჩასი, და სამთა თავადთა განძისათა“<sup>66</sup>.

ფადლონ II-მ სამეფო ტახტიც დაკარგა: „როდესაც არანის ხალხმა დაკარგა იმედი მისი დაბრუნებისა. მათ ამირად დასვეს მ-სი ძმა, აშოტ ბ. შავური 460 წლის შავალს (1068 წ. აგვისტო)“<sup>67</sup>. იმედი არანის (თუ განძის?) „ხალხს“ ძალიან სწრაფად. ერთ თვეში დაუკარგავს. მაშასადამე, ფადლონის მომდევნო ძმამ, აშოტმა გაიგულა თუ არა იგი არანიდან, დაუყოვნებლივ აჯანყდა და ხელისუფლება მოიპოვა.

ზემოაღნიშნულ ციხეები, რომლებიც ქვემო ქართლში, სომხეთში მდებარეობდნენ<sup>68</sup> და ბაგრატმა „თავისად აღიხუნა“, შეადგენდნენ, როგორც ჩანს, თბილისის იმ „სასაზღვრო რაიონს“, რომელიც ალფ არსლანმა ფადლონ II-ს გადასცა. ეს იყო ყველაზე დიდი წარმატება, რომელსაც კი შადადიანებმა მიაღწიეს (თურქსელჩუკთა დახმარებით) საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბაგრატ IV-ს კარგად ესმოდა დასახელებული ციხეების სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოს ხელშეუვალობისთვის საერთოდ და შადადიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ. ამიტომ იყო, რომ გონიერი ტაქტიკური სვლით საქართველოს მეფე პირველ რიგში აღნიშნულ ციხეებს დაეუფლა.

ბაგრატ IV-ის ტყვეობაში ფადლონ II 1069 წ. აპრილამდე იყოფებოდა. „460 წლის ზუ-ლ-კა'დას (1068 წ. სექტემბერი) სავ-თეგინ ალ-ხასი ორივე ერაცის ამირა გამოჩნდა არანში თავის თურქებთან ერთად. შემდეგ იგი შეუერთდა ლაშქრობას ურწმუნოთა წინააღმდეგ“<sup>69</sup>. ქართული წყარო გადმოგვცემს: „და მოგზავნა

<sup>66</sup> მატჩანე ქართლისა, გვ. 312.

<sup>67</sup> ბაბ ფი-ლ-შადლადია, § 18.

<sup>68</sup> იხ. ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, გვ. 208; დ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 42: „აგარანი კოჯრის ციხეა“. გაგი მდებარეობდა მდ. დებედის ქვემო წელზე გაშლილ დიდი ველის ცენტრში, იხ. დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა — გაგის ციხე. ქავაზინი გაგისა და კოჯრის ციხეებს შორის მდებარეობდა. „...ისე ჩანს, თითქმის რუსთავი ფარცხისი, გრიგოლწმინდანი და ქავაზინი... ყველა გაგზე დასავლეთით და ჩრდილოეთით არიან, თბილისთან უფრო ახლო... გაგი აქ საქართველოს განაპირა სიმაგრე ჩანს“. — დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

<sup>69</sup> ბაბ ფი-ლ-შადლადია, § 15.

სულტანმან სარანგი აღხაზი, და მისითა შუამდგომლობითა და სიტყვითა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონ, და გაგზავნა საეკლემწიფოსა თვისსა განძას. და წარჰყვა სარანგი თანა<sup>70</sup>.

რა თქმა უნდა, ალფ არსლანისათვის მიუღებელი იყო ბაგრატის პოზიციების განმტკიცება. შადადიანები თურქ-სელჩუკებს უკვე დამორჩილებული ჰყავდათ. საქართველოს დასაპყრობად კი ბრძოლა ჯერ ისევ მიმდინარეობდა და ამ საქმეში ალფ არსლანისათვის შადადიანი ფადლონი ნაცად და საიმედო იარაღს წარმოადგენდა. ამიტომაც მისი ქართველთა ტყვეობაში ყოფნა ალფ არსლანის პოზიციებს ამიერკავკასიაში ზიანს აყენებდა და ასუსტებდა.

ფრიად საყურადღებოა, რომ ბაგრატს ცარიელი „სიტყვითა სულტანისათა“ არ გაუთავისუფლებია ფადლონ<sup>71</sup>. ქართული წყაროს ციტირებულ ადგილს უშუალოდ მოსდევს შემდეგი: „და მოართუნეს გაგით კლიტენი, და აღილო აფხაზთა მეფემან გაგი“<sup>71</sup>. ე. ი. ბაგრატმა ფადლონის „სანაცვლოდ“ გაგის ციხე მიიღო<sup>72</sup>. ირკვევა, რომ ალფ არსლანი საქართველოს მეფეს თავის ნება-სურვილს ვერ უბრძანებს.

განძას დაბრუნებული ფადლონ II ისევ დაეუფლა ტახტს და მცირე ხნის შემდეგ „გატეხნა ფიცნი და შუამდგომლობანი დიდისა სულტანისანი და მოიპარა ქავაზინი. და შემდგომად... მოვიდა ფადლონ და მოადგა აგარათა; და მისცნა ციხისთავმან აგარანი“<sup>73</sup>. კოჯრის ციხის ფადლონის ხელში ყოფნას ქართველთა მეფე, რა თქმა უნდა, ვერ მოითმენდა<sup>74</sup>. ამიტომ „მსწრაფლ აღმოვიდა მეფე, მოვიდა და მოადგა აგარათა. და წარიხუნა აგარანი“<sup>75</sup>.

მტრული, ხშირი ბრძოლებით აღსავსე, დაძაბული ურთიერთობა საქართველოსა და შადადიანთა სახელმწიფოს შორის ვერც ზაქმა და სულთნის თავდებობამ დააცხრო. ორივე სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაპირისპირება მათ შორის ბრძოლას გარდაუვალს ხდიდა. გარეშე ძალის ჩარევა, რომელსაც ასევე საკუთარი მიზნები ამოძრავებდა, საკითხს ვერ გადაჭრიდა.

ბაგრატ IV-ს კარგად ესმოდა საქართველოს გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის განძის მხრიდან თავდასხმების აღკვეთის აუ-

70 მატიაზე ქართლისა, გვ. 312.

71 იქვე, გვ. 313.

72 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 157.

73 მატიაზე ქართლისა, გვ. 313.

74 ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, გვ. 307—

75 მატიაზე ქართლისა, გვ. 313.

ცილებლობა. შადადიანები ხომ ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ ბაგრატის მოწინააღმდეგე ყოველგვარი ცენტრიდანული ძალისა. ბაგრატიმა გადამწყვეტ ღონისძიებას მიმართა. მაგრამ, როგორც ჩანს, მას საკუთარი ძალები არ ეყო. ფადლონთან საბრძოლველად ბაგრატიმ თავისი ცოლისძმა დაიხმარა. „გამოიყვანა დორლოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა, და წარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოკრა განძა. და აღილო ტყუი და ნატყუენავი ურიცხვ, და გაგზავნა თავის სამეფოდ“<sup>76</sup>.

შესაძლებელია, ქართველთა ამ ლაშქრობას გულისხმობს ჰუსაინის შემდეგი ცნობა: „460/1067—68 წ. ქართველთა მეფე ზაგრატი ბარდავს შეესია და იავარპყო“<sup>77</sup>. მაგრამ. ჰუსაინის თარიღი სწორი არ არის. 459 წ. ზუ-ლ-ჰიჯას (1067 წ. ოქტომბერ-ნოემბერი) ალფ არსლანი არანს დაესხა თავს<sup>78</sup>. მასთან გამოცხადდნენ შარვანისა და არანის მფლობელები. 460 წ. მუჰარამში (1067 წ. 11/XI—11/XII) სულთანი საქართველოს შემოესია. შემდგომ ამბებს „მატიანე ქართლისა“ და მუნაჯიმ-ბაშის ანონიმი დაწერილპირობოგვითხრობენ და ბაგრატის განძაში (ჰუსაინის მიხედვით — ბარდავში) ლაშქრობას, ბუნებრივია, არ აღნიშნავენ. ამის შესახებ ალფ არსლანის მეორე ლაშქრობის შემდეგ არის მოთხრობილი, როგორც ჩანს, სინამდვილის შესაბამისად და არა საქართველოში ალფ არსლანის მეორე ლაშქრობის წინ<sup>79</sup>.

„რაკი სულტნის მეგობარი და მოკავშირე ფადლონი თავებდობისათვის ბაგრატ მეფემ სამაგალითოდ დასაჯა, ეხლა საქართველოს ბატონი უფრო უზრუნველყოფილი იყო აღმოსავლეთის მხრით და უფრო გაბედულად შეეძლო ემოქმედა“<sup>80</sup>. მაგრამ, ამის შემდეგ ბაგრატს დიდხანს აღარ უცოცხლია. ის 1072 წ. გარდაიცვალა. 466/1073—74 წ. კი ფადლონ II-ს საკუთარი ვაჟი აუჯანყდა, ჩამოავდო იგი ტახტიდან და ციხეში გამოკეტა.

შადადიანთა სახელმწიფო უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. სა-

76. მათიანე ქართლისა, გვ. 313. როგორც ფიქრობენ. ბაგრატს აღრეც ესარგებლია ოვსთა დახმარებით შადადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იხ. რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, გვ. 115.

77. ჰუსაინი, გვ. 42; ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, გვ. 238.

78. ბაბ ფი-ლ-შადადიია, § 1.

79. იხ. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ., გვ. 238; შდრ. ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 19.

80. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

ქართველსთან ძველებური ურთიერთობისათვის მას ძალა აღარ შესწევდა.

ამრიგად, ორი სახელმწიფოს ურთიერთობის უკანასკნელ პერიოდში საერთო ინიციატივა, გარკვეული უპირატესობა და წარმატება საქართველოს მხარეზე იყო: და ეს მიუხედავად შადადიანებისადმი თურქ-სელჩუკთა მხარდაჭერისა. გარდატეხის მომენტი ამ ურთიერთობაში არანაირი ოს-ქართველთა გაერთიანებულმა, ძლევამოსილმა ლაშქრობამ შეიტანა.

საქართველოსა და შადადიანთა შორის მტრული ურთიერთობის ერთ-ერთი მასაზრდოებელი თბილისის საამირო იყო. ჯაფარიან ამირათა სისუსტეს კარგად ხედავდნენ საქართველოშიც და განძაშიც. და, თუ შადადიანები პრეტენზიას აცხადებდნენ თბილისზე, როგორც ჯაფარიანთა მუსლიმანი მემკვიდრენი, საქართველოსთვის თბილისი ხომ განუყოფელი, ორგანული ნაწილი იყო.

როგორც აღენიშნეთ, შადადიანები და ჯაფარიანები XI ს. პირველი ნახევრის მიწურულს დამოუყვრებულან.

თბილისის საამიროსა და შადადიანთა სახელმწიფოს კავშირა საქართველოს კარგს არაფერს უქადდა. ყათრანის სიტყვები — „ამ კეთილსასურველი კავშირისაგან დაემხო ურწმუნოთა დროშები“ — აღნიშნული აღიანისა შესახებ განძის სასახლის კარზე მიღებულ შეხედულებას გამოხატავენ აშკარად. მაგრამ, გულისხმობენ, თუ არა ისინი რაიმე რეალურს — არ ჩანს. ლაშქარი ბ. მუსა ქორწინების შემდეგ მალე, 1049 წ. გარდაიცვალა. ასე რომ, სავარაუდოა, აღნიშნულმა კავშირმა დიდ დიდი როლი ვერ ითამაშა შადადიანების სასარგებლოდ საქართველოსთან ურთიერთობაში.

საქართველოსა და შადადიანთა ფეოდალურ სახელმწიფოთა ურთიერთობას ორგანულად უკავშირდებოდა სომხეთის სამეფოების საგარეო პოლიტიკაც. ეს სამეფოები აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის საერთო ცხოვრებაში და თავისი არსებობით მკვეთრი ფერები შეჰქონდათ ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობის ამსახველ სურათში, რომლას სრულად აღქმისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკაც ამიერკავკასიაში.

მიუხედავად იმისა, რომ შადადიანი აბუ-ლ-ასვარი ტაშირის მეფის, დავით „უმიწაწყლოს“ (989—1048) მოყვარე იყო<sup>81</sup> იგი, მათეოს ედესელის ცნობით, 150 ათასი (?) კაცისაგან შემდგარი ლა-

<sup>81</sup> იხ. ა რ ის ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ც ი, გვ. 85, შენიშვ. 30.

შქრით ტაშირში შეიქრა. დავითმა დახმარება ანისის მეფეს იოანე-სმბატს (1020—1041) თხოვა, თან შეუთვალა წინააღმდეგ შემთხვევაში აბუ-ლ-ასვართან კავშირში ანისზე გამოვილაშქრებო. ანისის მეფემ დავითს 3000 კაცი მიაშველა, 2000 კაცი გაგზავნა კაპანის (სივნიეთშია) მეფემ, და ოთხი ათასი — საქართველოს მეფემ. ამგვარად, დავით „უმეწაფელოს“ ხელქვეით 10 ათასი კაცისგან შემდგარი ლაშქარი მოგროვდა და მან აბუ-ლ-ასვარის შემოტევაც მოიგერია<sup>82</sup>.

ამიერკავკასიის პოლიტიკური ვითარების სირთულეს საუკეთესოდ ავლენს XI ს. პირველი ნახევრის დასასრულს ანისის ირგვლივ დატრიალებული ამბები, რომელთა შედეგი ესოდენ ტრაგიკული აღმოჩნდა სომხეთისათვის.

იოანე-სმბატის ცნობილი ანდერძის საფუძველზე მისი სიკვდილის შემდეგ ბიზანტიამ მოითხოვა ანისის სამეფოს მორჩილება. ტახტზე 1042 წ. ასული გაგიკ II წინ აღუდგა ანისის სამეფოზე ბიზანტიის „უფლების“ განხორციელებას. იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი (1042—1055) წინამორბედთან შედარებით ენერგიულად შეუდგა ამიერკავკასიაში იმპერიის ინტერესების დაცვას. ანისის წინააღმდეგ მიხეილ იასიტის ხელმძღვანელობით ადრე გაგზავნილ ლაშქარს კონსტანტინემ თავისი *პარაკიმონენი*, აღმოსავლეთის სხოლათა *დომესტიკოსი* ნიკოლოზი მიაშველა. ამავე დროს, სრული წარმატების უზრუნველსაყოფად კონსტანტინე შეუთანხმდა აბუ-ლ-ასვარს (იგი ზომ დვინს მართავდა 1022—1049 წწ.), რომ ერთდროულად იერიში მიეტანათ სომხეთის დედაქალაქზე. სამაგიეროდ, ბერძენთა იმპერატორი დაჰპირდა აბუ-ლ-ასვარს ანისის სამეფოს იმ ნაწილს, რომელსაც ის ამ ოპერაციის დროს დაიკავებდა. წინდახედულმა აბუ-ლ-ასვარმა პირობის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი მოითხოვა; მიიღო იგი და დაუყოვნებლივ გაემართა ანისისაკენ.

ანისში ამ დროს (1045 წ. ზაფხული) ორ ნაწილად გაყოფილ სომეხ დიდებულთა შორის ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა სამეფოს შემდგომი ბედის განსაზღვრის გამო. პრობიზანტიური პარტია, აღმოსავლეთის დუკას სარგის ჰაიკაზნის მეთაურობით, თანახმა იყო ანისის სამეფო ბიზანტიის იმპერიის განმგებლობაში გადასულიყო. ასეთი გადაწყვეტილების სასტიკი წინააღმდეგი იყო დიდებულთა მეორე ნაწილი, რომელშიც დიდად გამოირჩეოდა ვა-

<sup>82</sup> მათე ედესელის ცნობას ვიმოწმებთ ვ. მინორსკის დასახ. ნაშრომიდან, 33-51.

პრამ ფაჰლაუენი. გადაძალეს ბიზანტიის ხელისუფლების მომხრე-ებმა. ახალგაზრდა გავიკ II მზაკერულად დაარწმუნეს კონსტანტინეპოლს გამგზავრებულყო. იქიდან ის აღარ დაბრუნებულა თავის სამეფოში.

ამრიგად, ბიზანტიელებმა 1045 წ. „ხელთ ივდეს ანისი, არა ბრძოლით, არამედ მოტყუებით, რადგანაც [პრორომებმა] ფიცითა და ჯვრით დაითანხმეს გავიკი... [იგი] ერწმუნა ფიცსა და ჯვარს არ ვიცი, გონების მოუღმწიფებლობისა, თუ მოშიში ბუნების გამო... [გავიკმა] ყური არ ათხოვა ვაპრამსა და სხვა აზნაურებს, რომლებმაც გააძეფეს იგი, არამედ ვერაგი სარგისის შთაგონებით გამოვიდა და ქალაქიდან და წავიდა ბერძნებთან დაუბრუნებლად, როგორც ანკესით დაჰკერილი თევზი, ან მახეში გამომწყვდეული ფრინველი... მეფემ იხილა რა გავიკი, არც კი გახსენებია ფიცი და არც ჯვრის შუამდგომლობა, თავისთან დაამწყვდია და მოსთხოვა მას: „მომეცი ანისი და მე სანაცვლოდ მოგცემ მელიტენეს და მის გარშემო არსებულ გავარებს“-ო, მაგრამ მან ეს თავს არ იღვა“<sup>83</sup>. მაგრამ, აქვე შევნიშნავთ, რომ გავიკ II დიდხანს ველარ გაუძალიანდა და ბოლოს იძულებული იყო დათანხმებულყო ბიზანტიის იმპერატორის ნებას. ასე დაასრულა არსებობა სომხეთის ანისის სამეფო-მა<sup>84</sup>.

უპატრონოდ დარჩენილი ანისის არისტოკრატია კი ისევ შინაგანი შუღლით და ქიშპით არის გართულა და ვერ გადაუწყვეტია თუ ვინ მოიწვიოს ქალაქის პატრონად — ბაგრატ IV ქართველთა მეფე. თუ აბუ-ლ-ასვარი დვინის ამირა. ამის შესახებ არისტაკესი გადმოგვცემს: „ხოლო ქალაქის მთავრებმა. რომლებიც ანისში იმყოფებოდნენ, დაინახეს რა, რომ გავიკი საბერძნეთშია დამწყვდეული, გადაწყვიტეს ქალაქი ჩაებარებინათ დავით დვინელისათვის (რადგანაც დავითის და [გავიკის] ცოლი იყო), ან აფხაზთა მეფის ბაგრატიანისათვის“<sup>85</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, დამოწმებული პასაჟის გაგება მკვლევართა შორის უთანხმოებას იწვევს. ერთი ნაწილი ანისში მოსაწვევ კანდიდატებში ორ პიროვნებას ხედავს: აბუ-ლ-ასვარს და ბაგრატ IV-ს; მეორე ნაწილი — სამს: ტაშირ-ძორაგეთის მეფეს დავით I

<sup>83</sup> არისტაკესი ლასტივერტცი, ქართ. თარგმ., გვ. 70.

<sup>84</sup> იხ. არისტაკესი ლასტივერტცი, გვ. 78—86, ქართ. თარგმ., გვ. 62—72; კედრენე, გვ. 59—66; თ. უსპენსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 51—53; ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53; История армянского народа, გვ. 152.

<sup>85</sup> არისტაკესი ლასტივერტცი, ქართ. თარგმ., გვ. 70—71.



„ემიწაწყლოს“, მის სიძეს აბუ-ლ-ასვარ დვინელს და ბაგრატ IV-ს. ამ მკვლევართა შორის არის ვ. მინორსკიც<sup>86</sup>. საკამათო საკითხის გადაწყვეტაში, ვფიქრობთ, რომ უპირატესობა პირველს უნდა მიენიჭოს<sup>87</sup>.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა და შადადიან მმართველთა ინტერესები ანისშიც შეეჯახნენ ერთმანეთს.

არისტაკესისვე ცნობით, ანისში პატრიარქ პეტროსის ანგარეზიანი ხელშეწყობით ბიზანტიელნი გაბატონდნენ<sup>88</sup>. ქართული წყაროს თანახმად კი „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი — სენაქერემ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“<sup>89</sup>. მარიამ დედოფალს (სავარაუდოა, ბაგრატის თანხმობით) ანისში მმართველად ერისთავი აბუსერი დაუნიშნავს<sup>90</sup>. როგორც ირკვევა, ქართველი მოხელე ანისში მცირე ხანს დარჩენილა. ჯერ ლიპარიტ დიდმა არ დააყენა აბუსერი ანისში, შემდეგ კი ანისში ბიზანტია გაბატონდა<sup>91</sup>.

როდესაც ბიზანტიამ პირობა დაარღვია და აბუ-ლ-ასვარს ანისის სამეფოს დაპყრობილი ნაწილის დაბრუნება მოსთხოვა, დვინის მმართველმა ცივი უარი განაცხადა. აბუ-ლ-ასვართან საომრად დაძრულ ბიზანტიელთა გაერთიანებულ ლაშქარში ლიპარიტ დიდიც მონაწილეობს. ბაგრატ IV-ის მორჩილებიდან გამოსული „...გარეს-გარე წარვიდა ლიპარიტ მითვე ლაშქრითა დვინად, და ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქუეყანად“<sup>92</sup>. როგორც ჩანს, ლიპარიტის ლაშქარს გულისხმობს კედრენე, როდესაც „იბერიის ჯარს“ ასახელებს ამ ლაშქრობის შემადგენლობაში<sup>93</sup>.

აბუ-ლ-ასვარი „ძალიან გამოცდილი სარდალი იყო — სხვის არავის ჩამოუვარდებოდა“<sup>94</sup>; მან ეშმაკური ტაქტიკური ხერხით

<sup>86</sup> V. Minorsky, *Studies*, გვ. 53.

<sup>87</sup> დაწერილებით იხ. არისტაკეს ლასტივერტიცი, გვ. 157—160, შენიშვ. 30.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 85, ქართ. თარგმ., გვ. 71.

<sup>89</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 299.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 300; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 143—144.

<sup>91</sup> არისტაკეს ლასტივერტიცი, გვ. 85; კედრენე, გვ. 64.

<sup>92</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 302.

<sup>93</sup> კედრენე, გვ. 63.

<sup>94</sup> იქვე.

დვინის გარეუბანში დაამარცხა ბიზანტიელთა ლაშქარი და მათ რიცხვში ლიპარიტიც<sup>55</sup>.

ნიშანდობლივია, რომ ლიპარატ ერისთავთ ერისთავიც შადადიან აბუ-ლ-ასვარის წინააღმდეგ იბრძოდა, თუმცა არა საქარხველოს მეფის დროშის ქვეშ.

საქართველოსთან შადადიანი მმართველის პოლიტიკური ურთიერთობის შინაარსი, მამასადამე, უკვე აბუ-ლ-ასვარის განძაში მისვლამდე შემუშავდა. მომდევნო ხანაში მათ შორის მტრობა თურქ-სელჩუკთა ლაშქრობების ხელშეწყობით, როგორც ვნახეთ, კიდევ უფრო გაძლიერდა.

ნათლად იჩვენება, რომ სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა საქართველოს სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის ის ერთ-ერთი ძირითადი კურსი, რომელიც განძა-ანისი-დვინის მიმართულებით მუსლიმანთა შემოტევასთან ბრძოლას გულისხმობდა და, რომელიც მთელი მომდევნო საუკუნის განმავლობაში ამიერკავკასიის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო.

რადგანაც შადადიანთა სახელმწიფოს მემკვიდრეებად თურქ-სელჩუკები გახდნენ და, რამდენადაც არანი და აზერბაიჯანი თურქთა კონცენტრაციის ერთ-ერთ ძირითად ბაზად გადაიქცა. იმდენად, ქართულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას აქედან გადაშენებით ემუქრებოდა ძალა, რომლის წინააღმდეგ მხოლოდ უკომპრომისო ბრძოლა იყო საჭირო.

საქართველოსა და შადადიანთა სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი შინაარსი თითქოს ამანათით გადაეცა აღნიშნულ რაიონში შემდგომ ეპოქას.

რაც უფრო მტკიცედ იკიდებდა საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე ფეხს, მით უფრო მჭიდრო ურთიერთობაში ებმებოდა საქართველო ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან.

XII ს-ის დასაწყისში თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს თუმცა აღრინდელი ერთიანობა და ძლიერება აღარ გააჩნდა, მაგრამ ამიერკავკასიაში მათი პოზიციები ისევ მტკიცე იყო. მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ აღმოსავლეთ ამიერკავკასია მუჰამედ ბ. მალიქ-შაჰს ერგო. მისი რეზიდენცია განძაში იყო.

აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანების წარმატებით გადაჭრა და ქვეყნის ერთიან, ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება დიდად იყო დაკავშირებული ამიერკავკასიაში თურქთა განუკითხავი ბატონობის აღ-

<sup>55</sup> ქ ე დ რ ე ნ ე, გვ. 62—64; ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ც ი, გვ. 85.

მოცხვრასთან. ამასვე მოითხოვდა ამიერკავკასიის სხვა კულტურული ხალხების სასიცოცხლო ინტერესებიც.

შექმნილ ისტორიულ ვითარებაში საქართველოს ამიერკავკასიაში თურქთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა ევალებოდა. ამ ამოცანის გადაჭრა აუცილებელი იყო თუკი საქართველო ისევ დააპირებდა „კავკასიის შემკრებლის როლში გამოსვლას“<sup>96</sup>. მით უმეტეს, რომ აღნიშნული როლის განსახორციელებლად კარგად დაწყებული ღონისძიებანი სწორედ თურქთა შემოსევებმა დააზრო.

დავით აღმაშენებელს კარგად ესმოდა, რომ საკმარისი არ იყო თურქების მხოლოდ საქართველოდან განდევნა. ქართველი მეფის შორს გამიზნული ინტერესები მოითხოვდნენ თურქ-სელჩუკების განდევნას საერთოდ ამიერკავკასიიდან. ეს პრობლემა თავისთავად გულისხმობდა თურქთა მოწინააღმდეგე ძალებთან კავშირს.

უკვე ის გარემოება, რომ შარვანის სამეფომ გაუძლო თურქ-სელჩუკთა შემოსევებს და შეძლო პოლიტიკური არსებობის შენარჩუნება, მიუთითებდა შარვანსა და საქართველოს შორის კავშირის აუცილებლობაზე.

საქართველოს ბრძოლას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ისიც უწყობდა ხელს, რომ „საერთო საფრთხისგან თავდაცვის საჭიროებაში ამიერკავკასიის ხალხთა პროგრესული ნაწილი თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში გააერთიანა. დავით აღმაშენებლის ლაშქრობას თურქთა წინააღმდეგ სომხეთსა თუ შარვანში მხარს უჭერდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ სომეხი ხალხის ფართო მასები და ალბანური (შირვანული) ტომები („ქურდნი, ლეკნი და თარსანნი“)<sup>97</sup>.

ამრიგად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალის შენარჩუნება და განმტკიცება, სამხრეთში ქრისტიანული სომხეთის დაცვა და მისი დედაქალაქის, ანისის შემომტკიცებისათვის ბრძოლა — აი, ის სტრატეგიული გეგმა, რომელიც რეალურად ისახებოდა საქართველოს წინაშე და, რომლის განხორციელებისათვის ენერგიულად იბრძოდა დავით აღმაშენებელი.

მაგრამ, ფართო მასშტაბის საგარეო პოლიტიკის დაწყებამდე, საჭირო იყო საქართველოს საბოლოო გაერთიანება და შინაგანი

<sup>96</sup> შდრ. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 256.

<sup>97</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 159.

სეპარატისტული ძალების დათრგუნვა. დავით აღმაშენებლის მიერ ამ მიზნით გატარებულ ღონისძიებებს შორის ჩვენ ყურადღებას იპყრობს ჰერეთ-კახეთისათვის ბრძოლა.

კახთა მეფეების პოლიტიკური ორიენტაცია საქართველოს გაერთიანებას ვერ ეგუებოდა. „XI საუკუნის სამოციანი წლებიდან ჰერეთ-კახეთის ფეოდალ-სეპარატისტებს ახალი „მფარველი“ გაუჩნდა — თურქ-სელჩუკთა სულტანი — საქართველოს დაუძინებელი მტერი. XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჰერეთ-კახეთის მეფე თურქ-სელჩუკთა სულტანს ემორჩილებოდა“<sup>98</sup>. გასაგებია, რომ, როდესაც დავით აღმაშენებელმა 1104—1105 წწ. ჰერეთ-კახეთი საქართველოს შემოუერთა „სელჩუკიან თურქთა სულტნის დიდ-მოხელე განძის ათაბაგი ფიცხლავ წამოვიდა დავით მეფის წინააღმდეგ“<sup>99</sup>. (ხაზი ავტორისაა, პ. თ.). ბრძოლა ერწუნში მოხდა.

ერწუნის ომში ერთმანეთში იყო გადახლართული საშინაო და საგარეო მტრის მოქმედება. „და ერწუნს ქმნნა (დავით აღმაშენებელმა) წყობანი დიდნი და კმაგასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულთა ერთთა დაკოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერთი, მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენ და“<sup>100</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

ერწუნში გამარჯვებამ თურქ-სელჩუკთა აგრესიას არანის მხრიდან ზღვარი დაუდო. 1110 წ. სამშვილდის აღებამ მათი პოზიციები კიდევ უფრო დაასუსტა. „ცნეს რა თურქთა აღება სამშკლდისა, უმრავლესი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი“<sup>101</sup>.

ასეთი წარმატებების შემდეგ უკვე შესაძლებელი იყო უფრო დიდი ამოცანების გადასაწყვეტად მოქმედება.

ქართველი მემკვიდრეებმა, რომ 1116 წ. მეფე დავითმა „ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თვისი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა“<sup>102</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.). მაშასადამე, კონფესიონალურმა მოსაზრებებმა დავით აღმა-

98 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 255.

99 იქვე.

100 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 328.

101 იქვე, გვ. 331—332.

102 იქვე, გვ. 334.

შენებელს ხელი ვერ შეუშალეს და მან შარვანის სამეფო სახლი დაინათესავა. საყურადღებოა, რომ ორივე ქორწინება-კავშირი საქართველოს მეფის ინიციატივით მოეწყო. მემატინანეს სიტყვით დავით მეფემ „გაგზავნა“ უფროსი ქალიშვილი შარვანს, მეორე საბერძნეთს, „რათა ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, მა მის აგან მიმღებელი მზეებრთა შარავანდელდანი“<sup>103</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ქორწინების ზუსტი თარიღის დადგენა, მაგრამ ეს ჭერჯერობით ვერ ხერხდება. მკვლევართა შორის მიღებულია, რომ თამარ დავითის ასულს და შარვანელი უფლისწულს, შემდგომში შარვანშაჰ მანუჩიპრ II-ის ქორწინება 1110—1116 წწ. შორის მოხდა<sup>104</sup>.

✓ დაიწყო საქართველოსა და შარვანის ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე უფრო ნაყოფიერი და საინტერესო ხანა, რომელიც შარვანში საქართველოს აქტიური პოლიტიკით, ამ ქვეყანაში თურქ-სელჩუკთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლით ხასიათდებოდა. „შარვანისათვის ომი ეს იყო ყოველი მხრით გამართლებული, ღრმად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა, რაც საბოლოო მიზნად ისახავდა გადამწყვეტ ომს, რომლის მოგებით დავითი თურქ-სელჩუკებს ამიერკავკასიიდან საბოლოოდ გადარეკავდა. საფიქრებელია, რომ ეს გადაამწყვეტელი ომი რანში (განჯისათვის) მოხდებოდა სადაც მტერი ყველაზე უფრო მტკიცედ იჯდა. ასე, რომ შარვანისათვის ბრძოლა მომავალი განჯის ომის შემზადება იყო“<sup>105</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

შარვანში განმტკიცებისათვის ბრძოლა კი უშუალოდ იწვევდა საქართველოსა და დარუბანდის საამიროს პოლიტიკური ინტერესების დაპირისპირებას. აღებულ ხანაში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ამსახველი ფაქტებიც სწორედ საქართველო-შარვანის გაცხოველებული ურთიერთობის პერიოდში იჩენენ თავს. დარუბანდ-

<sup>103</sup> იქვე.

<sup>104</sup> თუმცა, ნ. ასათიანის აზრით „ეს ქორწინება უნდა მომხდარიყო 1105—1106 წლებში“ — იხ. მისი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 26—29. ჩვენ ეს საეჭვოდ მიგვაჩნია. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ხაკანის სტროფში დამოწმებული თარიღი (იხ. Hādī Hasan, Falakī-Sh-rānī, გვ. 13) მკვლევართა მიერ სამართლიანად არის მიჩნეული დამრგვალებულ, მიახლოებით რიცხვად და მასზე დაყრდნობით საბოლოო დასკვნების გამოტანა არ არის გამართლებული.

<sup>105</sup> ნ. ბერძენიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 256.

სა და შარვანს შორის არსებული დაძაბული და ექსპრესიული ურთიერთდამოკიდებულება აშკარად ავლენდა საქართველოსა და დარუბანდის საამიროს შორის შეხების წერტილებს. ამასთანავე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში წინასწარვე განაპირობებდა დარუბანდთან დამოკიდებულებას ხასიათს.

ნიშანდობლივია, რომ შარვანში საქართველოს გაბატონების წინააღმდეგი იყო დარუბანდის საამიროც. საგულისხმო ფაქტია, რომ 1123 წ. სელჩუკი სულთნის შარვანში მოწვევისათვის გულმოდგინედ იღვწოდა დარუბანდის „ხალხიც“. მიზეზს გარკვევით ასახელებს იბნ ალ-ასირი: „517/1123—24 წ. ისლამის ქვეყანაში გაძლიერდა ქართველთა ბოროტმოქმედებანი და ხალხი დიდ შევციწროებას განიცდიდა, განსაკუთრებით შარვანის დარუბანდის მცხოვრებლები. ამიტომ, მრავალი მათი წარმომადგენელი გაემართა სულთანთან (ქართველთა) ძალმომრეობის საჩივრელად. ისინი უამბობდნენ მას თავიანთ სისუსტის და ქვეყნის დაცვის უილაჯობის შესახებ. მაშინ სულთანი გაემართა მათ (ქართველების) წინააღმდეგ“<sup>106</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

შემახას კამპანია<sup>107</sup> საბოლოოდ გამოააშკარავა დარუბანდის საამიროს პოლიტიკური ზრახვანი. დავით აღმაშენებელმაც არ დააყოვნა საპასუხო ღონისძიება. 1124 წ. „აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყვდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა“<sup>108</sup>.

საქართველოს ლაშქარმა კასპიის ზღვის სანაპიროზე სწორედ ის რაიონი დალაშქრა რომლისთვისაც ცხარედ ებრძოდნენ ერთმანეთს შარვანშაჰი და დარუბანდის ამირა. ეს ის მხარეა, რომელსაც ქართულ წყაროში „ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა“<sup>109</sup> ეწოდება (ე. ი. იგივე შაბურანი და მასკატი) და რომელიც დღევანდელი კუბის რაიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შეესაბამება<sup>110</sup>.

106 იბნ ალ-ასირი, გვ. 124—125.

107 ი. ე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 205—206;

Бартольд. Дербент, გვ. 425.

108 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 344.

109 ისტორიანი და აზმანი, გვ. 17.

110 იხ. ვ. მინორსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 108—111.

შაბურანს შარვანი ფლობდა<sup>111</sup>, მაგრამ ამ ცხე-ქალაქის დასაკუთრებისათვის დარუბანდი თავგამოდებით იბრძოდა და ზოგჯერ წარმატებითაც. ამრიგად, შაბურანი მართლაც რომ „განხეთქილების ვაშლი“ იყო შარვანსა და დარუბანდს შორის<sup>112</sup>. საგულისხმო და ნიშანდობლივი ის არის, რომ დავით აღმაშენებელი მხარს უჭერს შარვანშაჰს და „დარუბანდელს“ შარვანის ტერიტორიაზევე ებრძვის<sup>113</sup> — ამ შემთხვევაში შაბურანისთვის.

აღნიშნული მხარე ცნობილი იყო ეთნიკური სიჭრელით და პოლიტიკური ორიენტაციის მერყეობით. ცხადია, რომ „ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი დარუბანდას ამირას მოკავშირენი არიან შარვანთან ბრძოლაში. ამიტომაც „მოსწყენდა“ ისინი მეფე დავითმა; ხოლო, იმავე, 1124 წ. აგვისტოს ლაშქრობის დროს მანვე „... აღაესნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“<sup>114</sup>. მაშასადამე, დავით აღმაშენებელმა ეს ტომები მიიმხრო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ ისინი დავითის (და ამდენადვე შარვანის) მოკავშირეებად<sup>115</sup>.

ნიშანდობლივია ისიც, რომ დამორჩილებულთა შორის არ ჩანან „ყივჩაყნი დარუბანდელისანი“. ეს გასაგებია: დარუბანდი, ჩვეულებრივ, უკავშირდებოდა ხოლმე ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე ტომებს, უღებდა მათ ქალაქის კარებს და რბევა-თარეშისათვის შეუსევდა შარვანს. ამის შემდეგ ისინი სწრაფადვე უკან ბრუნდებოდნენ. ასე, რომ მათი მოქმედების აღკვეთა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ლეკების, ყივჩაყების და სხვა ტომებისგან შემდგარი დარუ-

---

<sup>111</sup> თუმცა, ე. პახომოვი შაბურანს დარუბანდის კუთვნილებად აღიარებდა და მიაჩნდა, რომ შარვანი მხოლოდ დროგამოშვებით თუ დაეუფლებოდა ხოლმე ამ ქალაქს (იხ. მისი *О дербентском княжестве*, გვ. 6). მაგრამ, ახალი მასალებით უცილობლად დასტურდება, რომ შაბურანი შარვანის სამფლობელოში შედიოდა. აქვე იყო შარვანშაჰების ერთი შტოს საგვარეულო სამარხიც — იხ. თარხ ალ-ბაბ, §§ 9, 12, 13, 20, 21 და სხვა.

<sup>112</sup> ვ. მინორსკი, იქვე, გვ. 108.

<sup>113</sup> და არა დარუბანდის სამთავროში, როგორც წერს ნ. ასათიანი — იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 39. შდრ.: დავით აღმაშენებელმა „...ახალი ლაშქრობა მოაწყო, ამჟერად დარუბანდისაკენ“ — ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია, გვ. 149, (ხაზი ჩვენი, პ. თ.).

<sup>114</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვ. 345.

<sup>115</sup> შდრ. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, გვ. 257

ბანდის ამირას ლაშქრის დამარცხება და მისი სამფლობელოს დარბევა შარვანის სამეფოს განმტკიცებას ნიშნავდა<sup>116</sup>.

ამრიგად, ერაყის სელჩუკთა სულთან მაჰმუდ ბ. მუჰამედთან (1118—1131) დაკავშირებამ სასურველი შედეგი ვერ მოუტანა დარუბანდს დავით აღმაშენებლის მიზანშეწონილი და ენერგიული მოქმედების გამო.

XII ს. პირველ მეოთხედში საქართველოსა და დარუბანდის ურთიერთდამოკიდებულების ფორმა და შინაარსი დარუბანდთან ბრძოლაში დავით აღმაშენებლის კონკრეტული სამხედრო წარმატებებიდან გამომდინარეობს. ახლა, როდესაც მეტ-ნაკლები სისრულით ვიცით დარუბანდის საამიროს პოლიტიკური და ეკონომიური პოტენცია, საკითხი ყურადღებით შესწავლას საჭიროებს; მით უმეტეს, რომ ამ დროს შექმნილი ვითარება, როგორც ჩანს, დიდად განსაზღვრავდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ხასიათს მომდევნო ხანებში.

ჩვენთვის ცნობილი წყაროებიდან ირკვევა, რომ უშუალოდ დარუბანდის წინააღმდეგ დავით აღმაშენებელს იარაღი არ მიუმართავს და ქალაქი არ აუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი დასაჯებელია, რომ ქართულ წყაროებში არ ასახულიყო ისეთი დიდი სამხედრო მიღწევა, როგორც ძლიერი და სახელგანთქმული ციხე-ქალაქის აღება იქნებოდა<sup>117</sup>. მით უმეტეს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასე დაწვრილებით აღწერს ქართველთა მეფის ლაშქრობებს აღნიშნულ რაიონში.

ცხადია, რომ — შარვან-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინებით — მეფე დავითის ძლევამოსილი ლაშქრობანი უშედეგოდ არ ჩაივლიდა დარუბანდ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგების თვალსაზრისით და, სავარაუდოა, რომ საამირომ გარკვეული ვალდებულებანი იკისრა საქართველოს წინაშე.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ანდერძში დაცულ ცნობილ პასაჟს — „გარნა განბჭო მართლად-მსაჯულობამან ღმრთისამან და

<sup>116</sup> შდრ. ე. პ ა ხ მ ო ვ ი, იქვე, გვ. 7; М. Лордкипанидзе, История Грузии, გვ. 132.

<sup>117</sup> შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 207. შევნიშნავთ, რომ ჯ. სტუფნაძე წერს: „მართალია, წყარო თვით დარუბანდის აღების შესახებ არაფერს გვეუბნება... მაგრამ, როგორც ჩანს, შემდგომში დავითს თვით ეს ქალაქიც უღდია ხელთ“. იხ. მისი, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 112. მაგრამ, თუ საიდან ჩანს ეს, ავტორი სწორედ ამას არ უთითებს.



ესერა მიწოდა მე... მამული და ახლად მოგებული ლუაწლითა ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“<sup>118</sup> (ხაზი ჩვენია, პ. თ.) — იგი, ჩვენი აზრით, საქართველოს მეფის პოლიტიკური მოღვაწეობის ზოგად, და არა კონკრეტულ შეფასებას გულისხმობს და იმას ადასტურებს, რომ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთმა საზღვარმა დარუბანდის (კასპიის) ზღვის სანაპირო მოიცვა, მაგრამ არა უშუალოდ დარუბანდი<sup>119</sup>.

აქვე უნდა გავიხსენოთ ალ-ფარიკის ერთი ცნობა, რომ დავით აღმაშენებელს დარუბანდის მხარის (ჭარაქ ალ-დარბანდ) ერთ-ერთ ციხეში<sup>120</sup> ჩაუმწყვდევია დიდგორის ბრძოლაში დატყვევებული ვიღაც მუსლიმანი<sup>121</sup>. დარუბანდის მხარე, როგორც ცნობილია, საქმოდ ფართო გეოგრაფიული ცნებაა და იგი კონკრეტულად დარუბანდს არ გულისხმობს.

ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ დავით აღმაშენებლის დროს დარუბანდის საამიროსა და საქართველოს შორის მტრული, დაძაბული ურთიერთობაა და მიმდინარე ბრძოლაში უპირატესობა უკანასკნელის მხარეზეა.

შემდგომ, XII ს. შუა წლებში, როგორც ირკვევა, საქართველო განსხვავებულ პოლიტიკურ გეზს ადგას დარუბანდთან ურთიერთობაში.

თუ დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მეზობლებთან ურთიერთობაში ძირითადი კურსი უცხო სამეფო სახლების საქართველოსთან უშუალოდ შემოერთება იყო, თამარის ეპოქაში ეს სამეფო სახლები საქართველოს ყმადნაფიცობის ინსტიტუტის საფუძველზე უკავშირდებოდნენ. რა თქმა უნდა, საგარეო პოლიტიკის ეს ორი სრულიად განსხვავებული კურსი ერთბაშად არც შექმნილა და არც გამქალაქდა.

ისტორიის ყოველ ეტაპზე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიური განვითარების გამომხატველია. საზოგადოების გაბატონებულ ფენაში სოციალურ-ეკონომი-

<sup>118</sup> ქართული სამართლის ძეგლები; II, გვ. 91. თ. ჟორდანიას გამოცემაში არის „...ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე...“ — იხ. ქრონიკები, II, გვ. 51.

<sup>119</sup> შდრ. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110, 132.

<sup>120</sup> და არა „...დარუბანდის ერთ-ერთი ციხეში...“, როგორც თარგმნის ნ. ასათიანი. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 53—54.

<sup>121</sup> იხ. გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, გვ. 70; შდრ. ნ. ასათიანი, იქვე.

მიური სტრუქტურის ცვლილებანი შესაბამისად აისახებოდა იდეოლოგიის სფეროშიც. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა საგარეო პოლიტიკის შინაარსზე<sup>122</sup>.

დავითის საგარეო პოლიტიკის არსი ნათლად გამოსჭვივის მის-სავე სიტყვებში „...სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებ და დასაპყრობელად ჩემისამდე უძლებებისა და გულის-თქმის. ბოროტად გარდავხედ საზღუართა და შეერთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძღურესთა მივხვექე ნაწილი მათი და ვილჭწილ უმეზობლობასა, ვითარცა მარტო მკვდრობდი ქუწყანასა ზედა“<sup>123</sup>.

საქართველოს წინაშე დავით აღმაშენებლის დამსახურება სწორედ ის არის, რომ იგი ქვეყნის გაძლიერებისათვის საჭირო და აუცილებელ კურსს ატარებდა, — განსხვავებულს მისი მემკვიდრეების დროს ჩამოყალიბებული კურსისგან, რომელიც ფაქტიურად კომპრომისის წარმოადგენდა, როგორც ქვეყნის შიგნით აღზევებული დიდებულების მიმართ, ასევე საგარეო პოლიტიკაში, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში.

რა თქმა უნდა, „კლასობრივ საზოგადოებაში ისტორიოგრაფია კლასობრივი მეცნიერებაა“<sup>124</sup> და იგი ვალდებული იყო თვით კლასის შიგნით თავისი ფენის თუ სიუზერენის ინტერესთა აუცილებელ დაკვაზე ეზრუნა და მისი პოლიტიკა გაემართლებინა; და ამიტომ, თამარის კარზე მოღვაწე ისტორიკოსი თავისი პატრონის პოლიტიკას ჰუმანურობის უმაღლეს გამოხატულებად მიიჩნევს და მისი სიმპათიები, დავით აღმაშენებლის პოლიტიკასთან შედარებით, აშკარად თამარის მხარეზეა.

ასეთი ტენდენცია ნათლად გამოსჭვივის მემატიანის სიტყვებში: „არა ილუწიდა უმეზობლობასა. არცა „შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა“, არამედ თვისი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეკელად... არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსლა სცვიდა მაშინებელთაგან... შორს განიოტა წურბლის მსგავსი ვერ-მაძღროსობა... ბჭედ ჯდა შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა. არა

<sup>122</sup> დაწვრილებით იხ. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება, გვ. 39—43.

<sup>123</sup> გალობა სინანულისა, გვ. 516.

<sup>124</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდაღებად უღელსა მძლავრობისასა ურთიერთას...“<sup>125</sup>.

მაშასადამე, საქართველოს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს სხვა შინაარსს იძენს<sup>126</sup>. ეს კარგად ჩანს დარუბანდთან ურთიერთობის მაგალითზეც.

როგორც აღვნიშნეთ, მეფე დავითის დროს საქართველოსა და დარუბანდის საამიროს შორის აშკარად მტრული ურთიერთობა არსებობდა. ახლა კი, XII ს. შუა წლებში, დემეტრე დავითის ძის მეფობაში დარუბანდის ამირასა და საქართველოს მეფეს შორის მოყვრული კავშირია გაბმული. აღ-ფარიკი გადმოგვცემს, რომ თავისი სამფლობელოს მოხილვის დროს, 1154 წ. გაზაფხულზე როდესაც დემეტრე მეფე დარუბანდის სიასლოვეს მისულა ამირა აბუ-ლ-მუზაფარი ქალაქიდან გამოსულა ძვირფასი სტუმრის მისაღებად და „აბხაზთა მეფისადმი“ თავისი პატივისცემის გამოსახატავად. მან „აახლა მას მსახურნი მისი იქ ყოფნისა და ლხინისთვის საპირო (ნიეთებით და სანოვაგით), რადგანაც იგი იყო სიძე აბხაზთა მეფისა — ცოლად ყავდა მისი ქალიშვილი“<sup>127</sup>. აღ-ფარიკი საქართველოს მეფის კარზე სამსახურის დროს პირადად ახლდა დემეტრე მეფეს აღნიშნულ მოგზაურობაში<sup>128</sup>. ასე, რომ მისი ცნობის ქეშმარტება ექვს არ იწვევს.

აღწერილი სურათი ვასალისა და სიუზერენის ურთიერთდამოკიდებულების ტიპური გამოხატულებაა. მაგრამ, ამავე დროს, დარუბანდის ამირა რომ საქართველოს მეფის სიძეა ეს აშკარად მიგვანიშნებს მის მდგომარეობაზე.

საგულისხმოა, რომ დემეტრე მეფეს გამოუნახავს საერთო ენა დარუბანდის საამიროსთან და შარვანთან ძველი, მეგობრული

<sup>125</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 148.

<sup>126</sup> ამის კარგი მაგალითი ისევ შარვანის სამეფოა, მაგრამ საკითხს აქ არ ვეხებით.

<sup>127</sup> ი ბ ნ ა ლ - ა ზ რ ა კ ი, გვ. 222—225. ვ. მინორსკი შენიშნავს, რომ ეს ნაწყვეტი პირველად გამოაქვეყნა შეიხზა მ. მ. გომა'ა-მ (ალ მუსტამი აღ-არაბი 1944, V. № 11, გვ. 12). ჩვენ ვერ მოვიძიეთ ურნალი. გ. წერეთლის „არაბულ ქრესტომათიაში“ (გვ. 68—75) მოთავსებულ აღ-ფარიკის თხზულების ნაწყვეტებში აღნიშნული ცნობა არ არის.

<sup>128</sup> აღ-ფარიკის თხზულების სხვა ნაწყვეტი დემეტრე მეფის მოგზაურობას უფრო დაწერილებით გვაცნობს: „I (აღ-ფარიკი) ...travelling with him (დემეტრე მეფესთან) to the country of the Alan and the Abkhas and Derbend“— V. Minorsky. *Caucasica in the History of Mayyāfiriqīn*—გვ. 35.

ურთიერთობის მოუშლელად შეუენარჩუნებია საქართველოს გავლენა და ავტორიტეტი ამიერკავკასიის ამ ნაწილში<sup>129</sup>.

თავისთავად საინტერესოა დემეტრეს როლი შარვან-დარუბანდის ურთიერთობაში, მაგრამ საკითხის გასარკვევად საჭირო ცნობები არ გაგვანჩნია.

ზუსტად არ ვიცით როდის მოხდა და რამდენ ხანს გაგრძელდა დარუბანდის საამიროსა და საქართველოს დაახლოება. ყოველ შემთხვევაში, არსებული ცნობებით ირკვევა, რომ გიორგი III დროს, XII ს. 70-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკური სიტუაცია თითქმის ისეთივე იყო, როგორც დავით აღმაშენებლის დროს. ცნობილია, რომ დაახლოებით 1173 წ. დარუბანდის მხრიდან შარვანში შეიჭრა ალანთა, ხაზართა და რუსთა რაზმები<sup>130</sup>. ამის შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის ქართული წყარო და პოეტი ხაკანი. პირველში ვკითხულობთ: „ესე შარვანშა (აღსართანი) შემოეხუეწა (გიორგი III-ს)... დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან“<sup>131</sup>.

საქართველომ ისევ გაუწოდა დახმარების ხელი შარვანს: „მაშინ შეიყარა ლაშქარი იმიერით და ამიერით, თუთ ძმა ბერძენთა მეფისა ანდრონიკე წარიყვანა წინაშე და მივიდა ვ ი დ რ ე კ ა რ თ ა მ დ ი ს და რ უ ბ ა ნ დ ი ს ა თ ა. მოაოჯრა ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანის... და უბოძა ქალაქი იგი... შარვანშას“<sup>132</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

ხაკანი თავის ლექსებში ხოტბას ასხამს აღსართანს ხაზართა, ალანთა და რუსთა რაზმების დამარცხებისა და დარუბანდის და შაბარანის დაპყრობის გამო<sup>133</sup>. თუ ხაკანი არ აჭარბებს, მაშინ ქართველი მემკვიდრე (თუ ორივე, რა თქმა უნდა, ერთსა და იმავე ამბავს ეხება) რატომ აღნიშნავს მხოლოდ შაბურანის აღებას? სავარაუდოა, რომ შარვანშაჰის (და გიორგი III-ის) მიერ დარუბანდის ამიროსა და მოკავშირეების დამარცხება პოეტმა თვით ქ. დარუბანდის აღებად გააზიადა. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, უპირატესობა ისტორიულ წყაროს მიეკუთვნება.

ლაშქრობის თარიღის დაზუსტება შესაძლებელი ხდება ქართველთა ლაშქარში ანდრონიკე კომნინოსის, ბიზანტიის იმპერა-

<sup>129</sup> ვ. მინორსკი შენიშნავს: „Грузинский царь со своими войсками мог мирно вступить на территорию ал-Баба“. იხ. მისი История Ширвана и Дербенда, გვ. 186.

<sup>130</sup> იქ-ვე.

<sup>131</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 17.

<sup>132</sup> იქვე.

<sup>133</sup> ხ ა კ ა ნ ი, გვ. 31—35; Hādī Hasan, Falakī-i-Shirwānī, გვ. 37—40.

ტორის მანუელ I-ის (1143—1180) ბიძაშვილის, შემდგომ (1180—1183) იმპერატორის მონაწილეობით. ირკვევა, რომ ანდრონიკე საქართველოში მხოლოდ 1170 წლის შემდეგ შეიძლებოდა ჩამოსულიყო<sup>134</sup>. ხოლო, თვით ლაშქრობა, როგორც სხვადასხვა ცნობების შეჭერებით ჩანს, ჩატარდა დაახლოებით 1173 წ.<sup>135</sup> და არა 1167 წ., როგორც აქამდე იყო მიღებული<sup>136</sup>.

აღნიშნულიდან საყურადღებო ის ირკვევა, რომ ამჯერადაც საქართველო შარვანს ეხმარება და უკერს მხარს დარუბანდის მხრიდან შემოტევის მოგერიებაში.

ჩვენთვის უცნობია თუ რა შედეგი მოჰყვა გიორგი III-ის ლაშქრობას დარუბანდ-საქართველოს ურთიერთობაში. საამირო რომ ისევ განაგრძობდა პოლიტიკურ არსებობას ეს ეჭვს გარეშეა. ჩვეულებრივ კი, ასეთ ძლევამოსილ ლაშქრობას მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების და ვალდებულების გარკვევა და აღიარება მოჰყვება ხოლმე.

არც თამარის ეპოქიდან მოგვეპოვება უხვი და კონკრეტული ცნობები დარუბანდ-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად. საყურადღებოა, რომ თამარის მეფობის ზოგადი დახასიათების დროს მემატიანე აღნიშნავს: „...იპყრნა ზღვთ პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვთთამდის“<sup>137</sup>. რამდენადაც ცნობილია, „ხაზარეთი“ და „სკვითეთი“ არ დაუპყრია საქართველოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დარუბანდის საამიროც არ აღიარებდა საქართველოს სიუზერნობას; ამას ჯერ კიდევ დემეტრე მეფის დროს ალ-ფარაყის ცნობაც მიუთითებდა. თამარის დროს კი საქართველო უფრო თუ გაძლიერდა, თორემ არ დასუსტებულა.

ყმადნაფიცობის ინსტიტუტზე დამყარებული ურთიერთობა გარკვეულ ვალდებულებათა შემცველია ორივე მხრიდან. თუ და-

<sup>134</sup> იხ. А. Куник, Основание Трапезундской империи, გვ. 716; V. Minor sky, Khāqānī and Andronicus Comnenus, გვ. 128.

<sup>135</sup> საკითხი ჭერ კიდევ მოიხილვს დაზუსტებას. იხ. Б. Дорн, Касний, გვ. 388—390 (ა. კუნისის ქრონოლოგიური შენაშენები); იქვე, დამატება VI, გვ. 524—530; В. Бартольд, Краткий обзор, გვ. 779; Е. Пахомов, О дербендском княжестве, გვ. 8—9; История Азербайджана, გვ. 142; Hādī Hasan, Falakī-i-Shirwānī, გვ. 39; О. Вилчевский, Хахан, гв. 69; Дж. Степнадзе, К датировке похода Георгия III, гв. 749—751.

<sup>136</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 239; ნ. ბენიშვილი და სხვა, საქართველოს ისტორია, გვ. 190.

<sup>137</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 34.

რუბანდის საამირო და სხვა დიდნი თუ მცირე პოლიტიკური ერთეულები საქართველოს სიუზერენობას აღიარებდნენ, ამ უკანასკნელს თავისი ვასალის დაცვა ევალებოდა. ვფიქრობთ, რომ ეს აზრი ნათლად გამოსკვივის შემადიანეს სიტყვიდან, თამარის მიმართ რომ არის წარმოთქმული: „...რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთამიმძლავრებულთა უკუნსცაისამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვისად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლო: შარვანშეთი. და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“<sup>136</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

ვასალურ სამეფოთა რიგში ჩვენს ყურადღებას აპყრობს შარვანისა და ტრაპიზონის „სახლები“. საქართველოს როლი ამ სამეფოების ისტორიაში კარგად არის ცნობილი; მათი არსებობა საქართველოს უშუალო სამხედრო მხარდაჭერაზე დიდად იყო დამოკიდებული. აშკარაა, რომ შარვანის და ტრაპიზონის სამეფოების პოლიტიკური სტატუსის ქართული წყაროსეული განსაზღვრა ქემშიმარიტებს ასახავს და არ არის გაზვიადებული.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეთივე ვითარება იყო სხვა, დასახლებული „სახლების“, და კერძოდ, დარუბანდის საამიროს მიმართაც.

როდესაც საქართველოს სამეფოს ერთიანი ლაშქარი იკრიბებოდა „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის“<sup>139</sup>. შესაბამისად, საქართველოზე გამოსალაშქრებლად მუსლიმანური კოალიციური ლაშქრის შესაკრებად „იწყეს ამოღმართ რომ-გვროს“<sup>140</sup> და ინდოეთისა და ქუემოთ სამარყანაზღი და დარუბანდამდი“<sup>141</sup>. ხოლო, როდესაც მონღოლებმა მეორედ შემოსევის დროს „...იწყეს რბევად და ოჯრებად საქართველოსა, იწყეს დარუბანდით აღმომართ“<sup>142</sup>. საგულისხმოა ერთი ცნობაც. „ვითარ აღსრულდა მეფე (გიორგი-ლამა), შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი... ნიკოფსით ვიდრე

138 ბასილი ეზოსმოძღუარი, გვ. 147.

139 ისტორიანი და აზმანი, გვ. 94; შდრ. იქვე, გვ. 203.

140 „რომ-გვროს“ შესახებ იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული წყაროების „რომ-გური“.

141 ბასილი ეზოსმოძღუარი, გვ. 125.

142 ეამთაღმწერელი, გვ. 186.

დარუბანდამდე, ყოველნი მორჩილებასა ქუეშე მათსა მყოფნი...“<sup>143</sup>. (ხაზი ჩვენია, პ. თ.).

დამოწმებული ცნობებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი დარუბანდამდე აღწევდა და, რომ დარუბანდის საამირო საქართველოს ვასალურ სამეფოთა რიგში იყო მოქცეული.

დარუბანდის მნიშვნელობა ამიერკავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი იყო. ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით მასთან საქართველოს ურთიერთობის შესწავლას საყურადღებო მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ, ჭერჯერობით გამოვლენილი მცირე მასალა ამ ურთიერთობის მხოლოდ ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს.

არანში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, თურქ-სელჩუკების და მათი ვასალების გაბატონებამ თავისთავად განაპირობა მათთან საქართველოს ურთიერთობის და დამოკიდებულების ხასიათი. ამ ურთიერთობის შინაარსის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდა ერთი მხრივ, ძველთაგანვე მომდინარე ტრადიციები, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური, რელიგიური და კულტურული წინამძღვრები და ინტერესები საერთოდ ამიერკავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც. „ქრისტიანობის“ დამცველის მისია, რომელსაც ამიერკავკასიაში საქართველო ასრულებდა, თურქული გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა იყო. ყოველივე ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა ანისის საკითხი.

შადადიანთა შტოს — შესაბამისად, თურქ-სელჩუკთა — ხელში მოქცეული ანისი სომეხი ხალხის — მასასადამე, საქართველოსიცი — მთავარი საზრუნავი იყო.

ანისში აბუ-ლ-ასვარ II-ის მოქმედებით შეუფოთებულმა და „გალიზიანებულმა ქრისტიანებმა მოუწოდეს დავით (აღმაშენებელს) და გადასცეს მას ქალაქი ანისი“<sup>144</sup>. საქმის მოთავენი „ანელთა თავადნი“ იყვნენ. საქართველოს მეფემ „დაიპყრნა არფასლანიანნი და ამოსწყვიტა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისჯითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო. იმუქფა ღმრთის მოყუარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდა-

<sup>134</sup> ეპითაღმწერელი გვ. 166. შტრ. მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები, გვ. 52—54, 64.

<sup>144</sup> ვარდანო, გვ. 146.

რი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედუფალსა კატრონიტეს და იქივე ესაფლავა“<sup>145</sup>. დავით აღმაშენებლის ბრძანებით „პატიოსანი საყდრის გუმბათიდან ჩამოაგდეს საძულველი საგანი (ნახევარმთვარე), რომელსაც ტაძარი 60 წელიწადს ატარებდა მორჩილად, და მის ადგილზე აღმართეს... ქრისტეს ჯვარი... შემრჳკრეს ძელს და ილოცეს ღმერთისთვის“<sup>146</sup>.

საყურადღებოა და ნიშანდობლივი ანისში დავით აღმაშენებლის მოღვაწეობით გამოწვეული სომეხი მოსახლეობის რეაქცია: „იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგანაც იხილეს განთავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან“<sup>147</sup>.

თავისი საგარეო პოლიტიკის შესაბამისად (ქვეყნის შიგნით გატარებული საშინაო პოლიტიკიდან გამომდინარე) დავით აღმაშენებელმა, როგორც აღვნიშნეთ, გააუქმა შადადიანთა ხელისუფლება ანისში, დასვა ქალაქში თავისი მოხელე-ხელისუფალი „და განაგო ყოველი საქმე... სომხითისა და ანისისა“<sup>148</sup>. ამრიგად „დავით აღმაშენებელმა დაიპყრო ანისი და ის უშუალოდ საქართველოს საშეფო ტახტს დაუქვემდებარა“<sup>149</sup>.

ირაკვევა, რომ დავით აღმაშენებელი თავისი დიდი გეგმის მეორე ნაწილის განხორციელებას შესდგომია. მაგრამ, ნაადრევმა სიკვდილმა მისი დიდებული მოღვაწეობა შუა გზაზე შეწყვიტა.

ანისის დაკარგვა მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური დანაკლისი იყო ამიერკავკასიის (და არა მარტო ამიერკავკასიის) მუსლიმანური სამყაროსათვის. გასაგებია, რომ „საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოები, თურქული საამირო-სასულტნოები არ სთმობდნენ თავის პოზიციებს და ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი იყო, ბრძოლის შედეგებიც ცვალებადი“<sup>150</sup>. ზემოთ განხილული იყო ამ ბრძოლის მიმდინარეობის ძირითადი საკითხები ანისის შადადიანთა ისტორიასთან დაკავშირებით<sup>151</sup>.

ანისის ირგვლივ გაჩაღებული ბრძოლის როგორც შინაგანი.

145 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 345.

146 ვ ა რ დ ა ნ ი, იქვე; შდრ. ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მათე ურპაელის ცნობები, გვ. 248.

147 იხ. ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

148 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 346.

149 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან, გვ. 104.

150 იქვე.

151 დაწერილებით იხ. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 207—208; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 104—119; V. Minor sky, Studies. გვ. 90—101.



სევე გარეგანი ფაქტორები კარგად გამოხატავენ საქართველოს სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლილ შინაარსს, დავით აღმაშენებლის შემდგომ ხანაში რომ შემუშავდა და გატარდა მუზობელ ქვეყნებთან პოლიტიკურ ურთიერთობაში. ანისზე მუსლიმანთა გაძლიერებული შემოტევები (გარეგანი ფაქტორი) და საკუთრივ ანისის დაძაბული და რთული საქალაქო ცხოვრების ჯონზე ჯერ აბულეთის, შემდეგ ივანე ორბელის მოღვაწეობა და მუსლიმან მმართველებთან მორიგება-შეთანხმება (შინაგანი ფაქტორი) აღნიშნული კურსის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენდნენ და მის გატარებას გარდაუვალს ხდიდნენ ამ კერძო შემთხვევაში. ასეთივე იყო თამარ მეფის დროს მოქმედი საგარეო პოლიტიკის გამომწვევი, შემქმნელი მიზეზები და არა ქართველი მეფის ჰუმანურობა („შორს განიოტა წურბლის მსგავსი ვერ მადღრისობა...“)<sup>152</sup>, რასაც თავისთავად არ შეიძლებოდა მამოძრავებელი როლი შეესრულებინა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში.

ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში ერთ-ერთი ძირითადი იყო დვინის საკითხი. ერთ დროს შადადიანთა მფლობელობაში მყოფი ეს ქალაქი XII ს. მეორე ნახევარში ელდიგუზიანთა სახელმწიფოს ემორჩილებოდა. დვინს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მუსლიმანური აგრესიის აღკვეთის და სომხური მიწა-წყლის დაცვის საქმეში. დვინი ყოველი ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი იყო ამიერკავკასიაში.

როდესაც გიორგი III-მ ანისის აღების შემდეგ (1161 წ.) „მომართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულად [დვინად], აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხითისა და ადარბადაგანისა... და სპათა მისთამან გამოიღო და წარმოტყუენა ქალაქი, რომლისა სიმრავლემან ტყუეთა და საუნჯეთამან დაფარა პირი ველთა და მთათა“<sup>153</sup>; როდესაც ქართველთა ამ გამარჯვებით მუსლიმანთა გავლენამ ამიერკავკასიაში დიდი ზიანი განიცადა, მაშინ „...ჯავრისაგან აღ[ი]ძრა ნავლელ-ფიცხელობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა“<sup>154</sup>.

საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ გაერთიანდნენ სულთანნი არსლან ბ. თოღრული (1161—1177), ათაბაგი შამს აღ-დინ

<sup>152</sup> ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ლ უ ა რ ი, გვ. 148.

<sup>153</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 5; ვარდანო, გვ. 155—156; იბნ ალ-ასირი; გვ. 126; ი. მაქაეარიანი, არაბ და სპარსელ მწერალთა ცნობანი, გვ. 11;

<sup>154</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 6.

ელდიგუზი, აყსონყორ აჰმადილიანი და შაჰ-არმენი სუკმან ბ. იბ-რაჰიმი.

ჩვენ ხელთ არსებული ცნობებით, ეს მეორე ფაქტია, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აჰმადილიანების და საქართველოს ურთიერთობის შესახებ..

ზუსტად ორმოცდაათი წლის უკან, 1123 წ. ქ. შემახასთან დავით აღმაშენებლის პირისპირ მდგარ სულთან მაჰმუდს, როგორც ჩანს, თავისი ძალის იმედი რომ აღარ ჰქონდა, ვანდგომილი აყსონყორი (ქართული წყაროს აღსუნღული) შემოურიგებია და მისი ლაშქრის იმედი ჰქონდა ქართველებთან მოსალოდნელ ბრძოლაში. აყსონყორ აჰმადილიანს კი საგრძნობი დახმარების აღმოჩენა შეეძლო. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მას ათი ათასი კაციცაგან შემდგარი ლაშქრის გამოყვანა შეეძლო. აქედან გამომდინარე, გაზვიადებული არ უნდა იყოს ქართული წყაროს ცნობა: „მოსრეს მონათა (დავით) მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი“<sup>155</sup> აყსონყორ აჰმადილიანის იმ ლაშქრიდან, რომელიც სულთნის დასახმარებლად მიეშურებოდა.

თუ 1123 წ. აჰმადილიანებს საქართველოს მხრიდან საფრთხე უშუალოდ არ ემუქრებოდა და აყსონყორის ლაშქრობა დავითის წინააღმდეგ სულთნისადმი სუბორდინაციის თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, ახლა, 1163 წ. დვინის აღებით და საქართველოს სახელმწიფოს მზარდი აგრესიით შექმნილი ვითარება პირდაპირ ემუქრებოდა აჰმადილიანთა სამფლობელოს. ამიტომ, სავსებით გასაგებია არსლან-აბე აჰმადილიანის (აყსონყორ II) მონაწილეობა გიორგი III-ის საწინააღმდეგო ლაშქრობაში. საფრთხე იმდენად დიდი იყო<sup>156</sup>, რომ ათაბაგ ელდიგუზმა და არსლან-აბემ ურთიერთშუღლი და მტრობა გვერდზე გადადეს.

ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური გადმოგვცემს, რომ „სულთნის დროშების ჩრდილქვეშ და (ელდიგუზ) ათაბაგის ხელმძღვანელობით და ძლევამოსილებით ისლამის მხედრობა ურწმუნოთა ქვეყნისაჲნი“<sup>157</sup>

<sup>155</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 344.

<sup>156</sup> რავენდი (გვ. 287) აღნიშნავს: „აბახათა მეფემ ისლამის ოლქებს სიხარბის თვალი დაადგა, (თავისი) რაზმებით დათარეშობდა და სურვილის ეყვანს აედარუნებდა“. — ملك ابخاز را در استطرف اطراف بلاد اسلام طمع

მირზონდი (IV, გვ. 338) გიორგი III-ს بجنابانيد و جرس هوس بجنابانيد III-ს „ურწმუნოთა“ ხელმწიფეთაგან უძლიერესს უწოდებს: ملك ابخاز كه از پادشاهان

مشرک کافری ذو شوکت بود.

<sup>157</sup> بديار كافر ასეა, და სწორია რავენდისთან, და არა بديار بكر როგორც არის ზაჰირ ალ-დინ ნიშაბურთან; დიარბაქრთან ამ ლაშქრობას ხელი არ ჰქონდა.

გამართა... როდესაც განჯის საზღვრებს გასცდნენ და მათ მიუახლოვდნენ იარაღის ძალით, „ადათის“ მხარდაჭერით და ძლევამოსილი ღმერთის შემწეობით სწრაფად მათ (ქართველებს) თავს დაესხნენ და მისი (ქართველთა მეფის?) ხაზინა გაძარცვეს და ოქროს ჯვარი და ვერცხლის ჭურჭელი მთლიანად ხელთ იგდეს. აბხაზთა მეფემ, ფეხშიშველმა, უკანასკნელ წუთს ძლივს გაასწრო“<sup>158</sup>.

რავენდი ძირითადადში ეთანხმება სელჯუქ-ნამეს. თუმცა, მას განსხვავებული დეტალებიც მოეპოვება: ბრძოლაში „...დიდი ათაბაგის წინდახედულება და სიფრთხილე რომ არ ყოფილიყო, რომელმაც ისლამის ლაშქარს შეტევა (თავდასხმა) დაუშალა, არც ერთი მათგანი (ქართველთაგანი) არ გადარჩებოდა და აბხაზთა მეფე ტყვედ ჩავარდებოდა. მაინც ყველა (მათი) თეთრი ღროშები, ოქროს ჯვარი, ვერცხლის ჭურჭელი, ხაზინა და „სანადიმო სახლის“ (შარაბ-ხანე) მოწყობილობა გაძარცვეს. და იგი (აბხაზთა მეფე) უკანასკნელ წამს, ფეხშიშველი (ცხენს) მოახტა და გაქუსლა“<sup>159</sup>.

მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქარი იბნ ალ-ასირის ცნობით ორმოცდაათი ათასი კაცისგან შედგებოდა<sup>160</sup>. ბრძოლა მკველვართა უმრავლესობის აზრით 558/1163 წ. მოხდა, თუმცა, ასევე წყაროებზევე დაყრდნობით, ასახელებენ 557/1162 წელსაც<sup>161</sup>.

საყურადღებოა, რომ წყაროების თანახმად, ათაბაგი ელდიგუზი ქართველებთან ბრძოლას ერიდებოდა, მაგრამ საერთო გან-

---

158 ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური, გვ. 77: «و ملك ابخاز بحشاشه موزه بر نشسته و راه گریز گرفت».

160 რავენდი, გვ. 287—289: «و اگر نه عاقبت اندیشی و احتیاط انابگ اعظم بودی که لشکر اسلام را از هجوم مانه شد یک تن از یشان جان نبردی و ملک ابخاز اسیر گرفتار شدی، و با این همه علمهای سپید و خاج زرین و خُم سیمین و بیشتر آلات خزانه و شرابخانه هارت بیاوردند و او بحشاشه بی موزه بر نشست و بجست».

160 იბნ ალ-ასირი, გვ. 126.

161 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 236—237; ა. ქესრავი, შაჰიარან-ი გუმ-ნამ, III, გვ. 124; The Cambridge History of Iran, გვ. 179; მ. იუბალის VII შენიშვნა, იხ. რავენდი, გვ. 287. ბრძოლის თარიღად 557/1162 წ. აღნიშნავს ჰუსაინი, რომელიც ბრძოლას დაწვრილებით აღწერს; იხ. ჰუსაინი, გვ. 146. შტრ. ბ. სილაგაძე, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 110—111.

წყობილების ზეგავლენით დათანხმებულა მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში. ამ განწყობილების შექმნას დიდად უწყობდა ხელს შაჰ-არმენი. მას კარგად ახსოვდა ქართველთაგან დვინის დარბევის ამბავი და მის სამფლობელოზე ქართველთა მოსალოდნელი თავდასხმის შიშით მომავალ ბრძოლაში ქართველების დამარცხების დიდი მსურველი იყო<sup>162</sup>.

XII ს. მეორე ნახევარში მუსლიმანური აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვან როლს ელდიგუზიანთა სახელმწიფო ასრულებდა. აჰმადილიანები საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში საერთო სიტუაციის შესაბამისად შექმნილ კურსს მისდევდნენ.

შემდეგი ეპიზოდი საქართველოსა და აჰმადილიანთა სახელმწიფოს ურთიერთობიდან მოსალოდნელი იყო საქართველოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დიდი ლაშქრობის“ დროიდან, რომელიც XIII ს. 10-იან წლებში ჩატარდა ჩრდილოეთ ირანში. როგორც ცნობილია, ამ ლაშქრობის მარშრუტის ნაწილი (მარანდი-თავრიზი-მიანე)<sup>163</sup> სწორედ აჰმადილიანთა ტერიტორიაზე გადიოდა. ქართული წყარო ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობის მხოლოდ ძირითად მომენტებს აღწერს და არ ასახელებს დაპყრობილი ქვეყნების თუ ქალაქების მფლობელებს. თუმცა, წყაროში მოხსენებულია მიანეს მელიქი და აღწერილია ვერაგული მოქმედების გამო მისი სიკვდილით დასჯა<sup>164</sup>, მაგრამ უცნობია ამ მელიქის სახელი და, ამიტომ, ამ ცნობიდან კონკრეტულ დასკვნას ვერ გავაკეთებთ.

თავისთავად ეს ლაშქრობა სამხედრო მორბევა-თარეშის ხასიათს ატარებდა და, ამდენად, ძნელი სავარაუდოა აჰმადილიანებს საქართველოს წინაშე რაიმე ვალდებულება დაკისრებოდათ ხანგრძლივი დროით. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბასილი ეზოსმოდღარი საქართველოს მოხარაჯე ქვეყნების საზღვრების შესახებ წერს: „და ამისგან ცნას მეძიებელმან (თამარ მეფის) საქმეთამან, მერმე ცნას ერწყამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარღამდის<sup>165</sup>, და თვთ იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა არს ქუე-ჯდომით მოქმედისაგან“<sup>166</sup>. აქედან, თითქოს ისე

162 ჰ უ ს ა ი ნ ი, გვ. 142—146.

163 ისტორიანი და აზმანი, გვ. 104—109; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II გვ. 283—286.

164 ისტორიანი და აზმანი, გვ. 106, 108.

165 ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხები: მარღამდის.

166 ბასილი ეზოსმოდღარი, გვ. 124.

ჩანს, რომ მარაღას მფლობელნი საქართველოს მოხარკე ქვეყნების საზღვარზე იდგნენ. მაგრამ, ისიც აშკარაა, რომ ეს ცნობა საერთოდ გაზვიადებულია.

ყოფილებას იპყრობს მუჰამედ ნესავის შემდეგი ცნობა: როდესაც 1225 წ. ჯალალ ალ-დინი აზერბაიჯანს მიუახლოვდა, მარაღას მცხოვრებლებმა მას წერილით შესჩივეს — ქართველთა რბევათარეშისა და ძალადობისგან დაგვიცავით<sup>167</sup>. როგორც ჩანს, ნესავის ცნობა ახლოს დგას რეალურ ვითარებასთან. საყოფადღებოა, რომ წყაროს თანახმად აჰმადილიანთა სამფლობელო არსებობის უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ლაშქრის პერიოდული რბევა-თარეშის ობიექტი გამხდარა. რეგულარული ხარკით დახარკული ქვეყანა ასეთი თავდასხმებისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო.

„დიდი ლაშქრობის“ დროს ქართველებმა, როგორც ირკვევა, ბეშქენიანთა სამფლობელოც დალაშქრეს. „მერმე წარენართნეს ქალაქსა ხორანსისასა, და ყაზმინს რა მიიწივნეს — მახლობლად ყაზმინისა და აპერისა — ვერ წინააღუდგეს; მოარბიეს და აღივსნეს საქონლითა... კაცთა არა ავნეს, ტყუედ წარმოაყვანდეს კაცთა და მკირდესა ვაჟსა... შემოიქცეს გამარჯუებულნი და ძლევა-შემოსილნი ქართველნი. ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწვენილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი, და ვერავინ წინააღუდგა სპარსეთს შესულთა“<sup>168</sup>.

ქართველთა ლაშქარმა გაიარა მთელი ჩრდილოეთი ირანი და დაიპყრო ქალაქები მარანდი, თავრიზი, მიანე, ზენჯანი, ყაზვინი და მათ შორის ქალაქი აპვარი<sup>169</sup>. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ეს არის ბეშქენიანთა სამფლობელოში შემავალი ქ. აპარი.

ჩრდილოეთ ირანში ქართველთა ლაშქრობის შესახებ ცნობას გვაწვდის კიდევ ერთი ქართული წყარო, რომელიც აღნიშნავს, რომ „დაღეწნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყვდეს და ვრანის ქუეყანა. ესდენად სიშორესა შინა მივიდენ, რომე არც თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“<sup>170</sup>.

მაშასადამე, მემატიანენი დაყინებით იმეორებენ, რომ ქართველებმა იმდენად შორეული ქვეყნები დალაშქრესო, რომ იქ ქართველთა სახელი არც კი გაეგონათო. როგორც ჩანს, ქართული წყაროები გაცილებით უფრო შორეულ ქვეყნებს გულისხმობენ, ვიდ-

167 ვიწმეშებთ ა. ქესრაის დასახ. ნაშრომიდან, II, გვ. 135.

168 ისტორიანი და აზმანი, გვ. 107.

169 „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ნუსხა: „აპიავარი“.

170 ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, გვ. 369.

რე უშუალოდ ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, სადაც ბეშქე-ნიანთა სამფლობელოც მდებარეობდა.

რატომ გამოჩნათ თვალსაწიერიდან ქართველ მემატიანეებს ქართული წარმოშობის ბეშქენიანები, რომლებიც არც თუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ ქართველთა ლაშქრობის არეალში, გაურკვეველია.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში შადადიანთა სახელმწიფოსთან ურთიერთობის მტრული ხასიათი შემდგომ პერიოდშიც გადავიდა „ტრადიციით“. „განძის საკითხი“ ერთ-ერთი რთული და მწვავე პრობლემა იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა თვით მონღოლთა შემოსევებამდე; ხოლო შემდეგ, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის წყალობით საქართველოსთვის ეს საკითხი თავისთავად მოიხსნა.

განძის დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური მნიშვნელობა განაპირობებდა იმას, რომ ქალაქის დაუფლებისათვის თავგამოღებით ებრძოდნენ ერთმანეთს საქართველო და თურქ-სელჩუკები: XII ს-ის განმავლობაში პირველი გარკვეულ წარმატებას აღწევდა ამ ბრძოლაში. თამარის და გიორგი-ლაშას დროს განძა, მსგავსად ამიერკავკასიის სხვა მრავალი ქალაქი-ქვეყნისა, საქართველოს მოხარკე იყო: „მოვიდიან ხარაჯითა განძელნი“, „მოხარკე შეექმნენს, ვითარ განძელნი და მიმდგომნი, ნახქვენელნი და ...სხუანი მრავალნი ძლუნითა და ხარაჯითა მოვიდოდნიან მისა“<sup>171</sup>.

შამქორის ომის (1195 წ.) ერთ-ერთი ძირითადი შედეგი განძის დაკავებაც იყო<sup>172</sup>. საერთოდ კი, ოდნავ ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებით განძა დაუყოვნებლივ სარგებლობდა და საქართველოს მორჩილებას თავს აღწევდა. ასე, გიორგი-ლაშას (1213—1222) გამეფებისთანავე „... იწყეს განძით განდგომა და არღარა მოსცეს მეფესა ხარკი“<sup>173</sup>. მართებულად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი: „გასათვარი ეს არის, რომ სხვებზე უწინარეს თავი განძის მფლობელს წამოუყვია“<sup>174</sup>. მაგრამ, მეფე გიორგიმ დროული ლაშქრობით ისევ

171 ისტორიანი და აზმანი, გვ. 99; ეამთაღმწერელი, გვ. 151.

172 ისტორიანი და აზმანი, გვ. 67—63; ბასილი ეზოსმოძღუარი, გვ. 126—127; ჰუსანი, გვ. 165—168; ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 268—269; ქსტუნაძე, საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობა, გვ. 124—127.

173 ეამთაღმწერელი, გვ. 152.

174 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 10.

დამორჩილა განძა: „...შემქირდა ათაბაგი განძისა და ევედრა, რათა განუჩინონ ხარკი პირველი“<sup>175</sup>.

როგორც ჩანს, ასევე ცვალებადი იყო მდგომარეობა მთელი XII ს-ის განმავლობაში. უკვე 1121 წ. დავით აღმაშენებელმა წარმატებით ილაშქრა არანის სიღრმეში, როდესაც „...მოსრნა თურქნი, არბია ბარდავი, და.. მოვიდა შინა სავსე ალაფითა“<sup>176</sup>.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობით „შეიწრებულნი თურქმანნი“ საქართველოს წინააღმდეგ ერთიანდებიან, კოალიციაში განძის ათაბაგიც მონაწილეობს „მისითა ძალითა“. დიდგორის ომში (1121 წ. აგვისტო) ბრწყინვალე გამარჯვებამ საქართველოს ძლიერებას მტკიცე საფუძველი დაუდო<sup>177</sup>; თურქ-სელჩუკთა პოზიციები ამიერკავკასიაში საგრძნობლად შესუსტდა. მაგრამ, დავით მეფემ განძის დამორჩილება ვეღარ მოასწრო. განძა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქთა ბატონობის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა ისევ.

ნიშანდობლივია, რომ შადადიანი ფადლონ IV (დაახლ. 1125--1130) ანისში განმტკიცების შემდეგ განძის დაპყრობასაც ცდილობს. მის ცდას, ვარდანის ცნობით, წარმატება მოჰყოლია და, — მცირე ხნით მაგრამ მაინც, — განძასთან ერთად დვინიც დაუპყრია<sup>178</sup>. აშკარაა, რომ ანისის შადადიანი შადადიანთა ყოფილი სამფლობელოს აღდგენას ესწრაფოდა. პოლიტიკური ვითარება საამისოდ თითქოს ხელსაყრელი იყო (დავით აღმაშენებლის გარდაცვალება, სულთან მუჰამედის შვილებს — შამშუდი და ტულრილ III — შორის ატეხილი შინაომი და აზერბაიჯანში მტკიცე ხელისუფლების მოშლა). ფადლონ IV-ს განძა სხვადასხვა თურქმა ამირებმა არ დაანებეს და მან მალე დაჰკარგა ქალაქი<sup>179</sup>.

დემეტრე მეფის დროს, 1139 წ. განძაზე გალაშქრება ქალაქის დამორჩილების ცდას წარმოადგენდა. ამ დროს, 533/1138-39 წ. აზერბაიჯანის ათაბაგი ყარა-სონყორი არან-აზერბაიჯანიდან ფარსში იყო სალაშქროდ წასული. მუსლიმანური წყაროების თანახმად, ქართველებს გამარჯვებით ულაშქრიათ განძაზე და ძლევის ნიშნად ქალაქის გალაენის კარი საქართველოში წამოუღიათ. 1039 წელსვე;

175 ეამთაღმწერელი, გვ. 152—154.

176 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 340.

177 იხ. შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა.

178 ვარდან, გვ. 147—148.

179 V. Minorsky, Studies, გვ. 84—85; The Cambridge History of Iran.

განძას თავს დაატყდა დიდი მიწისძვრა. ყოველივე ამან ქალაქი დიდად დააზიანა<sup>181</sup>.

დაბრუნდა თუ არა ყარა-სონყორი აზერბაიჯანში, სწრაფად ალაღინა თავისი ხელისუფლება განძაში<sup>181</sup>.

ყარა-სონყორის და ჯაული ჯანდარის შემდეგ არანის და აზერბაიჯანის მმართველობა აზღ ალ-რაჰმან ბ. თულან-მურეემა იგღო ხელთ. სავარაუდოა, რომ განძასაც ის ფლობდა. ჰუსაინი გადმოგვეცემს, რომ აზღ ალ-რაჰმანი ერთი მეორეზე აგზავნიდაო ამირებს საქართველოსთან საომრად<sup>182</sup>. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს აზღ ალ-რაჰმანი მოქიშპე დიდებული ამირების მსხვერპლი შეიქმნა. შეთქმულმა ამირებმა, რომელთა რიცხვში ათაბაგ შამს ალ-დინ ელდიგუზი იყო, „როცა განჯას მიაღწიეს, საქართველოს ოლქზე (სალაშქროდ) გაერთიანდნენ. შამქორის საზღვრებსა და ციხე ასმან ბინს შორის ხელსაყრელი შემთხვევა იპოვნეს და აზღ ალ-რაჰმანი მოკლეს“<sup>183</sup>.

იბნ ალ-ასირის ცნობით ეს მოხდა 541/1146—47 წ.<sup>184</sup> ამ პერიოდის დაწყებული შამს ალ-დინ ელდიგუზი პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერის ისეთ დონეს აღწევს, რომ მან საკუთარი — ელდიგუზიანთა — სახელმწიფოს არსებობას ჩაუყარა საფუძველი. იბნ ალ-ასირი წერს: “543/1148—49 წ. სულთან მას’უდი მიატოვა ზოგიერთმა მისმა წარჩინებულმა ამირამ, სახელდობრ, აზერბაიჯანიდან ელდიგუზ ალ-მასუდიმ განჯა-არანის და კაისერის მფლობელმა“<sup>185</sup>.

XII ს-ის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგე ძალა ელდიგუზიანთა სახელმწიფო იყო. ამიტომ, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის შექმნა განსახილველი საქართველოს დამოკიდებულება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან.

180 იბნ ალ-ასირი. გვ. 125; ვარდანი გვ. 151; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 223.

181 The Cambridge H. story of Iran, გვ. 130.

182 ჰუსაინი, გვ. 108.

183 ზაკირ ალ-დინ ნიშაბური, გვ. 62: چون بگنجہ رسیدند بناحیت کرج اتفاق کردند بحدود شمکور و قلعه آسمان بین در آن میان فرصت یافتند و عبد الرحمن بکشتند

184 იბ. რავენდი, გვ. 237, ჰუსაინი, გვ. 108.

185 იბნ ალ-ასირი. გვ. 125.



მხოლოდ ამის შემდეგ წარმოჩნდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის და ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი სრული სურათი.

\* \* \*

ნაშრომში განხილული პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნისა და არსებობის ისტორიაში ნათლად აისახა ეპოქისათვის და ადგილობრივი გარემოსათვის დამახასიათებელი მოვლენები, რომელთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური შინაარსი ადრე-ფეოდალური ხანიდან განვითარებულ ფეოდალიზმში გარდამავალი პროცესის შესაბამისი იყო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

